


საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო

**გაერთიანებების, სანაწროებისა და  
ორგანიზაციების სანაწრო-სამეურნეო  
საქმიანობის გულგრილი აღრიცხვის  
ანგარიშთა გეგმა და მისი  
გამოყენების ინსტრუქცია**

დამტკიცებულია სსრკ ფინანსთა სამინისტროს  
1985 წლის 28 მარტის № 40 ბრძანებით  
სსრკ ცსს შეთანხმებით



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი — 1987

მთარგმნელები: ბ. გურგენიძე  
დ. მებრეველი  
რედაქტორი: ნ. ვახანიძე

პასუხისმგებელი გამოცემებისათვის  
ი. კ. ვახანიძე

## სსრკ ფინანსთა სამინისტროს

1085 წლის 28 მარტის ბრძანება № 40

გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმისა და მისი გამოყენების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

1. სსრკ ცსს შეთანხმებით დამტკიცდეს:

გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა თანახმად I დანართისა;

მისი გამოყენების ინსტრუქცია — თანახმად 2 დანართისა.

2. აღნიშნულ ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია, ძალაში შევიდეს 1986 წლის 1 იანვრიდან.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1986 წლის 1 იანვრიდან:

სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1968 წლის 30 მაისის № 130 წერილი „საწარმოების, მშენებლობებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საწარმო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის შესახებ“;

სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1970 წ. 27 ნოემბრის წერილი № 290 „საწარმოების, მშენებლობებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საწარმო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის დამატებებისა და ცვლილებების შესახებ“;

სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1979 წლის 4 ივნისის № 70 წერილი „საწარმოების, მშენებლობებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საწარმო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის დამატებებისა და ცვლილებების შესახებ“.

სსრკ ფინანსთა მინისტრის მოადგილე

ბ. ვ. დ ე მ ე ნ ც ე ვ ი

**გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების  
საწარმო-სამეურნეო საქმიანობის  
ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა**

ანგარიშის დასახელება	ანგარიშის ნომერი	სუბანგარიშის ნომერი და დასახელება	საქმიანობის სახეობანი, სადაც უპირატესად გა- მოიყენება ანგარიში
----------------------	---------------------	--------------------------------------	--

**I განყოფი. ძირითადი საშუალებები (ფონდები)**

ძირითადი საშუალებები 01	ყველა სახის საქმიანობა
ძირითადი საშუალებების ცვეთა 02	ყველა სახის საქმიანობა
კაპიტალური რემონტი 03	ყველა სახის საქმიანობა

**II განყოფი. საწარმოო მარაგი**

-----	04		
მასალები	05	1. ნედლეული და მასალები	ყველა სახის საქმიანობა
		2. ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და შაკოპალექტებული ნაწარმი, კონსტრუქციები და დეტალები	
		3. დანარჩენი მასალები	
		4. ტარა და ტარის მასალები	
		5. მინერალური სასუქები და შხამქიმიკატები	
		6. ბიოპროდუქტები და მედიკამენტები	
		7. მასალები გარეთ გაშვებული დასამუშავებლად გადაცემული	
სათბობი	06	1. ნავთობპროდუქტები	ყველა სახის საქმიანობა
		2. მყარი სათბობი	
		3. სათბობის სხვა სახეები	
სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა	07	1. მასალები	საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ კაპიტალურ დაბანდებებს.
		2. კონსტრუქციები და დეტალები	
		3. სამამულო დანადგარების მოწყობილობა	

		4. იმპორტული დანადგარების მოწყობილობა			
სათადარიგო ნაწილები	08	1. სათადარიგო ნაწილები	ყველა	სახის	საქმიანობა
		2. გაცვლითი ფონდი			
გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი	09	1. მოზარდი პირუტყვი	ყველა	სახის	საქმიანობა
		2. გასასუქებელი პირუტყვი			
		3. ფრინველი			
		4. ნადირი			
		5. ბოცვერა			
		6. ღუძკარის ოჯახები			
		7. ძირითადი ჯოგოდან დაწყებული მოზარდი პირუტყვი, სარეალიზაციოდ			
		8. მოსახლეობისაგან სარეალიზაციოდ მიღებული პირუტყვი			
თესლი და საკვები	10	1. თესლი	ყველა	სახის	საქმიანობა
		2. სარგავი მასალა			
		3. საკვები			
----- 11					
მცირეფასიანი და სწრაფ-ცვეთადი საგნები	12	1. მცირეფასიანი და სწრაფ-ცვეთადი საგნები საწყობში	ყველა	სახის	საქმიანობა
		2. მცირეფასიანი და სწრაფ-ცვეთადი საგნები ექსპლუატაციაში			
		3. დროებითი (არასატიტულო) ნაგებობანი და სამარჯვები			
მცირეფასიანი და სწრაფ-ცვეთადი საგნების ცვეთა	13	1. მცირეფასიანი და სწრაფ-ცვეთადი საგნების ცვეთა	ყველა	სახის	საქმიანობა
		2. დროებითი (არასატიტულო) ნაგებობათა და სამარჯვების ცვეთა	ყველა	სახის	საქმიანობა
სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება	14		ყველა	სახის	საქმიანობა
მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა	15				
სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები	16		ყველა	სახის	საქმიანობა
----- 17					

### III განაყოფი. წარმოების დანახარჯები

-----	18		
-----	19		
ძირითადი წარმოება	20	ყველა სახეს საქმიანობა	
საკუთარი წარმოების ნა-	21	მრეწველობა	
ნახევარფაბრიკატები			
-----	22		
დამხმარე წარმოებანი	23	ყველა სახის საქმიანობა	
მანქანებისა და მოწყობი-		მრეწველობა. მშენებლობა,	
ლობის შენახვისა და ექს-	24	სოფლის მეურნეობა	
პლუტაციის ხარჯები			
საერთო-საწარმოო ხარჯ-	25	მრეწველობა, სოფლის მე-	
ბი		ურნეობა და სხვ.	
საერთო-სამეურნეო ხარ-	26	ყველა სახის საქმიანობა	
ჯები			
-----	27		
წყენი წარმოებაში	28	მატერიალური წარმოების	
		დარგები	
მომსახურე წარმოებანი და	29	ყველა სახის საქმიანობა	
მეურნეობანი			
არაკაპიტალური სამუშაო-	30	1. ღრობითი (სატიტულო)	მშენებლობა
ები		ნაგებობათა აგება	
		2. ღრობითი (არასატიტუ-	
		ლო) ნაგებობათა აგება	
		3. სხვა არაკაპიტალური	
		სამუშაოები	
მომავალი პერიოდის ხარ-	31		ყველა სახეს საქმიანობა
ჯები			
-----	32		
კაპიტალური დაბანდება-	33	1. სახელმწიფო გეგმით	ყველა სახის საქმიანობა
ნი		გათვალისწინებულნი	
		2. სახელმწიფო გეგმის ზე-	
		ვით განსახორციელებე-	
		ლი	
		3. დაუგეგმავი	
		4. დამთავრებული. რომე-	
		ლიც არ იყო უზრუნ-	
		ველყოფილი დაფინან-	
		სებით	
		5. დანახარჯები, რომლებიც	
		არ ზრდის ძირითადი	
		ფონდების ღირებულებ-	
		ას	

-----	34		
ძირითადი ჭოგის ფორმირება	35	1. მოზარდი პირუტყვის შექმნა	ყველა სახის საქმიანობა
		2. მოზარდი პირუტყვის გადაყვანა ძირითად ჭოგში	

-----	36
-----	37
-----	38

**IV განყოფი. შხა პროდუქცია, საქონელი და რეალიზაცია**

-----	39		
შხა პროდუქცია	40		მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვ.
საქონელი	41	1. საქონელი საწყობებში	ყველა სახის საქმიანობა
		2. საქონელი საცალო ვაჭრობაში	
		3. ტარა საქონლით და ცარიელ	
		4. ნაყიდი ნაწარმი	
		5. გასაქირავებელი საგნები	
		6. დამზარე სოფლის მეურნეობის პროდუქცია	
საეაქრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი	42	1. საეაქრო დარიცხვა (დათმობა, წინამართი)	ყველა სახის საქმიანობა
		2. ბრუნვის გადასახადი	
		3. მიმწოდებელთა დათმობა სატრანსპორტო ხარჯების ასანაზღაურებლად	
წარმოებისგარეშე ხარჯები	43		მრეწველობა; სოფლის მეურნეობა
მომოქცევის ხარჯები	44		ვაჭრობა, მომარაგება, გასაღება, დამზადება
გაგზავნილი საქონელი, მესრულებული სამუშაოები და მომსახურება	45		ყველა სახის საქმიანობა
რეალიზაცია	46		ყველა სახის საქმიანობა
საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების სისტემის შიგნითა გაცემა	47		ყველა სახის საქმიანობა
-----	48		
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	49		ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა

**V განყოფი. ფულადი სახსრები**

სალარო	50		ყველა	სახის	საქმიანობა
ანგარიშსწორების რიში	ანგარიში 51		ყველა	სახის	საქმიანობა
-----	52				
-----	53				
ანგარიშები ბანკში ტალური დაბანდების სახსრებისათვის	კაპიტალური დაბანდების სახსრებისათვის 54	<ol style="list-style-type: none"> <li>1. არაცენტრალიზებული სახსრების სპეციალური ანგარიში, განკუთვნილი კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისათვის დამტკიცებულ გეგმის ზევით</li> <li>2. კაპიტალური დაბანდების დაფინანსებისათვის განკუთვნილი თავისუფალი არაცენტრალიზებული სახსრების სპეციალური ანგარიში.</li> </ol>	ყველა	სახის	საქმიანობა
დანარჩენი ბანკში	ანგარიშები 55	<ol style="list-style-type: none"> <li>1. განსაკუთრებული ანგარიში კაპიტალური რემონტისათვის</li> <li>2. აკრედიტივები და განსაკუთრებული ანგარიშები ტერიტორიული სათვის</li> <li>3. შემოსავლის ანგარიში ბანკში</li> <li>4. ფასების სხვაობის ანგარიში ბანკში</li> <li>5. სხვა ანგარიშები ბანკში</li> </ol>	ყველა	სახის	საქმიანობა
დანარჩენი ბანკში	ფულადი სახსრები 56	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ფულადი სახსრები გზაში</li> <li>2. ფულადი დოკუმენტები</li> </ol>	ყველა	სახის	საქმიანობა
-----	57				
-----	58				
-----	59				

**VI განყოფი. ანგარიშსწორებანი**

ანგარიშსწორებანი წოდებულბთან და რეებთან	მიმ- მოიჭა- 60		ყველა	სახის	საქმიანობა
ანგარიშსწორებანი სით	ავან- 61	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ანგარიშსწორებანი მიმ- წოდებულბთან და მოი- ჭარებთან გაცემული ავანსით და შეკვეთების ნაწილობრივი განადღე- ბით</li> </ol>	ყველა	სახის	საქმიანობა



		2. ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან მიღებული აქანსით და შეკვეთების ნაწილობრივი განაღდებათ	
ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან	62	1. ანგარიშსწორებანი იმკასოს წესით	ყველა სახის საქმიანობა
		2. ანგარიშსწორებანი გვეგმური გადასახდლებით	
		3. ანგარიშსწორებანი მყიდველებთან რეალზაციის მოკულობაში ჩაურთველ პროდუქციაზე	
		4. დანარჩენი ანგარიშსწორებანი	
ანგარიშსწორებანი ტენზიებით	63	-	ყველა სახის საქმიანობა
ანგარიშსწორებანი სამეურნეობათაშორის კოოპერაციით	64		აგროსამრეწველო საქარმოები და ორგანიზაციები
---	65		
---	66		
---	67		
ანგარიშსწორებანი აჭეტთან	68	გადასახდლების სახეების მიხედვით	ყველა სახის საქმიანობა
ანგარიშსწორებანი ვეით	69	1. ანგარიშსწორებანი სოციალური დაზღვევით	ყველა სახის საქმიანობა
		2. ანგარიშსწორებანი ქონების დაზღვევით	
		3. ანგარიშსწორებანი ინდივიდუალური დაზღვევით	
სწვარიშსწორებანი მის ანაზღაურებით	70	1. დარიცხული ხელფასი	ყველა სახის საქმიანობა
		2. დეპონირებული ხელფასი	
ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ მირებთან	71		ყველა სახის საქმიანობა
ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით	72	1. დანაკლისებითა და დატაცებებით.	ყველა სახის საქმიანობა
		2. სხვა სახის ზარალით	ყველა სახის საქმიანობა

ანგარიშსწორებანი მუშა-  
მოსამსახურებთან სხვა  
ოპერაციებით

1. ნისიად გაყიდული სა-  
კონლით
2. ინდივიდუალური საბი-  
ნათ მშენებლობის სესხ-  
ით
3. მებაღეობის პატარა სახ-  
ლების მშენებლობის  
სესხით
4. ახალგაზრდა ოჯახებისთ-  
ვის სესხით
5. ფორმის ტანსაცმლით

----- 74

----- 75

ანგარიშსწორებანი სხვა-  
დასხვა დებიტორებთან  
და კრედიტორებთან 76

1. ორგანიზაციებთან და  
კერძო ადრებთან სა-  
სამართლოს აომასრუ-  
ლებელი დოკუმენტებით
2. კოოპერაციულ და სა-  
ზოგადოებრივ ორგანი-  
ზაციებთან შექნილი ან  
გაყიდული ძირითადი  
საშუალებებით
3. დანარჩენ დებიტორებ-  
თან და კრედიტორებ-  
თან

ყველა სახის საქმიანობა

შიდასაუწყებო ანგარიშ-  
სწორებანი საბრუნავი სა-  
შუალებებისა და მოგების  
გადანაწილებით 77

ყველა სახის საქმიანობა

შიდასაუწყებო ანგარიშ-  
სწორებანი მიმდინარე  
ოპერაციებით 78

1. ფინანსური დახმარების  
წყაით მიღებული სახს-  
რებით
2. ცენტრალიზებული ფონ-  
დებით და რეზერვებით
3. მოწყობილობის განაღ-  
დებით
4. დანარჩენი ოპერაციე-  
ბით

ყველა სახის საქმიანობა

შიდასამეურნეო ანგარიშ-  
სწორებანი 79

1. ანგარიშსწორებანი კა-  
პიტალური მშენებლო-  
ბის განყოფილებათან
2. ანგარიშსწორებანი სხვა  
მეურნეობებთან

ყველა სახის საქმიანობა

**VII განყოფი. ფინანსური შედეგები და მოგების გამოყენება**

მოგება და ზარალი	80		ყველა	სახის	საქმიანობა
მოგების გამოყენება	81	1. გადასახდელები მიუ- კეტში მოგებიდან	ყველა	სახის	საქმიანობა
		2. მოგების გამოყენება სხვა მიზნებისათვის			
ბანკის კრედიტის გამო- ყენება მოგებისა და ფონ- დების ანგარიშზე	82		ყველა	სახის	საქმიანობა
მომავალი პერიოდის შე- მოსავალი	83	1. მომავალი საანგარიშგე- ბო პერიოდის შემოსა- ვალი	ყველა	სახის	საქმიანობა
		2. მოსალოდნელი შემო- სავალი გასული წლე- ბის ოპერაციებით გა- მოვლენილი დამაკლო- სებით			
		3. დანაკლისი სასაქონლო- მატერიალურ ფასეულო- ბათა სადარიცხვო და საქლო ფასებს შო- რის სხვაობით			
დანაკლები და დანაკარ- გები ფასეულობის გაფი- ქებიდან	84		ყველა	სახის	საქმიანობა

**VIII განყოფი. ფონდები და რეზერვები**

საწესდებო ფონდი	85		ყველა	სახის	საქმიანობა
ამორტიზაციის ფონდი	86	1. სრული აღაკენისათვის			
		2. კაპიტალური რემონტი- სათვის			
ეკონომიკური სტიმული- რების ფონდები	87	ფონდებისა და მიზნობრი- ვი სახსრების მიხედვით.	ყველა	სახის	საქმიანობა
სპეციალური დანიშნულე- ბის ფონდები	88	ფონდების სახეების მი- ხედვით	ყველა	სახის	საქმიანობა
მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერ- ვი	89		ყველა	სახის	საქმიანობა

**IX განყოფი. ბანკების კრედიტები და დაფინანსება**

ბანკის მოკლევადიანი სეს- ხი	90	სესხის სახეების მიხედვით	ყველა	სახის	საქმიანობა
სპეციალური სასესხო გარიში	91		ვაჭრობა, მრეწველობა		მომარაგება, და სხვ.

ბანკის გრძელვადიანი კრე- დიტები 92	კრედიტების სახეების მი- ხედვით	ყველა	სახის	საქმიანობა
კაპიტალური დაბანდების' დაფინანსება 93	1. სახელმწიფო გეგმათ ვათუალისწინებულ 2. სახელმწიფო გეგმის ზევით განსახორციე- ლებელი 3. დანარჩენი წყაროები	ყველა	სახის	საქმიანობა
ძირითადი ქოგის ფორ- მირების დაფინანსება 94		ყველა	სახის	საქმიანობა
---:--- 95				
მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავა- ლი 96	დაფინანსებისა და შემო- სავლის სახეების მიხედ- ვით	ყველა	სახის	საქმიანობა
ბანკის სესხი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის 97	1. ნისიად გაყიდული სა- ქონლისათვის 2. ინდივიდუალური საბი- ნაო მშენებლობისათ- თვის 3. მეზღვობის პატარა სახ- ლების მშენებლობისათ- ვის	ყველა	სახის	საქმიანობა
--- 98				
--- 99				
<b>ბალანსგარეშე ანგარიშები</b>				
ქიჯართ აღებელი ძირი- თადი საშუალებები 001		ყველა	სახის	საქმიანობა
ბასუსსაგები შენახვისათ- ვის მძიღებელი მასაქონ- ლო-მატერიალური ფასე- ულობანი 002		ყველა	სახის	საქმიანობა
დასამონტაჟებლად მიღე- ბული მოწყობილობა 003				საწარმოები, რემონტი აბორციილებენ კაპიტა- ლურ მშენებლობას
მკაცრი ანგარიშგების ბლანკები 004		ყველა	სახის	საქმიანობა
ზარალში ჩამოწერილი გადახდისუენარო დებიტო- რების დაქალიანება 005		ყველა	სახის	საქმიანობა

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს  
ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების  
სამმართველოს უფროსი

პ. ს. ბეზრუკიძე

## ი ნ ს ტ რ უ მ ც ი ა

გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის გამოყენების შესახებ

ბუღალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ დებულებით დადგენილია, რომ საწარმოო გაერთიანებები, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, ვალდებული არიან ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოონ ორმაგი სისტემით. ამ დებულების შესაბამისად დამტკიცებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა.

ანგარიშთა ამ გეგმით ბუღალტრული აღრიცხვა ორგანიზებული უნდა იქნეს საწარმოო გაერთიანებებში, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, მშენებლობებზე, საიჯარო, გეოლოგიურ-სადაზვერვო, საპროექტო-საძიებო, სატრანსპორტო, მომარაგების, გასაღების, სავაჭრო, დამამზადებელ და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებში<sup>1</sup>.

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა წარმოადგენს ანგარიშების ჩამონათვალს, რომელიც ასახავს საწარმოთა (ორგანიზაციათა) ყოველმხრივი სამეურნეო საქმიანობის შესახებ საჭირო ინფორმაციის სისტემატიზებულ დაჯგუფებას მართვის, კონტროლის, განზოგადებისა და ანალიზის განსახორციელებლად.

ანგარიშთა დაჯგუფების საფუძველია მათში აღრიცხული რესურსების ეკონომიკური თავისებურებანი, საშუალებათა წრებრუნვაში მონაწილეობის ხასიათი და, აგრეთვე, სამეურნეო პროცესების შინაარსი.

ანგარიშთა გეგმაში მოცემულია სინთეზური ანგარიშებისა (პირველი რიგის ანგარიშების) და სუბსაგარიშების (მეორე რიგის ანგარიშების) ნომრები (კოდები) და დასახელება.

ინსტრუქციაში ანალიზური აღრიცხვის წესი მოცემულია შესაბამისი სინთეზური ანგარიშების ან აღრიცხვის ცალკეული განყოფილების დებულებათა მიხედვით (მაგალითად, დებულება ძირითად საშუალებათა აღრიცხვის შესახებ, მასალების და ა. შ.).

ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, დამზადების საწარმოების (ორგანიზაციების) სპეციფიკური ოპერაციების აღსარიცხავად იმ სამინისტროებისა და უწყებების შუამდგომლობით, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფება აღნიშნული საწარმო-

<sup>1</sup> შემდეგ დასახელებული იქნება „საწარმოები (ორგანიზაციები)“.

ბი (ორგანიზაციები), სსრს ფინანსთა სამინისტროს (აუცილებლობის შემთხვევაში) შეუძლია შეიტანოს ანგარიშთა გეგმაში დამატებითი სინთეზური ანგარიშები თავისუფალი ნომრების (კოდის) გამოყენებით.

ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებული სუბანგარიშები გამოიყენება კონტროლისა და ანგარიშგების მოთხოვნების შესაბამისად. საწარმოებმა (ორგანიზაციებმა) დარგობრივი თავისებურების შესაბამისად, სამინისტროებისა და უწყებების ნებართვით, შეიძლება შეიტანონ ცალკეული სუბანგარიშები, ზოგი მათგანი დააზუსტონ, გააერთიანონ ან ამოიღონ ხმარებიდან.

ბუღალტრულ აღრიცხვაში მომხდარი სამეურნეო ოპერაციების ასახვის საფუძველს წარმოადგენს სათანადოდ გაფორმებული პირველადი დოკუმენტები (მათ შორის ინფორმაციის მანქანური წამკითხავი მატარებლები). აღნიშნული ოპერაციების გაფორმებისას საჭიროა ვიზუალური დებულებით ბუღალტრულ აღრიცხვაში დოკუმენტებისა და დოკუმენტბრუნვის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით.

მთავარ დავთარში, როგორც წესი ჩანაწერები წარმოებს მხოლოდ სინთეზური ანგარიშების მიხედვით, სუბანგარიშებად დაყოფის გარეშე. აუცილებელი მონაცემები სუბანგარიშებისა და ანალიზური ანგარიშების მიხედვით (დანახარჯების მუხლების და ასე შემდეგ) აისახება სააღრიცხვო რეგისტრებში. ამასთან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ანალიზური აღრიცხვის ბრუნვებისა და ნაშთების თანხვედნა შესაბამის სინთეზურ ანგარიშებთან თითოეული თვის პირველი რიცხვისათვის.

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის ინსტრუქციის მიზანია ერთიანი პრინციპით ასახოს ერთგვაროვანი სამეურნეო ოპერაციები ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში ე. წ. ორმაგი ჩაწერის ხერხით. მასში ასახულია უმთავრესად ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციისა და მეთოდის ძირითადი პრინციპები. ამისათვის მოცემულია თითოეული მთავარი ანგარიშისა და მასში შემავალი ქვეანგარიშების მოკლე დახასიათება, ე. ი. განხილულია მათი სტრუქტურა და დანიშნულება, ასახულია ობიექტების ეკონომიკური შინაარსი და უფრო მეტად გავრცელებული სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის წესი.

სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების (ვაჭრობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სხვ.) საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გათვალისწინებული სინთეზური ანგარიშების ახსნა-განმარტებები ზოგადი ხასიათისაა იმის მხედველობაში მიღებით, რომ დაწვრილებით

მითითებებს ასეთი ანგარიშების გამოყენების შესახებ გამოსცემენ სა-  
თანადო სამინისტროები და უწყებები.

1 ინსტრუქციაში თითოეული სინთეზური ანგარიშის დახასიათების  
შემდეგ მოცემულია ანგარიშის სხვა სინთეზურ ანგარიშებთან კორეს-  
პონდენციის ტიპობრივი სქემა. ისეთი სამეურნეო ოპერაციების წარ-  
მოქმნის შემთხვევაში, რომლებზეც კორესპონდენცია ტიპობრივ სქემა-  
ში გათვალისწინებული არ არის, საწარმოებს (ორგანიზაციებს) სამი-  
ნისტროებისა და უწყებების ნებართვით შეუძლიათ ანგარიშთა კორეს-  
პონდენციის ტიპობრივი სქემა შეავსონ. ბუღალტრულ ანგარიშთა აღ-  
წერილობა სათანადო განაყოფების მიხედვით მოცემულია ანგარიშთა  
გეგმაში გათვალისწინებული თანმიმდევრობით.

## I ბ ა ნ ა ყ ო ფ ი

### ძირითადი საშუალებები (ფონდები)

ამ განაცხადში შეტანილია საწარმოების (ორგანიზაციების) კუთვნილი ძირითადი საშუალებების მოძრაობის, ცვეთის და კაპიტალური რემონტის დანახარჯების ოპერაციების ამსახველი ანგარიშები.

ძირითადი საშუალებების ბუღალტრულმა აღრიცხვამ, კერძოდ, უნდა უზრუნველყოს:

ძირითად საშუალებათა მიღების, მათი შიდაგადაადგილების (საამქროდან საამქროში, საწყობიდან საწყობში და ა. შ.) და გასვლის სწორი დოკუმენტური გაფორმება და დროულად ასახვა.

ძირითად საშუალებათა ცვეთის დროულად ასახვა;

კაპიტალურ რემონტზე გაწეული დანახარჯების კონტროლი;

არასრულად ამორტიზებულ ძირითად საშუალებათა ჩამოწერის შედეგების ზუსტი განსაზღვრა;

ძირითადი საწარმოო ფონდების გადასახდელის სწორი განსაზღვრა;

კონტროლი ძირითადი საშუალებების დაცულობაზე.

ძირითადი საშუალებების ბუღალტრულმა აღრიცხვამ ხელი უნდა შეუწყოს მანქანების, მოწყობილობისა და საწარმოო ფართობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა შრომის საშუალებების ეფექტიანად გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებას.

ძირითად საშუალებათა აღრიცხვა საწარმოში (ორგანიზაციაში) უნდა განხორციელდეს სახელმწიფო, კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი საშუალებების (ფონდების) ბუღალტრული აღრიცხვის დებულებების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ და ძირითადი ფონდების ტიპობრივი კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ.

ამასთან აუცილებელია, აგრეთვე ვიხელმძღვანელოთ შენობების, ნაგებობათა, მანქანების, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებათა და ძირითად საშუალებებზე მისაკუთვნიებელ სხვა ქონების ჩამოწერის წესის შესახებ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და სსრ



კავშირის ფინანსთა სამინისტროს შიერ დამტკიცებელი ტიპობრივი ინსტრუქციით და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის მშენბანკის, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული დებულებით სახალხო მეურნეობაში ამორტიზაციის დაგეგმვის, დარიცხვისა და საამორტიზაციო ფონდის გამოყენების შესახებ.

ძირითად საშუალებათა დაჯგუფების თავისებურებანი სახეების (ჯგუფების და ქვეჯგუფების) მიხედვით ანგარიშგებისათვის წესდება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ ანგარიშგებათა ფორმების დამტკიცების დროს.

### ანგარიში 01 „ძირითადი საშუალებანი“

ამ ანგარიშში აისახება არსებობა და მოძრაობა საკუთარი ძირითადი საშუალებებისა, რომელიც იმყოფება როგორც ექსპლუატაციაში, ისე მარაგში, კონსერვაციაში ან გაცემულია იჯარით.

ძირითადი საშუალებები წარმოადგენენ შრომის საშუალებათა ერთობლიობას, რომელიც ნატურალური ფორმით წლების განმავლობაში გამოიყენება მატერიალური წარმოების ან არასაწარმოო სფეროში, რომლებიც თანახმად დებულებისა ბუღალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ ჩართულია ძირითად საშუალებათა შექმნის დროს და ექსპლუატაციის პროცესში თავიანთ ღირებულებას გადაიტანენ პროდუქციის თვითღირებულებაში ნაწილ-ნაწილ (ამორტიზაციის დარიცხვის გზით).

01 ანგარიშზე აღირიცხება აგრეთვე ინვენტარული ხასიათის კაპიტალური დაბანდებანი მიწის ნაკვეთებში, წილში, ტყისა და წყლის სავარგულებში. საწარმოზე (ორგანიზაციაზე) გადაცემული მიწის ნაკვეთები, ტყისა და წყლის სავარგულები, წილისეული საბადოები, სისტემურ აღრიცხვაში არ აისახება.

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების დამთავრებული კაპიტალური სამუშაოების დანახარჯებიც 01 ანგარიშზე აღირიცხება. კაპიტალურ დანახარჯებს იჯარით აღებულ ძირითად საშუალებებზე შეიძლება ადგილი ექნეს თუკი ის გათვალისწინებულია საიჯარო ხელშეკრულებით.

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები მოიჯარესთან აისახება 001 ანგარიშში „იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები“.

დამთავრებული კაპიტალური სამუშაოები, რომლებიც საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გადადის იჯარის გამკეუმის განკარ-

გულებაში, ჩამოიწერება მოიჯარის ბალანსიდან და შეიტანება იჯარის გამცემის ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში მისი საწესდებო ფონდის გადრღებით და მათი ხასიათის მიხედვით აღირიცხება ცალკე 01 ანგარიშში ან მიიმართება იჯარაში მყრფ იმ ობიექტების ღირებულების გასადიდებლად, რომლებზეც გაწეული იქნა ეს დანახარჯები.

მშენებლობის და საავტომობილო გზების სამინისტროების საგზაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები 01 ანგარიშზე აღრიცხავენ, აგრეთვე გზატკეცილებს და საგზაო ნაგებობებს.

ძირითადი საშუალებები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში აისახება პირვანდელი ღირებულებით, რომელსაც შედგება მათი აგების (აღმართვის) ან შექმნის ყველა ფაქტიური დანახარჯებისაგან, მოტანის, დამონტაჟების და დადგმის ხარჯების ჩათვლით. ამასთან, ექსპლუატაციაში ნამყოფი და ღირებულების გადახდით შექმნილი ძირითადი საშუალებები აღრიცხვაზე აიღება ნაყიდობის ღირებულების, მოტანის და დადგმის ხარჯების თანხით თანახმად კაპიტალურ დაბანდებათა აღრიცხვის მონაცემებისა განაღდების დოკუმენტებში ნაჩვენებ იმ ობიექტების ცვეთის თანხის (სრული აღდგენის ნაწილში) დამატებით.

ბუღალტრულ ანგარიშებში აღრიცხული ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება არ უნდა შეიცვალოს, გარდა გამონაკლისისა: ობიექტების ხელახლა შენება (დაშენება), მოწყობა კაპიტალური დაბანდებათა წესით;

ძირითად საშუალებათა გადაფასება მთავრობის დადგენილებებით და განკარგულებებით.

ძირითადი საშუალებები აღრიცხვაზე აიყვანება დადგენილი ფორმის მიღება-გადაცემის აქტით. ძირითად საშუალებათა ობიექტების მიღება (მათ შორის მოიჯარისაგან მიღებული კაპიტალური დაბანდებანი: იჯარით აღებულ ძირითად საშუალებებში, აგრეთვე შექმნილი კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან) შემოსავალში აიღება 01 ანგარიშზე 85 — „საწესდებო ფონდის“ ანგარიშშიდან.

გასული ძირითადი საშუალებების თანხით (გაყიდული, ჩამოწერილი, უსასყიდლოდ გადაცემული და ა. შ.) მცირდება საწესდებო ფონდი, უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა წარმოებს მიმღები მხარის მიერ მიღებული ობიექტების შემოსავალში აღების შესახებ შეტყობინების. (ავიზოს) მიღების შემდეგ.

გასული ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულების 85 „საწესდებო ფონდის“ ანგარიშში ასახვასთან ერთად, გასულ ობიექტებზე დარიცხული ცვეთის თანხა, აგრეთვე ლიკვიდირებული ობიექტების არაამორტიზებული ნაწილისაგან გამოწვეული ზარალი ჩამოიწერება საწესდებო ფონდის გასადიდებლად 02 ანგარიშის — „ძირითადი

საშუალებების ცვეთის“ და 85 ანგარიშის — „საწესდენო ფონდის“ განმარტებაში გათვალისწინებული წესით.

ძირითად საშუალებათა დანაკლისის ან გაფუჭების შემთხვევაში მისი პირვანდელი ღირებულება ჩამოიწერება 85 ანგარიშის — „საწესდებო ფონდის“ დებეტში, ხოლო ცვეთა — კრედიტში. ნარჩენი ღირებულება, რომელიც უნდა აისახოს როგორც ფასეულობათა დანაკლისი, აისახება 85 „საწესდებო ფონდის“ კრედიტში (საბრუნავ საშუალებათა ნაწილში), 84 „დანაკლისი და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან“ ანგარიშთა კორესპონდენციით, რომელიც შემდეგ უნდა მიეკუთვნოს 72 ანგარიშის დებეტს — „ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით“, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დანაკლისსა და გაფუჭებაზე კონკრეტული დამნაშავე არ არის დადგენილი, მაშინ უნდა მიეკუთვნოს — წარმოების ან მიმოქცევის ხარჯებს.

ძირითადი საშუალებები, რომელიც საწარმომ (ორგანიზაციამ) გამოუყო ცალკე ბალანსზე მყოფ ფილიალებს, საწარმოო ერთეულებს, მეურნეობებს, მაგრამ შეიტანება საწარმოს (ორგანიზაციის) ძირითადი საქმიანობის ბალანსში, აღრიცხვაზე მიიღება ამ ძირითადი საშუალებების მიმღები მეურნეობების მიერ 85 ანგარიშის კრედიტიდან, რომელსაც ამ შემთხვევაში ეწოდება „ანგარიშსწორება გამოყოფილი ძირითადი და საბრუნავი საშუალებებით“, ხოლო საწარმოები (ორგანიზაციები) ძირითად საშუალებებს ჩამოსწერენ ამ ანგარიშის დებეტში. 85 ანგარიშის ანალიზური აღრიცხვა საწარმოებში (ორგანიზაციებში) წარმოებს თითოეული ქვედანაყოფების მიერ ცალკე ბალანსების მიხედვით. ანგარიშსწორება იმ მეურნეობების განკარგულებაში გამოყოფილი სახსრებისათვის. რომელთა ბალანსიც ჩაირთება საწარმოს ბალანსში, ამ ანგარიშსწორების შემოწმებისა და მისი იგივეობის დადგენის შემდეგ საწარმოს (ორგანიზაციის) ბალანსიდან გამოირიცხება.

ინსტრუქციაში საწარმოებზე, გაერთიანებებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე შენობებისა და ნაგებობათა გადაცემის შესახებ, დამტკიცებული სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ, გათვალისწინებულია ანგარიშსწორებათა ზოგიერთი თავისებურებანი სახელმწიფო ორგანიზაციებსა, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის შენობებისა და ნაგებობათა გადაცემისას.

კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან განვადებით ნაყიდი ექსპლუატაციაში ნამყოფი ძირითადი საშუალებანი აღრიცხვაში აისახება შეძენის ღირებულების, ცვეთის, შოტანისა და დადგმის ხარჯების დამატებით. შეძენის ღირებულება და ცვეთის ჯამი დგინდება ძირითად საშუალებათა ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტების საფუძველზე.

მიითვებულ ორგანიზაციების 01 ანგარიშზე ნაყიდი ძირადად სა-  
შუალეხანი შემოსავალში ტარდება როგორც დანარჩენი შემოსავალი,  
ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილში, რომელიც განაღდე-  
ბული უნდა იქნეს, 85 ანგარიშის „საწესდებო ფონდის“ კრედიტიდან  
(დანარჩენი შემოსავალი), ხოლო დარიცხული ცვეთის ნაწილში — 02  
ანგარიშის „ძირითად საშუალებათა ცვეთის“ კრედიტიდან.

ერთდროულად კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციე-  
ბისაგან განვადებით ნაყიდ ძირითად საშუალებებზე გადასახდელი თან-  
ხით კრედიტდება ანგარიში 76 (სუბანგარიში 2 „კოოპერაციულ ან სა-  
ზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან შეძენილ ან გაყიდულ ძირითად სა-  
შუალებებზე“) და დებეტდება ანგარიში 85 (საბრუნავ საშუალებათა ნა-  
წილში). დავალიანების დაფარვისას დებეტდება ანგარიში 76 და კრე-  
დიტდება ანგარიში 85 (საბრუნავ საშუალებათა ნაწილში).

მოქმედი დებულების თანახმად, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ  
ორგანიზაციებისაგან შესყიდული ძირითადი საშუალებების დავალიანე-  
ბა იფარება კაპიტალური დაბანდებისათვის განკუთვნილი დაფინანსების  
წყაროებიდან. დავალიანების მთლიანად დაფარვისას, თანხა რომელიც  
აღრიცხული იყო 33 ანგარიშის „კაპიტალური დაბანდების“ დებეტში,  
ჩამოიწერება 93 ანგარიშის დებეტში — დავალიანების დასაფარავად  
გამოყენებული დაფინანსების თანხით.

კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციეებისაგან ძირითად  
საშუალებათა შეძენის ხარჯები აისახება მისი განხორციელების მიხედ-  
ვით 33 ანგარიშის დებეტში (სუბანგარიშები 1, 2, 3 მუხლით — „და-  
ნარჩენი კაპიტალური დანახარჯები“) 93 ანგარიშის „კაპიტალური და-  
ბანდების დაფინანსების“ კრედიტთან კორესპონდენტით.

კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ძირითად  
საშუალებათა რეალიზაციის დროს მათი პირვანდელი ღირებულება ჩა-  
მოიწერება 01 ანგარიშის კრედიტიდან 85 ანგარიშის დებეტში (ნარჩენი  
ღირებულებით) და 02 ანგარიშის დებეტში (დარიცხული ცვეთის თან-  
ხით). ერთდროულად ამ ორგანიზაციებზე განვადებით მიყიდული ძი-  
რითად საშუალებათა თანხა დებეტდება ანგარიშში 76 (სუბანგარიში 2)  
და კრედიტდება ანგარიშში 85 (საბრუნავ საშუალებათა ნაწილში). და-  
სახელებული სახსრების შემოსვლისას დებეტდება ანგარიში 51 და კრე-  
დიტდება ანგარიში 76. კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისათვის  
ამ სახსრების შეტანისას (სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის  
ფარგლებში) დებეტდება ანგარიში 85 და კრედიტდება ანგარიში 51 (ეს  
სახსრები წარმოების განვითარების ფონდში არ ჩაირიცხება).

ძირითად საშუალებათა ანალიზური აღრიცხვა წარმოებს მისი ადგილ-  
მდებარეობისა და ცალკეული ინვენტარული ობიექტების მიხედვით.

ანალიზური აღრიცხვის ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს, აგრეთვე მონაცემები ძირითადი საწარმოო ფონდებიდან ბიუჯეტის კუთვნილი გადასახდელების გამომგარიშებასთან დაკავშირებით.

**ანგარიში 01 „ძირითადი საშუალებები“**

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

01 ძირითადი საშუალებები

01 ძირითადი საშუალებები

02 ძირითად საშუალებათა ცვეთა

02 ძირითად საშუალებათა ცვეთა

85 საწესდებო ფონდი

85 საწესდებო ფონდი

**ანგარიში 02 „ძირითად საშუალებათა ცვეთა“**

ამ ანგარიშში აისახება ძირითადი საშუალებების ცვეთის შოძრაობა, რომელიც გამოიანგარიშება ძირითად საშუალებათა სრული აღდგენისათვის დარიცხული ამორტიზაციის თანხით. ცვეთა განისაზღვრება და აღირიცხება ძირითად საშუალებათა ყველა სახის მიხედვით (დამოუკიდებლად იმისა, ერიცხება მათ ამორტიზაცია თუ არ ერიცხება), გარდა საბიბლიოთეკო ფონდებისა, სამუზეუმო ფასეულობათა, სასცენო-დასადგმელ ფასეულობათა, პროდუქტიული პირუტყვის, ზარების, კამეჩების, ირმების, აგრეთვე მეცხოველეობის ექსპონატებისა ზოოპარკებში და სხვა ანალოგიურ დაწესებულებებში.

ცვეთის სიდიდე, რომელიც აღრიცხვას ექვემდებარება, განისაზღვრება სრული აღდგენისათვის დარიცხული ამორტიზაციის საფუძველზე შემდეგი თანხების შეკრების გზით:

მოქმედ ძირითად საშუალებებზე სრული აღდგენის ნორმით საანგარიშო თვეში დარიცხული ამორტიზაციის თანხა იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მოდის ექსპლუატაციაში მყოფ. მაგრამ მოქმედებაში შეყვანის აქტით გაუფორმებელ ობიექტებზე;

ცვეთის თანხა იმ ძირითად საშუალებებზე, რომლებიც უსასყიდლოდაა მიღებული. მათ შორის მოიჯარისაგან იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების კაპიტალური დაბანდება მიღების აქტში ჩაწერილი მონაცემებით;

საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან ღირებულების გადახდით შეძენილი ექსპლუატაციაში ნამყოფი ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა (დგინდება ღირებულების გადახდის დოკუმენტით).

ცვეთის თანხა, ამორტიზაციის ნორმით საბინაო ფონდის სრულ აღდგენაზე (საცხოვრებელ ფონდს ამორტიზაცია სრულ აღდგენაზე არ ერიცხება);

ცვეთის თანხა დარიცხული ამორტიზაციის ობიექტებზე, რომლებიც ექსპლუატაციაში აღარ შევიდნენ (შესვლის აქტების გაფორმების გარეშე და ამ აქტებით მხოლოდ საანგარიშგებო თვეში გაფორმებული) ამ ობიექტების ექსპლუატაციაში ყოფნის მთელი პერიოდისათვის.

ძირითად საშუალებათა ობიექტების გასვლისას, როდესაც გაანგარიშებული ცვეთის თანხა მისი სრული აღდგენისათვის მეტია მის პირვანდელ ღირებულებაზე, ცვეთა იანგარიშება ობიექტის პირვანდელი ღირებულების ოდენობით.

სააღრიცხვო რეგისტრებში ცვეთის ცვლილება ასახული უნდა იქნეს ცალკეული ჯგუფების მიხედვით: მოცემული დარგობრივი დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების, სხვა დარგობრივი დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების, საბინაო მეურნეობის ძირითადი ფონდების, დანარჩენი ძირითადი არასაწარმოო ფონდების. ძირითად საშუალებათა დარიცხული ცვეთის თანხით კრედიტდება ანგარიში 02 „საწესდებო ფონდის“ 85 ანგარიშთან კორესპონდენციით.

ძირითად საშუალებათა ცვეთა მცირდება გასული ობიექტების ცვეთის თანხით, როშელიც გატარდება 02 ანგარიშის დებეტში 85 ანგარიშთან „საწესდებო ფონდთან“ კორესპონდენციით, ამასთან სააღრიცხვო რეგისტრებში ცვეთის შემცირება აისახება ძირითად საშუალებათა აღნიშნული ჯგუფების მიხედვით.

ძირითად საშუალებათა ცვეთა ცალკეული ობიექტების მიხედვით დგინდება საჭიროების მიხედვით (ჩამოწერისას, გაყიდვისას, ობიექტების გადაცემისას, ამორტიზაციის ნორმის ცვლილებისას და ა. შ.), სააღრიცხვო მონაცემების საფუძველზე, რომლებსაც შეიცავენ საინვენტარო ბარათები, დავთრები და ა. შ. — სადაც მოცემულია ობიექტის პირვანდელი ღირებულება, ექსპლუატაციაში ყოფნის პერიოდი, ცვეთის თანხა, რომელშიც დადგენილია გადაფასებისას და ამორტიზაციის მოქმედი ნორმები სრული აღდგენის ნაწილში.

ანგარიში 02 „ძირითად საშუალებათა ცვეთა“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დებეტით

კრედიტით

01 ძირითადი საშუალებები

01 ძირითადი საშუალებები

85 საწესდებო ფონდი

85 საწესდებო ფონდი

ანგარიში 03 „კაპიტალური რემონტი“

ეს ანგარიში განკუთვნილია საწარმოს (ორგანიზაციის) კუთვნილი ძირითადი საშუალებების სამეურნეო ან საიჯარო წესით წარმოებული კაპიტალური რემონტის ფაქტობრივი დანახარჯების აღსარიცხავად, მო-

წყობილობის მოდერნიზაციის ჩათვლით, რაც ხორციელდება კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი ამორტიზაციის ფონდის სახსრების ანგარიშში.

კაპიტალურ რემონტზე მისაკუთვნებელი სამუშაოების კონკრეტულ ჩამონათვალს ადგენს სათანადო სამინისტრო ან უწყება დარგობრივი თავისებურების გათვალისწინებით.

დანახარჯები მოწყობილობისა და მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციაზე, რომელიც ტარდება კაპიტალურ რემონტთან ერთად და ხორციელდება კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ფონდის სახსრების ხარჯზე, არ იწვევს ობიექტების პირვანდელი ღირებულების გადიდებას. მაგრამ ტექნიკურ დოკუმენტაციაში (პასპორტებში, ხაინვენტარო ბარათებში და სხვ.) უნდა აისახოს მოდერნიზაციით გამოწვეული ცვლილებები.

გარდა ამისა, 03 ანგარიშში იჯარის გამცემის მიერ, საერთო წესით, აღირიცხება იჯარით გაცემული ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტის დანახარჯები, თუ ხელშეკრულებით ასეთი დანახარჯები წარმოებს იჯარის გამცემის სახსრების ხარჯზე.

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტის დანახარჯები, რომლებსაც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად აწარმოებს მოიჯარე თავისი სახსრების ხარჯზე, აღირიცხება ამ უკანასკნელის მიერ 31 „მომავალი პერიოდის ხარჯების“ ანგარიშში 03 ანგარიშზე ასახვის გარეშე. იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტის მოსალოდნელი ხარჯები ექვემდებარება ყოველთვიურ დარეზერვებას თანაბარ ნაწილებად. იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებიდან გამომდინარე. ანარიცხების შესაბამისი თანხა მოიჯარემ უნდა შეიტანოს წარმოების ან მიმოქცევის ხარჯებში 89 „მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვის“ ანგარიშის კრედიტიდან. შემდეგ ამ ანგარიშის დებეტში ჩამოიწერება 31 ანგარიშში აღრიცხული დანახარჯები იმ წესით, რომელიც მოცემულია 31 ანგარიშის განმარტებაში.

თუ მოიჯარე რემონტს აწარმოებს იჯარის გამცემის ხარჯზე, მაშინ მომავალი პერიოდის ხარჯები იფარება საიჯარო გადასახადით 76 ანგარიშის „ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებეტორებთან და კრედიტორებთან“ დებეტში გატარებით.

სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოს დებულებასა და საწარმოო ჯაერთიანების (კომბინატის) დებულებას შესაბამისად საწარმოებს, გაერთიანებებს უფლება აქვთ (როცა ეს ეკონომიკურად მიზანშეწონილია) კაპიტალური რემონტის ნაცვლად შეიძინონ ახალი მოწყობილობა კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი ამორტიზაციის ანარიცხების ან-

გარიშში. ასეთ შემთხვევაში შექნილი მოწყობილობის ღირებულება და მისი მონტაჟის დანახარჯები აისახება კაპიტალური დაბანდებისათვის დადგენილი წესით და 03 ანგარიშზე არ აღირიცხება.

იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოო გაერთიანებებს და სამრეწველო საწარმოებს, სამეურნეო წესით წარმოებული მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებათა კაპიტალური რემონტის სამუშაოები შეაქვთ სასაქონლო და რეალიზებული პროდუქციის მოცულობაში, დანახარჯები ასეთ სამუშაოებზე წინასწარ უნდა აღირიცხოს 23 ანგარიშზე „დამხმარე წარმოებანი“. ფაქტიური დანახარჯები მოწყობილობათა და სატრანსპორტო საშუალებების დამთავრებული კაპიტალური რემონტის სამუშაოებზე ჩამოიწერება 23 „დამხმარე წარმოების“ ანგარიშიდან 45 „გავზავნილი საქონლის. შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების“ ანგარიშის დებეტში. ამასთან, თუ ამორტიზაციის ფონდის სახსრები კაპიტალური რემონტისათვის ინახება ანგარიშსწორების ანგარიშზე, მაშინ დამთავრებული კაპიტალური რემონტის თანხა ამ ფონდის სახსრების ფარგლებში აისახება 46 „რეალიზაციის“ ანგარიშის დებეტში 45 ანგარიშის კრედიტიდან, ერთდროულად 03 „კაპიტალური რემონტის“ ანგარიშის დებეტში და 46 ანგარიშის „რეალიზაციის“ კრედიტში.

როდესაც ამორტიზაციის ფონდის სახსრები კაპიტალური რემონტისათვის ინახება განსაკუთრებულ ანგარიშზე, ფაქტიური დანახარჯები დამთავრებულ კაპიტალურ რემონტზე აისახება ზემოთ მოცემული წესით სახსრების ანგარიშსწორების ანგარიშზე გადარიცხვის შემდეგ. ამ შემთხვევაში სახსრების გადარიცხვა აისახება 51 ანგარიშის „ანგარიშსწორების ანგარიშის“ დებეტში და 55 ანგარიშის „დანარჩენი ანგარიშებში ბანკში“ კრედიტში (სუბანგარიში 1 „განსაკუთრებული ანგარიში კაპიტალური რემონტისათვის“). სხვა ჩანაწერები, დაკავშირებული რემონტის თანხის პროდუქციის შემადგენლობაში ასახვასთან. ზემოაღნიშნულის ანალოგიურია.

საწარმოო გაერთიანებებსა და სამრეწველო საწარმოებს უფლებამოსილებათ სხვა ძირითადი საშუალებების სამეურნეო წესით წარმოებულ კაპიტალური რემონტის დანახარჯები აღირიცხონ 23 „დამხმარე წარმოების“ ანგარიშზე, დამთავრებული სამუშაოების დანახარჯების 03 ანგარიშში შემდგომი გადარიცხვით.

საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები თავიანთი შენობებისა და ნაგებობების კაპიტალური რემონტის დანახარჯებს აღირიცხავენ წინასწარ 20 „ძირითადი წარმოების“ ანგარიშზე. რამდენადაც ახალი ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტი შეიტანება საამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების საერთო მოცულობაში; შენობებისა და ნაგებობების კაპიტალური რემონტის დამთავრებული სამუშაოები, რომლებიც ირიცხება 20 ანგარიშზე — „ძირითადი წარმოება“ ფაქტიური და-



ნახარჯების თანხით 46 ანგარიშის „რეალიზაციის“ გავლით ჩამოიწერება 03 „კაპიტალური რემონტის“ ანგარიშზე.

კაპიტალური რემონტის წარმოების დროს ახლით შეცვლილი სათადარიგო ნაწილები (ავრეგატები, კვანძები და სხვ.) თუ გამოსაყენებლად ვარგისია (სათადარიგო ნაწილების, მასალის, ლითონის, ჯართის და სხვ. სახით), აღირიცხება შესაძლო გამოყენების ან რეალიზაციის ფასებით, კაპიტალური რემონტის დანახარჯების შემცირებით.

ანგარიში 03 „კაპიტალური რემონტი“ დამთავრებული რემონტის ნაწილში იხურება 86 ანგარიშის „ამორტიზაციის ფონდის“ დებეტით.

თანამად დებულებისა სახელმწიფო, კოოპერაციულ (კოლმეურნეობების გარდა) და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ძირითადი საშუალებების (ფონდების) ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ. ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტის დანახარჯებს ანალიზური აღრიცხვის ორგანიზაცია წარმოებს ცალკეული ობიექტების მიხედვით. დამთავრებული კაპიტალური რემონტის დანახარჯების შესახებ ძირითადი საშუალებების აღრიცხვის მონაცემები ინვენტარულ ბარათებში შეიტანება ობიექტების მიხედვით, აღწერა ან მსგავსი ინფორმაციის ტექნიკური მატარებლები — სათანადო დოკუმენტების საფუძველზე.

სააღრიცხვო რეგისტრებში აღნიშნული დანახარჯები აღსახებდა ძირითად საშუალებათა ჯგუფებისა და სამუშაოთა სახეების მიხედვით (რემონტი, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია), ანგარიშებზე საჭიროებისათვის.

### ანგარიში 03 „კაპიტალური რემონტი“

#### ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

#### დებეტით

#### კრედიტით

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 46 რეალიზაცია
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 86 ამორტიზაციის ფონდი

## II ბ ა ნ ა უ ო ფ ი

### საწარმოო მარაგი

ამ განაცხადში მოცემულია იმ ანგარიშების დახასიათება, რომლებშიც აც აისახება დასამუშავებლად, გადასამუშავებლად ან სამეურნეო საქმიანობისათვის განკუთვნილი შრომის საგნები და მათი მოძრაობა წარმოებაში. მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობაში და სხვა საქმიანობაში. შრომის საშუალებები ბუღალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების დებულების შესაბამისად შეიტანება საბრუნავი საშუალებების შემადგენლობაში. როგორც მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები.

ამ განაცხადის ანგარიშებში აისახება საწარმოს (ორგანიზაციის) კუთვნილი მასალების, სათბობის, სამშენებლო მასალებისა და დასადგმელი მოწყობილობის, სათადარიგო ნაწილების, გამოზრდილი და გასასუქებელი პირუტყვის, თესლისა და საკვების მარაგის, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების, დროებითი (არასატიტულო) ნაგებობების, ვამართულობისა და სამარჯვების აღრიცხვა და აგრეთვე ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია მათ მომზადებასა და გადაფასებასთან.

მატერიალური ფასეულობა, პასუხსაგები შენახვისათვის მიღებული მიმწოდებლების საანგარიშსწორებო დოკუმენტების აქცეპტზე უარი თქმის მიზეზით და სხვ., აღრიცხება 002 ბალანსგარეშე ანგარიშზე „პასუხსაგები შენახვისათვის მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა“ ამ დოკუმენტში ნაჩვენები ფასებით. შემკვეთის გაუნაღებელი ნედლეული აღრიცხება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ფასებით ამავე ბალანსგარეშე ანგარიშზე.

საწარმოო მარაგის აღრიცხვის ძირითად ამოცანებს შეადგენს:

მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის ყველა ოპერაციის სწორი და თვისდროული დოკუმენტირება, მათ დამზადებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოვლინება და ასახვა;

კონტროლი მატერიალური ფასეულობის მიღებისა და დამზადებაზე, მათი მარაგის დადგენილი ნორმების დაცვაზე; წარმოებაში, მშენებლობაში და სხვ. მიზნით მატერიალურ ფასეულობათა სწორად გაცემასა და განიყენებაზე. ხარჯის დადგენილი ნორმების შესაბამისად;

ზუსტი მონაცემების მიღება საწყობებსა და საკუჭნაოებში არსებულ-

ლი მატერიალური ფასეულობის ნაშთსა და, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შესრულების შესახებ;

ქმედითი კონტროლის უზრუნველყოფა მატერიალურ ფასეულობათა დაცვაზე მათი შენახვის ადგილებში;

სწორი და თავისდროული გამოვლინება იმ მატერიალური ფასეულობისა, რომელიც მოცემულ საწარმოში (ორგანიზაციაში) არ იყო გამოყენებული, რეალიზებულ უნდა იქნეს დადგენილი წესით შინაგანი რესურსების მობილიზაციის მიზნით.

საწარმოო მარაგის აღრიცხვის ორგანიზაცია წარმოეზ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დებულებებისა და ინსტრუქციების ან მათ საფუძველზე მოცემული სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციებისა და მითითებების შესაბამისად.

კერძოდ, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის ორგანიზაციისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ძირითადი დებულებით საწარმოებსა და მშენებლობებზე მასალების აღრიცხვის შესახებ;

ტარის აღრიცხვისას — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით ტარის აღრიცხვის შესახებ;

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების აღრიცხვის დროს — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ;

ძვირფასი ლითონებისა და ალმასის აღრიცხვა ხორციელდება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ ინსტრუქციებში მოცემული წესის თანახმად.

მატერიალურ ფასეულობათა არსებობა და მოძრაობა რაოდენობრივი გამოსახულებით, როგორც წესი, აისახება სათანადო ბარათებში ან მასთან გათანაბრებული ინფორმაციის ტექნიკურ მატარებლებში.

ბუღალტერიაში მატერიალურ ფასეულობათა მიღების, გასვლისა და ნაშთების ანალიზური აღრიცხვა, გარდა დასადგმელი მოწყობილობისა, როგორც წესი, ხორციელდება ფულადი გამოსახულებით. სასაწყობო აღრიცხვის მონაცემები კონტროლდება სასაწყობო ნაშთების შეფასებისა და მიღებული ჯამის ბუღალტერიის ანალიზური აღრიცხვის მონაცემებთან ან ნაშთების ღირებულების შედარების გზით. დასადგმელი მოწყობილობის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს როგორც საწყობში, ისე ბუღალტერიაში.

სინთეზურ აღრიცხვაში მატერიალური ფასეულობა აისახება მათი ფაქტიური თვითღირებულებით. მატერიალური ფასეულობის ფაქტიურ თვითღირებულებად ჩაითვლება მისი ღირებულება შექმნის ან დამზადების ფასებით, იმ დარიცხვის ჩათვლით, რომელსაც უხდნიან მომმარაგებელ

(გამსაღებელ) ორგანიზაციებს, პლუს დამზადებისა და საწარმოს (ორგანიზაციის) საწყობში მიტანის ხარჯები.

გამონაკლისის წესით, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მიმდინარე წლის საკუთარი წარმოების პროდუქცია, რომელიც აისახება ამ განაყოფის ანგარიშებში, წლის მანძილზე წლიური საანგარიშგებო კალკულაციის შედგენაში აღირიცხება საგვეგო თვითღირებულებით. წლიური საანგარიშგებო კალკულაციის შედგენის შემდეგ აღნიშნული პროდუქციის საგვეგო თვითღირებულება კორექტირებული უნდა იქნეს ფაქტიურ თვითღირებულებამდე.

საწარმოებსა და ორგანიზაციებში (გარდა საიჯარო ორგანიზაციებისა და მშენებლობებისა) მატერიალური ფასეულობის დამზადებისა და მოტანის ხარჯებს მიეკუთვნება: ტარიფების (ფრახტის) განაღდება რკინიგზის. სამდინარო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისათვის; საკინიგზო და სამდინარო გამოსაღები, აგრეთვე სხვა სახეობის გადაზიდვის ქირა ყველა დამატებითი გამოსაღებით;

ტვირთის მიტანისა და საწყობებში (საკუქუნაოებში) დაცლის ხარჯები (საწყობში მუდმივად მომუშავე მუშების შრომის ანაზღაურების გარდა):

დამზადების ადგილებში მოწყობილი სპეციალური დამზადების კუბიკტების, საწყობებისა და სააგენტოების შენახვის ხარჯები;

უშუალოდ მატერიალურ ფასეულობათა დამზადებასთან დაკავშირებული მივლინების ხარჯები;

ნედლეულისა და მასალების დანაკლისი გზაში, ბუნებრივი დანაკლისის ნორმის ფარგლებში. ბუნებრივი დანაკლისის ნორმის ზევით დანაკარგების ჩამოწერა წარმოებს 84 ანგარიშში მოცემული განმარტების მიხედვით.

მომარაგების განყოფილების (სამსახურის) და ქარხნის (ფაბრიკის და ა. შ.) საწყობების შენახვის ხარჯები დამზადებული მატერიალური ფასეულობის თვითღირებულებაში არ შეიტანება. აღირიცხება საერთო-სამეურნეო ხარჯების შემადგენლობაში.

სამრეწველო საწარმოებში, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციას (ქარხნის, რძის, მატყლს, ბამბას, ტყავნედლეულს, სელს, პირუტყვს, ფრინველს და სხვ.) იძენენ როგორც ნედლეულს, მის ფაქტიურ თვითღირებულებაში შეიტანება: შესყიდვის (დამზადების) ძირითადი ღირებულება, მასზე დამატება დადგენილი წესით, აგრეთვე ანგარიში 16 „სატრანსპორტო-დამზადების ხარჯების“ ახსნა-განმარტებაში ჩამოთვლილი ყველა სასაწყობო-დამზადების ხარჯები.

საიჯარო ორგანიზაციებსა და მშენებლობებში მატერიალური ფასეულობის დამზადებისა და მიტანის ხარჯებს მიეკუთვნება:

ტარიფების (ფრაქტის) განაღდება რკინიგზის, წყლის, საავტომობილო და სხვა ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისათვის, აგრეთვე სხვა სახეობის გადაზიდვის ქირა ყველა დამატებითი გამოსაღებით, გარდა მასალების მოსვლის შესახებ შეტყობინების და ტვირთის აწონისათვის გამოსაღებების განაღდებისა;

ობიექტის საწყობებში ტვირთის მიტანისა და დაცლის ხარჯები, გარდა დამამზადებლებისა და საწყობის მუშაკების შრომის საზღაურისა. ამასთან, სასაწყობო-დამზადების ხარჯები ზემოაღნიშნულიდან განცალკევებულად აღირიცხება 16 ანგარიშზე „სასაწყობო დამზადების ხარჯები“.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორებისაგან (განყოფილებებისაგან) მიღებული სამშენებლო მასალები, კონსტრუქციები და დეტალები აღრიცხვაში აისახება საგეგმო-საანგარიშსწორებო ფასებით, სსრკ სახმშენის, სსრკ ფინანსთა სამინისტროს და სსრკ ცნს მითითებების შესაბამისად მშენებლობაში მასალებზე, პროდუქციასა და მომსახურებაზე საგეგმო-საანგარიშსწორებო ფასების დადგენისა და გამოყენების შესახებ.

მასალებზე, კონსტრუქციებსა და დეტალებზე საგეგმო-საანგარიშსწორებო ფასები გათვალისწინებულია სათანადო ნომენკლატურა-საფასურით.

დარგობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, სამინისტროებსა და უწყებებს შეუძლიათ მატერიალური ფასეულობის დამზადებისა და მიტანის ხარჯების ნომენკლატურაში შეიტანონ საჭირო ცვლილებები და დამატებები.

მატერიალური ფასეულობის ფაქტობრივი თვითღირებულება აისახება საწარმოო მარაგის აღრიცხვის ანგარიშებში შემდეგი ანგარიშების კრედიტიდან: 60 „ანგარიშსწორება მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან“, 20 „ძირითადი წარმოება“, 23 „დამხმარე წარმოებანი“. 71 „ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან“, 76 „ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან და ა. შ. იმის მიხედვით, თუ საიდანაა მიღებული ესა თუ ის ფასეულობა და როგორი ხასიათისაა სასაწყობო-დამზადების ხარჯები. ამასთან, სასაწყობო-დამზადების ხარჯები შეიძლება ჩაიწეროს 16 ანგარიშის „სატრანსპორტო-დამზადების ხარჯების“ კრედიტიდანაც, თუ ეს ხარჯები წინასწარ გროვდება ამ ანგარიშზე.

მიმწოდებლებისაგან მიღებული მატერიალური ფასეულობა შეიძლება ვალში აიღება ყველა შემთხვევაში 60 „ანგარიშსწორება მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან“ ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით, მიუხედავად იმისა, როდისაა მიღებული — მიმწოდებლის საანგარიშსწორებო დოკუმენტების მიღებამდე თუ შემდეგ.

იმ განადგებული მატერიალური ფასეულობის ღირებულება, რომელიც თვის ბოლოსათვის დარჩა გზაში ან მიმწოდებლების საწყობებიდან არ იყო გამოწვეული. აისახება მატერიალური ფასეულობის აღრიცხვის იმავე ანგარიშებში, რომლებიც გათვალისწინებულია სასაწყობო აღრიცხვისათვის, სათანადო თანხის, როგორცაა „მასალები გზაში“, ანგარიში 60 „ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებებთან“ კრედიტიდან გამოყოფით, ამ ფასეულობათა საწყობის შემოსავალში აღრიცხვის გარეშე.

ამასთან აღრიცხული თანხა (ისინი მოცემულია ბალანსის II განყოფილებაში „ნორმირებული საბრუნავი სახსრები“ მუხლით „მათ შორის მატერიალური ფასეულობა გზაში“) შემდეგი თვის დასაწყისში სტორნირებული უნდა იქნეს და მიუღებელი ტვირთისათვის გადახდილი თანხა მის მიღებამდე მიმდინარე აღრიცხვაში ირიცხებოდეს, როგორც დებიტორული დავალიანება 60 ანგარიშით.

საწარმოო ან სამეურნეო საქმიანობის პროცესში დახარჯული მატერიალური ფასეულობის ღირებულება ჩამოიწერება ამ საქმიანობის ხარჯების აღრიცხვის ანგარიშებში.

საწარმოს (ორგანიზაციის) საწყობებიდან გაცემული მასალა სამქროებზე, უბნებსა და საკუთარი საწყობების არმქონე სხვა ქვედანაყოფებზე, რომლებიც აღრიცხვის დამოუკიდებელ ობიექტებს წარმოადგენენ, შეიძლება ჩამოიწეროს უშუალოდ წარმოებაში. ამასთან საანგარიშგებო თვის ბოლოს აღრიცხვაში ასახული წარმოების დანახარჯების მონაცემები კორექტირდება სამუშაო ადგილზე გამოუყენებელი ნედლეულისა და მასალების ღირებულებით.

საწარმოო მარაგის ინვენტარიზაცია წარმოებს ბუღალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების დებულებით დადგენილი წესებითა და ვადებით და შესაბამისად ძირითადი დებულებისა ძირითად საშუალებათა, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი სახსრებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის შესახებ, დამტკიცებული სსრკ ფინანსთა სამინისტროსა და სამინისტროებისა და უწყებების მითითებებით, ამ ძირითადი დებულების შემდგომი სრულყოფისათვის.

საწყობებში მატერიალურ ფასეულობათა რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს მათი ცალკეული დასახელების, სახეების, ხარისხის, ზომის და ა. შ. საზომი ერთეულებით, რომელიც გათვალისწინებულია ნომენკლატურა-საფასურებით.

ბუღალტერიაში მატერიალური ფასეულობის ანალიზური აღრიცხვა (ფულადი გამოსახულებით) წარმოებს შენახვის ადგილების მიხედვით. ანალიზური აღრიცხვაში მატერიალური ფასეულობა ნებადართულია აღრიცხვის საბითუმო (ფაქტურული) ფასებით, სატრანსპორტო-დამზადების ხარჯების თანხისა და მომმარაგებელი ორგანიზაციების დარიცხვის

გამოყოფით ან მათი დამზადების საგეგმო თვითღირებულებით (საგეგმო საანგარიშსწორებო ფასებით), ფაქტობრივ თვითღირებულებასა და გეგმურ თვითღირებულებას შორის გადახრების გამოყოფით. ნაშთის ფაქტობრივი თვითღირებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის და მატერიალურ ფასეულობათა ხარჯები ამ შემთხვევაში განისაზღვრება აღრიცხვის მონაცემებიდან, მათ ღირებულებას საბითუმო (ფაქტურული) ფასებისა და სატრანსპორტო-დამზადების ხარჯების ჯამითა და მომხარაგებელი ორგანიზაციის დარიცხვით, ან საგეგმო ფასებითა და გადახრებით, როგორც ეს განსაზღვრულია ძირითად დებულებაში — საწარმოებსა და მშენებლობებზე მასალების აღრიცხვის შესახებ, დამტკიცებული სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ ან სამინისტროებისა და უწყებების დარგობრივი ინსტრუქციებით.

ფასები, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება მატერიალური ფასეულობის მიმდინარე აღრიცხვა, უნდა ჩამოიწეროს ნომენკლატურა-საფასურში.

სააღრიცხვო ფასებით ასახული მატერიალური ფასეულობის მოძრაობის ანალიზური აღრიცხვის რეგისტრებში, ამ ფასებით აღრიცხულ ღირებულებასთან ერთად. ცალკე უნდა იქნეს ნაჩვენები აღნიშნული ფასებით აღებული ღირებულებიდან ფაქტობრივი თვითღირებულების გადახრის თანხებიც. ამასთან, გადახრა გამოვლინდება თითოეული ერთნაირი სახეობის ან ჯგუფის მასალების მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა ერთ ქვეანგარიშში აღრიცხული მასალების ჯგუფებს შორის გადახრის დონეში მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის, დასაშვებია გადახრის გამოვლინება წარმოებული იქნეს მთლიანად ერთი ქვეანგარიშით. სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები და მომხარაგების ორგანიზაციების დარიცხვები ან საგეგმო ფასებიდან გადახრები, რაც დახარჯული მატერიალური ფასეულობის შესაბამის ჯგუფებსა და სახეებს მიეკუთვნება, ყოველთვიურად უნდა ჩამოიწეროს სათანადო ანგარიშებსა და დანახარჯთა მუხლებში.

საწარმოებში, სადაც მასალების ხარისხობრივ აღრიცხვას აწარმოებენ ფაქტობრივი თვითღირებულებით, მასალები წარმოებაზე გაცემის დროს უნდა შეფასდეს საშუალომეწონილი თვითღირებულებით, რომელიც განისაზღვრება თვის დასაწყისში არსებული თვითღირებულების ნაშთის და საანგარიშგებო თვეში დამზადებული რაოდენობის თვითღირებულებიდან გამომდინარე.

#### ანგარიში 05 „მასალები“

ამ ანგარიშში საწარმოები (ორგანიზაციები), გარდა მენაშენებისა (შემკვეთებისა), აღრიცხავენ ნედლეულის, ძირითადი და დამხმარე მასალების (მათ შორის გზაში ან გადამუშავებაში მყოფის) მოძრაობას.

მატერიალურ ფასეულობათა (მათ შორის სათბობისა და სათადა-

რევო ნაწილებს) მოძრაობას, რომელიც შექმნილია კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების ანგარიშზე, მენაშენე საწარმოები (ორგანიზაციები). შემკვეთები აღრიცხავენ 07 ანგარიშზე „სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა“.

საღრიცხვო რეგისტრებში ნედლეულისა და მასალების არსებობა და მოძრაობა აისახება მათი ერთგვაროვანი ჯგუფების მიხედვით 05 ანგარიშით კათვალისწინებული ქვეანგარიშების შესაბამისად.

05—1 „ნედლეული და მასალები“,

05—2 „ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და მაკომპლექტებელი ნაწარმი, კონსტრუქციები და დეტალები“,

05—3 „დანარჩენი მასალები“,

05—4 „ტარა და ტარის მასალები“,

05—5 „მინერალური სასუქები და შხამქიმიკატები“,

05—6 „ბიოპრეპარატები და მედიკამენტები“,

05—7 „მასალები გარეთ გადასამუშავებლად გადაცემული.“

05—1 სუბანგარიშზე აისახება იმ ნედლეულისა და მასალების (მათ შორის სამშენებლო) სახეზე არსებობა და მოძრაობა, რომლებიც გამო-სამუშავებელი პროდუქციის შემადგენლობაში შედიან, ქმნიან მის საფუძველს, ან მისი დამზადების დროს წარმოადგენენ აუცილებელ კომპონენტებს. აქვე აღირიცხება დამხმარე მასალები, რომლებიც მონაწილეობს პროდუქციის შექმნაში ან მოიხმარება სამეურნეო საჭიროებისათვის, ტექნიკური მიზნებისა და საწარმოო პროცესის ხელის შეწყობისათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათანადო სამრეწველო საწარმოების მიერ გადასამუშავებლად დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ასევე, დასახელებულ სუბანგარიშზე აღირიცხება, 15 ანგარიშზე „მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა“ მისი თვითღირებულების განსაზღვრის შემდეგ.

საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები 05—1 ქვეანგარიშზე ასახავენ ნედლეულს, რომელიც განკუთვნილია სამრეწველო გადამუშავებისათვის (მაგალითად, შაქარს მელვინეობისათვის).

05—2 სუბანგარიშზე აისახება საწარმოო კოოპერაციის წესით გამოშვებული პროდუქციის მშენებლობა დასაკომპლექტებლად ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და მზა მაკომპლექტებელი ნაწარმი (სამშენებლო კონსტრუქციები და დეტალები) და მისი მოძრაობა, რომელიც მოითხოვს მათი დამუშავებისა და აწყობისათვის შრომის დანახარჯებს. კომპლექტაციისათვის შექმნილი ნაკეთობა, რომელიც სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებაში არ შედის, უნდა აღირიცხოს № 41 ანგარიშზე — „საქონელი“.

სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, რომ-



ლებიც გარეთ იძენენ, ან თავის დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ საც-  
დელ ქარხნებში ამზადებენ მათთვის საჭირო მკაობლექტრულ ნაწარმს  
სამეცნიერო (ექსპერიმენტული) სამუშაოების ჩასატარებლად გარკვე-  
ული სამეცნიერო-საკვლევ ან საკონსტრუქტორო თემაზე სპეციალური  
მოწყობილობა, ინსტრუმენტები და სხვა ხელსაწყოები აღირიცხება  
05—2 სუბანგარიშზე. დასახელებულ მოწყობილობასა და მკაობლექტრე-  
ბელ ნაკეთობას მიეკუთვნება: სტენდები, ხელსაწყოები, ძრავები, ელექ-  
ტრომოტორები, ტუმბოები და სხვა სახეობის მექანიზმები, აპარატები და  
ხელსაწყოები, რომლებიც გათვალისწინებულია აღნიშნული სამუშაოე-  
ბის შესრულების ხარჯთაღრიცხვებში.

საერთო გამოყენების მოწყობილობა და ხელსაწყოები ამ ანგარიშზე  
არ აღირიცხება, იგი აისახება ძირითად სამუშაოებათა ან მცირეფასიანი  
და სწრაფცვეთადი საგნების შემადგენლობაში.

05—3 სუბანგარიშზე აისახება: წარმოების ნარჩენები (ნათალი,  
ჩამონაჭერი, ნაქლიბი და ა. შ.); გამოუსწორებელი წუნი, ძირითადი სა-  
მუშაოების ჩამოწერიდან მიღებული მატერიალური ფასეულობანი,  
რომელიც მოცემულ საწარმოში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რო-  
გორც მასალა, სათბობი ან სათადარიგო ნაწილი და სხვ

05—4 სუბანგარიშზე აისახება ყველა სახის ტარის მოძრაობა გარდა  
ტარისა, რომელიც გამოიყენება როგორც სამეურნეო ინვენტარი. მომ-  
მარაგებელი, გამსაღებელი და სავაჭრო ორგანიზაციები, მუშათა მომა-  
რაგების განყოფილებების ჩათვლით, როგორც ნაყიდი, ისე საკუთარი  
წარმოების ტარას აღრიცხავენ 41 ანგარიშის „საქონლის“ 3 სუბანგარიშ-  
ზე — „ტარა საქონლით და ცარიელი“.

საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც იყენებენ 05 ანგარიშს,  
05—4 ქვეანგარიშში აღრიცხავენ, აგრეთვე ტარის დამზადებისა და მისი  
რემონტისათვის საჭირო მასალებსა და დეტალებს (დეტალებს ყუთების  
ასაწყობად, საკასრე ტყეჩს, სასალტე რკინას, ქერქის და პოლიეთილენის  
საცობს, ვისკოზის ხუფებს, კრონის ქერქს, ფოლგას და სხვ.).

საგნები, განკუთვნილი გადასატვირთი პროდუქციის დაცვის მიზნით  
ვაგონების, ბარჯების, გემების დამატებითი მოწყობისათვის ტარას  
არ მიეკუთვნება და აისახება 05—1 სუბანგარიშზე.

საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო  
საწარმოები (გარდა დამხმარე სოფლის მეურნეობისა) 05—5 სუბანგა-  
რიშზე აღრიცხავენ მინერალურ სასუქებსა და შხამ-ქიმიკატებს, სასოფ-  
ლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებსა და დაავადებებთან საბრძ-  
ოლველად, ხოლო 05—6 სუბანგარიშზე სოფლის მეურნეობის საწარ-  
მოები აღრიცხავენ ბიოპრეპარატებს, მედიკამენტებს და ქიმიკატებს—  
ცხოველების დაავადებებთან საბრძოლველად. ამასთან, თევზის ქონი,  
აცილოფილინი და სხვა სავეტერინარო-პროფილაქტიკური მასალები

05—6 სუბანგარიშზე არ აღირიცხება, იგი აისახება 10 ანგარიშზე — „თესლი და საკვები“.

დაძმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (ორგანიზაციები), მატერიალურ ფასეულობას, რომელიც აღნიშნულია 05—5 და 05—6 სუბანგარიშებზე, აღრიცხავენ 10 ანგარიშზე „თესლი და საკვები“ ანალოგიურ სუბანგარიშებში.

05—7 სუბანგარიშზე აღირიცხება გადასამუშავებლად გარეთ გაცემული მასალები, რომლებიც შემდგომში შეიტანება მათგან მიღებული ნაწარმის თვითღირებულებაში. სხვა ორგანიზაციების მიერ გადახდილი დანახარჯები მასალების გადამუშავებაზე, მიეკუთვნება იმ ანგარიშების დებეტს, რომელზეც აღირიცხება გადამუშავებული ნაწარმი. გადასამუშავებლად გაცემული მასალების ანალიზური აღრიცხვა მოეწყოება იმ საწარმოებს მისეღვით, რომელმაც უნდა დაამუშაოს მათზე ვაცემული მასალები და უზრუნველყოს კონტროლი მასალების გადამუშავების ოპერაციებზე. მასალების გადასამუშავებლად გადაცემა აისახება 05 ანგარიშის სათანაო სუბანგარიშებში.

ანგარიში 05 „მასალები“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დებეტი

კრედიტი

- 03 კაპიტალური რემონტი
- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 15 მატერიალურ ფასეულობათა დანახარჯები და შექმნა
- 16 სტრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დაძმარე წარმოებანი
- 24 მცენებებისა და მოწყობილობის შეკეთებისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წუნი წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეცურეობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 40 მზა პროდუქცია
- 41 საქონელი

- 03 კაპიტალური რემონტი
- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 16 სტრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დაძმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წუნი წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეცურეობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 35 ძირითადი ჯოგის ფორმირება
- 41 საქონელი
- 43 წარმოებისგარე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები

- 50 სალარო
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკებში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსებით
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორის კოოპერაციით
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 მიმდინარე ოპერაციებით
- 79 მიმდინარე ოპერაციებით
- 80 მიგება და ზარალი
- 85 საწესდებო ფონდი
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 90 ბიზნის მოკლევადიანი სესხი
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორის კოოპერაციით
- 78 მიმდინარე ოპერაციებით
- 79 მიმდინარე ოპერაციებით
- 80 მიგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფაქტურების გაფუჭებიდან
- 85 საწესდებო ფონდი
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

**ანგარიში № „სათბობი“**

ეს ანგარიში განკუთვნილია სათბობის სახეზე არსებობისა და მოძრაობის აღსარიცხავად, რომელიც შექმნილი ან დამზადებულია როგორც ტექნოლოგიური საჭიროებისათვის, სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციისათვის, ისე ენერჯის გამოსაწუმავებლად ან შენობების გასათბობად (ნახშირი, შეშა, ბენზინი, ლიგროინი, ნაფთობი, მანეთი და სხვ.). სათბობად გამოყენებული წარმოების პროცესში მიღებული ნარჩენები და ნაყარი (ხის ნახერხი, ანაქრები და ა. შ.), აგრეთვე აღირიცხება 06 ანგარიშზე.

ეს შემთხვევაში, როცა ზოგიერთი სახეობის სათბობი ერთდროულად გამოიყენება როგორც მასალა და სათბობიც, იგი შეიძლება აღრიცხულ იქნეს 05 ანგარიშზე „მასალები“ ან „06“ ანგარიშზე „სათბობი“ მოცემულ საწარმოში (ორგანიზაციაში). გამოყენების უპირატესობის ნიშნის მიხედვით, მენაშენებს კაპიტალური დაბანდების მიხედვით შეუძლიათ არ გამოიყენონ 06 ანგარიში და სათბობი აღრიცხონ 07 ანგარიშზე.

საეკვრო, მომმარაგებელ, გამსაღებელ და სხვა ორგანიზაციებსა და საწარმოებს, რომელთა საწარმოო მარაგში სათბობს უმნიშვნელო ხვედ-

რითი წონა უკავია და საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივის დადგენის დროს ნორმატივი სათბობის მარაგზე ცალკე არ გამოყოფა, შეესაბამება სათბობის აღრიცხონ 05 ანგარიშზე (სუბანგარიში 3 „დანარჩენი მასალები“).

სააღრიცხვო რეგისტრებში სათბობის სახეზე არსებობა და მოძრაობა აისახება შემდეგ სუბანგარიშებში:

06—1 „ნავთობპროდუქტები“,

06—2 „მყარი სათბობი“,

06—3 „სათბობის სხვა სახეები“.

06—1 სუბანგარიშზე აღირიცხება ყველა სახის ნავთობპროდუქტები (ნავთობი, დიზელის სათბობი, ნავთი, ბენზინი და სხვ.) და საპოხი მასალა, რომელიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციისათვის, წარმოების ტექნოლოგიური საპირობისათვის, ენერჯის გამომუშავებისა და გათბობისათვის.

ნავთობპროდუქტებზე ერთიანი ტალონების გამოყენების დროს, მათი მიღებისა და ხარჯვის აღრიცხვა წარმოებს ამავე სუბანგარიშზე. გარდა ამისა, ნავთობპროდუქტები უნდა აღირიცხოს შენახვის ადგილების მიხედვით: სატრანსპორტო საშუალებათა საწყობებსა და ბაქებში. ამასთან დაკავშირებით სუბანგარიში 06—1 „ნავთობპროდუქტები“ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში (ორგანიზაციებში) ნავთობპროდუქტების ოპერაციების დიდი მოცულობის დროს უნდა დაიყოს შემდეგ სუბანგარიშებად: „ნავთობპროდუქტები საწყობებში“, „ნავთობპროდუქტები ტალონებით“, „სათბობი სატრანსპორტო საშუალებათა ბაქებში“.

ნავთობპროდუქტების აღრიცხვა ორგანიზებულად უნდა იყოს საწარმოებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწვავ-საცხები მასალების მიღებისა და ხარჯვის, ნავთობპროდუქტების ერთიანი ტალონების გაცემის აღრიცხვის შესახებ სსრკ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული და სსრკ ფინანსთა სამინისტროსთან, სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრკ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებული ინსტრუქციის და სათანადო დარგობრივი მითითებების, აგრეთვე ნავთობპროდუქტების ტალონებისა და ნავთობპროდუქტების ტალონებით გაცემის აღრიცხვის წესის შესახებ სსრკ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის და სსრკ სახბანკის მიერ დამტკიცებული და სსრკ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული ინსტრუქციის შესაბამისად.

06—2 სუბანგარიშზე აღირიცხება ნახშირი, ტორფი, შებენი და სხვა სათბობი. წარმოების ნარჩენები და მეორადი მატერიალური ფასეულობანი, რომელიც გამოიყენება როგორც მაგარი სათბობი, აგრეთვე აღირიცხება მითითებულ სუბანგარიშზე.

06—3 სუბანგარიშზე აღირიცხება გაზისებური სათბობის ყველა სახეობა.

სათბობის აღირიცხვა წარმოებს II განყოფის „საწარმოო მარაგის“ საერთო მითითებების შესაბამისად.

ანგარიში 00 „სათბობი“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

ღებები

კრედიტით

- 03 კაპიტალური რემონტი
- 05 მასალები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფყვითადი საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 15 მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა
- 16 სტრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 ღამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წინი წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 40 მზა პროდუქცია
- 41 საქონელი
- 50 საღარო
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეო-საწარმოო კორპორაციით
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა ბიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 85 საწესდებო ფონდი

- 03 კაპიტალური რემონტი
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 16 სტრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 ღამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 35 ძირითადი ჯიჯის ფორმირება
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმწოდებლის ხარჯები
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეო-საწარმოო კორპორაციით
- 78 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გათუქვებით
- 85 საწესდებო ფონდი
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

ამ ანგარიშზე (მენაშენებები) კაპიტალური დაბანდების მიხედვით ასახვევენ ძირითადი სამშენებლო მასალების, კონსტრუქციების და დეტალების. კაპიტალურ დაბანდებთან გვემთა მშენებებზე (სარეკონსტრუქციო) ობიექტებზე დასადგმელი მოწყობილობისა და კაპიტალური მშენებლობის საჭიროებისათვის განკუთვნილი სხვა მატერიალური ფასეულობის მოძრაობას.

საწარმოები (ორგანიზაციები), რომლებიც კაპიტალურ დაბანდებთან ოპერაციებს ძირითადი საქმიანობის ბალანსზე ასახვევენ, კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების სპეციალური სახსრების ხარჯზე შექმნილ მატერიალურ ფასეულობას აღრიცხავენ 07 ანგარიშზე.

სამშენებლო მასალებისა და მოწყობილობის სახეზე არსებობა და მოძრაობა აისახება სათანადო სუბანგარიშებზე:

07—1 „მასალები“

07—2 „კონსტრუქციები და დეტალები“

07—3 „სამამულო დანადგარების მოწყობილობა“

07—4 „იმპორტული დანადგარების მოწყობილობა“

07—1 სუბანგარიშზე აღირიცხება სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება უშუალოდ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების პროცესში ან სამშენებლო დეტალების დასამზადებლად, შენობებისა და ნაგებობების კონსტრუქციებისა და ნაწილების ასაგებად და გასაწყობებად. ასეთ სამშენებლო მასალებს მიეკუთვნება: სილიკატური მასალები (ცემენტი, სილა, ხრეში, კირი, ქვა, აგური, კრამიტი და სხვ.); ხე-ტყის მასალა (მრგვალი ხე-ტყე, დახეიანი მასალა, ფანერი და ა. შ.); სამშენებლო ლითონი (რკინა, თუნუქი, ფოლადი, თუთია ფურცლოვანი და ა. შ.); ლითონნაკეთობა (ლურსმანი, ქანჩი, ჭანჭიკი, კავეული ნაკეთობა და ა. შ.); სანიტარიულ-ტექნიკური მასალები (ონკანი, ქურო, სამკაპი, მილტუჩი და ა. შ.); ელექტრო-ტექნიკური მასალა (კაბელი, ნათურა, მასრა, გორგალაჰი, ზონარი, სადენი, დამკველი, იზოლატორი და სხვ.), ქიმიურ მოსკატელური (აზბესტი, ასფალტი, მკავეები, საღებავი, ოლიფა, რუბეროიდი, ტოლი და ა. შ.) და სხვა მასალები.

ამ სუბანგარიშზე აღირიცხება მშენებლობისათვის საჭირო სხვა მატერიალური ფასეულობანიც, მაგალითად, ფეთქებადი ნივთიერებანი, სხვადასხვა სამკურნეო მასალა, ტარა, რომელიც არ შედის ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში, და ა. შ.. თუ ისინი შექმნილია კაპიტალური დაბანდების დაფინანსების ანგარიშში. ფეთქებად ნივთიერებთან აღირიცხვა წარმოებს განსაკუთრებული ინსტრუქციით გათვალისწინებული წესის დაცვით.

საბჭოთა მიურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები 07—1 სუბანგარიშზე აღირიცხავენ აგრეთვე სარგავ მასა-

ლას (ნაყიდსა და საკუთარი წარმოების), რომელიც განკუთვნილია ბა-  
ლების, საკენკრეების, ვენახის, მინდორსადაც ნარგავების, ტყეპარკების  
მოსაწყობად კაპიტალური დაბანდების გეგმით (გასაყიდად გამოყვანილი  
სარგავი მასალა აღირიცხება 10 ანგარიშზე „თესლი და საკვები“).

07—2 სუბანგარიშზე აღირიცხება სამშენებლო კონსტრუქციები  
და დეტალები. მათ მიეკუთვნება: ლითონის, რკინა-ბეტონის, ხის კონს-  
ტრუქციები; ბლოკები და შენობებისა და ნაგებობების ასაწყობი ნაწი-  
ლები. მოწყობილობა გათბობის, სავენტილაციო, სანიტარიულ-ტექნიკუ-  
რი სისტემისათვის (სათბობი ქვაბები, რადიატორები, კოლორიფერები და  
სხვ.), აგრეთვე რელსები, შპალები, ისრის გადასაყვანი და სხვ.

07—3 და 07—4 სუბანგარიშებში აღირიცხება სამამულო და  
იმპორტული ტექნოლოგიური, ენერგეტიკული და საწარმოო მოწყობი-  
ლობა (სახელოსნობისათვის, საცდელი დანადგარებისა და ლაბორატო-  
რიებისათვის საჭირო მოწყობილობის ჩათვლით), რომელიც მოიხსნის  
დამონტაჟებას და განკუთვნილია დასადგმელად. დასამონტაჟებელს მი-  
ეკუთვნება მოწყობილობა, რომელიც შეიძლება ამოქმედებულ იქნეს  
მხოლოდ მას შემდეგ, როცა აიწყობა მისი ნაწილები და დამაგრდება  
შენობებისა და ნაგებობების საძირკველზე ან საყრდენზე, იატაკზე, სარ-  
თულშორის გადახურვაზე და შენობათა და ნაგებობათა სხვა გადამტან  
კონსტრუქციებზე, აგრეთვე ასეთი მოწყობილობის სათანადოგო ნაწი-  
ლების კომპლექტი. ასეთი მოწყობილობის შემადგენლობაში შეიტანება,  
აგრეთვე საკონტროლო-საზომი აპარატურა ან სხვა ხელსაწყო განკუთვ-  
ნილი დასადგმელი მოწყობილობის მონტაჟისათვის.

07—3 და 07—4 სუბანგარიშებში არ აღირიცხება მოწყობილობა, რომე-  
ლიც არ საჭიროებს მონტაჟს, ასეთია სატრანსპორტო საშუალებები,  
თავისუფლად მდგარი ჩარხები, სამშენებლო მექანიზმები, სასოფლო-  
სამეურნეო მანქანები, საწარმოო ინსტრუმენტი, საზომი და სხვა ხელსა-  
წყობი, საწარმოო ინვენტარი და სხვ.

დანახარჯები მოწყობილობის შესაძენად, რომელიც მონტაჟს არ  
საჭიროებს აისახება უშუალოდ 33 ანგარიშზე „კაპიტალური დაბანდე-  
ბა“ საწყობში ან შენახვის სხვა ადგილას მათი მიღების მიზეზით.

მენ.შენის (შემკვეთის) მიერ სამშენებლო მოედანზე შეზიდულ და-  
სადგმელ მოწყობილობას, რომელიც დამონტაჟებას თხოულობს, მოი-  
ჯარე ღებულობს აღირიცხვავებ 003 ბალანსგარეშე ანგარიშზე „დასამონ-  
ტაჟებლად მიღებული მოწყობილობა“. დასამონტაჟებლად ჩაბარებული  
მოწყობილობის ან მისი ნაწილების დატოვებზე ღირებულებას შეტყობით  
ჩამოწერს 07 ანგარიშიდან „კაპიტალურ დაბანდების“ 33 ანგარიშის დე-  
ბეტში. ხოლო მოიჯარე მოწყობილობას აღირიცხვიდან მოხსნის 003  
ბალანსგარეშე ანგარიშიდან. მოიჯარეზე გადაცემული მოწყობილობა,  
რომლის მონტაჟი და ექსპლუატაციის მუდმივ ადგილზე დადგ-

მა ფაქტობრივად დაწყებული არ არის, მენაშენის (შემკვეთის) აღრიცხვიდან არ იხსნება.

სამშენებლო მასალის (საწყობებში, გზაში და გადასუშავებაში) და დასადგმელი მოწყობილობის აღრიცხვა წარმოებს ამ ინსტრუქციის II განყოფის შესაბამისად.

ანგარიში N: „სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი

- 03 კაპიტალური რემონტი
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 15 მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა
- 16 სატრანსპორტო დამზადების ხარჯები
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 50 საღარო
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსებით
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასააღწევებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 87 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება

- 03 კაპიტალური რემონტი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 33 კაპიტალური დაბანდებანი
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 89 მოსალოდნელი ხარჯების და გადასახდელთა რეზერვი



ამ ანგარიშზე აღირიცხება მზა ნაწილები, კვანძები, რომლებიც განკუთვნილია ძირითად საშუალებათა რემონტის ჩატარებისას გაცვეთილი ნაწილების შეცვლისათვის. ანგარიშს აქვს ორი ქვეანგარიში:

08—1 „სათადარიგო ნაწილები“

08—2 „გაცვეთილი ფონდი“.

08—1 ანგარიშზე აღირიცხება ძირითადი საქმიანობისათვის შეძენილი ან დამზადებული სათადარიგო ნაწილების სახეზე არსებობა და მოძრაობა, განკუთვნილი რემონტის წარმოებისათვის, მანქანების, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებების და სხვ., გაცვეთილი ნაწილების შეცვლისათვის, აგრეთვე ავტომობილის სალტეებისათვის მარაგსა და ბრუნვაში.

ავტომობილის სალტეები (საბურავი, კამერა და ფერსოს ლენტი), რომელიც ავტომობილის თვლებზეა და მარაგში, შედის საპრეისკურანტო ფასში და, მაშასადამე, ინვენტარულ ღირებულებაშიც. აღირიცხული უნდა იქნეს ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში.

საეაქრო, მომმარაგებელ, გამსაღებელ, გეოლოგიურ და სხვა ორგანიზაციებს, იმ შემთხვევაში, თუ სათადარიგო ნაწილებს, ავტორეზინას (მარაგსა და ბრუნვაში) ამ ორგანიზაციების საწარმოო მარაგში მცირე ხვედრითი წონა უკავია და საკუთარი საბრუნავი სახსრების დანორმების დროს ცალკე მუხლად არ გამოიყოფა, შეუძლიათ აღრიცხონ 05 ანგარიშზე „მასალები“ (სუბანგარიში 3 „დანარჩენი მასალები“) ან 07 ანგარიშზე სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა (სუბანგარიში I „მასალები“).

08 ანგარიშზე სათადარიგო ნაწილების აღრიცხვა წარმოებს ამ ინსტრუქციის II განაყოფის საერთო მითითების შესაბამისად. ავტომობილების აგრეგატებისა და სალტეების აღრიცხვის დროს საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ავტომობილების სალტეების ცვეთის აღდგენისა და რემონტის დანახარჯების განსაზღვრის წესის შესახებ სსრკ ფინანსთა სამინისტროს მითითებებით.

08—2 სუბანგარიშზე აისახება ოპერაციები დაკავშირებული სრულკომპლექტიანი მანქანების, მოწყობილობის, ძრავების, კვანძების, აგრეგატების გაცვლითი ფონდის მოძრაობასთან, რომელიც იქმნება დადგენილი წესით საწარმოებისა და ორგანიზაციების სარემონტო ქვედანაყოფებში, ტექნიკურ გაცვლით პუნქტებთან ან სარემონტო ქარხნებში.

გაცვლითი ფონდის შექმნის, აღრიცხვისა და გამოყენების წესი განისაზღვრება სამინისტროებისა და უწყებების დარგობრივი ინსტრუქციებით.

მანქანების, მოწყობილობის, ძრავების, კვანძების და აგრეგატების გაცვლითი ფონდი ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ჯგუფების მიხედვით: ექსპლუატაციისათვის ვარგისი (ახალი და აღდგენილი); აღდგენას დაქვემდებარებული (საწყობში არსებული); რემონტში მყოფი.

ანგარიში US „სათადარიგო ნაწილები“

ეკორესპოდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი

- 03 კაპიტალური რემონტი
- 05 მასალები
- 07 საქმუნებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 12 მცირეუბრავი და სწრაფცვლადი სავანები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 15 მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა
- 16 სტრანსპორტო-ფანჯარების ხარკები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარკები
- 25 აეროთო-საწარმოო ხარკები
- 26 აეროთო-სამეურნეო ხარკები
- 28 წლენი წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარკები
- 40 სხვა პროდუქტია
- 41 საქონელი
- 50 სალარო
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრივილეგიით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა შორის კოოპერაციით
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან

- 03 კაპიტალური რემონტი
- 05 მასალები
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 12 მცირეუბრავი და სწრაფცვლადი სავანები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 16 სტრანსპორტო-ფანჯარების ხარკები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარკები
- 25 აეროთო-საწარმოო ხარკები
- 26 აეროთო-სამეურნეო ხარკები
- 28 წლენი წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარკები
- 33 კაპიტალური დაბანდლები
- 35 ძირითადი ჯოგის ფორმირება
- 43 წარმოებისგარეშე ხარკები
- 44 მიმოქცევის ხარკები
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რელიზაცია
- 63 ანგარიშსწორებანი პრივილეგიით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა შორის კოოპერაციით
- 78 შიდასაქმუნებლო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან

78 შიჯასაუწყებო ანგარიშწორებანი  
მიმდინარე ოპერაციებით  
79 შეღასაქურნეთ ანგარიშწორებანი  
80 მოგება და ზარალი  
85 საწესდებო ფონდი  
89 მოსალოდნელი ხარჯებისა და  
გადასახდელთა რეზერვი  
93 კაპიტალური დაზანდების დაფინანსება

85 საწესდებო ფონდი

89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი

**ანგარიში III „გამოსაზრდელი და განსაუქმებელი პირებში“**

ამ ანგარიშზე აისახება მოზარდი პირუტყვის (სქესობრივი მომწიფების ჯგუფების და სახეების მიხედვით); მოზრდილი პირუტყვის, რომელიც იწყობება გამოსაყვებად და გაასაუქმებლად: ფრინველის (სახეების მიხედვით); ნადირის (სახეების მიხედვით); ბოცვრების, ფუტკრის ოჯახების, ძირითადი ჯოგიდან სარეალიზაციოდ დაწუნებული მოზრდილი პირუტყვის (ყვებაზე დაყენების გარეშე) და მოსახლეობისაგან სარეალიზაციოდ მიღებული პირუტყვის სახეზე არსებობა, შემოსვლა და გასვლა.

თითოეული ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით 09 ანგარიშის შესაბამის სუბანგარიშებში აისახება პირუტყვი, მათი სულადობა, ცოცხალი წონა და ღირებულება.

აღნიშნული პირუტყვის გამოზრდისა და გასუქების ხარჯები აღრიცხება 20 „ძირითადი წარმოების“ ანგარიშზე ან 29 ანგარიშზე „მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი“.

პირუტყვის გარედან შეძენა აისახება 09 ანგარიშზე საერთო წესით: მიმწოდებლის მიერ დაფაქტურებული თანხით 60 ანგარიშის „ანგარიშწორებანი მიმწოდებლებთან და მოიკარადებთან“ კრედიტოდან: ტრანსპორტირებისა და სხვა ამგვარი ხარჯებისათვის — სხვა სათანადო ანგარიშების კრედიტოდან.

ცხოველდამზადების ორგანიზაციები უშუალოდ 09 ანგარიშის დებეტს მიაკუთვნებენ მხოლოდ პირუტყვის შესყიდვის ღირებულებას, ხოლო სასაწყობო-დამზადების ხარჯებს წინასწარ აგროვებენ 16 ანგარიშზე „სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები“ და ყველა ამ ხარჯების გამოვლინების შემდეგ ჩამოსწერენ 09 ანგარიშზე დარგობრივი ინტერუქციებით გათვალისწინებული წესით.

ძირითადი ჯოგიდან დაწუნებული პირუტყვი აღრიცხებაზე ააყვანება 09 ანგარიშზე 85 ანგარიშის — „საწესდებო ფონდის“ კრედიტოდან (პროდუქციული პირუტყვი — პირვანდელი ღირებულებით: მუშა პირუტყვი — გაყიდვისა და დაწუნების შედეგად ფაქტობრივად მიღებული თანხის ოდენობით). ამასთან, ასეთი ჩანაწერი სავალდებულოა,

მიუხედავად პირუტყვის შემდგომი გამოყენებისა (ჩაბარება დამამაზადებელ ორგანიზაციებზე, სხვა მყიდველებზე მიყიდვა, გასასუქებლად დაყენება ან საკუთარი მეურნეობისათვის დაკვლა).

ნამატის სახით მიღებული მოზარდული შემოსავალში აიღება ხბოს მოგების, გოკების დაყრის, ბატკნის დოლის და ა. შ. დღეს, დადგენილი წესით, 09 ანგარიშის დებეტში ჩაწერით იმ ანგარიშის კრედიტიდან, რომელზეც აღირიცხება პირუტყვის შენახვის ხარჯები, რომლისგანაც მიღებულია ნამატი.

მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, ლორების და გამოსაყვებად (გასასუქებლად) დაყენებული პირუტყვის მოზარდულის წონის მატება ყოველთვიურად უნდა შეუერთდეს პირუტყვის პირვანდელ წონას, საანგარიშო თვეში წონამატების ღირებულება განისაზღვრება წონის ფაქტობრივი მატების საგეგმო თვითღირებულების მიხედვით. ყოველთვიურად მოზარდი პირუტყვის ფაქტობრივი წონამატების თვითღირებულებას ჩამოწვრენ იმ ანგარიშის კრედიტიდან, რომელზეც აღირიცხულია მისი გამოზრდის ხარჯები 09 ანგარიშის დებეტში მისი ღირებულების გადიდებით (პირუტყვის შესაბამისი სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით).

როდესაც მოზარდი პირუტყვი, აღირიცხება ზრდის მატების მიხედვით (კვიცები და სხვ.), ამ უკანასკნელის ღირებულება დარიცხული უნდა იქნეს ყოველთვიურად მეურნეობაში კვება-დღეების ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით, რაც შეფასებული იქნება გამოზრდის საგეგმო თვითღირებულებით, შესაბამისი სახეობისა და ჯგუფის პირუტყვის ერთ კვება-დღეზე საგეგმო დანახარჯების გაანგარიშებიდან გამომდინარე. ამ მატების ღირებულება აღირიცხება იმავე წესით, როგორც წონაში მატება.

წლის ბოლოს, დადგენილი წონამატების ან ნამატის ფაქტიური თვითღირებულება შესაბამისად კორექტირებულ უნდა იქნეს წონამატების ან ნამატის აღრიცხვაზე აღრე მიღებული საგეგმო თვითღირებულებით (09 ანგარიშის დებეტით და იმ ანგარიშის კრედიტით, რომელზეც გროვდება პირუტყვის შენახვის ხარჯები); როცა ფაქტობრივი თვითღირებულება საგეგმოზე უფრო დაბალი აღმოჩნდება — სტორნოს წესით (წითელი ჩანაწერით); როცა ფაქტობრივი თვითღირებულება საგეგმოზე უფრო მაღალი აღმოჩნდება — დამატებითი გატარებით.

წლის განმავლობაში ძირითად ჯოგში გადაყვანილი მოზარდული ჩამოიწერება 09 ანგარიშიდან 35 ანგარიშზე „ძირითადი ჯოგის ფორმირება“ იმ ღირებულებით, რაც ირიცხებოდა ბალანსით წლის დასაწყისში. წლის დასაწყისიდან პირუტყვის ძირითად ჯოგში გადაყვანის მომენტამდე პერიოდში წონამატების ან ნამატის საგეგმო თვითღირებულების მიმატებით; ერთდროულად პირუტყვი, რომელიც ჩაირიცხება ძირითად

დი საშუალებების შემადგენლობაში, შემოსავალში აიღება 85 „საწესდებო ფონდის“ ანგარიშში მითითებული ღირებულებით.

წლის ბოლოს ძირითად ჯოგში გადაყვანილი მოზარდების ფაქტობრივი თვითღირებულების განსაზღვრას აღრიცხვაში წინათ ასახული თანხა კორექტირებული უნდა იქნეს. სსვაობა მოზარდების წლის განმავლობაში განსაზღვრულ ღირებულებასა და წლის ბოლოს დადგენილი ფაქტობრივი თვითღირებულებას შორის აისახება დამატებით ან სტორნირებული ჩანაწერებით 09 ანგარიშის კრედიტითა და 35 ანგარიშის დებეტიტ. ერთდროულად ამ განსხვავებაზე წარმოებს დამატებითი ან სტორნირებული ჩანაწერა დებეტიტ 01 ანგარიში „ძირითადი საშუალებები“ და კრედიტიტ ანგარიში 85. ამრიგად, ძირითად ჯოგში გადაყვანილი მოზარდული აღირიცხება 01 და 85 ანგარიშებზე ფაქტობრივი თვითღირებულებით.

09 ანგარიშზე რიცხული პირუტყვის გარეთ გაცემა (მათ შორის ძირითადი ჯოგიდან დაწუნებული პირუტყვის დამაზადებელ ორგანიზაციებზე ჩაბარება) აისახება, როგორც რეალიზაცია საერთოდ დადგენილი წესით. დამაზადებელ ორგანიზაციებზე იმ პირუტყვის ჩაბარებისას, რომელიც დაწუნებულია ძირითადი ჯოგიდან გამოკვებაზე მათი დაყენების გარეშე, ჩანაწერი რეალიზაციის წესით აღრიცხვასთან ერთდროულად კეთდება 09 ანგარიშის შემოსავალში 85 ანგარიშის კრედიტიდან, პირუტყვის შემოსავალში აღებასთან ერთად.

დაცემული ან იძულებით დაკლული პირუტყვის ღირებულება, გარდა ეპიზოტიისა ან სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით დაცემულისა, აისახება საერთოდ დადგენილი წესით, როგორც ფასეულობათა გაფუჭება 09 ანგარიშის კრედიტიტ (თანხობრივად, სულადობით, წონით) და 84 ანგარიშის „დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან“ დებეტიტ.

დაცემული ან დაკლული პირუტყვიდან მიღებული ტყავი, რქები, ჩლიქები, ტექნიკური ქონი და სხვ. შეფასდება შესაძლო გამოყენების ან რეალიზაციის ფასებით და შემოსავალში აიღება იმ ანგარიშის კრედიტიდან, რომელშიც აღირიცხება პირუტყვის გამოზრდის ან გასუჭების ხარჯები.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიზეზით პირუტყვის დანაკლისის ან დაცემის ღირებულება ჩამოიწერება 72 ანგარიშის დებეტიტში 84 ანგარიშის კრედიტიდან, იმ წესით, რომელიც დადგენილია ფასეულობის დანაკლისის ან გაფუჭების ასახვისათვის. თუ დამნაშავე არავინ არის, მაშინ 84 ანგარიშზე აღირიცხული თანხა ჩამოიწერება 20 ანგარიშზე (დანახარჯები პირუტყვის გამოზრდასა და გამოკვებაზე).

ღირებულება გამოზრდილი ან გასუჭებული პირუტყვისა, რომელიც დაეცა ან დაიკლა ეპიზოტიასთან ან სტიქიურ უბედურებასთან და-

კავშირები. ჩამოიწერება 80 ანგარიშის დებეტში — „მოგება და ზარალი“, რაგორც სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალი და 84 ანგარიშზე არ აისახება.

ვამოსაზრდელად და გასასუქებლად დაყენებული იმ პირუტყვის ღირებულება, რომელიც გავიდა რეალიზაციის წესით, დაიკლა და ა. შ. (გარდა დაცემისა), შედგება მისი გამოზრდის (საანგარიშო პერიოდი: დასაწყისში) ან შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებისაგან და შექმდგომში მისი გამოზრდისა და გასუქების ხარჯებისაგან, მოსვლის დღიდან მისი გასვლის დღემდე პერიოდისათვის.

ვამოსაზრდელად და გასასუქებლად მყოფი პირუტყვის ანალიზურად აღრიცხვა ხორციელდება სუბანგარიშებით ასაკობრივი ჯგუფების, სქესის, სახეების მიხედვით და ა. შ. თანახმად ძირითადი დებულებებისა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულირების შესახებ.

მომდევნო წლისათვის გარდამავალი მოზარდი პირუტყვის შეფასება და აღრიცხვასა და ანგარიშგებაში აისახვა წარმოებს ფაქტობრივი თვითღირებულებით.

ანგარიში 00 „ვამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დებეტი

კრედიტი

- 09 ვამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი
- 15 მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა
- 16 სტრანსპორტ-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 29 ნომინალურ წარმოებანი და მეურნეობანი
- 55 ღონისძიებანი ანგარიშები ბანკებში
- 60 ანგარიშსწორებანი მინიშნობებთან და მოთხოვნებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა ინტერსო კოოპერაციით
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი მშრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებეტიორებთან და კრედიტორებთან
- 79 მიღსამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 85 საწესდებო ფონდი

- 09 ვამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 35 ძირითადი ჯოგის ფორმირება
- 45 გავზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა ინტერსო კოოპერაციით
- 79 მიღსამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობებს გაფუჭებიდან
- 95 საწესდებო ფონდი

ეს ანგარიში განკუთვნილია თესლის, სასაქონლო სარგავი მასალისა და როგორც საკუთარი წარმოების, ისე ნაყიდი საკვების მიღებისა და ხარჯვის აღსარიცხავად.

წლის განმავლობაში დასახელებული ანგარიშის დენტში აისახება საკუთარი წარმოების თესლის, სარგავი მასალებისა და საკვების მიღება გეგმური თვითღირებულებით, ხოლო წლის ბოლოს (საანგარიშგებო კალკულაციის შედგენის შემდეგ) დაიყვანება ფაქტიურ თვითღირებულებამდე.

გასული წლიდან გადმოსული საკუთარი წარმოების პროდუქცია აღირიცხება ფაქტიური თვითღირებულებით, ხოლო ნაყიდი პროდუქცია — შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით, ტრანსპორტის ხარჯების ჩათვლით.

საკვებად გამოსაყენებელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების არაძირითადი პროდუქცია (ჩალა, ბზე, ფოჩი, ჩალის ღერო და სხვ.), რომელთა საგვემო ღირებულება არ იყო განსაზღვრული, შემოსავალში აიღება ძირითადი პროდუქციის ფასების მიხედვით, დადგენილი კოეფიციენტით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შეუღლებული და არაძირითადი პროდუქციის დანახარჯების განაწილების კოეფიციენტი მოყვანილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების, დაგვემის, აღრიცხვისა და კალკულირების ძირითად დებულებებში.

თესლის, სარგავი მასალისა და საკვების აღრიცხვა წარმოებს სოფლის მეურნეობის საწარმოებში პროდუქციისა და მასალების აღრიცხვის შესახებ სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

10 ანგარიშზე აღრიცხვა წარმოებს შემდეგი სუბანგარიშების მიხედვით:

- 10—1 „თესლი“,
- 10—2 „სარგავი მასალა“,
- 10—3 „საკვები“.

ანალიზური აღრიცხვა თითოეული სუბანგარიშის ჯგუფის, სახეობის, ხარისხისა და ა. შ. მიხედვით წარმოებს სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მითითებათა შესაბამისად.

საკუთარი წარმოებიდან მიღებული თესლი, სარგავი მასალა და საკვები აისახება 20, 23, 29, 40 ანგარიშების კრედიტიდან, ხოლო ნაყიდასა — 60 ანგარიშის „ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან“ კრედიტიდან.

სოფლის მეურნეობის დამხმარე საწარმოები (ორგანიზაციები) ამ ანგარიშის ცალკეულ სუბანგარიშზე ასახავენ მინერალურ სასუქებსა და შხამქიმიკატებს და აგრეთვე, ბიოპრეპარატებსა და მედიკამენტებს.

ანგარიში 10 „თესლი და საკვები“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ა თ

კ რ ე ლ ი ტ ი თ

- 05 მასალები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ვადაფასება
- 15 მატერიალურ ფასეულობათა დამზალება და შეძენა
- 16 სატრანსპორტო-დამზალების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 40 მზა პროდუქცია
- 41 საქონელი
- 50 საღარო
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკებში
- 60 ანგარიშწორებანი მიმწოდებლებთან და მოღვაწეებთან
- 63 ანგარიშწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით
- 69 ანგარიშწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშწორებანი
- 80 მოგება და ზარალი

- 05 მასალები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ვადაფასება
- 20 ძირითადი წარმოებანი
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 35 ძირითადი ჯოგის ფორმირება
- 45 გაჯაზენილი სქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 63 ანგარიშწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუქვებიდან

ანგარიში 12 „მცირეფასიანი და სწრაფცვათაში საგნები“

ამ ანგარიშზე აისახება მცირეფასიანი და სწრაფცვათადი საგნების, სამეურნეო ინვენტარის, ინსტრუმენტებისა და საერთო და სპეციალური დანიშნულების სამარჯვებასა და სხვა საგნების მოძრაობა, რომელიც ბუღალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების დებულების შესაბამისად საბრუნავი საშუალებების შემადგენლობაში შეიტანება.

ამგვარ საგნებს მიეკუთვნება, კერძოდ:

საგნები, რომლებიც ერთ წელზე ნაკლებს გვემსახურებიან, მიუხედავად მათი ღირებულებისა;

საგნები იმ ლიმიტზე ნაკლები ღირებულებისა, რომელიც დაწესებულია სათანადო სამინისტროებისა და უწყებების მიერ ერთეულზე 100 მანეთის ფარგლებში, მიუხედავად მათი სამსახურის ვადისა, გარდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღებისა, მოზრდილი მუშა და პროდუქტიული პირუტყვისა (წერილფეხას ჩათვლით), რომლებიც მიუხედავად მათი ღირებულებისა, ძირითად საშუალებას მიეკუთვნებიან;



ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და ლაბორატორიული მოწყობილობა ერთეულზე 300 მანეთამდე ღირებულად, შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების (იმ ორგანიზაციების ჩათვლითაც, რომელიც გაერთიანების საწარმოო და სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ), აგრეთვე გაერთიანებებისა და სამრეწველო საწარმოების (ცენტრალურ საქარხნო ლაბორატორიისათვის) მიერ;

სპეციალური ინსტრუმენტები და სპეციალური სამარჯვები (მათ შორის ცვლადი მოწყობილობა). მიუხედავად მათი ღირებულებისა: საჭერი იარაღები (ბადე, სათევზაო მოწყობილობა, ნაჩვრეტიანი გვირისტი და სხვ.). მიუხედავად მათი ღირებულებისა და სამსახურის ვადისა;

სპეციალური ტანსაცმელი, სპეციალური ფეხსაცმელი და ლოგინის კუთვნილება, მიუხედავად მათი ღირებულებისა და მომსახურების ვადისა. გამონაკლისს შეადგენს ლოგინის კუთვნილება სასტუმროებში, რომელიც მიეკუთვნება ძირითად საშუალებებს, მიუხედავად მისი ღირებულებისა.

ფორმის მზა ტანსაცმელი, რომელიც განკუთვნილია საწარმოს (ორგანიზაციის) მუშაკებზე გასაცემად, აგრეთვე აღირიცხება 12 ანგარიშზე (აღნიშნული ტანსაცმლის შესაყერ მასალებს აღირიცხავენ 05 „მასალების“ ანგარიშზე).

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები აისახება 12 ანგარიშზე, მათი შექმნის სახსრების წყაროების მიუხედავად. ამასთან საგნები, რომლებიც მოქმედ დებულებათა შესაბამისად შექმნილია ეკონომიური სტიმულირებისა და სპეციალური დანიშნულების ფონდების ხარჯზე ან მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლის ხარჯზე, შემოსავალში 12 ანგარიშზე აღება საერთო წესით, საბრუნავი სახსრების ხარჯზე შექმნილი საგნების თანაბრად. შესაბამისი საგნების შემოსავალში აღების კვალობაზე მათი ფაქტობრივი თვითღირებულება აისახება, როგორც დანახარჯები დაფინანსების აღნიშნული წყაროების ხარჯზე პირვანდელი ღირებულების 100 % ოდენობით დარიცხული ცვეთის სახით: დებეტში შესაბამისად ანგარიშებისა: 87 „ეკონომიკური სტიმულირების ფონდები“, 88 „სპეციალური დანიშნულების ფონდები“ ან 96 „მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი“ და „კრედიტში — 13 ანგარიში „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა“.

12 ანგარიშზე აღირიცხება, აგრეთვე, ექსპლუატაციაში მყოფი დროებითი (არასატიტულო) ნაგებობანი. მოწყობილობა და მშენებლობა, თანახმად დადგენილი ჩამონათვალისა, რომელთა ღირებულება გათვალისწინებულია მშენებლობის ზედნადებ ხარჯებში ან გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების მოცულობაში.

12 ანგარიში შედგება სუბანგარიშებისაგან:

12 — 1 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები საწყობში“,

12—2 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები ექსპლუატაციაში“

12 — 3 „დროებითი (არასატიტულო) ნაგებობანი და სამარჯვებჲ“.

სააღრიცხვო რეგისტრებში მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების მოძრაობა აისახება მათი ერთგვაროვანი ჯგუფების მიხედვით, დადგენილი დაჯგუფების შესაბამისად, დაყოფით — საწყობში და ექსპლუატაციაში მყოფი.

დროებითი (არასატიტულო) ნაგებობისა და სამარჯვების აგების ხარჯებს საიჯარო ორგანიზაციები და მშენებლობები აღრიცხავენ 30 ანგარიშზე „არაკაპიტალური სამუშაოები“, ხოლო გეოლოგიური ორგანიზაციები 20 ანგარიშზე „ძირითადი წარმოება“. დამთავრებული ობიექტების ღირებულება ამ ანგარიშებიდან გადაირიცხება 12 ანგარიშზე.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების აღრიცხვა ხორციელდება მოცემული ინსტრუქციის II ნაწილის საერთო მითითებების შესაბამისად.

დროებითი (არასატიტულო) ნაგებობები, სამარჯვები და მოწყობილობა აღრიცხება სახეების ან ერთგვაროვანი ჯგუფების მიხედვით მათი ფაქტობრივი თვითღირებულებით.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ღირებულება (გარდა 2 ერთეული მანეთამდე ღირებული საგნებისა) დაიფარება ცვეთის შესაბამისი თანხის დარიცხვით 13 ანგარიშზე — „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა“, იმ წესით, რომელიც მოცემულია ამ ანგარიშის ახსნა-განმარტებაში.

გაუქმებული შეკვეთების, სპეციალური ინსტრუმენტებისა და სპეციალური სამარჯვების ღირებულების დაუფარავი ნაწილი ჩამოიწერება მათი ღირებულების გამოკლებით, შესაძლო გამოყენების ფასებით, იმავე წესით, როგორც ეს დადგენილია გაუქმებული შეკვეთების დანახარჯების ჩამოწერისათვის.

ერთეული 2 მანეთამდე ღირებული მცირეფასიანი საგნები, ჩამოიწერება ხარჯებში მათი წარმოებაში ან ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე.

ექსპლუატაციაში გადაცემული საგნების დაცვის მიზნით საწარმოებში (ორგანიზაციებში) უნდა ხორციელდებოდეს სათანადო კონტროლი მათ მოძრაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ექსპლუატაციიდან საწყობში უკან დაბრუნებული იქნება ერთეული 2 მანეთამდე ღირებული საგნები, შემოსავალში მათი ღირებულება აიღება 12—1 სუბანგარიშზე, იმ შესაბამის ანგარიშზე ხარჯების შემცირებით, რომლებზეც აღრე იყო ჩამოწერილი ამგვარი საგნების ღირებულება.

საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ერთეული 2 მანეთამდე ღირებული მცირე-

ფასიანი საგნების ჩამოწერა წარმოებს ექსპლუატაციაში გადაცემისას ცვეთის დარიცხვის საშუალებით — მისი ღირებულების 100 %-ის ოდენობით. ამ საგნების ჩამოწერა წარმოებს საერთოდ დადგენილი წესით, დარიცხული ცვეთის ანგარიშში, სრული გაცვეთის შემდეგ, შემდგომში ექსპლუატაციისათვის უვარგისობის გამო.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ტეალიზაციის წესით მწყობრიდან გასვლა აისახება საერთო წესით, სხვა მატერიალური ფასეულობის თანაბრად.

ანგარიში 12 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები“.

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

ღ ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

- 05 მასალები
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგ-მელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულო-ბათა გადაფასება
- 15 მატერიალურ ფასეულობათა დამზა-ღება და შექმნა
- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხარ-ჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამზადრე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შე-ნახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-ააწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წუნი წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურ-ნეობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 50 სალარო
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებებთან
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღა-ურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშგაღდე-ბულ პირებთან

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგ-მელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 13 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულო-ბათა გადაფასება
- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხაჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამზადრე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შე-ნახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნე-ობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 41 საქონელი
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქვეყნის ხარჯები
- 45 გაჯავნილი საქონელი, შესრულე-ბული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობა-თაშორისო კოოპერაციით
- 78 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი

76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დე-  
ბატორებთან და კრედიტორებთან  
78 მონაწილეობა ანგარიშსწორებანი  
მიწოდებაზე ოპერაციებით  
79 წიდაამკურნეო ანგარიშსწორებანი

84 დანაკლისები და დანაკარგები ფა-  
სეულის გაფორმებიდან  
85 საწესდებო ფონდი

96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზ-  
ნობრივი შემოსავალი

80 შოგება და ზარალი  
85 საწესდებო ფონდი  
93 კაპიტალური დაბანდების დაფინან-  
სება.

### ანგარიში 13 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა“

ამ ანგარიშზე აისახება 12 ანგარიშში აღრიცხული ექსპლუატაციაში მყოფი მცირეფასიანი, სწრაფცვეთადი და სხვა საგნების და, აგრეთვე 41 ანგარიშზე აღრიცხული გასაქირავებელი საგნების ცვეთის თანხების ცვლილება.

ექსპლუატაციაში მყოფი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ღირებულება გარდა სპეციალური ინსტრუმენტების და სპეციალური სამარჯვების, ცვლადი მოწყობილობის, დროებითი (არასატიტულო) ნაგებობების და სამარჯვებისა, ყოველთვიურად იფარება ცვეთის და-რიცხვის გზით სამსახურის ვადიდან გამომდინარე. აღნიშნული საგნე-ბის, აგრეთვე თევზჭერის იარაღების ღირებულება შეიძლება დაიფა-როს საწყობებიდან ექსპლუატაციაში გადაცემისას მათი ღირებულების 50 %-ის ოდენობით, ხოლო დანარჩენი 50 % — უვარგისობის გამო მწყობრიდან გასვლისას (ამ საგნების ნარჩენების შესაძლო გამოყენების ფასებით აღებული ღირებულების გამოკლებით).

სპეციალური ინსტრუმენტებისა და სპეციალური სამარჯვების ღირე-ბულება იფარება დადგენილი ნორმის ან სახარჯთაღრიცხვო განაკვეთის შესაბამისად, რაც გაანგარიშებულია მათი დამზადების (შექმენის) ხარჯ-თ. აღრიცხვიდან და ორ წლამდე ვადით დაგეგმილი პროდუქციის გამოშვე-ბიდან. ინდივიდუალური შეკვეთებისათვის განკუთვნილი სპეციალური ინსტრუმენტებისა და სამარჯვების ღირებულება მთლიანად იფარება მოცემული შეკვეთის წარმოებაში გადაცემისთანავე. სათანადო დარგის საწარმოებისათვის ცვლადი მოწყობილობის ღირებულება იფარება სამ-რეწველო პროდუქციის დაგეგმვის, აღრიცხვისა და თვითღირებულების კალკულირების შესახებ არსებული დარგობრივი ინსტრუქციებით გათ-ვალისწინებულ წესით.

დროებით (არასატიტულო) ნაგებობების ღირებულება ყოველთვი-ურად იფარება მისი ექსპლუატაციის ვადის (მშენებლობის ხანგრძლი-ვობის) მიხედვით. ამასთან მხედველობაში მიიღება უკან დაბრუნებული მასალების (დაშლა, გადარჩევის შედეგად) ღირებულება.

გახაჭირავებელი საგნების ღირებულება, ყოველთვიურად იფარება ცვეთის დარიცხვის გზით, მათი სამსახურის ვადიდან გამომდინარე.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების, აგრეთვე დროებითი (არასატიტულო) ნაგებობების, სამარჯვებისა და მოწყობილობების რემონტის ხარჯები, ისევე როგორც ამ უკანასკნელთა დაშლის ხარჯები, აისახება წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების ანგარიშებში.

ცვეთის თანხა აისახება 13 ანგარიშის კრედიტში დანახარჯების სათანადო ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით საერთო-საწარმოო, საერთო-სამეურნეო ხარჯები, მიმოქცევის ხარჯები და სხვ., ხოლო საგნები, რომელიც შექმნილია ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ანგარიშში ან მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლის ანგარიშში 87 „ეკონომიკური სტიმულირების ფონდების“, 88 „სპეციალური დანიშნულების ფონდების“ და 96 „მიზნობრივი დაფინანსების და მიზნობრივი შემოსავლის“ ანგარიშებთან კორესპონდენციით.

13 ანგარიშის დებეტში, 12 ანგარიშის კრედიტიდან ჩანაწერით, აისახება იმ საგნების პირვანდელი ღირებულება, რომლებიც ექსპლუატაციიდან გამოვიდა (მათი ნორმალური ცვეთის ან მათ მიერ თავიანთი საწარმოო დანიშნულების დაკარგვის გამო), მისგან ამ საგნების ან დასაბრუნებელი ნარჩენების (ჯართის, სათადარიგო ნაწილების, შეშის, ჩვრების და ა. შ.) შესაძლო გამოყენების ფასებით აღებული ღირებულების გამოკლებით. ექსპლუატაციიდან გამოსული სხვა დანიშნულებით გამოსაყენებლად ვარგისი საგნები ან დასაბრუნებელი ნარჩენები შესაძლო გამოყენების ფასებით აღებული ღირებულებით ჩამოიწერება 12 ანგარიშიდან „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები“ შემდეგი ანგარიშების დებეტში: 05 „მასალები“, 06 „სათბობი“, 07 „სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა“ ან 08 „სათადარიგო ნაწილები“, ამ ანგარიშების განმარტებების შესაბამისად.

მწყობრიდან გასული მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ჩამოწერის ზემოაღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ საგნებზე, რომლებიც მოქმედი დებულების შესაბამისად შექმნილია ეკონომიკური სტიმულირებისა და სპეციალური დანიშნულების ფონდების, ან მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლების ხარჯზე. ამ საგნების ექსპლუატაციიდან გასვლის დროს პირვანდელი ღირებულება ჩამოიწერება 13 ანგარიშის დებეტში (12 ანგარიშის კრედიტიდან), ხოლო დასაბრუნებელი ნარჩენების (ჯართი, სათადარიგო ნაწილები, შეშა, ჩვრები და სხვ.) ღირებულება შემოსავალში აიღება საწარმოო მარაგის სათანადო ანგარიშებში (05, 06, 08), 80 ანგარიშის — „მოგება და ზარალის“ კრედიტიდან.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთის ანალიზური აღრიცხვა უნდა წარმოებდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს

საქირო მონაცემების მიღების შესაძლებლობა მცირეფასიანი და სწრაფ-  
ცვეთადი საგნების ცალკეული ჯგუფების მიხედვით (ხოლო საჭირო  
შემთხვევაში — მათი ღირებულების დაფარვის ვადების მიხედვით), კერ-  
ძოდ ცვეთა:

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი ინსტრუმენტების და საერთო და-  
ნიშნულების საგნების;

სპეციალური ინსტრუმენტების და სამარჯვების;

ცვლადი მოწყობილობის;

სპეციალური ტანსაცმლის, სპეციალური ფეხსაცმლისა და ლოგი-  
ნის კუთვნილებისა;

დანარჩენი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების;

დროებითი (არასაბრუნებელი) ნაგებობების, სამარჯვებისა და მოწყო-  
ბილობის;

გასაქირავებელი საგნების.

**ანგარიში 13 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა“**

**ეკორესპონდენტება ანგარიშებს:**

**დ ე ბ ე ტ ი თ**

**კ რ ე დ ი ტ ი თ**

- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულო-ბათა გადაფასება
- 41 საქონელი

- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულო-ბათა გადაფასება
- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შე-ნახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნე-ობანი
- 33 კაპიტალური დაზანდება
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 85 საწესდებო ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონ-დები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონ-დები
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზ-ნობრივი შემოსავალი

**ანგარიში 14 „სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება“**

ამ ანგარიშის დანიშნულებაა ასახოს სასაქონლო-მატერიალური ფა-  
სეულობის, დაუმთავრებელი წარმოების და სხვ. დადგენილი წესით  
წარმოებული გადაფასების (ჩამოფასების ან ფასმატების) შედეგად მი-  
ღებული სხვაობის თანხები. ამ ანგარიშის დებეტში აისახება სასაქონ-

ლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოფასების თანხა და ფასმატების თანხის განაწილება, ხოლო კრედიტში — ფასმატების თანხა და ჩამო-ფასების თანხის ანაზღაურება.

ჩამოფასების თანხის ანაზღაურების წყაროები და ფასმატების თან-ხის მიმართულების წესი დგინდება სსრ კავშირის მთავრობის მიერ ან მისი დავალებით სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახბანკოსა და სხვა ცენტრალური ორგანოების მიერ. სასაქონლო-მატე-რიალურ ფასეულობათა გადაფასების წესი საბითუმო ფასებისა და ტა-რიფების, აგრეთვე საცალო ფასების შეცვლასთან დაკავშირებით, გან-საზღვრულია სსრკ ფინანსთა სამინისტროს, სსრკ ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და სსრკ სახბანკოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქცი-ებით. ჩამოფასების (ფასმატების) თანხით ეს ანგარიში ეკორესპონდენ-ტება სათანადო ანგარიშებს, რომლებზედაც აღირიცხება სასაქონლო-მა-ტერიალური ფასეულობანი, დაუმთავრებელი წარმოება და სხვ.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოფასების თანხების ანაზღა-ურების ან ფასმატების თანხის განაწილების დადგენილი წესის შესა-ბამისად 14 ანგარიში კრედიტდება (ჩამოფასების დროს) ან დებეტ-დება (ფასმატების დროს) შესაბამისი თანხებით, რომელთა შემ-ცირების ხარჯზეც წარმოებულ იქნა ჩამოფასება ან რომელთა გადიდე-ბაზეც მიიმართება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მატების თანხები.

ჩამოფასების თანხა 14 ანგარიშის კრედიტიდან იფარება სათანადო წყაროების ანგარიშზე: დებეტი ანგარიში 85 „საწესდებო ფონდი“ — მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების სრული ნორმატივის ფარგლებში (საკონტროლო ციფრის ჩათვლით, რომელიც გადარიცხულ იქნა ბანკ-ში ბრუნვის მიხედვით დაკრედიტებისას); დებეტი ანგარიში 90 „ბანკის მოკლევადიანი სესხი“ ზენორმატიული ნაშთების დაკრედიტებისათვის; დებეტი ანგარიში 80 „მოგება და ზარალი“ — ბანკის მიერ დაუკრედი-ტებელი ზენორმატიული ნაშთების ნაწილში (თუკი სხვა რამ არ არის გათვალისწინებული გადაფასების მითითებებში).

ბრუნვის მიხედვით დაკრედიტების დროს, სესხის დავლიანების შემცირებისას, ჩამოფასების თანხა საკონტროლო ციფრების ფარგლებ-ში, რომელიც გადაერიცხა ბანკს ბრუნვის მიხედვით დაკრედიტებისას, დებეტდება 90 ანგარიში და კრედიტდება 85 ანგარიში.

ფასების მომატებისას თანხების განაწილება აისახება 14 ანგარიშის დებეტში შემდეგი ანგარიშების კრედიტიდან: 85 — მთლიანი ნორმატი-ვის ფარგლებში მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების ნაწილში (საკონ-ტროლო ციფრის ჩათვლით, რომელიც გადარიცხულია ბანკში ბრუნ-ვის მიხედვით დაკრედიტებისას); 90 — იმ ნაწილში, რომელიც მიე-კუთვნება ბანკის მიერ დაკრედიტებულ ზენორმატიულ ნაშთებს; 68 —

იმ ნაწილში, რომელიც მიეკუთვნება ბანკის მიერ დაუკრედიტებელ ზე-  
ნორმატიულ ნაშთებს (თუკი გადაფასების მითითებებში სხვა რამ არ  
არის გათვალისწინებული).

ბანკის მიერ დაკრედიტებული ფასმატების თანხები საკონტროლო  
ციფრების ფარგლებში, რომელიც გადარიცხულია ბანკში ბრუნვის მი-  
ხედვით დაკრედიტებისას, დებეტდება ანგარიში 85 და კრედიტდება  
ანგარიში 90.

14 ანგარიშზე სავაჭრო საწარმოები (ორგანიზაციები) აღრიცხავენ სა-  
ქონლის გადაფასებას საცალო ფასების სეზონურ ცვლილებებთან დაკავ-  
შირებით, აგრეთვე მოძველებული ფასონისა და მოდელების, ნაწილობა-  
რივად თავისი პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებას.

ანგარიში 14 „სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება“  
ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი თ

- 03 კაპიტალური რემონტი
- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და და-  
სადგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი  
საგნები
- 13 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი  
საგნების ცვეთა
- 20 ძირითადი წარმოება
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბ-  
რიკატები
- 23 დამზარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურ-  
ნეობანი
- 33 კაპიტალური დაბანდება
- 40 მზა პროდუქცია
- 41 საქონელი
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსებით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 77 შიდასაქონლო ანგარიშსწორებანი  
საბრუნავი საშუალებებისა და მო-  
გების გადანაწილებით
- 80 მოგება და ზარალი
- 85 საწესდებო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფი-  
ნანება

- 03 კაპიტალური რემონტი
- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგ-  
მელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი  
საგნები
- 13 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი  
საგნების ცვეთა
- 20 ძირითადი წარმოება
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბ-  
რიკატები
- 23 დამზარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურ-  
ნეობანი
- 33 კაპიტალური დაბანდება
- 40 მზა პროდუქცია
- 41 საქონელი
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსებით
- 77 შიდასაქონლო ანგარიშსწორებანი  
საბრუნავი საშუალებებისა და მოგე-  
ბის გადანაწილებით
- 80 მოგება და ზარალი
- 85 საწესდებო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონ-  
დები
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინან-  
სება
- 96 მიზნობრივი დაფინანდება და მიზ-  
ნობრივი შემოსავალი



ანგარიში 15 უმთავრესად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში (ორგანიზაციებში). მისი დანიშნულებაა განსაზღვროს დამუშავების ან გადამუშავებისათვის (ჭარხალი, რძე, მატყლი, ბამბა, ტყავნედლეული, სელი და ა. შ.). დამზადებული (ნაყიდი) პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულება.

ანგარიშის დებეტში აისახება რაოდენობრივი მონაცემები და დამზადებულ პროდუქციაზე გაწეული ყველა დანახარჯი; კრედიტში — მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის ანგარიშებზე გადარიცხული რაოდენობა და თანხები.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების (შესყიდვის) ღირებულება და აგრეთვე, მასზე დანამატები აისახება უშუალოდ იმ ანგარიშებთან კორესპონდენციით, რომლებშიც აღრიცხება ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან, ხოლო დამზადების ხარჯები წინასწარ გროვდება 16 ანგარიშზე „სატრანსპორტო-დამზადების ხარჯზე“ დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად და ყოველთვიურად მიეკუთვნება 15 ანგარიშს, სამინისტროებისა და უწყებების მიერ შემუშავებული დარგობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული წესით.

15 ანგარიშზე გამოვლენილი დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობა და ფაქტობრივი თვითღირებულება ჩამოიწერება 05 ანგარიშზე „მასალეზა“ (ქვეანგარიში I „ნედლეული და მასალეზა“).

საწარმოები (ორგანიზაციები), რომლებიც დამზადებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აღრიცხავენ მისი თვითღირებულების კალკულაციისათვის დამტკიცებული ერთიანი საანგარიშსწორებო ფასებით, 15 ანგარიშში ასახავენ დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობას დადგენილი შესასყიდი ფასებით. ამ წესით აღრიცხვისას პროდუქცია ჩამოიწერება 15 ანგარიშიდან 05 ანგარიშზე ერთიანი საანგარიშსწორებო ფასებით; გადახრა დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი ფასების ღირებულებას ერთიანი საანგარიშსწორებო ფასებით მიღებული ღირებულებისაგან მიეკუთვნება 55 ანგარიშს „დანარჩენი ანგარიშები ბანკში“ (ქვეანგარიში 4 „ფასების სხვაობის ანგარიში ბანკში“).

15 ანგარიშის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს პროდუქციის მიღების წყაროების — საბჭოთა მეურნეობების, დამხმარე მეურნეობების, კოლმეურნეობების, მოსახლეობის მიხედვით. ამ წყაროების შიგნით აღრიცხვა წარმოებს პროდუქციის სახეების მიხედვით შესაბამისად ნომენკლატურისა, რომელიც დადგენილია დამზადების ოპერაციების დარგობრივი ინსტრუქციებით და დამტკიცებული ანგარიშგებით.

გამოთვლითი ტექნიკის შესაბამის საშუალებათა არსებობის შეზღუდვაში, როცა აუცილებელია მატერიალურ ფასეულობათა დამზადებისა და შექმნის აღრიცხვის ორგანიზაცია წარმოებდეს ფაქტობრივი თვითღირებულებით სათანადო მუხლების კრილში, ანგარიში 15 შეუძლიათ გამოიყენონ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოებმაც (ორგანიზაციებმა) (იხ. მეთოდური მითითებანი ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის შესახებ გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით, რომელიც დამტკიცებულია სსრკ ფინანსთა სამინისტროსა და სსრკ ცსს მიერ). ასეთ შემთხვევებში მოცემული ანგარიშის დებეტში აისახება მატერიალურ ფასეულობათა ნაყიდობის ღირებულება და მათი დამზადებისა და შექმნის ხარჯები. 15 ანგარიშის კრედიტში წარმოებს ფაქტობრივი თვითღირებულების ჩამოწერა სათანადო მატერიალურ ფასეულობათა ანგარიშების დებეტში სააღრიცხვო ფასებით, ხოლო სააღრიცხვო ფასებისაგან ფაქტობრივი თვითღირებულების გადახრის თანხა მიეკუთვნება 16 ანგარიშს.

**ანგარიში 15 „მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა“**

**ეკორესპონდენტება ანგარიშებს:**

**დ ე ბ ე ტ ი თ**

**კ რ ე დ ი ტ ი თ**

- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 23 დამზარე წარმოებანი
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან
- 59 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებეტორებთან და კრედიტორებთან
- 79 შლასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან

- 05 მასაღები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელო და გასაქუქებელი პირუტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვათადი საგნები
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი

**ანგარიში 16 „სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები“**

ეს ანგარიში უმთავრესად გამოიყენება იმ საწარმოებში (ორგანიზაციებში), რომლებიც აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებას და განკუთვნილია ასახოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების (შესყიდვის) მისი დამუშავებისა და გადამუშავების, პირუტყვისა და ფრინველის დამამზადებელი და გამომკვები ორგანიზა-

ციების, დამამზადებელ და სააგენტო პუნქტებისათვის სპეციალურად გამოყოფილი მასალების საოპერაციო და საერთო-დამამზადებელი ხარჯები.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში, პირუტყვის დამამზადებელ და პირუტყვის გამომკვებ ორგანიზაციებში აღნიშნული ხარჯები უნდა აისახოს ანალიზურ აღრიცხვაში შემდეგი ჯგუფების მიხედვით: საოპერაციო ხარჯები, საერთო-დამამზადებელი, დამამზადებელი და მიმღები პუნქტების შენახვის ხარჯები, ბაზებში საქონლისა და პირუტყვის შენახვის ხარჯები.

საოპერაციოს მიეკუთვნება დანახარჯები, რომლის რაოდენობა უშუალოდ დაკავშირებულია დამზადების მოცულობასთან და შეიძლება პირდაპირი წიშით შეტანილი იქნეს გარკვეული სახის დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებაში. მაგალითად, პროდუქციის, პირუტყვის, ფრინველის დამზადების პუნქტამდე, საწარმოს (ორგანიზაციის) საწყობებში საავტომობილო, რკინიგზის ან წყლის ტრანსპორტით მიზიდვის ღირებულება, რომელშიც შეიტანება, აგრეთვე დატვირთვისა და გადმოტვირთვის ხარჯები; ტარის შესაფუთი მასალების, ვაგონებში, პლატფორმებზე შემოკავეების ღირებულება და სხვ.; საოპერაციო დამამზადებელი აპარატის მუშაკების ძირითადი და დამატებითი ხელფასი (რომლებიც დამამზადებელი მიმღები პუნქტების შემადგენლობაში არ შედიან) და მათზე დანარიცხვები.

საერთო-დამამზადებელ (ზედნაღებ) ხარჯებს მიეკუთვნება, კერძოდ, დამამზადებელი კანტორებისა და საწარმოს განყოფილებების შენახვის ხარჯები, რომლებიც ახორციელებენ დამამზადებელი პუნქტებისადმი ხელმძღვანელობას; დამამზადებელი და მიმღები პუნქტების (ძირითადი და დამატებითი ხელფასი სამმართველო აპარატისა და მასზე დანარიცხვები); სამმართველო პერსონალის შენახვა და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები; ამ პერსონალის სამსახურებრივი მივლინების ხარჯები; ნედლეულის ბაზის ორგანიზაციის ხარჯები.

დამამზადებელი და მიმღები პუნქტების შენახვის ხარჯებს მიეკუთვნება დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებასთან და სხვა ხარჯები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მიზნისათვის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვებში: ძირითადი და დამატებითი ხელფასი აღნიშნული პუნქტების პერსონალისა და მასზე დარიცხვები (გარდა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის ხელფასისა და მასზე დარიცხვებისა); საწყობებისა და სადგარების იჯარა, მცირეფასიანი საგნების და ინვენტარის ცუქვის თანხა.

საქონელდამზადებისა და საქონელგამომკვები ორგანიზაციები აღრიცხა-

ვენ ბაზებსა და მიმღებ პუნქტებში მყოფი პირუტყვისა და ფრინველის შენახვის ხარჯებს.

დასახელებული ხარჯების ნომენკლატურა შეიძლება შეცვლილი ან დამატებული იქნეს სოფლის მეურნეობის დამზადებული ნედლეულის, პირუტყვისა და ფრინველის დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულირების დარგობრივი ინსტრუქციების შესაბამისად.

16 ანგარიშზე აღრიცხული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების ხარჯები მიეკუთვნება 15 ანგარიშს „მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა“, ხოლო პირუტყვისა და ფრინველის დამზადების ხარჯები (საქონელდამზადებისა და საქონელგამომკვები ორგანიზაციები) — 09 ანგარიშს — „გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი“, დარგობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული წესით.

ეს ანგარიში გამოიყენება, აგრეთვე, სამშენებლო ორგანიზაციებში სასაწყობო-დამზადების ხარჯების აღსარიცხავად. სასაწყობო-დამზადების ხარჯებს აქ მიეკუთვნება: შენახვა დამამზადებელ აპარატის მშენებლობაზე მასალების საწყობებისა და საკუჭნაოების; მასალების დაცვა; მასალების მოსვლის შესახებ შეტყობინებისა და ტვირთის აწონისათვის გამოსაღების გადახდა. აგრეთვე გზაში და საწყობებში მასალების დანაკლისით გამოწვეული დანაკარგები, ბუნებრივი დანაკლისის დადგენილი ფორმის ფარგლებში.

სასაწყობო-დამზადების ხარჯების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს დადგენილი მუხლების მიხედვით. მოქმედი წესის შესაბამისად სასაწყობო-დამზადების ხარჯების ნორმები (რომელიც საიჯარო ორგანიზაციებსა და მშენებლობებში აღირიცხება მატერიალური ფასეულობის გადაზიდვისა და მიტანის ხარჯებისაგან განცალკევებულად) დგინდება პროცენტობით სამშენებლო, სანიტარიულ-ტექნიკური და ელექტროტექნიკური მასალების, მოწყობილობის და ფოლადის კონსტრუქციების ფრანკო-საობიექტო საწყობის ღირებულების შესაბამისად. სასაწყობო-დამზადების ხარჯებს ყოველთვის მიაკუთვნებენ მატერიალური ფასეულობის აღრიცხვის ანგარიშებს დანიშნულებისამებრ, სადაც შეუერთებენ სხვა ხარჯებს, რომლებიც აღირიცხება როგორც გადახრა შექმნილი და დამზადებული მასალების ფაქტიური თვითღირებულებისათვის სააღრიცხვო ფასებში აღებული ღირებულებიდან.

სასაწყობო-დამზადების ხარჯები ნაწილდება მატერიალურ ფასეულობათა ერთგვაროვან ჯგუფებს შორის იმ წესით, რომელიც მითითებულია მოცემული ინსტრუქციის მეორე განყოფში.

გამოთვლითი ტექნიკის შესაბამის საშუალებათა არსებობის დროს, როდესაც აუცილებელია მატერიალურ ფასეულობათა დამზადებისა და შექმნის ფაქტიური თვითღირებულების აღრიცხვა წარმოებდეს მუხ-

ლების კრილში, 16 ანგარიში შეუძლიათ გამოიყენონ სახალხო მეურნეობის სხვა დარგის საწარმოებშიც (ორგანიზაციებში) — ფაქტური თვითღირებულებისა და სააღრიცხვო ფასებს შორის სხვაობის ასახვისათვის (იხ. სსრკ ფინანსთა სამინისტროსა და სსრკ ცსს მიერ დამტკიცებული მეთოდური მითითებანი ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის შესახებ გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით).

ანგარიში 10 „სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

ღ ე ბ ი ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 18 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების (ივეთა
- 15 მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექენა
- 23 დამზარე წარმოებანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოკარგებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დახლევეით
- 70 ანგარიშსწორებანი სრობის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პიოებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასაბუჯეტო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 91 სპეციალური სახესხიო ანგარიში

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირეტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 15 მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექენა
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამზარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 29 მომსახერე წარმოებანი და მეურნეობანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 50 სალარო
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი

### III ბ ა ნ ა ყ ო ზ ი

#### წარმოების დანახარჯები

ამ განყოფში შეტანილია ანგარიშები განკუთვნილი ისეთი დანახარჯების აღრიცხვისათვის, რომელიც დაკავშირებულია საწარმოების (ორგანიზაციების) ძირითად საქმიანობასთან: სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება; სამშენებლო, სამონტაჟო, საპროექტო-საძიებო და გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების შესრულება; ყველა სახის ტრანსპორტის ექსპლუატაცია, სატრანსპორტო-საექსპედიციო და ტრანსპორტზე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების შესრულება; სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოს შესრულება;

სხვა სახეობის ძირითადი საწარმოო საქმიანობის განხორციელება, მათ შორის საზოგადოებრივი კვების საწარმოებში საკუთარი პროდუქციის გამოშვება.

განყოფი მოიცავს აგრეთვე ანგარიშებს, რომლებიც ასახავენ დამხმარე წარმოების დანახარჯებს ძირითადი საქმიანობის საჭიროებისათვის (ენერჯის გამომუშავება, სატრანსპორტო მომსახურება, ძირითადი საშუალებების რემონტი, ინსტრუმენტების დამზადება და სხვ.); აგრეთვე ანგარიშებს, რომლებიც განკუთვნილია მუშაკთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაკავშირებული დანახარჯების აღსარიცხავად (საბინაო-კომუნალური მომსახურება, საყოფაცხოვრებო მომსახურება, სკოლამდელ, გამაჯანსაღებელ და კულტურულ დაწესებულებათა შენახვა, დამხმარე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და სხვ.).

პროდუქციის წარმოების დანახარჯების და აღნიშნული მომსახურების აღრიცხვამ უნდა უზრუნველყოს:

აღრიცხვაში დროული, სრული და უტყუარი ასახვა ფაქტიური დანახარჯებისა, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციასთან, სამუშაოების შესრულებასა და მომსახურების გაწევასთან, აგრეთვე არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების, რომელიც დაშვებულია საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობის ცალკეულ უბნებზე;

კონტროლი ნედლეულის, მასალების, სათბობის და ჭერგის, ხელფასის ფონდის და სხვ. სწორად გამოყენებაზე, წარმოების მომსახურებისა და შმართველობის, დადგენილი ხარჯთაღრიცხვის დაცვაზე;

პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულების დასაბუთებული კალკულირება საანგარიშგებო კალკულაციების სწორად შედგენა;

თვითღირებულების მიხედვით გეგმების (დანახარჯების გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვის) შესრულების შემოწმება და დანახარჯების შემცირების რეზერვების გამოვლინება;

საამქროებისა და საწარმოების (ორგანიზაციების) სხვა ქვედანაყოფების პროდუქციის თვითღირებულების შედგენის გამოვლინება.

ამისათვის აუცილებელია წარმოების დანახარჯების და პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულების კალკულირების დაგეგმვისა და აღრიცხვის მაჩვენებლების ერთიანობის დაცვა, ამასთან გეგმასა და აღრიცხვაში გამოყენებული უნდა იქნეს წარმოებისა და ექსპლუატაციის ხარჯების ერთიანი ნომენკლატურა, სადაც ერთნაირი შინაარსი ექნება ძირითადი დანახარჯებისა და წარმოების მომსახურების და შმართველობის ხარჯებს, ზედნადები ხარჯების მუხლებს, გამოყენებული იქნება დანახარჯების დაჯგუფებისა და განაწილების ერთიანი პრინციპები, თვითღირებულების კალკულირების ერთიანი ობიექტები და ა. შ.

დანახარჯების აღრიცხვაში მთლიანად აისახება პროდუქციის გამოშვებასთან, სამუშაოების, მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და დანაკარგი, რომელიც მიეკუთვნება მოცემულ საანგარიშგებო პერიოდს.

საწარმოო დანახარჯები შეტანილი უნდა იქნეს იმ პერიოდის პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულებაში, რომელ პერიოდსაც ეს დანახარჯები ეკუთვნის, მიუხედავად მათი განადღების დროისა — წინასწარი (საიჯარო ქირა და ა. შ.). თუ შემდგომი (მუშების შევბულების დროის საზღაური, წელთა ნამსახურობისათვის გასამრჯელო და სხვ.).

ისეთი დანახარჯები, როგორცაა მიმდინარე რემონტის ხარჯები, სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების ღირებულება, სპეციალური ინსტრუმენტებისა და სამარჯვების ცვეთის ანაზღაურება და ა. შ., რომელთა მიმართ შეუძლებელია ზუსტად დადგენა, თუ რომელ საკალკულაციო პერიოდს ეკუთვნის, აგრეთვე სეზონური დარგების ცალკეულ სახეობათა ხარჯები შეიტანება წარმოების დანახარჯებში და პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულებაში სახარჯთაღრიცხვო-ნორმალისებული წესით, რაც დადგენილია დარგობრივი ინსტრუქციებით.

საწარმოო გაერთიანებებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოების დანახარჯების აღრიცხვის ცენტრალიზებული, ნაწილობრივ ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სისტემები. საწარმოო ერთეულებს ბუღალტერიებში, რომლებიც გამოყოფილნი არიან დამოუკიდებელ ბალანსზე და გამოყენებულია ნაწილობრივ ცენტრალიზებული სისტემა, დანახარჯების აღრიცხვა შეიძლება წარმოებდეს მუხლების შემოკლებული ნომენკლატურით. ამასთან ძხედველობაში მიიღება მმართველობის თავისებურება, წარმოების ორგანიზაცია, ტექნოლოგია, გეოგრაფიული ფაქტორი და სხვ.

#### ანგარიში 20 „ძირითადი წარმოება“

ამ ანგარიშზე აისახება ძირითადი წარმოების დანახარჯები ე. ი. იმ წარმოებისა, რომლის პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება) წარმოადგენს მოცემული საწარმოს (ორგანიზაციის) შექმნის მიზანს. ამ ანგარიშზე აღირიცხება დანახარჯები:

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პროდუქციის გამოშვების;

საიჯარო, გეოლოგიური და საპროექტო-საძიებო ორგანიზაციების მიერ, შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო, გეოლოგიურ-დაზვერვითი და საპროექტო-საძიებო სამუშაოების შესასრულებლად;

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ გაწეული მომსახურების; სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციების მიერ სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩასატარებლად;

საზოგადოებრივი კვების საწარმოების საკუთარი პროდუქციის (ნედლეულისა და მასალების ნაწილში) გამოსაშვებად;

საგზაო მეურნეობებისა — საავტომობილო გზების შენახვასა და რემონტზე.

20 ანგარიშის მონაცემებით განისაზღვრება გამოშვებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულება. ამ ანგარიშის დებეტში აისახება არა მარტო პირდაპირი დანახარჯები (დაკავშირებული უშუალოდ პროდუქციის გამოშვებასთან, სამუშაოებისა და მომსახურების შესრულებასთან), არამედ გარკვეულ ნაწილს დამხმარე წარმოების, წარმოების მომსახურებისა და მმართველობის ხარჯები, აგრეთვე წუნით გამოწვეული დანაკარგები, რომელიც წინასწარ აღირიცხება შესაბამისად ანგარიშებში — 23 „დამხმარე წარმოება“, 24 „მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები“, 25 „საერთო-საწარმოო ხარჯები“,



26 „საერთო-სამეურნეო ხარჯები“, 28 „წუნი წარმოებაში“. დასახელებულ ანგარიშებზე დაგროვილი ხარჯები გადირიცხება 20 ანგარიშზე, სამინისტროებისა და უწყებების დარგობრივი ინსტრუქციებით დადგენილი ვადებით და წესით.

20 ანგარიშის კრედიტში აისახება სათანადო ანგარიშებზე - ჩამოწერილი თანხები, რომელიც უნდა მიეკუთვნოს საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების ფაქტობრივ თვითღირებულებას, აგრეთვე ჩამოწერილი დანახარჯების თანხები, რაც პროდუქციის სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულებაში არ შეიტანება (დანახარჯები ახალ ტექნიკაზე, რომელიც მიეკუთვნება მისი დაფინანსების წყაროებს და სხვ.).

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში დანახარჯების აღრიცხვა წარმოებს პროდუქციის სამუშაოებისა და მომსახურების დაგეგმვის, აღრიცხვისა და თვითღირებულების კალკულირების მოქმედი წესების შესაბამისად.

### 1. სამრეწველო წარმოება

სამრეწველო საწარმოები 20 ანგარიშზე ასახავენ სამრეწველო ხასიათის ძირითადი წარმოების პროდუქციის დამზადებაზე, დამუშავებაზე, აწყობასა და გამოყვანაზე გაწეულ პირდაპირ ხარჯებს, წარმოების მომზადებისა და ათვისების ხარჯებს, დანარჩენ საწარმოო ხარჯებს, ასევე შესაბამის ანგარიშებში წინასწარ ასახულ წარმოების მომსახურებისა და მმართველობის ხარჯებს.

წარმოების დანახარჯების აღრიცხვა და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების კალკულირება უნდა განხორციელდეს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულირების შესახებ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ძირითადი დებულების შესაბამისად სამინისტროებისა და უწყებების მიერ შემუშავებული დარგობრივი ინსტრუქციებით.

წარმოების დანახარჯების ანალიზურმა აღრიცხვამ უნდა უზრუნველყოს ხარჯების განზოგადება მათი წარმოშობის ადგილის მიხედვით ცალკეულ ნაწარმთა, სამუშაოებისა და მომსახურების ან მათი ერთგვაროვანი ჯგუფების ჭრილში, ხოლო ამ ქვეჯგუფების შიგნით — ხარჯთა იმ მუხლების მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია ზემოხსენებულ დარგობრვ ინსტრუქციებში.

პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების ფაქტობრივი საწარ-

მოო თვიორებულეზა იანგარიშეზა წარმოების დანახარჯების ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე. 20 ანგარიშის მონაცემებით განსაზღვრული შუა პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების ფაქტობრივი საწარმოო თვითღირებულეზა ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახეზა გატარებით — კრედტი ანგარიში 20 და დებეტი ანგარიში 40 „შუა პროდუქცია“, ან 45 „გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურეზა“ (სამუშაოებისა და მომსახურების ნაწილში), ამ ანგარიშების განმარტებებში მითითებული წესის მიხედვით.

20 ანგარიშის „ძირითადი წარმოების“ ნაშთი თვის ბოლოს, წარმოების დანახარჯების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებით დადასტურებული, ასახავს დაუმთავრებელი სამრეწველო წარმოების დანახარჯების ოდენობას.

## 2. სასოფლო-სამეურნეო წარმოეზა

საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები 20 ანგარიშზე ასახევენ დანახარჯებს მემცენარეობაზე, მეცხოველეობაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავეზასა და სხვადასხვა სამრეწველო პროდუქციის გამოშვეზაზე.

სხვა დარგის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ დამხარე სოფლის მეურნეობა, მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს ასახევენ 29 ანგარიშზე — „მომსახურე წარმოეზანი და მეურნეობანი“ (იხ. ამ ანგარიშის განმარტეზა).

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დანახარჯების აღრიცხვა საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ხდეზა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვიორებულეზის დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულირების შესახებ სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ძირითადი დებულეზით გათვალისწინებული წესით.

20 ანგარიშზე დანახარჯები მემცენარეობაზე, მეცხოველეობაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავეზაზე, სამრეწველო წარმოეზაზე აისახეზა თითოეულისათვის ცალ-ცალკე გახსნილ სუბანგარიშებში.

სუბანგარიში „მემცენარეობა“ განკუთვნილია მიწათმოქმედების ცალკეული დარგების დანახარჯების აღსარიცხავად ნერგების გამოზრდის (სანერგეების) და მებალეობის ჩათვლით. ამავე სუბანგარიშზე აისახეზა მომავალი წლების მოსავლის დანახარჯებიც. შესაბამისად, ქვეანგარიშის მონაცემები გამოიყენეზა საანგარიშგებო წლის მოსავლის პროდუქ-

ციისა და მომავალი წლების მოსავლისათვის შესრულებული სამუშაოების თვითღირებულების განსაზღვრისათვის.

მემცენარეობის პროდუქციის გამოსავლიანობაში შედის არა მარტო ძირითადი (რომლის მისაღებადაც მოეწყო წარმოება), არამედ თანამდევნი პროდუქციაც, რომელიც მიიღება ძირითად პროდუქციასთან ერთად.

მემცენარეობის მიმდინარე წლის მოსავლისათვის დანახარჯების ანალიზური აღრიცხვა ეწყობა შესაბამისი დარგებისა და კულტურების (ერთგვაროვან კულტურათა ჯგუფების) მიხედვით, კალკულაციით დადგენილი მუხლების ჭრილში.

დანახარჯები მომავალი წლების მოსავლისათვის განიხილება, როგორც დაუმთავრებელი წარმოება და აღირიცხება წესით, რომელიც უზრუნველყოფს კონტროლს გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს მოცულობის შესრულებასა და წარმოების დანახარჯების დონეზე. მომავალი წლების მოსავლის დანახარჯებს (დაუმთავრებელი წარმოება) მიეკუთვნება: საშემოდგომო მარცვლეული კულტურების თესვის, ანეულის აოშვის, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანის, მრავალწლიანი ბალახის თესვის, ახალი მიწების ათვისების, კულტურული საძოვრების, თოვლშეკავების (IV კვარტალში) და სხვ. დანახარჯები.

მსმზობიარე ხილის ნარგავების მოვლის ხარჯები მოსავლის აღების შემდეგ დაუმთავრებელ წარმოებაში კი არ შეიტანება, არამედ მიეკუთვნება საანგარიშგებო წელს მიღებული პროდუქციის თვითღირებულებას.

სუბანგარიში „მეცხოველეობა“ გათვალისწინებულია მეცხოველეობის ცალკეული დარგების (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მეღორეობა, ნადირთმოშენება და ა. შ.) დანახარჯების აღსარიცხავად. ამ სუბანგარიშის მონაცემები გამოიყენება მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისათვის.

მეცხოველეობის პროდუქციის გამოსავლიანობაში შედის არა მარტო ძირითადი პროდუქცია (რომლის მისაღებადაც მოეწყო წარმოება), არამედ თანამდევნი პროდუქციაც, რომელიც მიიღება ძირითადთან ერთად.

მეცხოველეობის დანახარჯების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს დარგების, პირუტყვის სახეების ან ჯგუფების ჭრილში და შესაბამისად დადგენილი მუხლების მიხედვით.

სუბანგარიში „სამრეწველო წარმოება“ ემსახურება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების დანახარჯების აღრიცხვას (რძის დამუშავება, მეღვინეობის, ბოსტნეულისა და ხილის დაკონსერვების, პირუტყვისა და ფრინველის დაკვლის და ა. შ.), აგრეთვე სხვადასხვა პროდუქციის, სამშენებლო მასალების, წვრილი ინვენტარის სამრეწველო წარმოების დანახარჯების აღრიცხვას (სააღალო-სასარაჯო, სა-

დურგლო ნაკეთობის, ხე-ტყის სახერხის, აგურისა და კრამიტის წარმოების და ა. შ.). ამ სუბანგარიშზე აისახება საკვების წარმოების დანახარჯები.

სამრეწველო წარმოების ხარჯების ანალიზური აღრიცხვის ორგანიზაცია ეწყობა წარმოების სახეების მიხედვით, ხოლო თითოეული შათგანის ფარგლებში — პროდუქციის ან გადამუშავების სახეებისა (ერთგვაროვანი ჯგუფებისა) და გეგმური და საანგარიშგებო კალკულაციებით გათვალისწინებულ დანახარჯთა მუხლების მიხედვით.

მემცენარეობასთან, მეცხოველეობასთან ონ სამრეწველო წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული საკალკულაციო ობიექტების პირდაპირი ხარჯები აისახება 20 ანგარიშზე პირველადი დოკუმენტების საფუძველზე. არაპირდაპირ ხარჯები, რომელიც წინასწარ აღრიცხულია 24, 25, 26 ანგარიშზე, გადაირიცხება 20 ანგარიშის დებეტში (სათანადო წარმოების ხვედრი) და წარმოებიდან გამოშვებული პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულების განსაზღვრისას საკალკულაციო ობიექტებს შორის ნაწილდება დადგენილი წესით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების (მემცენარეობისა და მეცხოველეობის) პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულების კალკულაციის შედგენა წარმოებს წლის ბოლოს. წლის განმავლობაში წარმოებიდან მიღებული პროდუქცია შემოსავალში აიღება საწარმოო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებული გეგმური თვითღირებულებით.

საანგარიშგებო წლის ბოლოს, როცა განისაზღვრება ძირითადი და თანამდევი პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულება, განსხვავება გეგმურ და ფაქტობრივ თვითღირებულებას შორის ჩამოიწერება იმავე ანგარიშებზე, რომლებზედაც წლის განმავლობაში ძირითადი და თანამდევი პროდუქციის გეგმური თვითღირებულება აისახა საანგარიშგებო წელს საშემოდგომო კულტურების დასათესად დახარჯული საკუთარი წარმოების თესლი, აღრიცხული დაუმთავრებელ წარმოებაში, ფასდება ფაქტობრივი თვითღირებულებით.

მემცენარეობიდან და მეცხოველეობიდან მიღებულ ძირითად და თანამდევ პროდუქციას, აგრეთვე გადამუშავებიდან მიღებულ პროდუქციას, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები აღრიცხავენ 40 ანგარიშზე „მზა პროდუქცია“, პროდუქცია, რომელიც გათვალისწინებულია შიდამოხმარებისათვის, შემოსავალში აიღება უშუალოდ 05 ანგარიშის „მასალების“, 10 ანგარიშის „თესლი და საკვები“ და სხვ. შესაბამის სუბანგარიშებში.

20 ანგარიშით სარგებლობენ მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებში და სახლთმშენებელი კომბინატები, რომლებიც ამ ანგარიშის დებეტში აღრიცხავენ მენაშენებლისათვის (შემკვეთებისათვის) განხორციელებულ და მშენებლობის დაფინანსების წესების შესაბამისად ჩაბარებულ მშენებლობადამთავრებული ობიექტების ან სამუშაოთა ძირითადი სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს. მექანიზაციის სამმართველოები (სპეციალიზებული მანქანათმშენებელი ბაზები) ამ ანგარიშზე ასახავენ სუბსაიჯარო ხელშეკრულების მიხედვით შესრულებულ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებზე გაწეულ დანახარჯებს.

დასახელებული ორგანიზაციები, კომბინატები და სამმართველოებში აღნიშნულ ანგარიშზე აღრიცხავენ, აგრეთვე საკუთარი საჭიროებისათვის კაპიტალური დაბანდების ხაზით განხორციელებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე და შენობებისა და ნაგებობათა კაპიტალური რემონტზე გაწეულ დანახარჯებს.

სახლთმშენებელი კომბინატები სამშენებლო დეტალებისა და კონსტრუქციების წარმოების ხარჯებს აღრიცხავენ 23 ანგარიშზე „დამხმარე წარმოებანი“ (იხ. ამ ანგარიშის განმარტება).

მენაშენები, რომლებიც სამეურნეო წესით ანხორციელებენ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებს, 20 ანგარიშით არ სარგებლობენ, ეს ორგანიზაციები ამ სამუშაოების დანახარჯებს აღრიცხავენ 33 ანგარიშზე „კაპიტალური დაბანდება“.

დანახარჯები სარეზერვო და სამონტაჟო სამუშაოებზე აისახება ცალკე სუბანგარიშებზე: „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, შესრულებული საკუთარი ძალებით“ და „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე შესრულებული სუბმოიჯარე ორგანიზაციების მიერ“.

ზემოაღიარებული ყველა სუბანგარიშის აღრიცხვა წარმოებს სამუშაოთა დადგენილი სახეების მიხედვით (სამშენებლო სამუშაოთა წარმოება ფოლადის კონსტრუქციის სამონტაჟო სამუშაოთა ჩათვლით, სამუშაოთა წარმოება მოწყობილობათა მონტაჟისათვის და სხვ.).

აღნიშნულ სამუშაოთა წარმოების ხარჯების აღრიცხვა ეწყობა სსრკავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციებით გათვალისწინებული წესების მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია სსრკ სახ. საგეგმო კომიტეტის, სსრკ სახმშენის, სსრკ ფინანსთა სამინისტროს და სსრკ ცსს მიერ დამტკიცებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების დაგეგმვისა და აღრიცხვის ძირითადი დებულებებისა და მშენებლობის დაფინანსების დადგენილი წესების შესაბამისად.

პირდაპირი დანახარჯების ანალიზური აღრიცხვა ეწყობა მშენებლობის ან მოწყობილობის მონტაჟის თითოეული საკალკულაციო ობიექტის (ობიექტების ერთგვაროვანი ჯგუფების) მიხედვით.

მანქანებისა და მექანიზმების შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები და ზედნადები ხარჯები, რომელიც წინასწარ 24 და 26 ანგარიშებზეა აღრიცხული (ძირითადი წარმოების ხვედრი ნაწილი) ყოველთვიურად გადაირიცხება 20 ანგარიშზე. სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ცალკეულ საკალკულაციო ობიექტებზე ეს ხარჯები ნაწილდება ზემოთ მითითებული ნორმატიული დოკუმენტების დადგენილი წესის მიხედვით.

გენერალურ მოიჯარესთან სუბმოიჯარე ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაოების დანახარჯები აღირიცხება 20 ანგარიშზე, სადაც გროვდება ამ ობიექტზე გაწეული ყველა დანახარჯი (როგორც დაუშთავრებელი წარმოება). სამუშაოთა მთლიანად დამთავრებამდე და დამთავრებული სამშენებლო ობიექტის (ან სამუშაოს) შემკვეთისათვის ჩაბარებამდე. თავის მხრივ სუბმოიჯარე ორგანიზაციაც შესრულებულ სამუშაოთა დანახარჯებს აღრიცხავს 20 ანგარიშზე — გენერალური მოიჯარისათვის სპეციალურ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა კომპლექსის ჩაბარებამდე.

სამშენებლო ობიექტის სამუშაოთა მთლიანად დამთავრების, დადგენილი წესით შემკვეთისათვის ჩაბარების და ბანკის მიერ გასანაღდებად ანგარიშების მიღების შემდეგ მოცემულ ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯები, რომელიც განისაზღვრება 20 ანგარიშის დებეტში ასახული თანხების მიხედვით, ჩამოიწერება 46 ანგარიშის „რეალიზაციის“ დებეტში, სუბანგარიში „სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ჩაბარება“. 46 ანგარიშის კრედიტში 61 და 62 ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით აისახება შემკვეთისაგან მისაღები შესრულებული სამუშაოს თანხა და აგრეთვე მიღებული კომპენსაციის თანხა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ზევით; 79 ანგარიშის „შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი“ დებეტით — საკუთარი საჭიროებისათვის კაპიტალური დაბანდების წესით შესრულებულ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება; 03 ანგარიშის „კაპიტალური რემონტის“ დებეტით საკუთარ შენობა-ნაგებობათა დამთავრებული კაპიტალური რემონტის ფაქტობრივი თვითღირებულება და ა. შ.

საკუთარი საჭიროებისათვის კაპიტალური დაბანდების წესით განხორციელებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დანახარჯები, შესრულებული მშენებლობის დაფინანსების წესების დარღვევით, 20 ანგარიშის დაუშთავრებელი წარმოების შემადგენლობაში არ დარჩება და არც გეგმის შესრულებაში შეიტანება. ასეთი დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, 46 ანგარიშის გვერდის ავლით გადაირიცხ-

ზება 79 ანგარიშზე „შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი“. ამ სამუშაოთა ფაქტობრივ თვითღირებულებასა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას შორის განსხვავება ჩამოიწერება 46 ანგარიშზე და შესაბამისად გავლენას ახდენს სამუშაოთა ჩაბარების საერთო შედეგებზე.

79 ანგარიშზე მიკუთვნებული კაპიტალურ დაბანდებათა თანხები აღრიცხვაში ერთდროულად აისახება 33 — 3 ქვეანგარიშზე — „დაუგეგმავი კაპიტალური დაბანდებანი“.

#### 4. საპროექტო და საძიებო სამუშაოების წარმოება

საპროექტო და საძიებო ორგანიზაციები 20 ანგარიშზე აღრიცხავენ მათი ძირითადი საქმიანობისათვის დამახასიათებელ სამუშაოთა წარმოების დანახარჯებს. წარმოების დანახარჯების აღრიცხვა საპროექტო და საძიებო სამუშაოებზე უნდა ხორციელდებოდეს სსკ სახმშენისა და სსკ მშენბანკის მიერ დამტკიცებული მშენებლობისათვის საპროექტო და საძიებო სამუშაოთა პირდაპირი დანახარჯებისა და ზედნადები ხარჯების ნომენკლატურის შესაბამისად.

საპროექტო და საძიებო სამუშაოების დანახარჯების აღრიცხვა წარმოებს საწარმოთა მშენებლობის, გასაშვები კომპლექსების, რიგისა და ობიექტების მიხედვით პროექტებისა და საძიებო სამუშაოთა ჭრილში.

პირდაპირი ხარჯები, რომლის გარკვეული პროცენტისათვის (საპროექტო ორგანიზაციის ობიექტისათვის) მიკუთვნება გაძნელებულია, აისახება ცალკეული პროექტების თვითღირებულებაში საწარმოო პერსონალის ძირითადი ხელფასის პროპორციულად. 26 ანგარიშზე — „საერთო სამეურნეო ხარჯები“, წინასწარ დაგროვილი ზედნადები ხარჯები ობიექტების მიხედვით ყოველთვიურად ნაწილდება პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად.

ანგარიშსწორება შემკვეთსა და საპროექტო-საძიებო ორგანიზაციებს შორის მთლიანად დამთავრებული და შემკვეთის მიერ მიღებული საპროექტო პროდუქციისათვის, წარმოებს სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით საპროექტო პროდუქციის მიღების აქტის საფუძველზე. მიღების აქტი საპროექტო პროდუქციაზე დაერთება ანგარიშს — საგადასახდელო მოთხოვნა. ბანკის მიერ გასანაღდებლად მიღებული ანგარიშ-გადახდის მოთხოვნის საფუძველზე შემკვეთზე ჩაბარებულ საპროექტო პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულება, ჩამოიწერება 20 „ძირითადი წარმოების“ ანგარიშიდან 45 ანგარიშის დებეტში — „გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება“.

საპროექტო პროდუქცია საპროექტო-საძიებო ორგანიზაციის ბალანსზე ირიცხება შემკვეთისაგან სახსრების მიღებამდე. შემკვეთისაგან თანხის მიღებისას საპროექტო პროდუქციის ღირებულების განაღ-

დებაზე დებეტდება ანგარიში, რომელზედაც მიღებულ იქნა ფულადი სახსრები და დაკრედიტდება 46 ანგარიში-რეალიზაცია. ფაქტობრივითვითლირებულება განადღებული საპროექტო პროდუქციისა ჩამოიწერება 45 ანგარიშიდან 46 ანგარიშის დებეტში.

### 5. გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოთა წარმოება

20 ანგარიშზე აღრიცხავენ გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოთა წარმოების დანახარჯებს ის ორგანიზაციები, რომლებისთვისაც აღნიშნული სამუშაოები ითვლება ძირითად საქმიანობად, აგრეთვე სამრეწველო და სხვა საწარმოები (ორგანიზაციები), რომლებიც ახორციელებენ ასეთ სამუშაოებს თავიანთი გეოლოგიური სამსახურის მეშვეობით.

საკუთარი საჭიროებისათვის კაპიტალური დაბანდების წესით განხორციელებული გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოთა დანახარჯებო აღრიცხება ამ საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ 33 ანგარიშზე „კაპიტალური დაბანდებები“. შემკვეთებთან (ტიტულმფლობელებთან) გეოლოგიური ორგანიზაციების მიერ მათთვის შესრულებული სამუშაოები აღრიცხება, აგრეთვე 20 ანგარიშზე მათი მოცულობის განადღების მიხედვით (ცალკე პოზიციით).

გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოთა წარმოების დანახარჯები 20 ანგარიშზე აღრიცხება ცალ-ცალკე შემდეგი სუბანგარიშების მიხედვით: „სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე დაფინანსებული გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოები“, და „შემკვეთებთან ხელშეკრულებით შესრულებული გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოები“.

გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოთა წარმოების დანახარჯების აღრიცხვა ხორციელდება სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს მიერ გამოცემული გეოლოგიურ ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის მითითებების შესაბამისად.

20 ანგარიშზე წარმოების დანახარჯები აისახება სამუშაოთა თითოეული ობიექტის მიხედვით ცალ-ცალკე, მათზე შედგენილი ცალკე ხარჯთაღრიცხვით (მათ შორის გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული დროებითი შენობებისა და ნაგებობის მშენებლობა), ხოლო ობიექტის შიგნით — სამუშაოთა სახეებისათვის დადგენილი საკალკულაციო ნომენკლატურისა და ხარჯთა მუხლების მიხედვით. როცა ერთ ობიექტზე გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოებს ასრულებს რამდენიმე პარტია, დანახარჯებს აღრიცხვა წარმოებს ცალ-ცალკე თითოეული პარტიის მიხედვით, შემდგომში მთელი ობიექტების გაერთიანებით.

პირდაპირი დანახარჯები, რომლებიც კონკრეტულ საკალკულაციო ობიექტს (სამუშაოს სახეს) მიეკუთვნება, შეიტანება უშუალოდ მის



თვითღირებულებაში. პირდაპირი ხარჯები, რომელთა უშუალოდ მიკუთვნება ამა თუ იმ ობიექტისათვის ძნელია, საკალკულაციო ობიექტებზე ნაწილდება სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პროპორციულად.

26 ანგარიშზე წინასწარ დაგროვილი ზედნადები ხარჯები, ყოველთვიურად გადაირიცხება 20 ანგარიშზე. ცალკეულ ობიექტებსა და სამუშაოთა სახეებს შორის ზედნადები ხარჯები ნაწილდება პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად.

შესრულებული გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოები ფორმდება აქტებით, რომლის საფუძველზე გამოიწერება ანგარიში დამფინანსებელ ბანკში წარსადგენად. გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების დაფინანსებისა და დაკრედიტების ინსტრუქციის თანახმად, აქტები დგება საობიექტო გეგმით გათვალისწინებული გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა თითოეული ობიექტის მიხედვით.

აქტებით გაფორმებული სამუშაოების ფაქტობრივი თვითღირებულება, საანგარიშსწორებო დოკუმენტების ბანკში ჩაბარების შემდეგ 20 ანგარიშიდან გადაირიცხება ანგარიშის „რეალიზაციის“ დებეტში. ამონაგები სამუშაოების ჩაბარებიდან აისახება 46 ანგარიშის კრედიტში, 62 ანგარიშის „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან“ დებეტთან კორესპონდენციით — შემკვეთებისათვის ხელშეკრულებებით შესრულებული სამუშაოებით; დებეტით ანგარიში 96 „მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი“ — ბიუჯეტის საოპერაციო სახსრებით შესრულებული სამუშაოების თანხით, აგრეთვე დებეტით ანგარიში 78 „შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით“ — ზემდგომი ორგანიზაციების სახსრების ანგარიშში.

## 6. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ექსპლუატაციის ხარჯები

20 ანგარიშზე აღირიცხება რკინიგზის, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტის, საზღვაო და სამდინარო ფლოტის, აგრეთვე კავშირგაბმულობის საწარმოების (ორგანიზაციებს) ექსპლუატაციის ხარჯები. სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოთა (ორგანიზაციათა) ბალანსზე მყოფი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა ექსპლუატაციის ხარჯები აისახება 23 ანგარიშზე — „დამხმარე წარმოება“.

მოკავშირე რესპუბლიკების საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროების (მთავარ სამმართველოების). საგზაო მეურნეობები საკუთარი საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯებს, მიუხედავად იმისა, გამოყოფილია თუ არა ავტოტრანსპორტი დამოუკიდებელ ქვედანაყოფად, აღრიცხავენ 20 ანგარიშზე.

20 ანგარიშზე დანახარჯები აღირიცხება იმ სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციებით დადგენილი წესით, რომელ სისტემაშიც

შედიან შესაბამისი საწარმოები (ორგანიზაციები) და მეურნეობები (გზათა სამინისტრო, საზღვაო ფლოტის სამინისტრო და სხვ.). სამრეწველო და სხვა სამინისტროების (უწყებების), სისტემაში შემავალი საწარმოები (ორგანიზაციები), რომლებიც ეწევიან ტრანსპორტის ან კავშირგაბმულობის საშუალებათა ექსპლუატაციას, შეიმუშავენ სპეციალიზებულ სამინისტროთა ინსტრუქციებიდან გამომდინარე სათანადო ინსტრუქციებს აღნიშნული საწარმოებისათვის (ორგანიზაციებისათვის), მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ძირითადი საქმიანობის დანახარჯების აღრიცხვამ უნდა უზრუნველყოს ჩატარებული მუშაობისა და მომსახურების სრული თვითღირებულების გამოვლინება თითოეული სახეობის მიხედვით.

სხვა ორგანიზაციების სატვირთო ავტომანქანების ცარიელი გარბენის გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯები გამოყოფილად აღირიცხება 20 ანგარიშზე.

დამოუკიდებელი საწარმოს მნიშვნელობის ავტომეურნეობებში საექსპლუატაციო ხარჯების აღრიცხვის მეთოდის კადასტრის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული ხარჯების ინსტრუქციის შემუშავებისას საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული შემდეგი:

სატვირთო და სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯები აღირიცხება ცალ-ცალკე სახეობისა და მომსახურების ანგარიშსწორების სისტემის მიხედვით (სათომბრივი ტარიფი თითოეულ ტონაზე და ა. შ.).

ავტომანქანის სალტეები, საბურავებისა და კამერების ცვეთის და რემონტის რეზერვი მიეკუთვნება საექსპლუატაციო ხარჯებს, როგორც პირდაპირი დანახარჯები და 20 ანგარიშზე გამოიყოფა ცალკე საკალკულაციო მუხლად — „ავტომობილების სალტეების ცვეთა და რემონტი“. ამასთან, გარდა მითითებული რეზერვის (ანარიცხების) თანხისა, ამ მუხლს მიეკუთვნება ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ავტომანქანების ბორბლებზე სალტეების დაყენებასთან; გზაში რეზინის რემონტზე დახარჯული მასალების ღირებულება და, აგრეთვე, გადახრები სანაგარიშგებო პერიოდში დახარჯული რეზინის გეგმურ (საპრეისკურანტო) ფასებისაგან; ამასვე მიეკუთვნება პრემიების თანხა, რომელიც დარიცხულია მძღოლებისა და ავტოსაწარმოს სხვა მუშაკების მიერ მანქანის სალტეების ნორმაზე მეტი გარბენისათვის, თანახმად მოქმედი დებულებისა.

სატრანსპორტო საწარმოები (ორგანიზაციები), რომლებიც ახორციელებენ საექსპედიციო და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებს, მისი შესრულების დანახარჯებს აღრიცხავენ, აგრეთვე 20 ანგარიშზე (ცალკე სუბანგარიშზე).

კავშირგაბმულობის საწარმოებში 20 ანგარიშზე აღირიცხება კავშირგაბმულობის საშუალებების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. 20 ანგარიშის დებეტში აისახება პირდაპირ ხარჯები (ექსპლუატაციაზე მომუშავე მუშაკთა ხელფასი, მასალებისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯები, საწარმოო მოწყობილობის შენახვასა და მიმდინარე რემონტზე, საწარმოო დანიშნულების ელექტროენერჯის ხარჯვა და სხვ.). არაპირდაპირი ხარჯები წინასწარ აღირიცხება 26 ანგარიშზე „საერთო-სამეურნეო ხარჯები“ და ყოველთვიურად ჩამოიწერება 20 ანგარიშზე. 20 ანგარიშის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს მომსახურების სახეების მიხედვით (საფოსტო, სატელეგრაფო, სატელეფონო კავშირი).

## 7. სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოთა წარმოება

სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები 20 ანგარიშზე აღრიცხავენ ძირითადი საქმიანობის სამეურნეო ანგარიშის წესით განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ და სხვა სამუშაოთა წარმოების დანახარჯებს. აღნიშნულ სამუშაოთა წარმოების დანახარჯები 20 ანგარიშზე აისახება გამოყოფილად შემდეგი სუბანგარიშების მიხედვით: „სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები დაფინანსებული მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდიდან ან დარგის ცენტრალიზებული წყაროების სახსრებიდან“, „სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები, შესრულებული თავისივე სამინისტროს შემკვეთებთან დადებული ხელშეკრულებებით“, „სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები შესრულებული სხვა სამინისტროების შემკვეთებთან დადებული ხელშეკრულებებით“, „სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები დაფინანსებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან“.

იმ შემთხვევაში, როცა სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, სამეცნიერო-კვლევითი და ტექნოლოგიური სამუშაოების გარდა, ასრულებენ საპროექტო, საძიებო ან გეოლოგიურ-დაზვერვით სამუშაოებსაც, დანახარჯები ასეთ სამუშაოებზე სააღრიცხვო რეგისტრებში აღირიცხება ცალკე სუბანგარიშების მიხედვით სათანადო სახის სამუშაოთა დანახარჯების აღრიცხვის გათვალისწინებით.

სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური სამუშაოების წარმოების დანახარჯების აღრიცხვა ხდება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დანახარჯების დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულირების შესახებ სსრკ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრკ სახელმწი-

ფო საგეგმო კომიტეტის, სსრკ ფინანსთა სამინისტროს და სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ძირითადი დებულების შესაბამისად.

დანახარჯები წარმოებაზე აღირიცხება 20 ანგარიშზე თითოეული სამეცნიერო-კვლევითი ან საკონსტრუქტორო თემის (შეკვეთის) მიხედვით. თემებსა და ობიექტების ფარგლებში სამუშაოთა აღირიცხვა წარმოებს დანახარჯთა დადგენილი მუხლების მიხედვით. პირდაპირი დანახარჯები (სამუშაოს წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული) პირველადი დოკუმენტების მონაცემების საფუძველზე თემებს მიეკუთვნება პირდაპირი ნიშნით.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეული პირდაპირი ხარჯები ერთდროულად კავშირშია სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და სხვა სამუშაოთა ორ ან მეტი თემის (შეკვეთის) შესრულებასთან და ცალკეული თემისადმი (შეკვეთისადმი) პირდაპირი ნიშნით ხარჯის მიეკუთვნება გააწელებულია, მაშინ ასეთი ხარჯები აღირიცხება 20 ანგარიშზე გამოყოფილად (როგორც მთელი ორგანიზაციის პირდაპირი ხარჯი) და სამუშაოს ცალკეული თემის (სამუშაოს ობიექტის) თვითღირებულების განსაზღვრისას შეიტანება დანახარჯებში მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პროპორციულად, ზედნადები ხარჯებისა და გარეშე ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ შესრულებული სამუშაოების გარეშე.

კონკრეტული თემისათვის სპეციალური მოწყობილობის დასამზადებლად საკუთარი ლაბორატორიების ან საცდელი ქარხნების მიერ, რომლებიც დამოუკიდებელ ბალანსზე არ არიან გამოყოფილი, მოცემული დანახარჯები განიხილება, როგორც სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დამოუკიდებელი ეტაპი.

წინასწარ დაგროვილი ზედნადები ხარჯები 26 „საერთო-სამეურნეო ხარჯების“ ანგარიშზე, ყოველთვიურად ჩამოიწერება 20 ანგარიშზე და ნაწილდება სათანადო სუბანგარიშებისა და თემების (ობიექტების) მიხედვით საწარმოო პერსონალის ძირითადი ხელფასის პროპორციულად, სამუშაოთა ცალკეული თემების (შეკვეთების) მიხედვით.

20 ანგარიშზე აღირიცხული სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების დანახარჯები ჩამოიწერება ამ სამუშაოთა დამთავრებისას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ან სამუშაოთა შეწყვეტისას — თანახმად შემკვეთის განკარგულებისა.

შემკვეთებთან ანგარიშსწორებისას სამეურნეო ხელშეკრულების თემატიკაზე წარდგენილი თანხა შუალედური ანგარიშების შესრულებული სამუშაოს მზადყოფნის მიხედვით აღირიცხვაში აისახება როგორც ავანსი 61 ანგარიშის კრედტში „ანგარიშსწორებანი ავანსით“ 45 ანგარიშთან კორესპონდენტით — „გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება“. ამ თანხების განაღდებისას ანგარიში

45 კრედიტდება 51 „ანგარიშსწორების ანგარიშის“ ან სხვა ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით.

მთლიანად დამთავრებული თემის (ობიექტის) ან შემკვეთის განკარგულებით შეწყვეტილ სამუშაოზე ანგარიშის წარდგენისას და ბანკის მიერ გასანაღდებლად მიღებისას, დამთავრებული და შემკვეთის მიერ მიღებული სამუშაოს ფაქტობრივი თვითღირებულება ჩამოიწერება 20 ანგარიშიდან 46 „რეალიზაციის“ ანგარიშის დებეტში.

ერთდროულად შემკვეთისათვის ჩაბარებული სამუშაოს ფაქტობრივი თვითღირებულების 46 ანგარიშის დებეტში ასახვისთანავე, ამავე სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო (სახელშეკრულებო) ღირებულება (თანახმად ბანკის მიერ გასანაღდებლად მიღებული ანგარიშისა) აისახება 46 ანგარიშის კრედიტში 61 ანგარიშთან კორესპონდენციით.

სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების დანახარჯები, რომლებიც შესრულებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ანგარიშზე, ჩამოიწერება 20 ანგარიშიდან მისი დამთავრების ან მუშაობის შეწყვეტისას — 96 „მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლის“ ანგარიშის დებეტში.

დარგის ცენტრალიზებული წყაროების ანგარიშში (მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდი) შესრულებულ სამუშაოთა ფაქტობრივი თვითღირებულება ჩამოიწერება სამუშაოების განაღდების კვალობაზე 20 ანგარიშის კრედიტიდან 46 ანგარიშის დებეტში და ერთდროულად 46 ანგარიშის კრედიტიდან 88 ანგარიშის — „სპეციალური დანიშნულების ფონდები“, ან 96 ანგარიშის — „მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავლის“ დებეტში.

მთლიანად დამთავრებული და შემკვეთის მიერ მიღებული სამუშაოების მიხედვით ანგარიშსწორებისას, იმ ანგარიშებზე, რომლებიც ბანკის მიერ მიღებულია გასანაღდებლად, ფაქტობრივი დანახარჯები ჩამოიწერება 20 ანგარიშიდან 45 ანგარიშის დებეტში, ხოლო შემკვეთის მიერ სამუშაოთა განაღდებისას; ფაქტობრივი დანახარჯები ჩამოიწერება 45 ანგარიშიდან 46 „რეალიზაციის“ ანგარიშის კრედიტში.

განაღდებული ანგარიშების თანხა აისახება 46 ანგარიშის კრედიტში და 51 ან 88 ანგარიშების დებეტში.

## 8. საზოგადოებრივი კვება

საზოგადოებრივი კვების საწარმოებში 20 ანგარიშზე აღირიცხება სამზარეულოში მიღებული ნედლეულის ღირებულება გამგის ანგარიშქვეშ. ამ ანგარიშზე აღირიცხება მხოლოდ ნედლეულის დანახარჯები. 20 ანგარიშის დებეტში აისახება სამზარეულოში მიღებული ნედლეულის სააღრიცხვო ღირებულება, ხოლო კრედიტში — გაყიდულ კერძების დამზადებაზე დახარჯული ნედლეულის ღირებულება (სააღრიცხვო ფა-

სებით). ამ ანგარიშის საღლო გვიჩვენებს დაუმუშავებელი ნედლეულის, აგრეთვე ნახევარფაბრიკატებზე და არარეალიზებულ მზა ნაწარმზე დახარჯული ნედლეულის ღირებულებას.

საქმლის დამზადებისა და პროდუქციის რეალიზაციის ხარჯები საზოგადოებრივი კვების საწარმოებში აღირიცხება 44 „მიმოქცევის ხარჯების“ ანგარიშზე.

### 9. საავტომობილო გზების შენახვა და რემონტი

მოკავშირე რესპუბლიკების საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროების (მთავარი სამმართველოების) საგზაო მეურნეობებში 20 ანგარიშზე აღირიცხება საავტომობილო გზების შენახვისა და რემონტის საექსპლუატაციო ხარჯები. ასეთ დანახარჯებს მიეკუთვნება გზების კაპიტალური, საშუალო და მიმდინარე რემონტი, საგზაო სამმართველოების შენახვა, ხარჯები გზების შენახვასა (მათ შორის ზამთარში) და გამწვანებაზე, საგზაო-საექსპლუატაციო უბნების, სახაზო სამსახურისა და სხვ. ხარჯები.

გზების კაპიტალური რემონტის ან მათი მშენებლობის დანახარჯების ანალიზურ აღირიცხვას ყველა საგზაო მეურნეობა აწარმოებს თითოეული ტიტულის ან ობიექტის მიხედვით, რომლებზედაც შედგენილია დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვა, გარდა იმ ობიექტებისა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატება 10 ათას მანეთს კაპიტალური რემონტისას და 50 ათას მანეთს — მშენებლობის წარმოებისას. ასეთი ობიექტების ხარჯების აღრიცხვა ეწყობა მთლიანად მათი ჯგუფების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, თითოეული ობიექტის ფაქტობრივი თვითღირებულება განისაზღვრება მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პროპორციულად.

20 ანგარიშზე აღრიცხული დანახარჯები, დადგენილი წესით, ჩამოიწერება დაფინანსების შესაბამისი წყაროების ანგარიშზე და აისახება 96 ანგარიშზე „მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი“.

სხვა სახის ძირითადი წარმოების დანახარჯების აღრიცხვა ხორციელდება სათანადო წესით დამტკიცებული დარგობრივი ინსტრუქციების შესაბამისად.

ანგარიში 20 „ძირითადი წარმოება“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

ღ ე ბ ე ტ ი თ

ქ რ ე ღ ი ტ ი თ

05 მასალები  
06 სათბობი  
08 სათარაღიგო ნაწილები  
09 პირუტყვი გასუქებაზე და გამოკვებაზე

05 მასალები  
06 სათბობი  
08 სათარაღიგო ნაწილები  
09 პირუტყვი გასუქებაზე და გამოკვებაზე

- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადა საგნები
- 13 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადა საგნების ცვითა
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წყნი წარმოებაში
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 40 მზა პროდუქცია
- 41 საქონელი
- 42 სააპრო ღარიცხვა და ბრუნვის გადასახადი
- 46 რეალიზაცია
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკებში
- 66 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჭარებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასაეწეებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 85 საწესდებო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადა საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები
- 28 წყნი წარმოებაში
- 40 მზა პროდუქცია
- 41 საქონელი
- 45 გაზხავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მონახურება
- 46 რეალიზაცია
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 85 საეკონომიკური დანიშნულების ფონდები
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

ეს ანგარიში განკუთვნილია საკუთარი სამრეწველო წარმოების ნახევარფაბრიკატების მოძრაობის ასახვისათვის. 21 ანგარიშს სამრეწველო გაერთიანებები იყენებენ გაერთიანებაში ნახევარფაბრიკატების მოძრაობის აღრიცხვისათვის (სამრეწველო ერთეულებს შორის, რომლებიც იმყოფებიან ცალკე ბალანსზე), აგრეთვე საწარმოები (საწარმოო ერთეულები), რომლებიც წარმოების პირობის მიხედვით ახორციელებენ მათ ცალკე აღრიცხვას. ამ ანგარიშის გამოყენების კონკრეტული წესი განსაზღვრულია სამინისტროებისა და უწყებების დარგობრივი ინსტრუქციებით.

საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატად ჩაითვლება საწარმოო ერთეულებში, საამქროებში ან ცალკეული გადაკეთებიდან მიღებული ნახევარფაბრიკატები, რომელთაც არ გაუვლიათ ტექნოლოგიური პროცესით გათვალისწინებული წარმოების ყველა სტადია და ამის გამო ექვემდებარებიან შემდგომ დამუშავებას (საწარმოს სხვა ერთეულებში, საამქროებში) ან მოიხზოვენ სრულ ნაკეთობამდე დაკომპლექტებას.

საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატებს, კერძოდ, მიეკუთვნება გადასაკეთებელი თუჯი შავ მეტალურგიაში (სრული ციკლისას); ნედლი რეზინა და წებო რეზინის მრეწველობაში; გოგირდმჟავა ქიმიური მრეწველობის აზოტ-სასუქის კომბინატებში; ნართი და ხამი ქსოვილი საფეიქრო მრეწველობაში (სრული ციკლისას); დეტალები და კვანძები მანქანათმშენებლობაში და ა. შ.

ნახევარფაბრიკატების შენახვის ადგილების მიხედვით ხარისხობრივი აღრიცხვა, როგორც წესი წარმოებს ფაქტობრივი თვითღირებულებით. ამასთან შეიძლება გამოყენებულ იქნეს სააღრიცხვო ფასებიც, რომელიც შემდეგ დაიყვანება ფაქტობრივ თვითღირებულებამდე. საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატების ტრანსპორტირების ხარჯები საწარმოო ერთეულებს შორის გაერთიანების შიგნით შეიტანება მათ თვითღირებულებაში.

საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატების ანალიზური აღრიცხვა, როგორც წესი, წარმოებს უშუალოდ ფასეულობის შენახვის ადგილებში მეკუჭნავეების მიერ, საწარმოს საგეგმო-სადისპეტჩერო განყოფილების (ბიუროს) ხელმძღვანელობით და ბუღალტერიის კონტროლით.

წარმოებებში, სადაც ნახევარფაბრიკატების გადაცემა ერთი სამუშაო ადგილიდან (დაზგიდან) მეორეზე, უბნიდან უბანზე ხორციელდება უშუალოდ, საამქროს საკუჭნაოს გვერდის ავლით, ნახევარფაბრიკატების მოძრაობის აღრიცხვას აწარმოებენ საამქროს საგეგმო-სადისპეტჩერო ბიუროს მუშაკები.

ნახევარფაბრიკატების აღრიცხვის სისწორეს სისტემატურ კონტ-



როლს უნდა უწევდნენ საგვემო-სადისპეტჩერო და ბულალტვრის მუშაკები.

საწარმოო გაერთიანებებში ცალკე ბალანსზე გამოყოფილ საწარმო ერთეულებს შორის ნახევარფაბრიკატებით ანგარიშსწორება აისახება 79 ანგარიშზე — „შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი“. იმ საწარმოებში, სადაც საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები 21 ანგარიშზე არ აღირიცხება, აისახება დაუმთავრებელი წარმოების შემადგენლობაში, ე. ი. 20 ანგარიშზე.

ანგარიში №1 „საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ

- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 85 საწესდებო ფონდი

კ რ ე დ ი ტ ი თ

- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წუნი წარმოებაში
- 40 შხა პოლიტიკა
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ხარალი
- 84 დანაჯისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 85 საწესდებო ფონდი
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელო რეზერვი

ანგარიში №3 „დამხმარე წარმოებანი“

ამ ანგარიშზე აისახება წარმოებათა ის დანახარჯები, რომლებიც დამხმარეს წარმოადგენს ძირითადი წარმოების ან საწარმოს (ორგანიზაციის) ძირითადი საქმიანობისათვის.

დამხმარე წარმოებას მიეკუთვნება კერძოდ ისეთი წარმოება, რომელიც უზრუნველყოფს: სხვადასხვა სახის ენერჯით მომსახურებას (ელექტროენერჯია, ორთქლი, გაზი, ჰაერი და სხვ.); სატრანსპორტო მომსახურებას; ძირითად საშუალებათა რემონტს; ინსტრუმენტების, ტვიფრის, სათადარიგო ნაწილების დამზადებას; სამშენებლო დეტალებისა და კონსტრუქციების დამზადებას ან სამშენებლო მასალების გამდიდრებას (ძირითადად სამშენებლო ორგანიზაციებში); ქვის, ხრეშის,

ქვიშის და სხვა არაპანდნული მასალების მოპოვებას; ხე-ტყის დამზადებას. ხე-ტყის ხერხვას; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამარილებას, ხმობას, დაკონსერვებას (ძირითადად სავაჭრო საწარმოებში) და ა. შ.

23 ანგარიშის დებეტში აისახება როგორც უშუალოდ კონკრეტული პროდუქციის გამოშვებასთან, სამუშაოებისა და მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები, ასევე არაპირდაპირი, რომლებიც წინასწარ აღრიცხულია ანგარიშებზე: 24 „მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები“, 25 „საერთო-საწარმოო ხარჯები“, 26 „საერთო-სამეურნეო ხარჯები“, 28 „წუნი წარმოებაში“ და წარმოების სხვა შესაბამისი ხარჯები (შემდგომ დადგენილი წესით 23 ანგარიშზე გადარიცხული).

სამინისტროების (უწყებების) ნებართვით დამხმარე წარმოების ზემოაღნიშნული არაპირდაპირი ხარჯები შეიძლება აღირიცხოს, აგრეთვე უშუალოდ 23 ანგარიშზე თითოეული წარმოების მიხედვით ცალ-ცალკე, 24 და 25 ანგარიშებისათვის გათვალისწინებული მუხლების ნომენკლატურის მიხედვით დაჯგუფებულად.

23 ანგარიშის კრედიტში აისახება დანახარჯები წარმოების დამთავრებულ პროდუქტიაზე, შესრულებულ სამუშაოებზე და გაწეულ მომსახურებაზე.

თუ უმნიშვნელო მოცულობის სამუშაოებისა და მომსახურების დამხმარე წარმოების დანახარჯები, სასაწყობო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პროდუქციას არ უშვებს, სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში, შეიძლება 23 ანგარიშზე არ დაგროვდეს. დასაშვებია ასეთი ხარჯები მაშინვე ჩამოიწეროს დანიშნულების მიხედვით, როგორც წესი, წარმოების მომსახურებისა და მმართველობის ანგარიშებში (საერთო-საწარმოო, საერთო-სამეურნეო, მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები). ამავე დროს საჭიროა აღნიშნული ხარჯებისადმი სათანადო კონტროლის გაწევა.

დამხმარე წარმოების დანახარჯების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულაციის შესახებ სამინისტროების (უწყებების) მიერ დამტკიცებული დარგობრივი ინსტრუქციების შესაბამისად.

პირდაპირი ხარჯები აღირიცხება წარმოებათა ცალკეული სახეების, ხოლო მის შიგნით — პროდუქციის, სამუშაოების, მომსახურებათა სახეების მიხედვით, დანახარჯთა გეგმური მუხლებისა და საანგარიშგებო კალკულაციის შედგენის საჭიროებათა გათვალისწინებით.

მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები, რომლებიც ასახულია 24 ანგარიშზე, აგრეთვე წარმოების მომსახურებისა და მმართველობის ხარჯები, რომლებიც თავმოყრილია „სა-

ერთო-საწარმოო ხარჯების“ 25 ანგარიშზე, ყოველთვიურად გადაი-  
რიცხება 23 ანგარიშზე, სადაც გვიჩვენებს დამხმარე წარმოების თვით-  
ღირებულების საერთო ჯამს (ნაკრებს). პროდუქციის ცალკეულ სახე-  
ობებზე, სამუშაოებსა და მომსახურებაზე მითითებული ხარჯები ნა-  
წილდება დარგობრივი ინსტრუქციებით დადგენილი წესით.

23 ანგარიშში აღრიცხული დანახარჯები ამ ანგარიშიდან გადაი-  
რიცხება შესაბამის ანგარიშებში დამთავრებული პროდუქციის, შესრუ-  
ლებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურების ფაქტობრივი თვითღირებუ-  
ლების ოდენობით; წარმოებადაუსრულებელი პროდუქციის ხვედრი და-  
ნახარჯები, დაუმთავრებელი სამუშაოებისა და მომსახურების ხარჯებო-  
რჩება 23 ანგარიშზე, როგორც დაუმთავრებელი წარმოება. 1

პროდუქციის (ნაწარმის, სამუშაოს, მომსახურების) ფაქტობრივი  
თვითღირებულება განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცე-  
მებით და საფუძვლად ედება წარმოებიდან გამოშვებული პროდუქციის  
ასახვას, მის შემოსავალში აღებას საწყობში ან მომხმარებლებისათვის  
სამუშაოს ჩაბარებას და გაწეულ მომსახურებას საწარმოს (ორგანიზა-  
ციის) შიგნით ან გარეთ.

საკუთარი მოხმარებისათვის დამზადებული ნაწარმის და შიდასა-  
ქარხნო სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულება შესრულე-  
ბული ერთი საამქროს (ქვედანაყოფის) მიერ მეორისათვის, განისაზღვ-  
რება, როგორც წესი, ძირითადი (პირდაპირი) ხარჯების და წარმოე-  
ბის მომსახურებისა და მმართველობის ხარჯების (საერთო-საწარმოო  
ხარჯების) ფაქტობრივი თანხებიდან გამომდინარე.

დამხმარე წარმოების საამქროების ურთიერთდამსახურება, როგორც  
წესი, ფასდება საგეგმო თვითღირებულებით ან წინა თვის ფაქტობრი-  
ვი თვითღირებულებით. პროდუქციის სამუშაოებისა და მომსახურებ-  
ის ფაქტობრივი თვითღირებულების განსაზღვრის კვალობაზე გამოვი-  
ნებული სხვაობა მიეკუთვნება სათანადო ანგარიშებს პროდუქციის გა-  
ცემის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების პრო-  
პორციულად.

დამხმარე წარმოების გარეთ გასაცემი პროდუქციის (ნაწარმის, სა-  
მუშაოს, მომსახურების) თვითღირებულებაში ჩაირთვება საწარმოს  
(ორგანიზაციის) მმართველობისა და მომსახურების ხარჯების (საერთო-  
სამუშაო ხარჯები) სათანადო წილი.

გარეთ შესრულებული სამუშაოები და მომსახურება, შესრულებუ-  
ლი როგორც გარეთ, აგრეთვე საწარმოს (ორგანიზაციის) ბალანსზე  
მყოფი მომსახურე წარმოების (მეურნეობის) საჭიროებისათვის, აღ-

ლიცხვაში აისახება რეალიზაციის წესით (იხ. 45 ანგარიშის — „გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება“ და 46 ანგარიშის — „რეალიზაციის“ განმარტებები). ანალოგიური წესით ასახვენ საწარმოები (ორგანიზაციები) თავისი კაპიტალური მშენებლობათვის ვაცემული პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულებას.

ანგარიში 23 „დამხმარე წარმოებანი“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დებეტი

კრედიტი

- 75 მასალები
- 76 სათბობი
- 78 სათადარიგო ნაწილები
- 109 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირტუჯვი
- 10 ციხელი და საკეები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 13 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წუნი წარმოებაში
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 40 მზა პროდუქცია
- 46 რეალიზაცია
- 50 სალარო
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით
- 65 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი

- 03 კაპიტალური რემონტი
- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირტუჯვი
- 10 თესილი და საკეები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 15 მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექენა
- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წუნი წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 35 ძირითადი ჯოგის ფორმირება
- 41 საქონელი
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 54 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით

- 80 მოგება და ზარალი
- 84, დანაკლისები და დანაკარგები ფა-  
სეულობის გაფუჭებიდან
- 85 საწესდებო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონ-  
დები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადა-  
სახდელთა რეზერვი

- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზ-  
ღაურებით
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზა-  
რალის ნაზღაურებით
- 78 მიდასაუწყებო ანგარიშსწორებანთ  
მიმდინარე საქრაცებით
- 79 წილს მიუძღნეთ ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფა-  
სეულობის გაფუჭებიდან
- 85 საწესდებო ფონდი
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადა-  
სახდელთა რეზერვი

**ანბარიში 24 „მანანავისა და მოწაზგილოვის შენახვისა და მასალადაცემის  
ხარჯები“**

ეს ანგარიში ემსახურება ძირითადი და დამხმარე საწარმოების საამ-  
ქროებში (ქვედანაყოფებში) მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა  
და ექსპლუატაციის ხარჯთაღრიცხვის შესრულების მიმდინარე აღრიცხ-  
ვასა და კონტროლს. მანქანებისა და მოწყობილობის შენახვასა და ექს-  
პლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვა ხორციელდება  
პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკუ-  
ლირების დარგობრივი ინსტრუქციებით დადგენილი წესით. ასეთ ხარ-  
ჯებს მიეკუთვნება კერძოდ: მანქანებისა და მოწყობილობის, შიდასა-  
წარმოო ტრანსპორტის შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რე-  
მონტის ხარჯები; მოწყობილობის ამორტიზაცია და მცირეფასიანი და  
სწრაფცვეთადი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების ცვეთის ანაზღაურე-  
ბა, მათი აღდგენის (რემონტის) ხარჯები და სხვ.

საწარმოები (ორგანიზაციები) მანქანებისა და მოწყობილობის შე-  
ნახვისა და ექსპლუატაციის ხარჯებს აღრიცხავენ საამქროების (ქვედა-  
ნაყოფების) მიხედვით, ხოლო მათ შიგნით დარგობრივი ინსტრუქციებით  
დადგენილი მუხლების მიხედვით. საწარმოებს, რომელთაც არა აქვთ  
მმართველობის საამქრო სტრუქტურა, დასახელებულ ხარჯებს ასახა-  
ვენ მთელი საწარმოს მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როდესაც საამქროს ტრანსპორტის შენახვის ხარ-  
ჯებს პროდუქციის თვითღირებულებაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წი-  
ლი აქვს, ასეთი ხარჯები აღრიცხება 20 ანგარიშზე — „ძირითადი წარ-  
მოება“ ცალკე მუხლის სახით „ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრი-  
კატებისა და პროდუქციის შიდასაქარხნო გადაადგილება“ და 24 ან-  
გარიშზე არ აღრიცხება.

მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯებში არ შე-  
იძლება შევიტანოთ დანახარჯები, რომელსაც არა აქვს კავშირი მოწ-

ყობალობის მუშაობასთან, ასეთებია: დანახარჯები დამხმარე მასალებზე, რომელიც გამოიყენება ტექნოლოგიური მიზნებისათვის; პერიოდული ანაზღაურებით გადახდილი წარმოების მუშების ხელფასი, რომელიც მიეკუთვნება „წარმოების მუშების ძირითადი ხელფასის“ მუხლს და სხვ.

24 ანგარიშის დებეტში აღრიცხული მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები ყოველთვის კომპლექსურად ვადარიცხება სათანადო საამქროთა (ქვედანაყოფების) დანახარჯებში. მეზონური ხასიათის მქონე საწარმოებში ასეთი ვადარიცხვა წარმოებს მოცემულ საწარმოში პროდუქციის თვითღირებულების კალკულირების დადგენილი წესის მიხედვით.

პროდუქციის ცალკეულ სახეებს შორის მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები ნაწილდება სამინისტროებსა და უწყებების დარგობრივი ინსტრუქციებით დადგენილი წესით.

სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების ექსპლუატაციის ხარჯების აღრიცხვა ხორციელდება სამინისტროების (უწყებების) მიერ შემუშავებულ ინსტრუქციების შესაბამისად, რომლებიც შედგენილია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების დაგეგმვისა და აღრიცხვის ძირითადი დებულების ბაზაზე. სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების ექსპლუატაციის ხარჯებს მიეკუთვნება: მანქანებისა და მექანიზმების მართვაზე და მომსახურებაზე დასაქმებული მუშების ძირითადი ხელფასი, ელექტროენერგია, სათბობის ღირებულება, საცხები და დამხმარე მასალები, ამორტიზაციის ანარიცხვები (ან საიჯარო გადასახდელი მანქანებით სარგებლობისათვის), ტექნიკური მომსახურების და მანქანებისა და მექანიზმების მიმდინარე რემონტის ხარჯები რელსიანი და ურელსო გზების შენახვა და რემონტი, დანახარჯები მასალებისა და სამშენებლო კონსტრუქციების გადაზიდვაზე მშენებლობის ფარგლებში დატვირთვა-გადმოტვირთვის ხელფასის ჩათვლით, აგრეთვე, გრუნტის უსასაზიდო და შემოსაზიდო ხარჯება და სხვა სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

წარმოების მუშების დამატებითი ხელფასი, სოციალური დაზღვევის ანარიცხვები და სხვა მსგავსი ხარჯები, როგორც ზედნადები ხარჯები, მანქანებისა და მექანიზმების შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯებში არ შეიტანება და აღირიცხება 25 ანგარიშზე — „საერთო-სამეურნეო ხარჯები“.

მანქანებისა და მექანიზმების ექსპლუატაციის ხარჯები აღირიცხება მანქანათა სახეების ან ჯგუფების მიხედვით, ხოლო მის შიგნით — ხარჯთა იმ მუხლებით, რაც დადგენილია სამინისტროების (უწყებების) მი-

თითებებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების და-  
ჯგვრვისა და აღრიცხვის შესახებ.

სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების შენახვისა და ექსპლუატა-  
ციის ფაქტობრივი ხარჯები ყოველთვითნაირად მიუკუთვნება მშენებლო-  
ზის შესაბამის ობიექტებს. ამ ხარჯების განაწილება მშენებლობის  
ობიექტებს შორის წარმოებს, როგორც წესი, ამა თუ იმ ობიექტზე  
ჯამომუშავებული მანქანა-ცვლების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების  
პროპორციულად.

სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების მუშაობის აღრიცხვა წარ-  
მოებს ხარჯთაღრიცხვაში მიღებული წესით — მანქანა-ცვლებში, მანქა-  
ნა-საათებში ან შესრულებული სამუშაოს ერთეულებში ნატურალური  
გამოსახულებით (ამოღებული მიწის კუბურმეტრობით და ა. შ.).

სოფლის მეურნეობაში მანქანებისა და მექანიზმების ექსპლუატა-  
ციის ხარჯებს მიეკუთვნება, აგრეთვე ტრაქტორების (ყველა სახის სა-  
მუშაოზე, სატრანსპორტოს ჩათვლით), კომბაინების და სხვა თვითმავა-  
ლი საკიდი და მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარა-  
ღები ნაადაგის დასამუშავებლად; სასოფლო-სამეურნეო კულტურების  
დამუშავება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღება და სამანქანო-  
სატრაქტორო პარკის სხვა სამუშაოები. ჩამოთვლილი ხარჯების სასოფ-  
ლო-სამეურნეო პროდუქციაში შეტანა წარმოებს თანახმად ძირითადი  
ღებულებისა — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაჯგვრვის, აღრიცხ-  
ვისა და კალკულირების შესახებ.

**ანგარიში № 4 „მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის  
ხარჯები“**

**ეკორესპონდენტება ანგარიშებს:**

**ღებულებით**

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგე-  
ლი მოწყობილობა
- 08 სოთ-დარიგო ნაწილები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგ-  
ნები
- 13 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი  
საგნების (ყვეთა
- 16 სატრანსპორტო დამზადების ხარჯ-  
ბა
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 50 საღარი
- 60 ანგარიშსწორებანი მ-მწოდებლებთან  
და მოიჯარებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან

**კრედიტით**

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასად-  
გმელი მოწყობილობა
- 08 სოთ-დარიგო ნაწილები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთად-  
საგნები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 26 ხე-ტო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წლენი წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნე-  
ობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 45 რეალიზაცია
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-  
შორის კომპერაციით

- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით  
 70 ანგარიშსწორებანი შრომით ანაზღაურებით  
 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვ-ღებულ ღირებთან  
 76 ანგარიშსწორებანი სხვა სხვა დი-ბიტორებთან და კრედიტორებთან  
 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი  
 86 ამორტიზაციის ფონდი  
 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები  
 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელი ოგზერები  
 93 კაპიტალური დაზანდების დაფინანსება

- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი  
 80 მოჭება და ზარალი  
 85 საწესდებო ფონდი

**ანგარიში 25 „საერთო-საწარმოო ხარჯები“**

ამ ანგარიშზე აღსახება საამქროების წარმოების მომსახურებისა და მმართველობის, აგრეთვე ძირითადი და დამხმარე წარმოების მსგავს ქვედანაყოფთა (სოფლის მეურნეობაში — წარმოების ცალკეული დარგების) ხარჯები. ამ ანგარიშით სარგებლობენ სამრეწველო, სოფლის მეურნეობის საწარმოები და სხვ.

აღნიშნულ ხარჯებს სამრეწველო და სხვა მსგავს საწარმოებში მიეკუთვნება საამქროების საერთო-საწარმოო ხარჯები, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შემცენარეობის, მეცხოველეობის და სამრეწველო გადამუშავების საერთო-საწარმოო ხარჯები. წარმოების მმართველობის უსაამქრო სისტემის მქონე საწარმოებს შეუძლიათ აღნიშნული ხარჯები აღრიცხონ 26 ანგარიშზე საერთო-სამეურნეო ხარჯების შემადგენლობაში.

25 ანგარიშზე აღსარიცხავი საერთო-საწარმოო ხარჯების შემადგენლობა დგინდება სამინისტროებისა და უწყებების დარგობრივი ინსტრუქციებით, რომლებიც შემუშავებულია პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულირების შესახებ ძირითადი დებულებების შესაბამისად. როგორც წესი, ასეთ ხარჯებს მრეწველობაში მიეკუთვნება საამქრო პერსონალის შენახვის ხარჯები (ძირითადი და დამატებითი ხელფასი, სოციალური დაზღვევის ანარიცხები): საამქრო დანიშნულებას შენობების, ნაგებობათა და ინვენტარის ამორტიზაცია, შენახვისა და მრმდინარე რემონტის ხარჯები; საამქრო ხასიათის გამოცდების, ცდებისა და გამოკვლევების, რაციონალიზაციისა და გამოგონებლობის ხარჯები, შრომის დაცვის ხარჯები და სხვ.

საერთო-საწარმოო ხარჯების შემადგენლობაში შედის, აგრეთვე არამწარმოებლური ხასიათის ხარჯები (მოცდენების ანაზღაურება, და-



ნაკლისები და დანაკარგები მატერიალური ფასეულობის გაფუჭების გამო საამქროს საკუჭნაოებში და დაუმთავრებელ წარმოებაში დამნაშავე პირთა გამოუვლინებლობის შემთხვევაში და სხვ.). დაუმთავრებელი წარმოებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობის თანხით საერთო საწარმოო ხარჯები მცირდება.

საერთო-საწარმოო ხარჯებს სამრეწველო და მათი მსგავსი საწარმოები აღრიცხავენ 25 ანგარიშზე ძირითად და დამხმარე წარმოებათა ცალკეული საამქროების მიხედვით, ხოლო საამქროების შიგნით — მუსლებს მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულა სამინისტროების (უწყებების) დარგობრივ ინსტრუქციებში.

25 ანგარიშის დებეტში აღრიცხული საერთო-საწარმოო ხარჯები, დაბრუნებულ ფასეულობათა და ზედმეტობათა ღირებულების გამოკლებით გადაირიცხება 20 „ძირითადი წარმოების ანგარიშზე ან 23 ანგარიშზე — „დამხმარე წარმოებანი“, კუთვნილების მიხედვით და შეიტანება პროდუქციის. სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულებაში. გადაირიცხება წარმოებს ყოველთვიურად, ხოლო სეზონური ხასიათის საწარმოებში — გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის შედგენის მიხედვით.

საერთო-საწარმოო ხარჯები, პროდუქციის სამუშაოებისა და მომსახურების ცალკეულ სახეობათა და დაუმთავრებელ წარმოებას შორის ნაწილდება ზემოხსენებული დარგობრივი ინსტრუქციებით, დადგენილი წესით.

საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში საერთო-საწარმოო ხარჯებს, როგორც წესი, მიეკუთვნება საწარმოო ხარჯები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული პირდაპირი ხარჯების შემადგენლობაში, მაგრამ თავისი შინაარსით მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგს (მემცენარეობა, მეცხოველეობა და სხვ.). საერთო-საწარმოო ხარჯების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს სასოფლო-სამეურნეო და დამხმარე წარმოებათა ცალკეული დარგების მიხედვით, ხოლო დარგების შიგნით — ხარჯთა მუხლების დადგენილი ნომენკლატურით. დანახარჯთა მრმართ მიმდინარე კონტროლის განხორციელების მიზნით. მემცენარეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებზე მისაკუთვნიებელი საერთო-საწარმოო ხარჯები, მიზანშეწონილია აღირიცხოს, აგრეთვე ამ ხარჯების წარმოშობის ადგილის მიხედვით (განყოფილებების, ფერმების და ა. შ.). ძირითადი წარმოების (მემცენარეობა, მეცხოველეობა და ა. შ.) ან დამხმარე წარმოების პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის დადგენილ ვადებში შესადგენად, 25 ანგარიშზე აღრიცხული საერთო-საწარმოო ხარჯები გადაირიცხება 20 „ძირითადი წარმოების“ ანგარიშზე ან 23 ანგარიშზე — „დამხმარე წარმოებანი“. პროდუქციის სამუშაოებისა და

მომსახურების ცალკეულ სახეობებს შორის საერთო-საწარმოო ხარჯები წაწილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულაციის შესახებ ძირითადი დებულებით, დადგენილი წესით.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოები, რომლებიც იყენებენ 25 ანგარიშს, უნდა იხელმძღვანელონ საერთო-საწარმოო ხარჯების აღრიცხვის შესახებ დარგობრივი მითითებებით.

**ანგარიში 25 „საერთო-საწარმოო ხარჯები“**

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

**დ ბ ე ტ ი თ**

**კ რ ე დ ი ტ ი თ**

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფფეთადი საგნები
- 13 მცირეფასიანი და სწრაფფეთადი საგნების (ვევა
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები
- 23 დამამარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 40 შუა პროდუქცია
- 46 რეალიზაცია
- 50 საღარი
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჭარებებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით
- 68 ანგარიშსწორებანი ჩიუქეტსან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებუტორებთან და კრედიტორებთან
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 84 დანაშაულები და დანაშარგები ფასეულობის გაფუქცებლადან
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 91 სპეციალური სახესხო ანგარიში

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფფეთადი საგნები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამამარე წარმოებანი
- 28 წუნი წარმოებაში
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოვება და ზარალი
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები

ამ ანგარიშის დანიშნულებაა ასახოს საერთო-საქარხნო, საერთო-საფაბრიკო და მათი ანალოგიური საერთო-სამეურნეო ხარჯების ხარჯთ-ალრიცხვის შესრულების მიმდინარე აღრიცხვა და კონტროლი. მოიჯარე ორგანიზაციები და მშენებლობები, გეოლოგიურ-დაზვერვითი, საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციები მას იყენებენ — ზედნადები ხარჯების აღსარიცხავად.

26 ანგარიშზე აღსარიცხავი საერთო-სამეურნეო (ზედნადები) ხარჯების შემადგენლობა და მუხლები ღვინდება სამინისტროების (უწყებების) მიერ პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულირების დარგობრივი ინსტრუქციებით.

მსგავსად მრეწველობისა, ასეთ ხარჯებს მიეკუთვნება: საერთო-სამეურნეო პერსონალის შენახვის ზარჯები (ძირითადი და დამატებითი ხელფასი. სოციალური დაზღვევის ანარიცხები); საერთო-საქარხნო ან საერთო-სამეურნეო დანიშნულებას შენობების, ნაგებობების, სადგომებისა და ინვენტარის შენახვის ზარჯები (ამორტიზაციის ანარიცხების ჩათვლით); საერთო-სამეურნეო ლაბორატორიების შენახვა; საერთო-სამეურნეო დანიშნულების გამომგონებლობისა და ტექნიკური სრულყოფის ზარჯები; სხანძრო, გასამხედროებელი და სადარაჯო დაცვის ზარჯები; საწარმოო პრაქტიკისა და კადრების მომზადების ზარჯები; საწარმოს ტერიტორიაზე მყოფი საზოგადოებრივი კვებისა და სამედიცინო მომსახურების სადგომთა შენახვის ზარჯები; მუშათა ორგანიზებული შეგროვების ზარჯები. ამასვე მიეკუთვნება არასაწარმოო ხასიათის მივილინებებისა და თანამშრომელთა გადაადგილების ზარჯები; კანტორის, სტამბის, ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონის ზარჯები; გადასახადები, სავალდებულო გამოსაღებები, ანარიცხები და ა. შ.

გარდა ამისა, საერთო-სამეურნეო ხარჯებს მიეკუთვნება არამწარმოებლური დანახარჯები. მაგალითად, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დანაკლისების ან გაფუჭებული საქონლის ღირებულება საერთო-საქარხნო ან საერთო-სამეურნეო საწყობებში, როცა დამნაშავე პირი არაა ცნობილი; წანამატი ელექტროენერგიის ტარიფებზე ელექტროდანადგარებს რეაქტიული სიძლიერის კომპენსაციისათვის და სხვ. როცა დანაკლისის ღირებულება იფარება ზედმეტობით. მაშინ ზედმეტობის გადამეტების თანხა დანაკლისთან შედარებით, რომელიც ჩამოწერილია საერთო-სამეურნეო ხარჯებში, მიეკუთვნება 80 ანგარიშს „მოგება და ზარალი“. ამავე ანგარიშზე გადაირიცხება, აგრეთვე, ნაწილი ელექტროენერგიის ტარიფის დათმობის სიდიდისა. დათმობის გადამეტების თანხა ელექტროენერგიის რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციისათვის განისაზღვრება ყოველთვიურად წლის განმავლობაში. სააღრიცხვო რეგისტრებში აღნიშ-

ნული თანხების აღრიცხვისას თუ წინა საანგარიშო პერიოდში ადგილი აქვს ზედმეტობას, ექვემდებარება სტორნირებას.

წანამატთან დათმობის გადამეტების ნაწილი, რომელიც მოქმედი დებულებით რჩება საწარმოს განკარგულებაში ელექტროდანადგარებში რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციის გასადიდებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად (რომელიც ხორციელდება კაპიტალური დაბანჯების გეგმის ზევით), აისახება 90 „მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლის“ ანგარიშზე, 81 ანგარიშთან კორესპონდენციით. ერთდროულად ეს თანხა უნდა გატარდეს 80 „მოგება და ზარალის“ ანგარიშის კრედიტში და 26 ანგარიშის დებეტში.

წანამატზე დათმობის გადამეტების თანხა, რომელიც რჩება ელექტროდანადგარებში რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციის ღონის გასადიდებელ ღონისძიებებზე მიმართული სახსრების გამოკლების შემდეგ, გამოიყენება მუშებისა და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკების პრემირებისათვის ელექტროდანადგარებში რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციის ღონის გაზრდისათვის. ეს პრემიები აისახება საერთო-სამეურნეო ხარჯების შემადგენლობაში „დანარჩენი ხარჯების“ მუხლით.

წანამატზე დათმობის გადამეტების დარჩენილი ნაწილი, რომელიც გამოვლინდება რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციის ღონის გასადიდებელ ღონისძიებებზე დაფინანსების წყაროს შესაქმნელი სახსრების და პრემირებაზე მიმართული სახსრების გამოყენების შემდეგ, შეუერთდება მოგებას (80 ანგარიშის კრედიტი 26 ანგარიშთან კორესპონდენციით).

26 ანგარიშზე აღირიცხება, აგრეთვე, გარე მიზეზებით გამოწვეული მოცდენის დანაკარგები, ე. ი. მთელი საწარმოს ან მისი ცალკეული ქვედანაყოფების (სამქროები, განყოფილებები, უბნები, აგრეგატები) მოცდენებით გამოწვეული დანაკარგები საწარმოსგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

საერთო-სამეურნეო ხარჯები უკან დაბრუნებული და ზედმეტი პროდუქციისა და მასალების გამოკლებით, აგრეთვე, გარე მიზეზებით გამოწვეული გაცდენების გამოკლებული დანაკარგები, რომლებიც ანაზღაურებული იქნება შესაბამისი ორგანიზაციების მიერ, მიეკუთვნება გამოშვებული პროდუქციის, ნახევარფაბრიკატების, შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულებას და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულებას პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის. აღრიცხვისა და კალკულირების დარგობრივი ინსტრუქციებით დადგენილი წესის თანახმად.

ასეთი ჩამოწერა წარმოებს ყოველთვიურად, ხოლო ზოგიერთ დარგში — სხვა ვადებშიც, გარკვეული თანხის გადარიცხვის გზით 20

„ძირითადი წარმოების“ ანგარიშზე და 23 „დამხმარე წარმოებანი“ ანგარიშზე (თუკი ადგილი ჰქონდა სამუშაოთა წარმოებას და ნაწარმის გამოშვებას, გარე და, აგრეთვე, თავის მეურნეობათა მომსახურებას).

სხვადასხვა სახის გამოშვებული პროდუქციის, შესრულებულ სამუშაოებსა და გაწეულ მომსახურებაზე 20 ან 23 ანგარიშების დებეტზე მიკუთვნებული თანხა ნაწილდება ზემოაღნიშნული დარგობრივ ინსტრუქციების შესაბამისად.

სამშენებლო ორგანიზაციებში (მათ შორის მექანიზაციის ტრესტებში, ბინათმშენებელ კომბინატებსა და მშენებლობებზე) 26 ანგარიშის დებეტში აისახება ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის, მშენებლობის მუშების მომსახურების, სამშენებლო მოედნებზე სამუშაოს ორგანიზაციისა და სხვა ზედნადები ხარჯები. მშენებლობაში ზედნადები ხარჯების მუხლების ნუსხა დადგენილია სამშენებლო — სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების დაგეგმვისა და აღრიცხვის ძირითადი დებულებით.

26 ანგარიშის კრედიტში ცალ-ცალკე აისახება ფაქტობრივი დანახარჯების ჩამოწრა ძირითად და დამხმარე წარმოებათა აღრიცხვის ანგარიშებზე. ძირითადი წარმოების ზედნადები ხარჯების ჯამი ყოველთვიურად მთლიანად მიეკუთვნება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დანახარჯებს. მათი განაწილება სააღრიცხვო ობიექტების (სამშენებლო ობიექტების) მიხედვით წარმოებს პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად.

ძირითადი წარმოების ზედნადები ხარჯები მექანიზაციის ტრესტებში (სამმართველოებში) ყოველთვიურად ნაწილდება სუბსაიჯარო ხელშეკრულებებით შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა და გარე ორგანიზაციებისათვის გაწეულ მომსახურებას შორის მათი პირდაპირი დანახარჯების ჯამის პროპორციულად. დამხმარე წარმოებებისა და მომსახურე მეურნეობების ზედნადები ხარჯები გამომუშავებული პროდუქციის სახეებისა და გაწეული მომსახურების მიხედვით, ნაწილდება წარმოების მუშების ძირითადი ხელფასის პროპორციულად.

საპროექტო და საძიებო ორგანიზაციებში ზედნადები ხარჯები ნაწილდება საპროექტო და საძიებო სამუშაოებს შორის, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში — ცალკეულ დაპროექტებულ ობიექტებს შორის 20 „ძირითადი წარმოების“ ანგარიშის დებეტზე მიკუთვნებული ხელფასის თანხის პროპორციულად.

გეოლოგიურ ორგანიზაციებში, ზედნადები ხარჯები ცალკეულ ობიექტებსა და სამუშაოთა სახეებს შორის ნაწილდება პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად, რომელიც „ძირითადი წარმოების“ 20 ანგარიშის დებეტში შეიტანება.

სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში, საერთო-საწარმოო ხასიათის ზედნადები ხარჯები, რომელიც მიეკუთვნება სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ, საპროექტო, საძიებო სამუშაოებს, ნაწილდება საწარმოო პერსონალის ძირითადი ხელფასის ჯამის პროპორციულად, რომელიც აღრიცხულია 20 ანგარიშზე. ცალკეული თემების (შეკვეთების) მიხედვით ასეთი ხარჯები ნაწილდება ანალოგიური წესით. საერთო-საწარმოო ხასიათის ზედნადები ხარჯები, რომელიც ეხება გეოლოგიურ-დაზვერვით სამუშაოებს, ნაწილდება პირდაპირი (ძირითადი) დანახარჯების პროპორციულად, აღრიცხული სამუშაოთა ცალკეული სახეების მიხედვით. საერთო-სამეურნეო და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები ნაწილდება 20 ანგარიშის სათანადო სუბანგარიშებს (სამუშაოთა სახეებს) შორის, ამ ხარჯების ორგანიზაციის საწარმოო პერსონალის ძირითად ხელფასთან თანაფარდობიდან გამომდინარე.

ანგარიში 20 „საერთო-სამეურნეო ხარჯები“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

- |   |  |
|---|--|
| 05 მასალები   | 03 კაპიტალური რემონტი  |
| 06 სათბობი  | 05 მასალები  |
| 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა                  | 06 სათბობი   |
| 08 სათადარიგო ნაწილები  | 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა             |
| 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები                           | 08 სათადარიგო ნაწილები                                       |
| 13 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა                    | 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები                      |
| 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები                          | 20 ძირითადი წარმოება   |
| 23 დამხმარე წარმოებანი  | 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები                     |
| 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები | 23 დამხმარე წარმოებანი                                       |
| 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი                            | 28 წუნი წარმოებაში   |
| 30 არაკაპიტალური სამუშაოები                                       | 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი                       |
| 31 მოშავალი პერიოდის ხარჯები                                      | 30 არაკაპიტალური სამუშაოები                                  |
| 40 მზა პროდუქცია  | 33 კაპიტალური დაბანდება                                      |
| 46 რეალიზაცია   | 40 მზა პროდუქცია   |
| 50 სალარო   | 41 საქონელი  |
| 51 ანგარიშსწორების ანგარიში                                       | 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჭარებებთან          |
| 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჭარებებთან               | 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით                             |
| 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან                  | 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით                      |
| 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით                                  | 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით         |
| 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით              | 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან |
| 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან                                     | 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი                            |
| 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით                                     | 80 მოგება და ზარალი  |

- 70 ანგარიშსწორებანი პრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანა
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობათა გაფუჭებიდან
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

#### ანგარიში 28 „წუნი წარმოებაში“

მოცემული ანგარიში განკუთვნილია წარმოებაში წუნის აღსარიცხავად და მისი დანაკარგების თანხის განსაზღვრისათვის. წარმოებაში წუნად ითვლება ის პროდუქცია, ნახევარფაბრიკატები, დეტალები, კვანძები და სამუშაოები, რომლებიც თავისი ხარისხით არ შეესაბამება დაწესებულ სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისი პირდაპირი დანიშნულებით, ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გამოსწორებაზე დამატებითი ხარჯების გაწევის შემდეგ.

სამრეწველო საწარმოებში ტექნიკური შემოწმებისა და მიღებისას დადგენილი დეტალების ხასიათის მიხედვით წუნი იყოფა გამოსასწორებელ და გამოუსწორებელ (საბოლოო) წუნად. გამოსასწორებლად ითვლება: პროდუქცია, ნახევარფაბრიკატები (დეტალები და კვანძები) და სამუშაოები, რომელთა გამოსწორება (გამოკეთება) პირდაპირი დანიშნულებით გამოსაყენებლად ტექნიკურად შესაძლებელია და ეკონომიკურად მიზანშეწონილი. საბოლოო წუნად ითვლება პროდუქცია, ნახევარფაბრიკატები (დეტალები, კვანძები) და სამუშაო, რომლის გასსწორება ტექნიკურად შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელი. წუნს მიეკუთვნება, აგრეთვე გარანტიით გაყიდული პროდუქციის რემონტის ხარჯები დადგენილ ნორმაზე მეტი, თუ ის გამოვიდა მწყობრიდან საგარანტიო პერიოდში.

წუნი აღმოჩენის ადგილის მახედვით იყოფა შინაგან წუნად, როცა ი გამოვლინდება საწარმოში (ორგანიზაციაში) მყიდველებისადმი (მომხმარებლებისადმი) პროდუქციის გაგზავნამდე ან შემკვეთისადმი სამუშაოს ჩაბარებამდე და გარეგან წუნად, როცა ის გამოვლინდება მყიდველთან (მომხმარებელთან) დამუშავების, აწყობის, მონტაჟის პროცესში ან ნაწარმის ექსპლუატაციის დროს.

შინაგანი საბოლოო წუნის თვითღირებულება იანგარიშება პროდუქციის (შესრულებული სამუშაოების) საწარმოო თვითღირებულების კალკულაციისათვის დადგენილი ყველა მუხლით გაწეული ფაქტობრივი დანახარჯებისაგან, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლებისა: „წარმოების მომზადებისა და ათვისების ხარჯები“, „საერთო-სამეურნეო ხარჯები“, „წუნისაგან დანაკარგები“, „მიზნობრივი დანიშნულების ინსტრუმენტებისა და სამარჯვების ცვეთა და დანარჩენი სპეციალური ხარჯები“, „დანარჩენი საწარმოო ხარჯები“. ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების (დეტალების) ფართო ნომენკლატურის მქონე საწარმოებში დასაშვებია წუნის შეფასება გეგმური ან ნორმატიული თვითღირებულებით.

შინაგანი გამოსასწორებელი წუნის თვითღირებულება შედგება დეფექტური პროდუქციის გამოსწორებაზე დახარჯული მასალებისა და ნახევარფაბრიკატების ღირებულების, წუნის ოპერაციების გამოსწორებაზე დარიცხული ხელფასის, აგრეთვე მანქანების და მოწყობილობის მომსახურების და ექსპლუატაციის ხარჯებისა და ხვედრი საერთო-საწარმოო ხარჯებისაგან. გამოსასწორებელი წუნის ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატის თვითღირებულება არ შეიტანება წუნის გამოსწორების დანაკარგებში და 28 ანგარიშზე არ აღირიცხება.

გარეგანი წუნის ღირებულება შედგება მყიდველის (მომხმარებლის) მიერ დაწუნებული პროდუქციის (ნაწარმის, სამუშაოს) საწარმოო თვითღირებულებიდან იმ დანახარჯთა ასანაზღაურებელი თანხებისაგან, რაც მათ მიერ არის გაწეული ამ პროდუქციაზე, აგრეთვე ამ პროდუქციის გამოსწორების, შეცვლის და ტრანსპორტირების ხარჯებისაგან.

28 ანგარიშის დებეტში აისახება გამოვლინებულ შინაგან ან გარეგან წუნთან დაკავშირებული ყველა ხარჯი (გამოუსწორებელი, ე. ი. საბოლოო წუნის ღირებულება, წუნის გამოსწორების ხარჯები და სხვ.), აგრეთვე საგარანტიო რემონტის დანახარჯები, რომელიც ნორმაზე მეტია, ხოლო კრედიტში წუნისაგან დანაკარგების შემამცირებელი თანხა და წარმოების დანახარჯებში ჩამოსაწერი დანაკარგების თანხა.

წუნისაგან დანაკარგების შემამცირებელ თანხად ითვლება: დაწუნებული პროდუქციის ღირებულება შესაძლებელი გამოყენების ფასებით; წუნისათვის დამნაშავეებისაგან ფაქტობრივად დაკავებული თანხა და მიმწოდებლებისაგან ფაქტობრივად ამოღებული ან არბიტრაჟის



მიერ მისჯილი თანხა — უხარისხო მასალების ან ნახევარფაბრიკატების მიწოდებისათვის, რას შედეგადაც იქნა დაწვებული წუნი.

მომხმარებლის მიერ პროდუქციის უკან დაბრუნებისას გარეგანი წუნის ღირებულება (თუ წუნი არ გამოსწორდება და მომხმარებელი მოითხოვს გადახდილი თანხის დაბრუნებას) ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში ასე აისახება: პროდუქციის რეალიზაციაზე ადრე მომხმარებელი ჩანაწერი (რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების თანხა) სტორნორდება დებეტი ანგარიში 51 „ანგარიშსწორების ანგარიში“ და კრედიტი ანგარიში 46 „რეალიზაცია“. ერთდროულად ჩვეულებრივი ჩანაწერებით აისახება მომხმარებელსადმი დავალიანება: დებეტი ანგარიში 51 — კრედიტი ანგარიში 76 „ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“. შემდეგ ხდება ადრე მომხმარებელი ჩანაწერების სტორნირება დაბრუნებული პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულების თანხით: დებეტი ანგარიში 46, კრედიტი ანგარიში 45 „გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება“; დებეტი ანგარიში 45 — კრედიტი ანგარიში 40 „ჩუპროდუქცია“; დებეტი ანგარიში 40 — კრედიტი ანგარიში 20 „ძირითადი წარმოება“. ჩვეულებრივი ჩანაწერით აღნიშნული პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულება ჩამოიწერება 20 ანგარიშის კრედიტიდან 28 ანგარიშის დებეტში.

როდესაც მყიდველის მოთხოვნით, დაწუნებული პროდუქციის კარგით შეცვლა ხდება, ბუღალტრულ ანგარიშებში წარმოებს შემდეგი ჩანაწერები: პროდუქციის თვითღირებულება, რომელიც გაეგზავნა მყიდველს დაწუნებულის ნაცვლად, ჩამოიწერება სასაქონლო გამოშვების მოცულობიდან წითელი სტორნოს მეთოდით, 40 ანგარიშის დებეტი და ანგარიშის კრედიტი. შემდეგ ჩვეულებრივი გატარებით, ამ პროდუქციის თვითღირებულება ჩამოიწერება 20 ანგარიშის კრედიტიდან 28 ანგარიშის დებეტში. 28 ანგარიშის კრედიტში, 20 ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით აისახება დაბრუნებული პროდუქციის თვითღირებულება მისი შესაძლო გამოყენების ფასებით.

თუ დაბრუნებული პროდუქცია სწორდება, მაშინ იგი ჩაირთვება სასაქონლო და რეალიზებული პროდუქციის მოცულობაში ჩვეულებრივი წესით.

წუნის დანახარჯების აღრიცხვის კონკრეტული წესი განისაზღვრება პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის აღრიცხვისა და კალკულირების შესახებ სამინისტროებისა და უწყებების დარგობრივი ინსტრუქციებით. წუნისაგან დანაკარგები ჩამოიწერება ყოველთვიურად წარმოების შესაბამისი სახის დანახარჯებში და ჩაერთვება ამ პროდუქციის ან იმ სამუშაოთა თვითღირებულებაში, რომლის წუნიც იქნა აღმოჩენილი.

გარეგანი წუნისაგან მიღებული დანაკარგები, რომელიც ეკუთვნის წინა საანგარიშგებო პერიოდში გამომუშავებულ პროდუქციას, დაეწერება მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში გამოშვებულ ანალოგიური პროდუქციის თვითღირებულებას. თუ საანგარიშგებო პერიოდში ანალოგიური ნაწარმი არ მზადდებოდა, მაშინ გარეგანი წუნისაგან დანაკარგები განაწილდება ყველა სახის გამოშვებულ პროდუქციაზე საერთო-სამეურნეო ხარჯების განაწილების მეთოდით.

წუნისაგან დანაკარგების მიკუთვნება დაუმთავრებელ წარმოებაზე, როგორც წესი, არაა დაშვებული, გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს ინდივიდუალურ და წვრილსერიულ წარმოებებში იმ პირობით, თუ ეს დანაკარგები ეკუთვნის იმ შეკვეთას, რომლის წარმოება არაა დამთავრებული.

28 ანგარიშს თვის ბოლოს სალდო არა აქვს.

წუნიდან მიღებული დანაკარგების ანალიზური აღრიცხვის ორგანიზაცია წარმოებს ცალკეული საამქროების, პროდუქციის სახეების, დანახარჯების მუხლების, წუნის მიზეზებისა და დამნაშავეების მიხედვით.

სამშენებლო ორგანიზაციებში გამოყოფილად აღრიცხება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დაშვებული დანაკარგები წუნიდან და წუნი დამხმარე და მომსახურე წარმოებებსა და მეურნეობებში. ძირითადი წარმოების წუნიდან დანაკარგებს მიეკუთვნება დანახარჯები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გადაკეთებაზე, რომელიც სამშენებლო ორგანიზაციამ უხარისხოდ შეასრულა, ტექნიკური პირობების, ნორმების, წესების ან პროექტის დარღვევით. მათ შემადგენლობაში შედის: დამატებით დახარჯული მასალების ღირებულება; მუშების ხელფასი, რომელიც დაერიცხათ დეფექტების გამოსწორებასთან დაკავშირებით დაშლის, დემონტაჟისა და სხვა სამუშაოთა შესრულებისათვის; სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების ექსპლუატაციის ხარჯები; ზედნადები ხარჯების ნაწილი და გაწეული დანახარჯები გარეშე ორგანიზაციების მიერ წუნის გამოსასწორებლად.

წუნის გამოსწორების ხარჯებისა და ანაზღაურებული თანხის სხვაობა შეადგენს დანაკარგებს წუნიდან, რომელიც შეიტანება ობიექტის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულებაში პირდაპირი ნიშნით, დანახარჯების სათანადო მუხლებისა და ელემენტების მიხედვით.

წინა წლებში საექსპლუატაციოდ გადაცემული ობიექტების მიხედვით წუნიდან დანაკარგები მიეკუთვნება 80 ანგარიშს „მოგება და ზარალი“, როგორც წინა წლების ზარალი, რომელიც გამოვლინდა საანგარიშგებო წელს.

დამხმარე წარმოებებსა და მომსახურე მეურნეობებში წუნით გამოწვეული დანაკარგების აღრიცხვის ორგანიზაცია წარმოებს სამრეწველო საწარმოების ანალოგიურად.

ანგარიში 28 „წუნი წარმოებაში“

გკორესპონდენტება ანგარიშებს:

ღებები

კრედიტით

- 05 მისაღები
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 20 ძირითადი წარმოება
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
  
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებებთან
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემყვეებთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა ლებიტორებთან და კრედიტორებთან

- 05 მისაღები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფვეთადი საგნები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით
- 80 მოგება და ზარალი
  
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელო რეზერვი

ანგარიში 29 „მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი“

ამ ანგარიშზე აღირიცხება საწარმოს (ორგანიზაციის) მომსახურე წარმოებებისა და მეურნეობათა პროდუქციის გამოშვებასთან, სამუშაოების შესრულებასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები. მომსახურე წარმოებათა და მეურნეობათა ქვეშ იგულისხმება, როგორც წესი, წარმოებები და მეურნეობები, რომელთა საქმიანობა არაა დაკავშირებული საწარმოს (ორგანიზაციის) ძირითადი საქმიანობის წესით განხორციელებულ პროდუქციის გამოშვებასთან, მომსახურებასთან ან სამუშაოს შესრულებასთან.

კერძოდ. მათ მიეკუთვნება ძირითადი საქმიანობის ბალანსზე მყოფი საბინაო-კომუნალური მეურნეობები (საცხოვრებელი სახლების, საერთო საცხოვრებელთა, აბანოების, სამრეცხაოების, საპარკმახეროების და ა. შ. ექსპლუატაცია); საყოფაცხოვრებო მომსახურების სამკერვალო და სხვა სახელოსნოები; დამხმარე სოფლის მეურნეობები; პურის საცხობი; სასადილოები და ბუფეტები; სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები (საბავშვო ბაღები, საბავშვო ბაგები); დასასვენებელი სახლები; სანატორიუმები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა დაწესებულებები; საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ქვედანაყოფები.

საწარმოები და ორგანიზაციები (გარდა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა), რომლებიც ზემდგომი ორგანოების დაქვემდებარებით ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ამ სამუშაოებზე გაწეულ დანახარჯებს აღრიცხავენ, აგრეთვე 29 ანგარიშზე.

მომსახურე წარმოებათა და მეურნეობათა დანახარჯების აღრიცხვა ეწყობა სამინისტროების (უწყებების) ინსტრუქციებითა და მითითებებით დადგენილი წესით. ამასთან, აღრიცხვა დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ეწყობა თანახმად ძირითადი დებულებისა — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულაციის შესახებ, ხოლო სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში — დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ნომენკლატურის (ხარჯთა საბიუჯეტო კლასიფიკაციის) მიხედვით.

მომსახურე წარმოებებისა და მეურნეობების დანახარჯების აღრიცხვა ეწყობა თითოეულისა ცალ-ცალკე 29 ანგარიშზე (ხოლო საბინაო-კომუნალური მეურნეობისა — ცალკე საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციისა და ცალკე საწოლებიანი ტიპის საერთო საცხოვრებლის ექსპლუატაციის მიხედვით) სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციებით გათვალისწინებული დანახარჯთა მუხლების მიხედვით.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციის ხარჯების ნაწილში სავალდებულოა საექსპლუატაციო და მიზნობრივი ხარჯების ერთმანეთისაგან გამოყოფილი აღრიცხვა (წყალმომარაგება, განათება, კანალიზაცია, გაზი, გათბობა), რამდენადაც სხვადასხვანაირია ბინათდამქირაველების მიერ აღნიშნული ხარჯების დაფარვის პირობები.

ამა თუ იმ მომსახურე წარმოებისა და მეურნეობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულება განისაზღვრება 29 ანგარიშის დებეტში აღრიცხული მონაცემებით, რომელსაც აკლდება დაბრუნებული თანხა და ზედმეტად აღმოჩენილი მასალების ან პროდუქციის ღირებულება.

დამხმარე სოფლის მეურნეობაში საკუთარი წარმოების პროდუქცია წლის განმავლობაში აღირიცხება გეგმური თვითღირებულებით, რომელიც წლის ბოლოს წლიური საანგარიშგებო კალკულაციის საფუძველზე კორექტირდება ფაქტურ თვითღირებულებამდე. დასკვნით ბალანსში ამ პროდუქციის ნაშთი იჩვენება ფაქტური თვითღირებულებით.

მომსახურე წარმოებების და მეურნეობების პროდუქციაზე, მომსახურებასა და სამუშაოებზე საერთო-სამეურნეო ხარჯები არ ვრცელდება, გარდა გარეთ გაწეული მომსახურებისა, მათ შორის საკუთარი მშენებლობისა და კაპიტალური რემონტისა (შენობებისა და ნაგებობების).

მომსახურე წარმოებებისა და მეურნეობების მიერ გამოშვებული მატერიალური ფასეულობა ან მზა ნაწარმი შემოსავალში აღიბა 29 ანგარიშის კრედიტში იმ სათანადო ანგარიშების დებეტში ჩაწერით, სა-

დაც ეს ფასეულობა ექვემდებარება აღრიცხვას. მომსახურე წარმოებისა და მეურნეობის მიერ საწარმოს (ორგანიზაციის) ძირითადი საქმიანობისათვის შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების ფაქტობრივი თვითღირებულება აისახება 29 ანგარიშის კრედიტში და მომხმარებელთა ანგარიშების დებეტში.

გარეთ შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების ფაქტობრივი თვითღირებულება 29 ანგარიშიდან ჩამოიწერება რეალიზაციის წესით საერთო საფუძველზე (იხ. განმარტება ანგარიშებისა 45 „გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება“ და 46 „რეალიზაცია“). ამავე წესით საწარმო (ორგანიზაცია) ასახავს სამუშაოებისა და მომსახურების ფაქტობრივ თვითღირებულებას, რომელიც შეასრულა ნომსახურე წარმოებამ და მეურნეობამ სსკუთარი კაპიტალური მშენებლობისათვის.

ბინათდამჭირავებლებისაგან ან მოიჯარეებისაგან ამოგებული თანხა გაწეული მომსახურებისათვის, მიეკუთვნება 29 ანგარიშის კრედიტიდან 76 „სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების“ ანგარიშის დებეტს.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ექსპლუატაციიდან მიღებული ზარალი 29 ანგარიშის კრედიტიდან მიეკუთვნება 81 „მოგების გამოყენების“ ანგარიშის დებეტს. საბინაო-კომუნალური მეურნეობის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ზარალის შეტანა ძირითადი წარმოების (ძირითადი საქმიანობის) პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულებაში დასაწევბია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს ნებადართულია მთავრობის სპეციალური დადგენილებით. ასეთ შემთხვევაში ზარალი ჩამოიწერება 29 ანგარიშიდან 26 ანგარიშზე — „საერთო-სამეურნეო ხარჯები“.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ექსპლუატაციიდან მიღებული მოგება აისახება 80 ანგარიშის კრედიტში „მოგება და ზარალი“, 29 ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით.

29 ანგარიშზე ცალკე აღრიცხება სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების შენახვის ფაქტობრივი ხარჯები. დანახარჯების აღრიცხვა წარმოებს თითოეული საბავშვო დაწესებულების მიწვევით. აღნიშნული ხარჯები ყოველთვიურად გადაირიცხება 29 ანგარიშის კრედიტიდან დანახარჯების დაფარვის წყაროების სათანადო ანგარიშების დებეტში.

დ ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პიოუტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 13 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წლენი წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობათა გაფუჭებიდან
- 85 სარქისობი ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 91 სპიკილორი სასესხო ანგარიში
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პიოუტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 40 შუა პროდუქცია
- 41 საქონელი
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მომუქვევის ხარჯები
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან
- 78 შიდასაფუებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებზე
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 81 მოგების გამოყენება
- 83 მომავალი პერიოდის შემოსავალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 85 სარქისობი ფონდი
- 88 სპიკილორი დანიშნულების ფონდები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვები
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

მოიჯარე ორგანიზაციები და მენაშენები, რომლებიც მშენებლობას აწარმოებენ სამეურნეო წესით, არაკაპიტალურ სამუშაოებს აღრიცხავენ სუბანგარიშებით:

30—2 „დროებითი (არასატიტულო) ნაგებობათა აგება“;

30—3 „სხვა არაკაპიტალური სამუშაოები“.

30—1 სუბანგარიშზე აისახება დროებითი (სატიტულო) შენობა-ნაგებობათა აგებაზე, აგრეთვე სხვა ნაგებობათა მოწყობასა და მომარჯვებაზე შესრულებული სამუშაოების დანახარჯები, როდესაც შემკვეთის მიერ სათანადო საშუალებები გადაეცემა მოიჯარე ორგანიზაციას სასაქონლო-სამშენებლო პროდუქციის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემადგენლობაში.

ასეთი ობიექტების მშენებლობის დამთავრებისა და ექსპლუატაციაში გადაცემის შესაბამისად, მათი აგების დანახარჯები ჩამოიწერება მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლების სახსრების ანგარიშზე. ღირებულება აღნიშნული ობიექტებისა, რომელიც ეკუთვნის ძირითად ფონდებს, აისახება 01 „ძირითადი საშუალებების“ და 85 „საწესდებო ფონდის“ ანგარიშზე.

ობიექტები, რომლებიც არ მიეკუთვნება ძირითად საშუალებებს, შემოსავალში აიღება 30 ანგარიშის კრედიტიდან 13—3 სუბანგარიშის დებეტში და გაფორმდება როგორც დროებითი (არასატიტულო) ნაგებობა.

ერთდროულად ამ ღირებულებით აღირიცხება ცვეთა (13 ანგარიშის კრედიტში) დროებითი (სატიტულო) შენობებისა და ნაგებობების მიზნობრივი დაფინანსების სახსრების ანგარიშში (დებეტი ანგარიში 96).

ნაკეთობის ლიკვიდაციისას მისი ღირებულება ჩამოიწერება 12 ანგარიშიდან 13 ანგარიშის დებეტში „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა“. მასალების უკან დაბრუნებისას მისი ღირებულება შემოსავალში აიღება 05 ანგარიშის „მასალების“ დებეტში 96 ანგარიშის კრედიტიდან „მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი“ (დროებითი (სატიტულო) შენობები და ნაგებობანი). დანახარჯები არასაინვენტარო ხასიათის ობიექტებზე ჩამოიწერება 30 ანგარიშიდან 96 ანგარიშის დებეტში (დროებითი (სატიტულო) შენობები და ნაგებობანი).

30—2 სუბანგარიშზე აღირიცხება დანახარჯები არაკაპიტალურ სამუშაოებზე, რომელიც დაკავშირებულია დროებით (არასატიტულო) შენობა-ნაგებობათა და სამარჯვების და სხვ. აგებასთან. მითითებული სამუშაოების დამთავრების შემდეგ, დანახარჯები გადაირიცხება 12 ანგარიშის „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების“ დებეტში (სუბანგარიში 3)

დანახარჯები არასაინვენტარო ხასიათის ობიექტებზე ჩამოიწერება 30 ანგარიშის კრედიტიდან 26 ანგარიშის დებეტში.

30—3 სუბანგარიშზე აღირიცხება დანარჩენი არაკაპიტალური სა-  
 ნუშაობები. მათ, კერძოდ მიეკუთვნება სამუშაოები მშენებლობაზეწყვე-  
 ტილი სამშენებლო ობიექტების დაშლასა და დემონტაჟზე და ა. შ. მუ-  
 შაობის დამთავრებისას მშენებლობაზეწყვეტილი სამშენებლო ობიექტე-  
 ბის დაშლისა და დემონტაჟის ღირებულება, რომელიც შესრულებულ  
 იქნა დამკვეთთან (მენაშენესთან) სამეურნეო წესით. მიეკუთვნება 33  
 ანგარიშს — „კაპიტალური დაბანდება“, ხოლო მოიჯარე ორგანიზაციას —  
 62 ანგარიშის „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან“  
 დებეტში.

30 ანგარიშზე არ აღირიცხება დანახარჯები სამშენებლო სამუშაოებ-  
 ზე. რომელიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის კეთილმოწყო-  
 ბასთან, მასალების, კონსტრუქციების და ნაგებობათა ნაწილის გამოც-  
 დასთან, შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის, საკუთარი და იჯა-  
 რიო აღებული შენობებისა და ნაგებობების მიმდინარე რემონტთან  
 (მათ შორის არასატიტულო) და სხვ. აღნიშნული დანახარჯები აღირი-  
 ცხება 23, 26, 29 და სხვა ანგარიშებზე.

არაკაპიტალური სამუშაოები, რომლის დანახარჯები აღირიცხება  
 30—2 სუბანგარიშზე, აისახება მხოლოდ პირდაპირი ხარჯები, ზედნა-  
 დეზი ხარჯების დარიცხვის გარეშე; ხოლო დანახარჯები, აღრიცხულა  
 30—1 და 30—3 სუბანგარიშებზე, აისახება ზედნადები ხარჯების გათ-  
 ვალისწინებით, რომელიც ნაწილდება ობიექტებზე პირდაპირი ხარჯების  
 პროპორციულად.

ანგარიში 30 „არაკაპიტალური სამუშაოები“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ბ ე ტ ი თ	/	კ რ ე დ ი ტ ი თ
05 მასალები		05 მასალები
07 სამშენებლო მასალები და დასად- გმელი მოწყობილობა		06 სათბობი
08 ს.აადარიგო ნაწილები		07 სამშენებლო მასალები და დასად- გმელი მოწყობილობა
12 მცირეფასიანი და სწრაფუკეთადი საგნები		12 მცირეფასიანი და სწრაფუკეთადი საგნები
23 დამხმარე წარმოებანი		16 სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები
24 მანქანებისა და მოწყობილობის შე- ნახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები		23 დამხმარე წარმოებანი
26 საერთო-სამეურნეო ხარჯები		26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
46 რეალიზაცია		31 მომავალი პერიოდის ხარჯები
60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან		33 კაპიტალური დაბანდებანი
63 ანგარიშსწორებანი ურეტენზიებით		46 რეალიზაცია
69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით		62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან
		76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დე-



70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით	ბიტორებთან და კრედიტორებთან
76 ანგარიშსწორებანი სხედასხვა ლე-ბიტორებთან და კრედიტორებთან	85 საწესდებო ფონდი
93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება	89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადას. ხდელთა რეზერვი
	96 მარნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

**ანგარიში 31 „მომავალი პერიოდის ხარჯები“**

ამ ანგარიშზე აღირიცხება ხარჯები, რომლებიც გაწეულია მომავალი საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშში და ექვემდებარება ხარჯებში შეტანას არა უმეტეს ორი წლის ვადისა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით — არა უმეტეს ოთხი წლისა. სამთომოსამზადებელი სამუშაოების ხარჯები იფარება სმითო გვირაბების გამოყენების ვადის მიხედვით.

31 ანგარიშის დებეტში აღრიცხულ ხარჯებს, კერძოდ, შეიძლება მიეკუთვნოს: წარმოების მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები მრეწველობის სეზონურ დარგებში; ახალი საწარმოების, წარმოების, საამქროებისა და აგრევატების გაშვების ხარჯები; ახალი სახის პროდუქციის წარმოებასთან და ტექნოლოგიური პროცესის ათვისებასთან დაკავშირებული ხარჯები, როცა მათი დაფინანსება არ ხდება მეცნიერებისა და ტექნიკის ერთიანი ფონდის ანგარიშში ან ახალი ტექნიკის ათვისების ფონდიდან; სამთომოსამზადებელი სამუშაოების, მიწის რეკულტივაციის ხარჯები; წარმოების (მშენებლობის) ორგანიზაციის ან გაფართოებისას ერთდროული ხასიათის მუშათა მასობრივი შეგროვების ხარჯები; დანახარჯებია იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების კაპიტალურ რემონტზე მოიჯარის სახსრებით; ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის არათანაბარი წარმოების ხარჯები; ტექნიკური ლიტერატურის გამოწერის თანხები; წინასწარ გადახდილი მომდევნო პერიოდს საიჯარო გადასახდელი და სხვ.

მომავალ პერიოდის ხარჯებს არ მიეკუთვნება სამრეწველო საწარმოებში სერიული ან მასობრივი წარმოების პირობებში გაწეული ხარჯები, დაკავშირებულ ისეთ მიმდინარე სამუშაოების შესრულებასთან, როგორცაა ნაწარმის კონსტრუქციის ნაწილობრივი შეცვლა. ცალკეული დეტალებისა და კვანძების მოდერნიზაცია, ტექნოლოგიური პროცესის ნაწილობრივი გადასინჯვა. აღნიშნული ხარჯები უშუალოდ შეიტანება წარმოების დანახარჯებში. თუ ეს ხარჯებია თანაზმად ხელშეკრულებისა, შემკვეთის მიერ ანაზღაურდება, მაშინ ისინი ცალკეული საწარმოო შეკვეთების მიხედვით აღირიცხება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში

(ორგანიზაციებში) მომავალი პერიოდის ხარჯებად ითვლება და აღირიცხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებაზე სეზონთაშორის პერიოდში გაწეული ხარჯები (საოპერაციო, საერთო-დასამზადებელი ხარჯები), აგრეთვე ნედლეულის სამრეწველო გადამუშავების საერთო-სამეურნეო ხარჯები, განაწილების გეგმურ გაანგარიშებათა შესაბამისად.

პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებით მომსახურე წარმოებათა და მეურნეობათა დანახარჯები (დამხმარე სასოფლო მეურნეობა, სამკერვალო, ფეხსაცმლის სახელოსნოები და სხვ.), მომავალ საანგარიშგებო პერიოდს რომ ეკუთვნოდეს, ჩამოიწერება 29 ანგარიშზე „მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი“ კუთვნილისამებრ მთლიანად იმავე თვეში, რომელშიც წარმოებულა ეს ხარჯები. პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისას ხარჯები, რომელიც მიეკუთვნა მომავალ საანგარიშგებო პერიოდს რჩება 29 ანგარიშზე, როგორც დაუმთავრებელი წარმოება.

31 ანგარიშზე აღირიცხება მომავალი პერიოდის ხარჯები. მათა სახეების მიხედვით.

მომავალი პერიოდის ხარჯების დახასიათება (ახალ საწარმოთა, წარმოებათა, საამქროებისა და აგრეგატების ათვისების მიხედვით; (გაშვების ხარჯები); ახალი სახის პროდუქციის ათვისების, სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების, დამზადების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების მიხედვით სეზონთაშორის პერიოდში და სხვ.) და, აგრეთვე, ყველა ამ სახის ხარჯების დანახარჯების სათანადო ანგარიშებში ჩამოწერის წესი და ვადები დგინდება სამინისტროებისა და უწყებების დარგობრივი ინსტრუქციებით.

31 ანგარიშის კრედიტში აისახება აღრიცხული ხარჯების წარმოების ხარჯებში ჩამოწერა თანაბარი ნაწილებით. ხარჯთა ცალკეული სახეების დანახარჯების ანგარიშებში ჩამოწერა შეიძლება წარმოებდეს შემდეგი წესით:

მომავალი პერიოდის ხარჯები დაკავშირებული მუშათა ორგანიზებულ შეგროვებასთან ხარჯებში ჩამოიწერება ყოველთვიურად შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ოდენობით. ამასთან, წლის ბოლოს გაწესხვავება ფაქტიურ დანახარჯებსა და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ თანხებს შორის მიეკუთვნება კუთვნილებისამებრ მთლიანად სათანადო ანგარიშს. მომავალი პერიოდის ხარჯად შეიძლება დარჩეს მხოლოდ ის თანხა, რომელიც მოდის შეგროვილ, მაგრამ სამუშაოზე გამოუცხადებელ მუშებზე. იგი კორექტირებულ უნდა იქნეს პროცენტულა შეფარდებით წლის განმავლობაში შეგროვილი და სამუშაოზე გამოცხადებული მუშების რაოდენობასთან.

იქარით აღებული ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტის ხარჯები, რომელიც წარმოებულა ხელშეკრულების პირობის თანახმად მოიჯარის ანგარიშში, ჩამოიწერება ყოველთვიურად 89 — „მოსალოდნე-

ლი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვის“ ანგარიშზე, ამ რემონტი-ხათვის არსებული რეზერვის ფარგლებში, ხოლო თუ რემონტი ჩატარებულია იჯარის გამცემის ანგარიშში, მაშინ ამ ხარჯების ჩამოწერა 76 ანგარიშიდან — „ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“ მოხდება, ასევე ყოველთვიურად, მაგრამ იჯარის გამცემის სასარგებლოდ დარიცხული იჯარის ქირის ფარგლებში. წლის ბოლოს ეს თანხები ორივე შემთხვევაში უნდა ჩამოიწეროს. მთლიანად, ამასთან, პირველ შემთხვევაში, თუ ჩამოსაწერი თანხა არ ემთხვევა ადრე შექმნილ რეზერვს, ამ უკანასკნელის კორექტირება ხდება, ხოლო მეორე შემთხვევაში, გადახარჯვის ან ეკონომიის თანხა რჩება, როგორც ანგარიშსწორების სალო იჯარის გამცემთან.

31 ანგარიშზე რიცხული ძირითადი საშუალებების უთანაბროდ წარმოებულ მიმდინარე რემონტის (ხარჯთაღრიცხვით ერთი წელიწადზე გათვალისწინებულ) მომავალი პერიოდის ხარჯები ჩამოიწერება 89 „მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი ანგარიშზე“ არსებული რეზერვის ფარგლებში. რეზერვის უკმარისობისას საანგარიშგებო წლის ბოლოს მიმდინარე რემონტის ხარჯები 31 ანგარიშზე არ უნდა დარჩეს, შეტანილ უნდა იქნეს წარმოების ან მიმოქცევის ხარჯებში.

სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის ხელმოწერის თანხები, იჯარის ქირა და სხვ. მომავალი პერიოდის ხარჯები ჩამოიწერება ყოველთვიურად წარმოების ან მიმოქცევის ხარჯებში თანაბარ ნაწილებად იმ ვადის განმავლობაში, რომელსაც ეკუთვნის ესა თუ ის ხარჯი.

ანგარიში 81 „მომავალი პერიოდის ხარჯები“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დებიტით

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათაღარიგო ნაწილები
- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 40 შხა პროდუქცია
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რელიზაცია
- 50 საღარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჭარებებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით

კრედიტით

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათაღარიგო ნაწილები
- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 33 კაპიტალური დაბანდება
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები

- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათშორისო კოოპერაციით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებზე
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 85 საწესდებო ფონდი
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 91 სპეციალური სასისხლო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება

- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 80 მოგება და ზარალი
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი

**ანგარიში 33 „კაპიტალური დაბანდებანი“**

კაპიტალური დაბანდების დანახარჯების აღრიცხვა წარმოებს კაპიტალური დაბანდებების აღრიცხვის შესახებ დადგენილი ძირითადი დებულებებით, სათანადო დარგობრივი ინსტრუქციებით და აგრეთვე მშენებლობის დაფინანსების წესებით.

ამ ანგარიშის დებეტში აისახება მენაშენეთა (შემკვეთთა) მიერ კაპიტალური დაბანდებისათვის გაწეული დანახარჯები (შენობებისა და ნაგებობების აგებაზე; კაპიტალური მშენებლობისათვის ხარჯალრიცხვით, სახარჯთაღრიცხვო-ფინანსური გაანგარიშებებითა და სატიტულო სიებით გათვალისწინებული მოწყობილობის, ინსტრუმენტების, ინვენტარისა და სხვა საგნების შეძენაზე) განხორციელებული როგორც სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული დაფინანსების წყაროების, ასევე საკუთარი წყაროების ანგარიშზე, სსრ კავშირის მთავრობის ნებართვით.

33 ანგარიშზე „კაპიტალური დაბანდება“ აისახება, აგრეთვე დანარჩენი დანახარჯები, რომლებიც არ ზრდიან ძირითადი ფონდების ღირებულებას.

33 ანგარიშის კრედიტში აისახება მთელი წლის მანძილზე მოქმედებანი შეყვანილი ობიექტების ჩამოსაწერი დანახარჯები და სხვა დანარჩენი დანახარჯები და დანაკარგები, რომელთა ჩამოწერა ნებადართულია საანგარიშო წელს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წყაროების ანგარიშებზე (ანგარიშები 78, 93).

სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების საიჯარო წესით შესრულებისას, 33 ანგარიშზე აღრიცხება მოიჯარე ორგანიზაციის აქცეპტებული ან განადგობილი ანგარიშების დანახარჯები, ხოლო ამ სამუშაოე-

ბის სამეურნეო წესით შესრულებისას — მენაშენის მიერ, ფაქტიურად გაწეული ყველა დანახარჯები.

მოიჯარე ორგანიზაციები, რომლებიც კაპიტალურ დაბანდვას ახორციელებენ საკუთარი საჭიროებისათვის, სამშენებლო და საძოვბუდეო სამუშაოების დანახარჯებს (თუ ეს მოცემულია გეგმაში) წინასწარ აღრიცხავენ 20 „ძირითადი წარმოების“ ანგარიშზე და სამუშაოს ჩაბარების მიხედვით გადარიცხავენ 46 „რეალზაციის“ ანგარიშზე. 33 „კაპიტალური დაბანდვის“ ანგარიშზე ეს სამუშაოები აისახება სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით.

სამშენებლო ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლის თარიღად, თანახმად დადგენილი წესისა, ითვლება სახელმწიფო მიმღები კომისიის მიერ აქტზე ხელმოწერის თარიღი.

წლის განმავლობაში, მოქმედებაში შესული ობიექტების ღირებულება 33 „კაპიტალური დაბანდვის“ ანგარიშიდან — ობიექტების ექსპლუატაციაში ჩაბარების მიხედვით (მიმღები კომისიის აქტის საფუძველზე, დამტკიცებული კომისიის დამნიშნავი ორგანოს მიერ) გადარიცხება დაფინანსების სათანადო წყაროების ანგარიშზე. დანახარჯები, რომლებიც არ ზრდიან ძირითადი ფონდების ღირებულებას, წლის განმავლობაში ჩამოიწერება დაფინანსების არსებული წყაროების ფარგლებში.

სააღრიცხვო რეგისტრებში დანახარჯის თანხა აისახება შემდეგ სუბანგარიშებში:

33—1 „სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდვანი“.

33—2 „სახელმწიფო გეგმის ზევით განსახორციელებელი კაპიტალური დაბანდვანი“

33—3 „დაუგეგმავი კაპიტალური დაბანდვანი“

33—4 „დამთავრებული კაპიტალური დაბანდვანი, რომელიც არ იყო უზრუნველყოფილი დაფინანსებით“

33—5 „დანახარჯები, რომლებიც არ ზრდის ძირითადი ფონდების ღირებულებას“.

33—1, 33—2, 33—3 სუბანგარიშებში დანახარჯები აღირიცხება (ილ-ცალკე):

სამშენებლო სამუშაოებზე და რეკონსტრუქციაზე;

ბურღვის სამუშაოებზე;

მოწყობილობის მონტაჟზე;

მოწყობილობის შექმნაზე, რომელიც მოითხოვს დამონტაჟებას;

მოწყობილობის შექმნაზე, რომელიც არ საჭიროებს მონტაჟს, აგრეთვე ინსტრუმენტების და ინვენტარისა, რომელიც გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდვის ხარჯთაღრიცხვით;

საპროექტო-საძიებო სამუშაოებზე;

კაპიტალური დაბანდების სხვა დანარჩენ დანახარჯებზე;

ობიექტების ინვენტარულ ღირებულებაში შემავალი ზარალი.

სამშენებლო მიეკუთვნება სამშენებლო ნორმებში და წესებში გათვალისწინებული სამუშაოები (სამშენებლო ნორმები და წესები), კერძოდ:

მუდმივი და დროებითი (სატიტულო) შენობების და ნაგებობების აგების, გადაკეთებისა და გაფართოების სამუშაოები, შენობებისა, და ნაგებობათა შემადგენლობაში შემავალი რკინა-ბეტონის, ლითონის, ხის და სხვა სამშენებლო კონსტრუქციების მონტაჟის (დადგმული კონსტრუქციების ღირებულება აღირიცხება სამშენებლო სამუშაოთა მოცულობაში) ჩათვლით და მასთან დაკავშირებული სამშენებლო ტერიტორიის ათვისების, მომზადების და დაგეგმარების სამუშაოები:

საძირკვლის, ფუნდამენტისა და საყრდენი კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები;

სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობის, წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, თბოფიკაციისა და გაზის ქსელის გაყვანის სამუშაოები;

სამშენებლო ტერიტორიის, აგრეთვე დაბებისა და ქალაქების გამწვანებისა და კეთილმოწყობის, კაპიტალური დაბანდების გეგმით განსახორციელებელი მრავალწლიანი კულტურების გაშენების სამუშაოები;

საირიგაციო, ამოსაშრობი, ფსკერის ჩაღრმავების და ჰაობმოსამზადებელი სამუშაოები (გარდა ჰაობის ამოშრობისა მოქმედი ტორფის დამმუშავებელ წარმოებებში, რაც საექსპლუატაციო ხარჯების ანგარიშით წარმოებს), არტეზიული ჰაბურღილებისა და ჰების მოწყობა, სამთო სამუშაოები, გარდა იმ სამუშაოებისა, რომლებიც მოქმედ საწარმოებში საექსპლუატაციო ხარჯების ანგარიშით წარმოებს და სხვ.

სანიტარიულ და სხვა ხელსაწყოთა ღირებულება წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, გაზიფიკაციის, თბოფიკაციის და ცენტრალური გათბობის შიდა ქსელის მოწყობისას და სათბობი ქვაბების ღირებულება, გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოთა სახარჯთარიცხვო ნორმებით, შეიტანება სამშენებლო სამუშაოთა დანახარჯების შემადგენლობაში.

საბურღ სამუშაოებს მიეკუთვნება ნავთობის ჰაბურღილების საექსპლუატაციო და ღრმა სადაზვერვო ბურღვის სამუშაოები, რომლებიც წარმოებს კაპიტალური დაბანდების გეგმით.

მოწყობილობის მონტაჟის სამუშაოებს მიეკუთვნება მოწყობილობის მონტაჟის საფასურებში გათვალისწინებული სამუშაოები. კერძოდ, საწარმოო, ტექნოლოგიური, ენერგეტიკული, ამწე-ტრანსპორტის და სხვა მოწყობილობის აწყობა და დადგმა; მონტირებული მოწყობილობის შემადგენლობაში შემავალი სამრეწველო გაყვანილობის მოწყობა;

მოწყობილობასთან კონსტრუქციულად დაკავშირებული მომსახურე მოედნებისა და კიბეების მონტაჟი, დადგმა და სხვა სამუშაოები.

ძველის ნაცვლად შექმნილი მოწყობილობის დადგმასთან დაკავშირებული სამუშაოები იმის გამო, რომ ამ უკანასკნელის კაპიტალური რემონტი ეკონომიკურად მიზანშეწონილი არ აღმოჩნდა, აგრეთვე განხილება, როგორც მოწყობილობის მონტაჟი.

მოწყობილობის მონტაჟის სამუშაოების მოცულობაში არ შედის: მონტირებული ელექტრომოწყობილობის კომპლექსური გამოცდა დატვირთვის ქვეშ და ტექნოლოგიური მანქანებისა და მექანიზმების გამოცდა, წარმოებული გასაშვები და საექსპლუატაციო ხარჯების ანგარიშით; სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების მონტაჟი და დემონტაჟი (ამ მიზნით გაწეული ხარჯები შედის მანქანებისა და მექანიზმების ექსპლუატაციის ხარჯების შემადგენლობაში), მოწყობილობის წინასამონტაჟო რევიზიასთან დაკავშირებული სამუშაოები (დანახარჯები ამ სამუშაოებზე შედის მოწყობილობის ღირებულებაში).

დასამონტაჟებელ მოწყობილობად ჩაითვლება მოწყობილობა, რომელიც მოქმედებაში შეიძლება შევიდეს მისი ნაწილების აწყობის და ფუნდამენტზე ან საყრდენზე, იატაკზე, სართულთაშორისო გადახრვაზე და შენობისა და ნაგებობის სხვა გამზიდავ კონსტრუქციებზე მიმაგრების შემდეგ.

დასამონტაჟებლად გადაცემულ მოწყობილობაში (რომლის ღირებულება დანახარჯებში გამოიყოფა თითოეული ობიექტის მიხედვით ცალ-ცალკე) შედის დასამონტაჟებელი საწარმო, ელექტრული, ენერგეტიკული, ამწე-სატრანსპორტო, სატუმბავ-საკომპრესორო და სხვა მოწყობილობა; ლაბორატორიების, სახელოსნოების, საცდელი დანადგარების, სამედიცინო რენტგენული, ელექტროწყალსინათლით სამკურნალო კაბინეტებისა და სხვ. მოწყობილობა, მოედანზე დამზადებული ცალკეული დეტალებისა და ნაწილების ღირებულება, რომლებიც გამოიყენება მოწყობილობის დასაკომპლექტებლად, აგრეთვე მოწყობილობის განახლებასთან, აღკავშვასთან და დაკომპლექტებასთან დაკავშირებული ელემენტების ღირებულება, რომელიც ამ მოწყობილობის შემადგენელ ნაწილებად ითვლება, უერთდება დასამონტაჟებლად გადაცემული მოწყობილობის ღირებულებას.

მოწყობილობას, რომელიც არ საჭიროებს მონტაჟს, მიეკუთვნება ისეთი მოწყობილობა, რომელიც ასამოქმედებლად არ მოითხოვს წინასწარ აწყობას, საყრდენთან მიმაგრებას, ფუნდამენტთან ან შენობის (ნაგებობის) გადამტან კონსტრუქციასთან; თავისუფლად მდგარი ჩარხები, წნეხები, ძრავები და სხვა მანქანები და აპარატები, აგრეთვე მოწყობილობა, რომელიც არ შედის მშენებლობის ხარჯთაღრიცხ-

ვაში (ტრანსპორტის ყველა სახის მოძრავი შემადგენლობა, თევზის მრეწველობის ფლოტა, ენერგო-მატარებლები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები. სამშენებლო და საგზაო მანქანები, კომუნალური მეურნეობის მანქანები და მექანიზმები ქუჩის გასაწმენდად და სხვ.).

თუ კაპიტალური დაბანდების გეგმასა და მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია ახალი საწარმოო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის მცირეფასიანი და სწრაფფასადო ინსტრუმენტებისა და ინვენტარს, აგრეთვე ტექნიკური ბიპლოთეკის შექმნა, მაშინ აღნიშნული მიზნებისათვის გაწეული ფაქტობრივი დანახარჯებაც აისახება ამ მუხლში.

იმ შემთხვევაში, როდესაც კაპიტალური დაბანდების ასიგნების ანგარიშში კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები-საგან შეიძინება შენობები და ნაგებობები ღირებულების გადასდით, აღნიშნული დანახარჯები აისახება როგორც კაპიტალური დაბანდების დანარჩენი ხარჯები.

ძირითად საშუალებათა, ინსტრუმენტებისა და ინვენტარის ღირებულებას უერთდება სატრანსპორტო და სხვა ხარჯები, რაც დაკავშირებულია მის შექმნასთან (დასამონტაჟებელი მოწყობილობის დადგმის ხარჯები აისახება როგორც მონტაჟთან დაკავშირებული დანახარჯები).

დანახარჯები მოწყობილობისა და ძირითადი საშუალებების სხვა ობიექტების შექმნაზე, რომლებიც მონტაჟს არ საჭიროებენ, აღრიცხვაში იყოფა: ნაყიდობის ღირებულება (მიწოდების გასაცემი ღირებულება); სატრანსპორტო ხარჯები და დანარჩენი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ ძირითად საშუალებათა შექმნასთან.

მოწყობილობის ღირებულება, რომელიც მონტაჟს არ საჭიროებს, კაპიტალური დაბანდების მოცულობაში ჩაირთვება მისი შექმნის მიხედვით.

საპროექტო-საძიებო სამუშაოების დანახარჯები საპროექტო ორგანიზაციის საავტორო ზედამხედველობის ჩათვლით, მშენებლობის კონკრეტულ ობიექტს მიეკუთვნება თანხის იმ რაოდენობით, რასაც უხდიან სათანადო ორგანიზაციას აღნიშნული სამუშაოებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული დანახარჯები მიეკუთვნება მშენებლობის (რეკონსტრუქციის) რამდენიმე ობიექტს, ნაწილდება მოქმედებაში შესაყვანი ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პროპორციულად.

დანარჩენ დანახარჯებს მიეკუთვნება:

ხარჯები მშენებარე საწარმოს ღირებულებისა და ტექნიკური ზედამხედველობის შესანახად (კაპიტალური მშენებლობის ერთიანი შემკვეთის სამმართველოს (განყოფილების) აპარატის შენახვის ხარჯების ჩათვლით);



ხარჯები მშენებლობასთან დაკავშირებით მიწის ნაკვეთის გამოყოფასა და გადასახლებაზე (გარდა სამშენებლო სამუშაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია გადასახლებასთან);

ხარჯები მუშათა ორგანიზებული შეგროვებისა, მათ შორის სტუდენტური რაზმების მოზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები (გარდა მათი შენახვისა და მომსახურებისა, რომელიც მიეკუთვნება ზედნაღებ ხარჯებს);.

ხარჯები მრავალწლიანი კულტურების (ბაღი, ვენახი, პლანტაციები, სანერგეები და ა. შ.) დარგვასა და გამოწვრდასთან;

ხარჯები მუშა და პროდუქტიული პირუტყვის შესაძენად, რომელსაც ახორციელებენ არასასოფლოსამეურნეო საწარმოები (ორგანიზაციები);

ხარჯები, რომელიც ვათვალისწინებულია მშენებარე საწარმოების ან ნაგებობათა პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში, საშეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის სამშენებლო და ტექნოლოგიურ-საპროექტო გადაწყვეტათა დასაზუსტებლად მშენებლობის ადგილობრივი პირობების სპეციფიკასთან და მოცემული საწარმოს ან ნაგებობის მუშაობის თავისებურებებთან დაკავშირებით (გარდა სამუშაოებისა, რომელიც დაკავშირებულია ექსპერიმენტული დანადგარების აგებასთან და მოწყობილობის შექმნასთან);

ხარჯები დაკავშირებული სსრ კავშირის მთავრობის მიერ დადგენილ დანამატებთან, შეღავათებთან და უპირატესობებთან, რომლებიც შეტანილი არ არის სამშენებლო სამუშაოების ერთეულ შეფასებებსა და სამონტაჟო სამუშაოების საფასურებში და ნაღდდება ცალკეული ანგარიშებით (დანამატები სამუშაოთა მოძრავი და მიმოსვლითი ხასიათის გამო, შორეულ ჩრდილოეთში და მასთან გათანაბრებულ რაიონებში მუშაობასთან დაკავშირებით, შრომის ანაზღაურების სანარდო-პრემიალური სისტემის გამოყენებისას; დანახარჯები შრომის ანაზღაურების აკორდული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით, დანამატი წელთა დამსახურებაზე და სხვ.);

დანახარჯები, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის მუშაკთა გადაყენაზე სამუშაო ადგილამდე და უკან (3 კმ. მეტ მანძილზე ერთი მიმართულებით);

დანახარჯები, რომლებიც უნაზღაურდება მოიჯარე ორგანიზაციებს, ისეთი მასალების, ნაწარმისა და კონსტრუქციების გამოყოფისას, რომელზეც დადგენილია წამახალისებელი დანამატები;

სხვაობა მრეწველობის გასაცემ ფასსა და ზღვრულ ფასებს შორის (გამოყენებულია ხარჯთაღრიცხვებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების გამომანგარიშებისას) ალუმინისა და ფოლადის კონსტრუქციებზე, მილებზე, მილების კვანძებსა და ტექნოლოგიური მილსადენე-

ბის არნატურაზე, გარე (არატექნოლოგიური) მილსადენებისა და აგრეთვე სხვა ნაწარმზე, რომელზედაც სსრკ სასმუნენის მიერ დადგენილია ზღვრული ფასები:

დანახარჯები მიწის კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოთა ჩატარებაზე, რომელიც არ მოიაზრებს ამოშრობას, მინდორსაცავი ტყის ზოლის შექმნასა და ციცაბო ფერდობების ტერასირებაზე;

დანახარჯები კაპიტალური დაბანდების ანგარიშში კოოპერაციული და სხვა საწოგადობრივი ორგანიზაციებისაგან შენობებისა და ნაგებობების შესაქენად.

დანახარჯები მიწისმოსარგებლეთა ზარალის ანაზღაურებით, რომელიც გამოიწვია მათგან მიწის ნაკვეთების ჩამორთმევამ ან დროებითმა გამოყენებამ;

ობიექტებისა და სმძღავრეთა მოქმედებაში შეყვანასთან დაკავშირებული პრემიები;

სხვა სამუშაოები და დანახარჯები მშენებლობაში, რომლებიც არ მიეკუთვნება ნაერთ ხარჯთაღრიცხვაში (ნაერთი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო ვანგარიშებით) გათვალისწინებულ სამშენებლო, სამონტაჟო სამუშაოებს;

სამშენებლო ობიექტებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის გასანადღებლად დადგენილი წესით მიცემული კრედიტის პროცენტები, რომელთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებით;

სხვა დანახარჯები მშენებლობასა და რეკონსტრუქციაზე, რომლებიც ასახულია 33—1, 33—2, 33—3 სუბანგარიშებზე ცალკეული პოზიციების მიხედვით, როგორც წესი, შესაბამისად ნაჩვენები უნდა იყოს დანახარჯთა სახეების მიხედვით, რამდენადაც მათი ობიექტების მიხედვით აღრიცხვა გაძნელებულია.

მშენებლობის ან რეკონსტრუქციის ცალკეულ ობიექტებს შორის აღნიშნული ხარჯები ნაწილდება აგებული ან რეკონსტრუირებული ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პროპორციულად. ამასთან, შესაბამისი ნაწილი ამ ხარჯებისა უერთდება მხოლოდ იმ ობიექტების პირდაპირ ხარჯებს, რომელთა მშენებლობა ან რეკონსტრუქცია დამთავრდა.

ობიექტის ინვენტარულ ღირებულებაში შესატან და 33 ანგარიშზე ცალკე პოზიციით ასახულ დანახარჯებს მიეკუთვნება აგრეთვე ზარალი:

მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებული და 80 „მოგება და ზარალის“ ანგარიშზე აღრიცხული. მაგალითად, ზარალი მოწყობილობის, მატერიალური ფასეულობის რეალიზაციისა და სხვადასხვა სახის მომსახურებიდან; დებიტორული დავალიანების ჩამოწერისა და მატერიალურ ფასეულობათა გაფუჭებიდან; სტიქიური უბედურების შე-

დეგად მშენებლობადაუმაჯრებელი ობიექტის დანგრევიდან; მშენებლობაზე გამოყენებული ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციიდან.

85 „საწესდებო ფონდის“ ანგარიშზე გამოვლენილი ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციაზე გაწეული ხარჯების ნამატი თანხა ლიკვიდირებული ობიექტისაგან მიღებული მატერიალური ფასეულობის ღირებულებაზე (შესაძლებელი რეალიზაციის ან შესაძლებელი გამოყენების ფასებით), აგრეთვე გაყიდული ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების (პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული დარიცხული ცვეთა) ნამატი თანხა მისი გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებზე.

მშენებლობის ცალკეულ ობიექტებს შორის, ობიექტის ინვენტარულ ღირებულებაში შესატანი ზარალი ნაწილდება პირდაპირი ნიშნის მიხედვით. როცა ზარალი მიეკუთვნება მშენებლობის რამდენიმე ობიექტს, ისინი წლის ბოლოს ნაწილდება ექსპლუატაციაში გადაცემული ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პროპორციულად, როგორც დაუმაჯრებელ მშენებლობაზე მყოფი, ისე საანგარიშგებო წელს მოქმედებაში შესული. დროებით (არასატიტულო) შენობებისა და ნაგებობების ღირებულებაში ასეთი ზარალი არ შეიტანება.

კაპიტალური დაბანდების ობიექტებზე გაწეული დანახარჯები, რომლებიც გადაეცა სხვა საწარმოებს (ორგანიზაციებს), ჩამოიწერება 33 ანგარიშიდან (სუბანგარიშები 1 ან 2) 33 (სუბანგარიში 5) ანგარიშზე. ჩამოწერა წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის და გადაცემული დანახარჯებისა და დაფინანსების მიმღები მხარის ბალანსზე ჩარიცხვის შესახებ დასტურის საფუძველზე.

დანახარჯები საბოლოოდ შეწყვეტილ მშენებლობაზე, აგრეთვე, ნავთობის, გაზისა და სხვა ჭაბურღილებისა (გარდა ჭაბურღილებისა, რომლებიც ირიცხება ძირითად საშუალებათა შემადგენლობაში და ჩამოწერისას არამორტიზებული ნაწილი მიეკუთვნება საწესდებო ფონდის ანგარიშს), რომელთა ჩამოწერა ნებადართულია დადგენილი წესის თანახმად, სამოქმედოდ შეყვანილი ძირითადი ფონდების შემადგენლობაში არ შეიტანება, არამედ 33 „კაპიტალური დაბანდების“ ანგარიშიდან გადაირიცხება 93 „კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების“ ანგარიშზე წლის განმავლობაში, სანამდე მიღებული არ იქნება ნებართვა ჩამოწერის შესახებ.

საბოლოოდ შეწყვეტილი მშენებლობის დანახარჯების ჩამოწერისას (ობიექტების დაშლის, ჩამოწერისა და დაცვის ხარჯების გათვალისწინებით) საჭიროა ვიხელმძღვანელოთ შეწყვეტილი მშენებლობისა და, აგრეთვე, განუსორციელებელი მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოების დანახარჯების ჩამოწერის გაფორმების წესების შესახებ სსრ კავშირის ცსს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის მითითებებით, აგრეთ-

ვე დებულებით — ბულალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ.

კანტრდილების ჩამოწრისას საქროა ვხელმძღვანელოთ ნავოობის, გაზისა და სხვა კაბურდილების ლიკვიდაციისა და მათ აგებაზე დანახარჯების ჩამოწრის წესის შესახებ სსრ კავშირის სახელმწიფო ტექნიკდამხედველობის მიერ დამტკიცებული დებულებით.

დადგენილი წესით, მიმღები კომისიის მიერ აქტების გაფორმების შემდეგ მშენებლობადამთავრებული ობიექტების და ისეთი მოწყობილობის სამოქმედოდ შეყვანის შესახებ, რომლებიც არ საჭიროებენ დამონტაჟებას და ისეთი მოწყობილობის მარაგში ჩარიცხვის შესახებ, რომლებიც საჭიროებენ დამონტაჟებას, მათი ღირებულება გამოვლინდება 33 ანგარიშზე (სუბანგარიში 1 და 2) და ჩამოიწერება 93 ანგარიშზე „კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება“.

ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ქამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში დარღვევებისას, პროცენტების, ჯარიმების, საურავეების და პირგასამტეხლო თანხების გადახდასთან, მოქმედ საწარმოებში (ორგანიზაციებში) მიეკუთვნება მათი ძირითადი საქმიანობის შედეგებს, ხოლო ახალ მშენებარე საწარმოებში წარმოებს ცენტრალიზებული ფონდებისა და ზემდგომი ორგანოების ანგარიშზე, მათი არარსებობისას ან უკმარისობისას კი სამინისტროს (უწყების) რეზერვის ანგარიშში ფინანსური დახმარების გასაწევად.

ძირითადი საქმიანობის შედეგებსა და ცენტრალიზებულ ფონდებსა და რეზერვებს მიეკუთვნება:

პროცენტები მოწყობილობის გასანაღდებლად მიღებული სესხის ვადაგადაცილებისათვის, აგრეთვე საურავი მოწყობილობის გადასახდელთა ვადაგადაცილებისათვის, როდესაც მყიდველების მიერ არ იქნა შესრულებული მშენებლობის დაფინანსების წესების მოთხოვნები;

პროცენტები გადიღებული ოდენობით, გადახდევინებული იმპორტული მანქანებისა და მოწყობილობის გასანაღდებლად მიღებული სესხის კრედიტისათვის მისი დასამონტაჟებლად ჩაბარების ვადის გასვლის შემდეგ, აგრეთვე, ჯარიმები ბანკის სესხის მიმღების მიერ მონტაჟში ჩაბარების შესახებ ბანკისათვის არასწორი ცნობის წარდგენისათვის.

პროცენტები ვადაგადაცილებულ სესხზე, საზღვარგარეთ შესყიდული მოძრავი შემადგენლობის გასანაღდებლად; გეგმებზე, რომელიც ექსპლუატაციაში უნდა შევიდეს მიმდინარე წელს; სატრანსპორტო საშუალებებზე, სამშენებლო მექანიზმებზე და სხვა მანქანებსა და მოწყობილობაზე, რომელიც მონტაჟს არ საჭიროებს;

ჯარიმები, გადახდევინებული იმასთან დაკავშირებით, რომ სატიტულო სიებში არ იყო ჩართული, ან არ იყო უზრუნველყოფილი მშენებ-

ლობა (ობიექტები) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით სამი თვის განმავლობაში, ბანკის მიერ სამინისტროებისა და უწყებებისადმი ცნობის გაგზავნის დღიდან ამ მშენებლობისათვის (ობიექტებისათვის) იმპორტული მანქანების, მოწყობილობისა და მასალების მიღების შესახებ;

პირგასამტეხლო (ჯარიმები, საურავები) კაპიტალური მშენებლობის საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევისათვის, აგრეთვე, მოიჯარეებისათვის ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული შემკვეთის ხარჯები, რომელიც ამ დარღვევამ გამოიწვია;

ბანკის პროცენტების გადახდა, შემკვეთებისათვის გაცემული კრედიტისათვის მოიჯარე ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოზე აქცეპტებული ანგარიშების გასანაღდებლად, როდესაც მათ ანგარიშზე დროებით არ ქონდათ სახსრები ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების დაფინანსებისათვის.

შემკვეთთა სხვა ანალოგიური გადასახდელები — სსრ კავშირის მთავრობის მიერ დადგენილ შესაბამის შემთხვევებში.

შემკვეთების მიერ გადახდილი პროცენტების, ჯარიმების, საურავების და პირგასამტეხლოს თანხები ახლად მშენებარე საწარმოების მიერ მიეკუთვნება ზემდგომი ორგანიზაციის რეზერვის ანგარიშს — დებეტი — 78 „შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით“; მოქმედი საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ ძირითადი საქმიანობის ანგარიშზე — 79 „შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანის“ ანგარიშის დებეტი.

33—3 სუბანგარიშზე „დაუგეგმავი კაპიტალური დაბანდებანი“ აისახება საწარმოს დანახარჯები სატიტულო სიებით გათვალისწინებულ სამშენებლო ობიექტებზე, რომელთა კაპიტალური მშენებლობა წარმოებდა საბრუნავ საშუალებათა ანგარიშსა და სხვა ნებადაურთველ წყაროებიდან.

33—4 სუბანგარიშზე „დანთავრებულ კაპიტალური დაბანდებანი, რომელიც არ იყო უზრუნველყოფილი დაფინანსებით“, აღირიცხება დანახარჯები დამთავრებულ კაპიტალურ მშენებლობაზე, რომელსაც არ გააჩნია დადგენილი წესით ნებადართული დაფინანსების წყარო, ან მთლიანად არ არის დაფარული არსებული დაფინანსებით.

ამასთან დამთავრებული კაპიტალური მშენებლობის დანახარჯები ჩამოიწერება 33—1 და 33—2 სუბანგარიშებიდან 93 „კაპიტალური დაბანდების დაფინანსების“ ანგარიშზე არსებული დაფინანსების ოდენობით, ხოლო დაფინანსების წყაროებით დანახარჯების დაუფარავი თანხა ჩამოიწერება 33—4 სუბანგარიშის დებეტში.

33—5 სუბანგარიშზე „დანახარჯები, რომლებიც არ აღიღებს ძირითადი ფონდების ღირებულებას“, კერძოდ აისახება:

ა) მშენებლობის ნაერთ ხარჯთაღრიცხვებში და სახარჯთაღრიცხვოსაფინანსო გაანგარიშებებში გათვალისწინებული მშენებარე საწარმოების ხარჯები:

ახლადშექმნილი საწარმოების სამუშაოებისათვის საექსპლუატაციო კადრების მოსამზადებლად;

მშენებლობის კონსერვაციისათვის დადგენილი წესით ნებადართული კაპიტალური მშენებლობის ასიგნების ანგარიში;

პერსპექტიული ხასიათის დანახარჯები, რომელიც არ შეეკუთვნება კონკრეტულ მშენებლობას (გეოლოგიურ-სადაზვერვო, საძიებო და სხვ.);

სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით ორგანიზებული გამოფენების გასაფორმებლად;

სხვა ორგანიზაციების დაფინანსებისათვის კაპიტალურ დაბანდებაში წილობრივი მონაწილეობის წესით სახელმწიფო გეგმით ასიგნების ანგარიში, აგრეთვე სახელმწიფო გეგმის ზევით დაფინანსების ანგარიში.

ამავე სუბანგარიშში აღირიცხება, აგრეთვე დანახარჯები შენობებისა და ნაგებობათა შესაძენად კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან კაპიტალური დაბანდების ანგარიშში, საბოლოო ანგარიშსწორების დამთავრებისას 33—1 და 32—2 სუბანგარიშებიდან გადარიცხული;

ბ) ობიექტების მშენებლობის ნაკრებ ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებელი დანახარჯები:

ანარიცხები სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის ფონდში;

დაუმთავრებელი ობიექტების მშენებლობის დანახარჯები, რომლებიც გადაეცა უსასყიდლოდ სხვა საწარმოებს (ორგანიზაციებს) დადგენილი წესით (საფუძველი ამ დანახარჯების ჩამოსაწერად, გარდა სათანადო მიღება-გადაცემის აქტებისა, საჭიროა, აგრეთვე მიმღები მხარის ცნობა აღნიშნული დანახარჯების აღრიცხვაში ასახვის შესახებ);

სამეურნეო წესით წარმოებული მშენებლობის საიჯაროზე გადატანისას მოიჯარე ორგანიზაციებისათვის უსასყიდლოდ გადაცემულ მატერიალურ ფასეულობათა ღირებულება, მათთვის დადგენილი საბრუნავი საშუალებების ნორმატივების ფარგლებში, რაც გამოანგარიშებულია საიჯარო ხელშეკრულების თანხიდან;

სხვა ორგანიზაციებისათვის დადგენილი წესით გადაცემული მოწყობილობის ღირებულება;

მშენებელ მუშათა კადრების მომზადების ხარჯები ძირითადი საქმიანობის საფინანსო გეგმით გათვალისწინებულ გეგმური დაგროვების ანგარიშში (მენაშენებთან სამეურნეო წესით მუშაობის წარმოებისას);

სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით მატერიალურ ფასეულობათა ჩამოფასების თანხები;

სტიქიური უბედურებით გამოწვეული მშენებლობის ძირითად საშუალებათა ზარალი (მათ შორის მათი ლიკვიდაციიდან).

მშენებლობაშეწყვეტილი ობიექტების დაშლის, დემონტაჟის და დაცვის ხარჯები, რომელთა ჩამოწერა ნებადართულია დადგენილი წესით.

საიჯარო წესით განხორციელებული კაპიტალური დაბანდების და ნახარჯების აღრიცხვისას, მხედველობაში უნდა გვქონდეს, თუ გამოვლინდება სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების გადადება ბანკის მიერ განადგებულ ან გასანადგებლად მიღებულ მოიჯარე ორგანიზაციების ანგარიშებში, ან ბანკის მიერ ადრე მიღებული შესრულებული სამუშაოების ანგარიშების გაუნადგებლად უკან დაბრუნებისას, შემკვეთი და მოიჯარე ვალდებულნი არიან მოახდინონ ურთიერთშეთანხმებული შესწორებანი აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სათანადო მონაცემებში.

შემკვეთთან ასეთი შესწორებანი კეთდება შემდეგი წესით:

საანგარიშო წელს ობიექტებზე შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების გადიდებულ თანხას აბათილებენ სტორნოს წესით 33 ანგარიშის დებეტით და 60 ანგარიშის „ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან“ კრედიტით.

მიმდინარე წლამდე ობიექტების მიხედვით და წლის დასაწყისისათვის დაუთმავრებელ მშენებლობების შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების გადიდებული თანხები (შემკვეთის მიერ მოიჯარეებზე გადახდილი) ჩამოიწერება 33 (სუბანგარიში 1 და 2) ანგარიშის კრედიტიდან 60 ანგარიშზე.

სამეურნეო წესით შესრულებულ სამუშაოთა გადიდებული სახარჯთა აღრიცხვო ღირებულების გამოვლინებისას საანგარიშგებო წელს ან საანგარიშგებო წლამდე, წლის დასაწყისისათვის დაუთმავრებელ ობიექტებზე, შემდგომი ორგანიზაციის ნებართვით, სათანადო სახარჯთაღრიცხვო მონაცემები სამუშაოთა მოცულობის შესრულების შესახებ სწორდება კაპიტალური მშენებლობის ანალიზურ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში.

საანგარიშო წლამდე მოქმედებაში შესულ ობიექტებზე სამუშაოთა ღირებულების გადიდების გამოვლინებისას, სსრ კავშირის მშენბანკის მიერ მოიჯარისაგან დაკავებული და მენაშენის დაფინანსების ანგარიშში ჩარიცხული თანხა უკანასკნელის მიერ გატარდება — დებეტი 93 ანგარიშის დებეტით, როგორც სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდების დაფინანსება და კრედიტით — ანგარიში 60. ერთდროულად გადიდებული თანხით დებეტდება 60 ანგარიში და კრედიტდება 93 ანგარიში („კაპიტალური დაბანდების დაფინანსების დანარჩენი წყაროები“).

როდესაც მშენებლობას დაფინანსება მიმდინარე ყელს არ გაეხსება და მოიჯარეებისაგან გადახდევინებული თანხა სსრ კავშირის მშენებლობის ბანკის მიერ ჩაირიცხება ბიუჯეტში, ან თანხაზე მენაშენის აღრიცხვაში გაკეთდება ჩანაწერი: 93 „კაპიტალური დაბანდების დაფინანსების დანარჩენი წყაროები“ ანგარიშის კრედიტით და ანგარიში 60 „ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან“ ანგარიშის დებეტი. აღნიშნული თანხით ერთდროულად კრედიტდება 60 ანგარიში და დებეტიდება 33 ანგარიშის სუბანგარიში 5, როგორც დანარჩენი ჩამოწერები.

33 (სუბანგარიში 5) ანგარიშზე აღრიცხული სამუშაოთა ღირებულების გადიდება ჩამოიწერება 93 ანგარიშზე („კაპიტალური დაბანდების დაფინანსების დანარჩენი წყაროები“). ერთდროულად ძირითადი საქმიანობის ბალანსში ამ თანხით მცირდება ძირითადი ფონდების ღირებულება, რომელიც შემოსავალში იყო აღებული მიმდინარე წლამდე გადიდებული ღირებულებით; გატარება იწარმოებს მიმდინარე წელს 85 „საწესდებო ფონდის ანგარიშის დებეტით (მუხლი — ძირითად საშუალებათა შეფასების დაწესებვა) და 01 „ძირითადი საშუალებების“ ანგარიშის კრედიტით.

**ანგარიში 33 „კაპიტალური დაბანდებანი“**

**ეკორესპონდენტება ანგარიშებს:**

**დებეტი**

- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 13 მცირეფასიანი და სწრაფფეთადი საგნების ცეცხა
- 14 სააქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 46 რეალიზაცია
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-წონისო კოოპერაციით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ან.ზ. აღურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან

**კრედიტი**

- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-წონისო კოოპერაციით
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება



- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დე-  
ბიტორებთან და კრედიტორებთან  
78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი  
მიმდინარე ოპერაციებით  
79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი  
80 მოგება და ხარალი  
84 დანაკლისები და დანაკარგები ფასე-  
ულობის გაფუჭებიდან  
85 საწესდებო ფონდი  
86 ამორტიზაციის ფონდი  
87 ეკონომიკური სტიმულირების ფონ-  
დები  
88 სპეციალური დანიშნულების ფონ-  
დები  
89 მოსალოდნელი ხარჯებისა და ჯადა-  
სახდელთა რეზერვი  
92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები  
93 კაპიტალური დაბანდების დაფი-  
ნანსება

### ანგარიში № „ძირითადი ჯოგის ფორმირება“

35 ანგარიშზე აისახება პროდუქტიული და მუშა პირუტყვის ძირი-  
თადი ჯოგის ფორმირების ფაქტობრივი დანახარჯები (გარდა ფრინვე-  
ლის, ბეწვიანი მხეცების, ბოცყერის, ფუტკრის, მესაზიდრე და სადარა-  
ჯო ძაღლების, საცდელი პირუტყვის, რომლებიც მიუხედავად ღირე-  
ბულებისა, წარმოადგენენ საბრუნავ საშუალებებს).

ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯებს მიეკუთვნება:

დანახარჯები საკუთარ მეურნეობაში მოზარდულის გამოსაზრდე-  
ლად, ძირითად ჯოგში გადასაყვანად;

ძირითადი ჯოგისათვის ნაყიდი მოზრდილი და მუშა საქონლის ღი-  
რებულება, დამატებული მისი მოყვანის ხარჯები (გარდა კაპიტალური  
დაზანდების სახსრებიდან შეძენისა);

ხარჯები სხვა სახელმწიფო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან  
უსასყიდლოდ მიღებული მოზრდილი პირუტყვის გადმოყვანაზე, დად-  
გენილი წესის მიხედვით.

ძირითადი ჯოგის ფორმირების ანალიზური აღრიცხვის ორგანიზაცია  
წარმოებს შემდეგ ქვეანგარიშებში:

35—1 „მოზარდი პირუტყვის შეძენა“

35—2 „მოზარდი პირუტყვის გადაყვანა ძირითად ჯოგში“

სხვა ორგანიზაციებიდან პირუტყვის უსასყიდლოდ მიღებისას მი-  
სი აღრიცხვისათვის იხსნება ცალკე სუბანგარიში (თუკი ადგილი აქვს  
მოყვანის ხარჯებს).

აღნიშნული სუბანგარიშებში აღრიცხვა წარმოებს პირუტყვის სახეობის მიხედვით (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ღორები, ცხვრები, ცხენები და ა. შ.):

ძირითად ჯოგში გადასაყვანი მოზარდული პირუტყვის შეფასება წარმოებს ფაქტობრივი თვითღირებულებით. ძირითად ჯოგში გადაყვანილი ყველა სახის პროდუქტიული და მუშა პირუტყვი მოზარდული წლის განმავლობაში ჩამოიწერება 09 „გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი“ ანგარიშიდან 35 ანგარიშის დებეტში წლის დასაწყისისათვის ბალანსში რიცხული ღირებულებით, რომელსაც დაემატება წლის დასაწყისიდან პირუტყვის ძირითად ჯოგში გადაყვანის მომენტამდე წონამატის ან ნამატის გეგმური თვითღირებულება. ერთდროულად მოზარდულის ძირითად ჯოგში გადაყვანისას 01 ანგარიში დებეტდება და 85 ანგარიში კრედიტდება. წლის ბოლოს საანგარიშგებო კალკულაციის შედგენის შემდეგ, განსხვავება წლის განმავლობაში გადაყვანილი მოზარდულის აღნიშნულ ღირებულებასა და მისი ფაქტობრივ თვითღირებულებათა შორის ჩამოიწერება დამატებით, ან სტორნირდება 09 ანგარიშიდან 35 ანგარიშში.

თუ წლის განმავლობაში ძირითად ჯოგში გადაყვანილი მოზარდული პირუტყვის ღირებულება აღმოჩნდება ფაქტობრივ თვითღირებულებაზე ნაკლები, მაშინ ხდება ფასმატება ფაქტობრივ თვითღირებულებამდე. იმ შემთხვევაში თუ წლის განმავლობაში ძირითად ჯოგში გადაყვანილი მოზარდი პირუტყვის ღირებულება აღმოჩნდება ფაქტობრივ თვითღირებულებაზე მეტი, ნამეტი თანხის სტორნირება ხდება.

გარედან შექმნილი მოზარდი პირუტყვის ღირებულება აისახება 35 ანგარიშის დებეტში შექმნის ფაქტობრივი თვითღირებულებით და მიყვანის ხარჯების ჩათვლით.

წლის ბოლოს 35 ანგარიშის კრედიტიდან 94 ანგარიშზე — „ძირითადი ჯოგის ფორმირების დაფინანსება“ ჩამოიწერება ხარჯები ძირითადი ჯოგის ფორმირების დამთავრებულ ოპერაციებზე 94 ანგარიშზე რიცხული თანხების ფარგლებში. 35 ანგარიშის სალდო წარმოადგენს ძირითადი ჯოგის ფორმირების დაუფინანსებელ თანხასა და დაუმთავრებელ დანახარჯებს.

ანგარიში ჰნ „ძირითადი ჯოგის ფორმირება“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დებეტით

- 05 მასალები
- 06 საბოზი
- 08 საბადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 23 დამსმარე წარმოებანი
- 50 სალარო
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათაშორისო კოოპერაციით
- 69 ანგარიშსწორებანი დაზოვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანახლურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი

კრედიტით

- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათაშორისო კოოპერაციებით
- 80 მოგება და ზარალი
- 94 ძირითადი ჯოგის ფორმირების დაფინანსება

## IV განაცხადი

### მზა პროდუქცია, საქონელი და რეალიზაცია

ამ განაცხადის ანგარიშებში აისახება მზა პროდუქციისა და საქონლის მიღების, გაგზავნის (გაცემის) და რეალიზაციის ოპერაციები, რეალიზაციის ხარჯები (წარმოებისგარეშე ხარჯები, მიმოქცევის ხარჯები), აგრეთვე ამონაგები შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურებისაგან. შემოსავალი ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის ექსპლუატაციიდან.

მზა პროდუქციისა და საქონლის აღრიცხვის ძირითადი ამოცანებია: კონტროლის უზრუნველყოფა მზა პროდუქციის და საქონლის დაცულობაზე.

კონტროლის უზრუნველყოფა მზა პროდუქციისა და საქონლის შემოსავალში სწორად და დროულად შეტანასა და მათი მოძრაობის დოკუმენტაციის გაფორმებაზე;

ზუსტი ცნობების მიღება საწყობში არსებული მზა პროდუქციისა და საქონლის რაოდენობასა და ღირებულებაზე (მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით), კონტროლი ფასეულობის ფაქტიური მარაგის შესაბამისობაზე დადგენილ ნორმატივებთან;

ზენორმატიული და ჭარბი მარაგის დროული გამოვლენება და მათი რეალიზაცია შიდარესურსების მობილიზაციის უზრუნველსაყოფად;

კონტროლის უზრუნველყოფა პროდუქციისა და საქონლის რეალიზაციის გეგმების შესრულებაზე;

პროდუქციის, საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციის შედეგების განსაზღვრა.

### ანგარიში 40 „მზა პროდუქცია“

ამ ანგარიშზე აისახება მრეწველობისა და სხვა დარგების მზა ნაწარმისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის მოძრაობა. მზა ნაწარმი, შექმნილი დასაკომპლექტებლად (რომელიც არ შედის სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებაში) ან საქონლის სახით გასაყიდად, აღირიცხება 41 ანგარიშზე — „საქონელი“.

სარეალიზაციოდ დამზადებული (მიღებული) მზა პროდუქცია აღირიცხება 40 ანგარიშზე „მზა პროდუქცია“, მათ შორის პროდუქციაც,

რომლის ნაწილი გათვალისწინებულია საწარმოს საკუთარი საჭიროებისათვის. თუ რომელიმე სახის პროდუქცია გათვალისწინებულია მთლიანად საწარმოში გამოსაყენებლად, შეიძლება აღირიცხოს 05 „მასალების“, 10 „თესლი და საკვები“ და სხვა ანგარიშზე მისი დანიშნულების მიხედვით. მაგალითად, სოფლის მეურნეობის საწარმოებში მარცვლეული, რომელიც აღებულ იქნა სათესლე ნაკვეთებზე და დანიშნულია თესლისათვის, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თივა, დამზადებული სილოსი, ძირნაყოფა, ნამჭა და სხვ. რომელიც გათვალისწინებულია პირუტყვის გამოსაყვებად, 40 ანგარიშზე არ აღირიცხება, არამედ შემოსავალში აიღება უშუალოდ 10 ანგარიშზე — „თესლი და საკვები“.

სასაქონლო პროდუქციაში შეტანილი შესრულებული სამუშაოს და მომსახურების ღირებულება, 40 ანგარიშზე არ ირიცხება, ხოლო ფაქტობრივი დანახარჯები წარმოების დანახარჯების ანგარიშიდან ჩამოაწერება უშუალოდ 45 (46) ანგარიშზე.

მოქმედი დებულების შესაბამისად მზად ითვლება პროდუქცია, რომლის დამუშავება (დაკომპლექტება) მთლიანად დამთავრებულია, გაიარა საჭირო გამოცდა (შემოწმება), შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს ან დამტკიცებულ ტექნიკურ პირობებს (ერთვის სერთიფიკატი ან მისი ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები), მიღებულია საწარმოს (ორგანიზაციის) ტექნიკური კონტროლის აპარატის მიერ და გადაცემულია საწყობზე ან მიღებულია შემკვეთის მიერ (როცა მზა პროდუქცია ბარდება ადგილზე) მიღების დამტკიცებული წესის შესაბამისად (გაფორმებულია დადგენილი ჩაბარების დოკუმენტებით).

პროდუქცია, რომელიც ექვემდებარება შემკვეთისათვის ადგილზე ჩაბარებას და არაა გაფორმებული მიღების აქტით, რჩება დაუმთავრებელი წარმოების შემადგენლობაში და მზა პროდუქციის შემადგენლობაში არ შეიტანება.

მზა პროდუქცია აღირიცხება შენახვის ადგილებისა და სახეების მიხედვით დაწესებული განზომილებით. სამინისტროს (უწყების) ნებართვით აღრიცხვა შეიძლება მოეწყოს ოპერატიულ-ბუღალტრული მეთოდით, ნედლეულისა და მასალების აღრიცხვისათვის გათვალისწინებული წესის ანალოგიურად.

მზა პროდუქცია, რომელიც არ სარგებლობს მოთხოვნით და გადაცემულია მომმარაგებელ, გამსაღებელ ან სავაჭრო ორგანიზაციებზე საკომისიო საწყისებზე სარეალიზაციოდ, არ მოიხსნება აღრიცხვიდან ამონაგების მიღებამდე და 40 ანგარიშის ანალიზურ აღრიცხვაში გამოიყოფა განცალკევებულ ჯგუფში, იმ ორგანიზაციების მიხედვით, რომლებსაც გადაეცა პროდუქცია სარეალიზაციოდ.

საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის მიღება, გასვლა ან ჩამოწერა (სინთეზურ აღრიცხვაში) აისახება ფაქტობრივი თვითღირებულებით.

ბიო. ანალიზურ აღრიცხვაში ცალ-ცალკე დასახელების მიხედვით ნებადართულია მზა პროდუქციის მოძრაობა აღრიცხვის სააღრიცხვო ფასებით (ვეგეტური თვითღირებულებით, საბითუმო ან გასაცემი ფასებით და ა. შ.) სააღრიცხვო რეგისტრებში ნაწარმის ფაქტობრივი საწარმოო თვითღირებულების სააღრიცხვო ფასებიდან გადახრის ცალკე პოზიციად გამოყოფით. აღნიშნული გადახრები (გარდა იმ ნაწარმის გადახრებისა, რომელიც მიეკუთვნება სახალხო მოხმარების საქონელს, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ნაწარმს, ნახევარფაბრიკატებს და ნარჩენებისაგან დამზადებას, აგრეთვე ადგილობრივი ნედლეულიდან დამზადებულ არასასურსათო საქონელს) აისახება რეგისტრებში მზა ნაწარმის ერთგვაროვანი ჯგუფების მიხედვით. საწარმოების მიერ ჯგუფების შიგნით ნაწარმის განაწილება (იმ მიზნით, რომ შესაბამისად ცალკე გამოვავლინოთ და აღვრიცხოთ მითითებული გადახრები) წარმოებს ფაქტობრივი თვითღირებულების გადახრების ცალკეული ნაწარმის სააღრიცხვო ფასებისაგან გამომდინარე. ნაწარმის, რომელიც მიეკუთვნება სახალხო მოხმარების საქონელს, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ნაწარმის, ნახევარფაბრიკატებისა და ნარჩენებისაგან დამზადების, აგრეთვე ადგილობრივი ნედლეულით დამზადებული არასასურსათო საქონლის ფაქტობრივი თვითღირებულების გადახრები, აღრიცხვაში მიღებულ ფასებთან შედარებით, გამოვლინდება და აღრიცხება აუცილებლად სხვა მზა ნაწარმისაგან გამოცალკევებით.

თუ სამრეწველო საწარმოში, მზა პროდუქციის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს საბითუმო, გასაცემი ან სხვა სააღრიცხვო ფასებით, მაშინ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნაწარმის ფაქტობრივი საწარმოო თვითღირებულების გადახრების გამოვლენა, არა მარტო სააღრიცხვო ფასებით, არამედ კვარტალური გეგმური, საწარმოო თვითღირებულებითაც (როცა პროდუქციის თვითღირებულება იგეგმება კვარტალების მიხედვით). ან საშუალო-წლიური გეგმური თვითღირებულებით (როცა პროდუქციის თვითღირებულება კვარტალურ ქრილში გეგმით არაა გათვალისწინებული).

მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მემცენარეობისა და მეცხოველეობის მზა პროდუქციის მიღება, გასვლა, ჩაოწერა ან გადამუშავება წლის განმავლობაში აისახება გეგმური თვითღირებულებით. სხვაობა პროდუქციის ფაქტობრივ და გეგმიურ თვითღირებულებათა შორის, რაც წლის ბოლოს გამოვლინდება, მიეკუთვნება პროდუქციის ანგარიშს იმ ნაწილში, რაც მოუწევს აღნიშნული პროდუქციის ნაშთს საანგარიშგებო წლის ბოლოს. საწარმოთა (ორგანიზაციების) დამხმარე სოფლის მეურნეობები აღნიშნულ პროდუქციას აღრიცხავენ 41 ანგარიშზე.

მზა პროდუქცია გაგზავნილი ან ადგილზე ჩაბარებული მყიდველებსათვის (შემკვეთებისათვის), აგრეთვე დადგენილი წესით გაცემული, საქუთარი კაპიტალური მშენებლობისათვის და კაპიტალური რემონტი-

სათვის, აგრეთვე მომსახურე წარმოებებისა და მეურნეობების საქირ-  
ებისათვის, ჩამოიწერება რეალიზაციის წესით (იხ. 45 ანგარიშის „გაგ-  
ზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება“ და 46  
ანგარიშის „რეალიზაცია“ განმარტებები).

იმ შემთხვევაში, როცა ადგილი ჰქონდა დადგენილი წესით მზა  
პროდუქციის გაცემას საკუთარი საქირებისათვის (მაგალითად, გადასა-  
მუშავებლად), აგრეთვე აისახება 40 ანგარიშის კრედიტში რეალიზაციის  
წესით, თუ ასეთი გაცემა გათვალისწინებული იყო რეალიზაციის გეგ-  
მით.

თუ აღნიშნული გაცემა გეგმით არ არის გათვალისწინებული, ჩანა-  
წერები მოხდება 40 ანგარიშის კრედიტიდან მომხმარებელთა ანგარ-  
შებთან უშუალო კორესპონდენციით 46 ანგარიშის „რეალიზაციის“  
გარეშე. სამრეწველო საწარმოებში, ეკონომიკური ელემენტების მიხედ-  
ვით წარმოების დანახარჯების შესახებ ანგარიშგების შედგენისას, მზა  
პროდუქციის გასავალი, რომელიც არ უნდა შევიდეს სასაქონლო პრო-  
დუქციის შემადგენლობაში. გამოირიცხება როგორც შიდაბრუნვა.

მზა პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულების გადახრა ღირე-  
ბულებისაგან ანალიზურ აღრიცხვაში მიღებული ფასებით, რაც მიე-  
კუთვნება გასულ პროდუქციასა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლო-  
სათვის ნაშთად დარჩენილ პროდუქციას, განისაზღვრება შემდეგი წე-  
სით: საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის ნაშთად დარჩენილი მზა  
პროდუქციის გადახრის თანხას ემატება საანგარიშგებო თვის განმავ-  
ლობაში საწყობში მიღებული პროდუქციის გადახრა. პროდუქციის ნაშ-  
თის ღირებულებას სააღრიცხვო ფასებით ემატება ამავე ფასებით საან-  
გარიშგებო თვეში მიღებული პროდუქცია, პირველი თანხის გაყოფით  
მეორეზე გამოვლინდება გადახრის პროცენტი. გამოვლინებული გა-  
დახრის პროცენტის გამრავლებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათ-  
ვის საწყობში დარჩენილი პროდუქციის სააღრიცხვო ღირებულებაზე  
და გაგზავნილზე ცალკ-ცალკე დგინდება გადახრის თანხა დასატოვე-  
ბელი 40 ანგარიშზე და მისაკუთვნებელი 45 ანგარიშისათვის, როგორც  
კორექტივი ამ ანგარიშებზე აღრიცხული პროდუქციის სააღრიცხვო  
ღირებულებისა. გადახრა გაგზავნილი პროდუქციის ნაშთს მიეკუთვნება  
იქ. სადაც 45 ანგარიშში გაგზავნილი პროდუქციის აღრიცხვა წარმო-  
ებს მათი სააღრიცხვო ფასებით (იხ. 45 ანგარიშის განმარტება).

მზა პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულების გადახრის თანხა  
მისი ღირებულებისაგან სააღრიცხვო ფასებით, რომელიც მიეკუთვნება  
გაგზავნილ ან რეალიზებულ პროდუქციას, აისახება 40 ანგარიშის კრე-  
დიტში და შესაბამისი ანგარიშების დებეტში დამატებითი ან სტორნი-  
რებული გატარებით იმისდა მიხედვით აღნიშნული გადახრა გადახარ-  
ჯვას წარმოადგენს თუ ეკონომიას.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში აღნიშნულ ანგარიშზე ცალკე

სუბანვარიშების მიხედვით აღირიცხება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქცია განკუთვნილი გასასყიდად ან საწარმოში გადასამუშავებლად. აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებიდან მიღებული პროდუქცია. მემცენარეობისა და მეცხოველეობის მზა პროდუქციის მიღება, გასვლა, ჩამოწერა ან გადამუშავება წლის განმავლობაში აისახება გეგმური თვითღირებულებით. სხვაობა პროდუქციის ფაქტობრივ და გეგმურ თვითღირებულებას შორის, რომელიც წლის ბოლოს გამოვლინდება, მიეკუთვნება პროდუქციის ანგარიშს საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის რიცხული ნაშთის ნაწილში.

**ანგარიში 40 „მზა პროდუქცია“**

ეკორესპონდენტება ანგარიშება:

**დ ე ბ ე ტ ი თ**

**კ რ ე დ ი ტ ი თ**

- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 20 ძირითადი წარმოება
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები
- 25 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 85 საწესდებო ფონდი.

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 10 თესლი და საკვები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რელიზაცია
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაქარგები ფასეულობის გათუქებიდან
- 85 საწესდებო ფონდი

**ანგარიში 41 „საქონელი“**

ამ ანგარიშზე აისახება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მოძრაობა მიმოქცევის სფეროში და გასასყიდად შექმნილი საქონელი, გასაქირავებელი საგნები, აგრეთვე დამხმარე სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. მოცემული ანგარიშით ძირითადად სარგებლობენ მომმარაგებელი, გამსაღებელი და სავაჭრო (მუშათა მომარაგების განყოფილების ჩათვლით) ორგანიზაციები და საწარმოები, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საწარმოები.

სამრეწველო და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში 41 ანგარიშს იყენებენ, აგრეთვე ისეთ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ნაწარმი, მასალა, პროდუქტი, შექმნილია სპეციალურად თავისი მუშაკებისათვის



შისაყიდად (მაგალითად, სავაჭრო პუნქტებიდან დაშორებულ ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებში — პროდუქტები ხისმკრელთა მოსამარაგებლად, გეოლოგიურ პარტიებში — პროდუქტები ექსპედიციის მუშაკთა მომარაგებისათვის და ა. შ.), ან თუ სამრეწველო საწარმოში დასაკომპლექტებლად შექმნილი მზა ნაწარმის ღირებულება არ შედის გამოისაშვები პროდუქციის თვითღირებულებაში და მყიდველთა ცალკე ანაზღაურებას ექვემდებარება.

მომმარაგებელი, გამსაღებელი, სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები (მუშათა მომარაგების განყოფილების ჩათვლით) 41 ანგარიშზე აღრიცხავენ, აგრეთვე ნაყიდ ტარას და საკუთარი წარმოების ტარას (სუბანგარიში 3) გარდა საწარმოო ან სამეურნეო საჭიროების ინვენტარული ტარისა, რომელიც აღირიცხება 01 „ძირითადი საშუალებების“ ან 12 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების“ ანგარიშებზე.

მიმწოდებელთა საანგარიშსწორებო დოკუმენტების აქცეპტზე უარისა და სხვ. გამო პასუხსაგები შენახვისათვის მიღებული საქონლის ღირებულება აღირიცხება ბალანსგარეშე ანგარიშზე 002 „პასუხსაგები შენახვისათვის მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი“.

მომმარაგებელ, გამსაღებელ, სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საწარმოებში საქონლისა და ტარის აღრიცხვა წარმოებს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციებით დადგენილი წესით: საქონლის აღრიცხვის საკითხებში ვრთიანობის უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროები და უწყებები უწყებრივი ინსტრუქციების შემუშავებისას ეყრდნობიან სსრ კავშირის სახმომარაგების, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის ჭანდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ინსტრუქციებს.

ბოსტნეულსაცავებში საქონლის აღრიცხვისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ბოსტნეულსაცავებში საქონლის მიღების, შენახვის, გაცემის (რეალიზაციის) ოპერაციების გაფორმებისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის სამინისტროს მიერ დამტკიცებული და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული ძირითადი დებულებებით, ხოლო მაკვირებში საქონლის აღრიცხვისას მაკვირებსა (მაცივარ-კომბინატებსა) და საწყობებში (ბაზებში) გასაცემებელი საქონლის მიღების, შენახვის და გაცემის ოპერაციების გაფორმებისა და აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ.

საქონლის ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება (გეგმაში მათი შეფასების მიხედვით) ნაყიდობის ან საცალო (გასაყიდი) ფასებით. გასაყიდი ფასებით საქონლის აღრიცხვისას სხვაობა ნაყიდობის ღირებუ-

ლებასა და ამ ფასებით შეფასებულ ღირებულებას შორის (დათმობა, წინამართი) აისახება განცალკევებით 42 ანგარიშზე „საეკპრო დარიცხვისა და ბრუნვის გადასახადი“.

საქონლის დამზადებისა და მოტანის ხარჯები აღირიცხება 44 ანგარიშზე „მიმოქცევის ხარჯები“.

თვის განმავლობაში საწყობში მიღებული საქონელი და ტარა აიღება შემოსავალში 60 ანგარიშის „ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებებთან“ კრედიტით და 42 ანგარიშის „საეკპრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი“ (საქონლის აღრიცხვისას საცალო ფასებით) კრედიტით. ტრანსპორტისა და სხვა ხარჯები 60 ანგარიშის კრედიტით მიეკუთვნება 44 ანგარიშის „მიმოქცევის ხარჯების“ დებეტს.

თვის ბოლოს ანგარიშ-გადახდის მოთხოვნათა განაღდებული თანხები, აგრეთვე გამოგზავნილი, მაგრამ საწყობში მიუღებელი საქონელი აიღება აღრიცხვაზე 41 ანგარიშზე 60 ანგარიშის კრედიტით, საწყობში ამ საქონლის შემოსავალში ალების გარეშე. მომდევნოთვის დასაწყისში აღრიცხვაში 41 ანგარიშზე მიღებული საქონელი გზაში სტორნირდება და მის მიღებამდე მიმდინარე აღრიცხვაში რჩება, როგორც დებიტორული დავალიანება 60 ანგარიშით (დაწვრილებით საერთო მითითებები ისილეთ მოცემული ინსტრუქციის II განყოფში).

საქონელი გადაცემული გარეშე ორგანიზაციებზე ვადასაქუმნებლად 41 ანგარიშიდან არ ჩამოიწერება, აისახება მხოლოდ ცალკე ანალიზურ აღრიცხვაში.

41 ანგარიში იყოფა შემდეგ სუბანგარიშებად:

41—1 „საქონელი საწყობებში“,

41—2 „საქონელი საცალო ვაჭრობაში“,

41—3 „ტარა საქონლით და ცარიელი“,

41—4 „ნაყიდი ნაწარმი“,

41—5 „გასაქირავებელი საგნები“,

41—6 „დამხმარე სოფლის მეურნეობის პროდუქცია“.

სუბანგარიშზე 41—1 „საქონელი საწყობებში“ აღირიცხება საქონლის მარაგის სახეზე არსებობა და მოძრაობა, რომელიც იმყოფება საბითუმო და განმანაწილებელ ბაზებში, საწყობებში, საზოგადოების საკუთნაოებში, ბოსტნეულსაცავებში, მაცივრებში და ა. შ.

საქონლის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ნაყიდობის ან საცალო ფასებით რაოდენობრივ-თანხობრივი ან თანხობრივი გამოსასულებით ცალკე მატერიალურად პასუხისმგებელი პირების (ბრიგადების), დასახელების, ხარისხის, პარტიების, შეკვრების და საჭირო შემთხვევაში შენახვის ადგილების მიხედვითაც.

საწყობებსა და საკუთნაოებში ზემდგომი ორგანიზაციის ნებართვით

შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლის ანალიზური აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდები (ხარისხობრივი, პარტიობითი და სხვ.).

ბულალტერია ვალდებულია მუდმივად ამოწმებდეს მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოებულ ალრიცხვის სისწორეს სასაქონლო დავთარში (ან ბარათებში). ყოველი თვის ბოლოს და ინვენტარიზაციის თარიღისათვის წარმოებს ბულალტრული აღრიცხვის მონაცემების შედარება მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ შენახვის ადგილებში წარმოებული აღრიცხვის მონაცემებთან. ინვენტარიზაციის შედეგი გამოჰყავთ საქონლის დასახელების, ხარისხის, რაოდენობისა და თანხების მიხედვით.

სუბანგარიშზე 41—2 „საქონელი საცალო ვაჭრობაში“ აღრიცხება საქონლის მოძრაობა და სახეზე არსებობა საცალო სავაჭრო საწარმოებში: უნივერსალებში, მაღაზიებში, ფარდულებში, კიოსკებში, ხანჩებზე დატარებით ქსელში, საზოგადოების საწარმოთა ბუფეტებში, აგრეთვე წვრილსაბითუმო ბაზებსა და მაღაზიებში, რომელიც გამოყოფილია დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ საქონლის გასაყიდად. აღრიცხვა წარმოებს საცალო ფასებით ბრიგადების ან მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით.

შუშის კურკელი (რძის, ლუდის, ღვინის ბოთლები, ქილები, ჭიქები და სხვ.) საცალო ვაჭრობის საწარმოებში და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ბუფეტებში აღრიცხება თანხობრივად საქონელთან ერთად ერთ ანგარიშზე.

სუბანგარიშზე 41—3 „ტარა ცარიელი და საქონლით“ აღრიცხება საქონლიანი და ცარიელი ტარა (საცალო ვაჭრობის საწარმოებსა და საზოგადოების საწარმოთა ბუფეტებში — შუშის კურკლის გამოკლებით) სსრ კავშირის სახმომარაგების, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და სხვა ორგანოების მიერ დადგენილი ინსტრუქციებით, შემუშავებული სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ ტარის აღრიცხვის შესახებ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

სავაჭრო ორგანიზაციათა (ვაჭრობები, ტრესტები, კანტორები, განყოფილებები) ხელმძღვანელებს შეუძლიათ სავაჭრო ორგანიზაციაში ტარის მოძრაობის აღსაღრიცხავად შემოიღონ საშუალო სააღრიცხვო ფასები. საშუალო სააღრიცხვო ფასები დგინდება ტარის ჩვეულების (სახეების) მიხედვით მოცემულ სავაჭრო საწარმოში არსებული ტარის შემადგენლობისა და ფასების მაგალითზე. საშუალო ფასების გადასარჩვევა ხდება საჭიროების მიხედვით, მაგრამ როგორც წესი, არა უმეტეს ნახევარ წელიწადში ერთხელ. სხვაობა ტარის საპრეისკურანტო (ან ნაყიდობის ფასსა) და საშუალო-სააღრიცხვო ფასებს შორის მიეკუთვნება 42 ანგარიშს — „სავაჭრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი“, ქვეანგარიშს 1 „სავაჭრო დარიცხვა (დათმობა, წანამატი)“. ამ სხვაობათა ნაშ-

თი ქვეანგარიშით 42—1 უნდა შემოწმდეს მორიგი ინვენტარიზაციის დროს და აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირებულ უნდა იქნეს 80 „მოგება და ზარალის“ ანგარიშით (მუხლი — „შედგეები ტარის ოპერაციით“).

სუბანგარიშზე 41—4 „ნაყიდი ნაწარმი“, 41 ანგარიშით მოსარგებლე სამრეწველო და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები ასახვენ თავიანთ საქონლის მოძრაობას მატერიალურ ფასეულობათა აღსარიცხავად დადგენილი წესით (იხ. მოცემული ინსტრუქციის II განყოფის საერთო მითითებები).

სუბანგარიშზე 41—5 „გასაქირავებელი საგნები“ აისახება გასაქირავებელი საგნების მოძრაობა და გასაქირავებელი საგნები, რომლებიც შეტანილია საბრუნავ საშუალებებში, მიუხედავად მათი ღირებულებისა და სამსახურის ვადისა (გასაქირავებელი საგნების შექმნა, მიღება, ჩამოწერა, რომელიც გამოსაყენებლად აღარ ვარგა).

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში, გასაქირავებელი საგნების შექმნა წარმოებს საკუთარი საბრუნავი საშუალებების ან ბანკის სესხის ანგარიშში, რომელიც გაიცემა 3 წლამდე ვადით და იფარება მოცემული საწარმოს მოგების ანგარიშში. კრედიტების დაფარვა გათვალისწინებული უნდა იყოს საფინანსო გეგმებში, რომელიც მიმართულია გასაქირავებელი საგნების საკუთარი საბრუნავი საშუალებების ნორმატივების გასაზრდელად.

სესხის გაცემა ფორმდება ვადიანი ვალდებულებებით, ვადით სამეურნეო ორგანიზაციისაგან საფინანსო გეგმის მიღებამდე. საფინანსო გეგმის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც მიმდინარე წლის მოგების ანგარიშით უნდა დაიფაროს. სესხითი დავალიანება გადაფორმდება შემდეგი წლისათვის ვადიანი ვალდებულებით დაფარვის კონკრეტულ ვადებში. ვალდებულების გადაფორმებისას, გამოყენებული კრედიტის თანხა ტარდება 82 ანგარიშის „ბანკის კრედიტის გამოყენება მოგებისა და ფონდების ანგარიშის“ დებეტში 96 „მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავლის“ ანგარიშთან კორესპონდენციით. 82 ანგარიშის დებეტში რიცხული თანხა კრედიტის დაფარვის მიხედვით ჩამოიწერება, მოგების 81 „მოგების გამოყენების“ ანგარიშში დებეტით. ერთდროულად ამავე თანხით მოხდება გატარება: 96 ანგარიშის დებეტით 85 ანგარიშის „საწესდებო ფონდის“ კრედიტთან კორესპონდენციით.

გასაქირავებელი საგნების ღირებულება იფარება ცვეთის ღირებულების გზით, მისი მომსახურების ვადიდან გამომდინარე. ცვეთის ღირებულება აისახება 13 ანგარიშის კრედიტით და წარმოების (მიმოქცევის) ხარჯების დებეტით. უვარგისობის გამო გასვლისას გასაქირავებელი საგნების ღირებულება მიეკუთვნება 13 ანგარიშის დებეტს (გამოკლებული ამ საგნების ღირებულება შესაძლო გამოყენების ფასებში).

გასაქირავებელი საგნების ჩამოწერა, რომელიც დამქირავებლებს არ დაუბრუნებიათ, წარმოებს 41—5 ანგარიშის კრედიტიდან 76 ანგარიშის „ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“ დებეტში (ნარჩენი ღირებულება, რომელიც ვალდებულია დაფაროს დამქირავებელმა) და 13 ანგარიშის დებეტში (დარიცხული ცვეთის თანხით). 76 ანგარიშზე აღირიცხება, აგრეთვე ანგარიშსწორება დამქირავებლის მიერ დაქირავებული საგნებით სარგებლობისათვის გადაუხდელ თანხაზე, გასაქირავებელი საგნების ძიებასთან, სახელმწიფო ბაჟი და სხვა ხარჯები დაკარგული გასაქირავებელი საგნის ძიებასთან დაკავშირებით, თუკი დამქირავებელი მისი დანაშაულის არარსებობას საგნის დაკარგვაში ვერ დაამტკიცებს. 76 ანგარიშის დებეტში გადატანილი დარიცხული ჯარიმა აისახება 80 „მოგება და ზარალის“, ანგარიშის კრედიტში.

გასაქირავებელი საგნების რემონტის (მიმდინარე და კაპიტალური რემონტის) დანახარჯების წარმოების ან მიმოქცევის ხარჯებში თანაზომიერად შეტანის მიზნით იქმნება ანგარიში 89 „მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი“.

გასაქირავებელი საგნების აღრიცხვის წესი ჩამოყალიბებულია სათანადო სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციებში, რომელთაც აქვთ გასაქირავებელი საგნები (ხსრ კავშირის სახმომარაგება, ხსრ კავშირის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო და სხვ.).

სუბანგარიშზე 41—6 „დამხმარე სოფლის მეურნეობის პროდუქცია“ აღირიცხება საკუთარი დამხმარე სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის მოძრაობა, რომელიც მიღებულია დამხმარე საკუთარი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისაგან. ამ პროდუქციის აღრიცხვის ორგანიზაცია ეწყობა მსგავსად სასოფლო-სამეურნეო საწარმოების აღრიცხვისა.

ანგარიში 41 „საქონლი“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ი ტ ი

კ რ ე დ ი ტ ი

- 05 მასალები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეული საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასიულობათა გადაფასება
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 26 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 42 სავაჭრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 10 თესლი და სიკვები
- 13 მცირეფასიანი და სწრაფცვეული საგნების ცვეთა
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასიულობათს გადაფასება
- 20 ძირითადი წარმოება
- 42 სავაჭრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები

- 45 გაზავნილი საქონელი, შესუღლებული სამუშაოები და მომსახურება
- 47 საქონლის სამუშაოებისა და მომსახურების შიდასატემატური გაცემა
- 50 საღარი
- 60 ანგარიშწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან
- 62 ანგარიშწორებანი მყიდველებთან და შემყვეთებთან
- 68 ანგარიშწორებანი ბიუჯეტთან
- 71 ანგარიშწორებანი ანგარიშგაღებულ პირებთან
- 73 ანგარიშწორებანი მუშა-მოსამსახურებთან სხვა ოპერაციებით
- 76 ანგარიშწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 85 საწესდებო ფონდი

- 45 გაზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 47 საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შიდასისტემური გაცემა
- 62 ანგარიშწორებანი მყიდველებთან და შემყვეთებთან
- 63 ანგარიშწორებანი პრეტენზიებით
- 76 ანგარიშწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშწორება მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გათვქებიდან
- 85 საწესდებო ფონდი
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი

#### ანგარიში 42 „სავაჭრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი“

ამ ანგარიშზე აისახება სავაჭრო დაფიქსირება (წანამატი) საქონელზე, თუ აღრიცხვა წარმოებს სახელმწიფო საცალო ფასებით, აგრეთვე სხვაობა საქონლის ნაყიდობისა და სააღრიცხვო (საცალოს გარდა) ღირებულებას შორის.

გარდა ამისა, 42 ანგარიშზე აღრიცხება ბრუნვის გადასახადისა და საბიუჯეტო დარიცხვის თანხების მოძრაობა, როდესაც საქონელი აღი-რიცხება ბრუნვის გადასახადის ჩართული ფასებით.

საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ამ ანგარიშზე აღი-რიცხება სავაჭრო დათმობის (წანამატი) თანხები საუქნაოებში, ბუფეტებსა და სამზარეულოში არსებულ კვების პროდუქტებზე და საქონელზე, აგრეთვე დარიცხვა, რომელიც დადგენილი წესით ემატება სამზარეულო-სა და ბუფეტის პროდუქციის ღირებულებას საცალო ფასებით.

42 ანგარიშზე აღი-რიცხება ის დათმობაც, რომელსაც მიმწოდებლები აძლევენ სავაჭრო ორგანიზაციებს საქონლის შესაძლებელი დანაკარ-გებისა და დამატებითი სატრანსპორტო ხარჯების ასანაზღაურებლად.

42 ანგარიში შემდეგ ქვეანგარიშებად იყოფა:

42—1 „სავაჭრო დარიცხვა (დათმობა, წანამატი)“,

42—2 „ბრუნვის გადასახადი“,

42—3 „მიმწოდებელთა დათმობა სატრანსპორტო ხარჯების ასანაზღაურებლად“.

42 ანგარიში კრედიტდება საქონლის შემოსავალში აღებისას მისი

საეკპრო და დამატებითი დათმობის (წანამატის) თანხით, აგრეთვე საქონლის მიღებისას გამოანგარიშებული ბრუნვის გადასახადით და დებეტდება რეალიზებული, გაცემული, ან ბუნებრივი დანაკარგის, წუნის, გაფუჭების, დანაკლისის შედეგად ჩამოწერილი საქონლის ხვედრი საეკპრო და დამატებითი დათმობის (წანამატის) თანხით.

ბრუნვის გადასახადის თანხით, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში შეტანას, დებეტდება 46 ანგარიში — რეალიზაცია“ და კრედიტდება 68 ანგარიში „ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან“. ამიტომ ბრუნვის გადასახადის თანხა, რომელიც ეხება რეალიზებულ საქონელს, ჩამოიწერება 42 ანგარიშის კრედიტსა და 46 ანგარიშის „რეალიზაციის“ დებეტში სტორნის წესით.

დათმობის (წანამატის) თანხა იმ ნაწილში, რომელიც ეკუთვნის საწარმოში რეალიზებულ საქონელს, ჩამოიწერება სტორნოს მეოდიო 42 ანგარიშის კრედიტის 46 „რეალიზაციის“ ანგარიშთან კორესპონდენციით.

დათმობის (წანამატის) თანხა იმ ნაწილში, რომელიც ეკუთვნის საწყობებიდან და ბაზებიდან რეალიზებულ და გაცემულ საქონელს, განისაზღვრება გამოწერილი ანგარიშფაქტურის თანახმად და ჩამოიწერება (ხდება სტორნირება) ანალოგიური წესით. არარეალიზებული საქონლის დათმობის (წანამატის) თანხა ზუსტდება საინვენტარიზაციო აღწერების საფუძველზე სახეზე არსებული საქონლის კუთვნილი დათმობის გზით, ლადგენილი ოდენობის შესაბამისად.

საცალო ვაჭრობის საწარმოებში არარეალიზებულ საქონლის ნაშთის დათმობის (წანამატის) თანხა დასაშვებია განისაზღვროს საშუალო პროცენტის გაანგარიშების საფუძველზე, რომელიც იანგარიშება შემდეგნაირად:

1) საქონლის ნაშთზე დათმობის (წანამატის) თანხას თვის დასაწყისში ემატება 42 ანგარიშის კრედიტის ბრუნვა და აკლდება 42 ანგარიშის დებეტის ბრუნვა (დანარჩენი ჩამოწერები);

2) თვის განმავლობაში რეალიზებულ საქონელს (სააღრიცხვო ფაშებით) ემატება საქონლის ნაშთი თვის ბოლოს (ასევე სააღრიცხვო ფაშებით);

3) დათმობის თანხის 100-ზე გამრავლებით რეალიზებული და დარჩენილი საქონლის თანხაზე გაყოფით განისაზღვრება დათმობის (წანამატის) საშუალო პროცენტი ამ საქონლის ღირებულებიდან სააღრიცხვო ფაშებით;

4) დათმობის (წანამატის) საშუალო პროცენტის საქონლის ნაშთის თანხაზე გამრავლებით თვის ბოლოს და 100-ზე გაყოფით განისაზღვრება არარეალიზებული საქონლის კუთვნილი დათმობის (წანამატის) აბსოლუტური თანხა.

თუ საზოგადოებრივი კვების საკუქნაოებში წარმოებასა და ბუფეტებში პროდუქტების აღრიცხვა წარმოებს გასაყიდი ფასებით (დარიცხვით), რეალიზებული სავაჭრო დათმობა (დარიცხვა) განისაზღვრება იმავე წესით, როგორც საცალო ვაჭრობის საწარმოებში.

თუ საკუქნაოებში პროდუქტები აღირიცხება საცალო ან საშუალოშეწონილი ფასებით (დარიცხვის გარეშე), ხოლო წარმოებაში და ბუფეტებში გასაყიდი ფასებით (დარიცხვით), რეალიზებული დარიცხვისა და რეალიზებული სავაჭრო დათმობის გაანგარიშება მიზანშეწონილია შედგეს ცალ-ცალკე.

დანაკლისი და დატაცებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულების ჩამოწერისას ამ ფასეულობის დათმობა (წანამატი) სავაჭრო, მომმარაგებელ და გამსაღებელ ორგანიზაციებში აისახება 42—1 სუბანგარიშის დებეტისა და 83 „მომავალი პერიოდის შემოსავლის“ ანგარიშის კრედიტის ბრუნვაში (ქვეანგარიში 3 „დანაკლისი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სააღრიცხვო და საცალო ფასებს შორის სხვაობით“).

ანალიზურ აღრიცხვაში ცალ-ცალკე უნდა აისახოს დათმობის (წანამატის), ფასთა შორის სხვაობის თანხები, აგრეთვე ბრუნვის გადასახადი და საბიუჯეტო დარიცხვა, რომელიც ეხება ბაზებისა და საწყობების საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საქონელსა და გაგზავნილ საქონელს.

ანგარიში 42 „სავაჭრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი“ ;

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

41 საქონელი  
60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან  
88 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან  
72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ხარაღის ანაზღაურებთან  
80 მოგება და ზარალი  
83 მომავალი პერიოდის შემოსავალი

20 ძირითადი წარმოება  
41 საქონელი  
46 რეალიზაცია  
47 საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შეღისისტემური გაცემა  
60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან  
68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან  
80 მოგება და ზარალი  
84 დანაკლისები და დანაჯარგებუ ფასეულობის გაფუჭებიდან

ანგარიში 48 „წარმოებისპარაშე ხარჯები“

ამ ანგარიშზე მატერიალური წარმოების დარგის საწარმოები (სამრეწველო, სოფლის მეურნეობის და სხვ.) ასახავენ ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის რეალიზაციასთან:



ხარჯები შესაბამისი პროდუქციის ტარაზე და შეფუთვაზე, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა პრეისკურანტი (ან ხელშეკრულების პირობებით) გათვალისწინებულია პროდუქციის გაცემა ტარისა და შეფუთვის გარეშე ან ტარის ღირებულება იფარება ცალკე ნაწარმის საბითუმო ფასს ზევით. ტარაზე დანახარჯები წარმოებისგარეშე ხარჯებში ჩაირთვება იმ შემთხვევაში, როდესაც მზა პროდუქციის შეფუთვა და ტარაში მოთავსება წარმოებს მისი საწყობში ჩაბარების შემდეგ. იმ პროდუქციის ტარაში მოთავსება (თანხმად დადგენილი ტექნოლოგიური პროცესისა), საამქროებში წარმოებს მზა პროდუქციის საწყობში ჩაბარებამდე, მაშინ ტარის ღირებულება ჩაირთვება პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებაში სათანადო საკალკულაციო ან კომპლექსური მუხლით, თუ ტარა მზადდება წინასწარ, ნაწარმის გამოშვებამდე;

პროდუქციის სადგურამდე მიტანის ხარჯები; ნავსადგურამდე (ვაგონების, გემების, ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების) დატვირთვის ხარჯები;

საკომისიო გამოსაღები (ანარიცხები) გადახდილი გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის, თანხმად დადგენილი ნორმებისა და ხელშეკრულებისა;

ორგანიზებული ბრუნვისათვის ფასიდან დათმობები, რომელიც ეკუთვნის მიმწოდებელი საწარმოდან მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებს. მათ მიერ ტრანზიტით რეალიზებულ პროდუქციაზე ანგარიშსწორებაში მონაწილეობის მიუღებლად და მონაწილეობის დროს, აგრეთვე საკომისიო გასამრჯელო, რომელიც გაიღეს სავაჭრო, მომმარაგებელმა და გამსაღებელმა ორგანიზაციებმა მათ მიერ გაყიდულ პროდუქციაზე, რომლის რეალიზაცია საწარმოებს არ შეეძლოთ და ამიტომ გადაეცათ სარეალიზაციოდ საკომისიო საწყისებზე;

შენობის მოვლა პროდუქციის შენახვისა და რეალიზაციისათვის, გამყიდველთა შრომის ანაზღაურება (მარტო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების); პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები, მაგალითად, ხარჯები პროდუქციის სპეციალური ანალიზისათვის, რომელიც ხდება მის გაცემისას და სხვ.

წარმოებისგარეშე ხარჯებს არ მიეკუთვნება და 43 ანგარიშზე არ აისახება პროდუქციის შეფუთვისა და ტრანსპორტირების ხარჯები, რომელსაც იხდის მყიდველი. ეს ხარჯები აღირიცხება 45 ანგარიშზე „გაზაფხული საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება“. ასევე, 45 ანგარიშზე (43 ანგარიშის გვერდის ავლით) აღირიცხება პროდუქციის სადგურამდე გადატანის ხარჯების განაღდება ან ნავსადგურამდე თუ მიტანის ხარჯები ჩართულია პროდუქციის ფასში და უნაზღაურდება მიმწოდებელს გაზაფხული პროდუქციის საპრეისკურანტო

ღირებულების შემადგენლობაში, გამსაღებელი ორგანიზაციის მონაწილეობის გარეშე.

წარმოებისგარეშე ხარჯებში არ შეიტანება, აგრეთვე, ფასებიდან დათმობა, რომელიც ეძლევა საბითუმო ორგანიზაციებს ნატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად — შემდგომში საქონლის საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებში გაგზავნის ხარჯების დასაფარავად.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პროდუქციის რეალიზაციის ხარჯები, რომელიც ეძლევათ დამამზადებელ ორგანიზაციებს, 43 ანგარიშზე არ აისახება, იგი განიხილება როგორც დანარჩენი მომსახურების რეალიზაცია და აღირიცხება გამოყოფილად 46 ანგარიშზე.

წარმოებისგარეშე ხარჯების ანალიზური აღრიცხვის წესი, რომელიც აკმაყოფილებს ანალიზის მოთხოვნებს და ანგარიშების შედგენას, დგინდება სამინისტროებისა და უწყებების დარგობრივი ინსტრუქციებით.

სამრეწველო საწარმოებში წარმოებისგარეშე ხარჯები, რომლებიც აღრიცხულია 43 ანგარიშზე, ყოველთვიურად ჩამოიწერება 46 „რეალიზაციის“ ანგარიშზე, იმ ნაწილში, რომელიც მიეკუთვნება რეალიზებულ პროდუქციას. წარმოებისგარეშე ხარჯების 43 ანგარიშიდან ჩამოიწერავი ნაწილი მიეკუთვნება გაგზავნილ, მაგრამ არარეალიზებულ პროდუქციას, რომელიც ბალანსში იჩვენება იმ მუხლებით, რომლებზედაც გამოვლინდა გაგზავნილი საქონლის და ჩაბარებული სამუშაოების ნაშთი.

საანგარიშგებო კალკულაციის შედგენისას, წარმოებისგარეშე ხარჯები, რომელიც გამოვლინდა საანგარიშგებო თვეში გაგზავნილი საქონლის ნაწილში, უერთდება საწარმოო თვითღირებულების ცალკეულ სახეებს პირველადი დოკუმენტების საფუძველზე, როდესაც მოცემული დოკუმენტების საფუძველზე შეუძლებელია განისაზღვროს წარმოებისგარეშე ხარჯები, მათი განაწილება პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით ხდება წონის, მოცულობის ან საწარმოო თვითღირებულების პროპორციულად (გამომდინარე გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის მოცულობისა და მითითებული ხარჯებისა, რომელიც გამოვლინდა საანგარიშგებო თვეში გადაგზავნილი პროდუქციის ნაწილში) თანახმად სამინისტროების (უწყებების) მიერ დადგენილი დარგობრივი ინსტრუქციებისა.

წარმოების ნარჩენებიდან დამზადებული სახალხო მოხმარების საქონელს, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ნაწარმს, ნახევარფაბრიკატებს, აგრეთვე სახალხო მოხმარების არაპროდუქტიულ ნაწარმს, რომელიც დამზადებულია ადგილობრივი ნედლეულიდან, მიეკუთვნება არა საწარმოო ხარჯებს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია მის რეალიზაციასთან.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში არასაწარმოო ხარჯების მთელი თანხა ყოველთვიურად ჩამოიწერება შესაბამისი სახის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში, ამასთან მიღებული პროდუქციის სრული თვითღირებულება წარმოების გარეშე ხარჯების ჩართვით არ იანგარიშება.

**ანგარიში 43 „წარმოების გარეშე ხარჯები“**

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

**დ ე ბ ე ტ ი თ**

**კ რ ე დ ი ტ ი თ**

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთად საგნები
- 13 მცირეფასიანი და სწრაფცვეთად საგნების ცვეთა
- 23 დაქმნარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 40 შხა პროდუქცია
- 41 საქონელი
- 45 საქონელი ჯაგზაენილი, შესრულებული, სამუშაოები და მომსახურება
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჭარებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 90 ბანკის მოკლევადიანი სისხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში

- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 62 ანგარიშსწორებანი მიიღველებთან და შემკვეთებთან

**ანგარიში 44 „მიმომცემის ხარჯები“**

ამ ანგარიშზე აისახება ყველა სახის მიმოქცევის ხარჯი მომმარაგებელ, გამსაღებელ, სავაჭრო და სხვა მსგავსი ორგანიზაციებისა (მშგ ჩათვლით), აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საქონლის გაგზავნის

სატრანსპორტო ხარჯები, რომელიც იფარება მიმწოდებელთა \_ დამატებითი ღირებულებით.

მიმოქცევის ხარჯებს მიეკუთვნება: საქონლის შემოზიდვის ხარჯები; ხელფასი (ძირითადი და დამატებითი); შენობების სადგომების და ინვენტარის იჯარისა და შენახვის ხარჯები; მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა (მათ შორის ჭურჭლისა და სასადილო ხელსაწყოებისა საზვევების საწარმოებში); საქონლის შენახვისა და გადამუშავების ხარჯები; ტარის ხარჯები და დანაკარგები (ტარის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების გამოკლებით) და სხვ.

44 ანგარიშზე აისახება, აგრეთვე, დანაკლისები სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისა გზაში და შენახვისას ბუნებრივი დანაკლისის ნორმის ფარგლებში; სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დანაკლისები ნორმის ზევით და დანაკარგები საქონლისა და ნედლეულის გაფუჭებისაგან, იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული დამნაშავე ამ დანაკლისზე და დანაკარგებზე დადგენილი არ არის და ჩამოწერა მოხდა დადგენილი წესით; აგრეთვე, დანაკარგები ფასეულობის დანაკლისებისა და დატაცების გამო, რაც გამოწვეულია სასამართლოს უარით საოჩელის დაუსაბუთებლობის გამო.

კონკრეტული ჩამონათვალი ხარჯებისა, რომელიც შედის მიმოქცევის ხარჯების შემადგენლობაში და მათი აღრიცხვის წესი დგინდება შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციებით.

ზემდგომი რგოლების ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების დასაფარავად წარმოებულ ანარიცხები, რომელიც ნაწილდება ცალკეულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებს შორის, 44 ანგარიშზე არ აღრიცხება, არამედ აისახება მოგებისა და ზარალის 80 ანგარიშზე.

მიმოქცევის ხარჯების აღრიცხვის ორგანიზაციის აუცილებელი პირობაა მაჩვენებელთა ერთიანობის უზრუნველყოფა დაგეგმვისა და აღრიცხვაში, ხარჯების ერთიანი ნომენკლატურის გამოყენება მათი ერთგვაროვანი შინაარსით.

ხარჯები უნდა მიეკუთვნოს იმ პერიოდის მიმოქცევის ხარჯებს, რომლის ანგარიშშიც იყო გაწეული, მიუხედავად მათი წინასწარ (მაგალითად, საიჯარო ჭირა) ან შემდგომ (შვებულების ანაზღაურება და სხვ.) გადახდისა.

ცალკეული ხარჯები (მიმდინარე რემონტის ხარჯები, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთის ანაზღაურება და ა. შ.), რომელთა მიმართ შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს რომელ პერიოდს მიეკუთვნება ისინი, მიმოქცევის ხარჯებში შეიტანება სახარჯთაღრიცხვო-ნორმალიზებული წესით.

მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯები, რომლებიც მიეკუთვნება მომავალი პერიოდის ხარჯებს, აისახება 31 ანგარიშზე

„მომავალი პერიოდის ხარჯები“, ხოლო შემდეგ ყოველთვიურად გადაირიცხება 44 ანგარიშზე.

44 ანგარიშის დებეტში საანგარიშგებო წლის განმავლობაში, აისახება გაწეული ხარჯის თანხები, ხოლო კრედიტში — შემოსავლის თანხა, რომლებიც ნაწილობრივ ანაზღაურებენ ხარჯებს. ასეთი სახის შემოსავლებს ეკუთვნის, კერძოდ, მყიდველებისაგან მიღებული პროცენტები გადასახდელის განვადებისათვის, საქონლის ნისიად გაყიდვის შემთხვევაში.

44 ანგარიშის დებეტის სალდო წლის ბოლომდე ასახავს წლის დასაწყისიდან მიმოქცევის ხარჯების ნაზარდ სიდიდეს. ამასთან, პერიოდული ანგარიშგების ბალანსებში ამ ანგარიშის სალდო, გარდა საქონლის ნაშთის ზედრი შემოზიდვის ხარჯებისა არ იჩვენება და ბუღალტრული გატარების გარეშე მიეკუთვნება 80 ანგარიშს „მოგება და ზარალი“.

მიმოქცევის ხარჯების თანხა საქონლის შემოზიდვაზე, რომელიც მიეკუთვნება საქონლის ნაშთს თვის ბოლოს, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოების საწარმოებში იანგარიშება საანგარიშგებო თვის მიმოქცევის ხარჯების საშუალო პროცენტის მიხედვით, თვის დასაწყისის ნაშთის გათვალისწინებით შემდეგნაირად:

1) საქონლის ნაშთის ზედრი მიმოქცევის ხარჯებს თვის დასაწყისში ემატება საანგარიშგებო თვის სატრანსპორტო ხარჯები;

2) საანგარიშგებო თვეში რეალიზებული საქონლის თანხას თვის ბოლოს ემატება საქონლის ნაშთის თანხა:

3) ზემოაღნიშნული წესით განსაზღვრული ხარჯების და რეალიზებულ და ნაშთად დარჩენილი საქონლის შეფარდებით განისაზღვრება სატრანსპორტო ხარჯების საშუალო პროცენტი საქონლის საერთო ღირებულების მიმართ:

4) თვის ბოლოსათვის ნაშთად დარჩენილი საქონლის ღირებულების გამრავლებით აღნიშნული ხარჯების საშუალო პროცენტზე განისაზღვრება არარეალიზებული საქონლის ნაშთის ზედრი მიმოქცევის ხარჯები (ხარჯები საქონლის შემოზიდვაზე) საანგარიშგებო თვის ბოლოსათვის.

ანალოგიური წესით გამოიანგარიშება შემოზიდვის ხარჯების თანხა საქონლის ნაშთზე საბითუმო ვაჭრობის საწარმოებში, ხოლო მომმარაგებელ და გამსაღებელ ორგანიზაციებში იმ განსხვავებით, რომ საქონლის რეალიზაციის აღრიცხვისას მათი განაღდების მიხედვით სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე სწორად ასახვის მიზნით, მიმოქცევის ხარჯები, რომელიც გაგზავნილ, მაგრამ გაუნაღდებელ საქონელზე მოდის; თვის ბოლოსათვის საქონლის ნაშთის ზედრი ხარჯების გაანგარიშების შედეგისას მხედველობაში მივიღოთ არა მარტო საქონლის ნაშთი საწყობებში, არამედ გაგზავნილი საქონლის ნაშთიც, რომელიც ჯერ კიდევ არაა განაღდებული მყიდველების მიერ (საქონლის რეალიზაციის მი-

ხედვით ამ ხარჯების შემდგომი ასახვით სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე).

საქონლის ნაშთის ხვედრი მიმოქცევის ხარჯების გამოანგარიშება ბოსტნეულსაცავებსა და მაცივრებში წარმოებს შესაბამისად ნორმატიული დოკუმენტებისა, რომელიც მოცემულია 41 ანგარიშის „საქონლის“ განმარტებაში.

სავაჭრო საწარმოებისათვის საქონლის გაგზავნის სატრანსპორტო ხარჯები, რომელიც ანაზღაურდება მიმწოდებელთა დაშატებითი დათმობის (სავაჭროს ზევით) ანგარიშზე როგორც აღნიშნული დათმობის თანხა (აღრიცხული 42 ანგარიშზე) გაუგზავნელი საქონლის ხვედრი ხარჯების გამოკლებით, წლის ბოლოს გაშლილი სახით გადაირიცხება 80 ანგარიშზე „მოგება და ზარალი“. დანარჩენი მიმოქცევის ხარჯები (გარდა შემოზიდვის ხარჯებისა) ჩამოიწერება 80 ანგარიშზე „მოგება და ზარალი“. 44 ანგარიშიდან შესაბამისი თანხის გადაირიცხვა 80 ანგარიშზე წარმოებს მხოლოდ წლის ბოლოს, წლიური ანგარიშგების შედეგის დროს. საცალო ვაჭრობის საწარმოებში საქონლის ნისიად გაყიდვიდან მიღებული პროცენტის ნამეტი თანხა ბანკის სესხით სარგებლობისათვის გადახდილ პროცენტზე ზევით აისახება 80 ანგარიშის კრედიტში 44 ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით, როგორც მოგება. ამასთან. იმ მიზნით. რათა წლის განმავლობაში ბალანსში ვაჩვენოთ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ზუსტი შედეგი, აღნიშნული თანხით, სისტემური აღრიცხვის გარეშე კორექტირდება 80 ანგარიშზე გამოვლენილი მოგების ან ზარალის თანხა.

მიმოქცევის ხარჯების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს სამინისტროებისა და უწყებების შესაბამის ინსტრუქციებში გათვალისწინებული მუხლების მიხედვით.

მომმარაგებელი, გამსაღებელი და სავაჭრო ორგანიზაციების მმართველობის რგოლები — განყოფილებები, კანტორები, სავაჭრო სამმართველოები, მუშათა მომარაგების სამმართველოები, მუშათა მომარაგების განყოფილებები და ა. შ. 44 ანგარიშზე აღრიცხავენ ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების მოძრაობას, რომელიც ითვალისწინებს დასახელებულ ანგარიშში ცალკე თანამოსახელე განაყოფს ანალიზური აღრიცხვისათვის. ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯებს მიეკუთვნება აპარატის შენახვისა და სხვა ხარჯები დადგენილი წესით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. წლის განმავლობაში 44 ანგარიში დებეტდება ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების თანხებით, ხოლო წლის ბოლოს კრედიტდება დასკვნითი ჩანაწერებით მოგებისა და ზარალის 80 ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით.

პერიოდული ანგარიშგების ბალანსებში ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების თანხა 80 ანგარიშს მიეკუთვნება ბუღალტრული ჩანაწერების გარეშე.

ანგარიში 11 „მიმოქცევის ხარჯები“

ეკორესპოდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 12 მტირუფასიანი და სწრაფცივაადი საგნები
- 13 მტირუფასიანი და სწრაფცივაადი საგნების ცვეთა
- 23 დამსმარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მტირუფასიანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 41 საქონელი
- 46 რეალიზაცია
- 47 საქონლისა, სამუშაოებისა და მომსახურების შედასისტემური გაცემა
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მთავარი დებულებათან და მოიჯარეებთან
- 63 ანგარიშსწორებანი კრეტენზიებით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დახლეკვას.
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშსწორებულ პირებთან
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შედასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფისკულობის გაფუჭებიდან
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფინანსები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 90 ბანკის მოვლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 47 საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შედასისტემური გაცემა
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 63 ანგარიშსწორებანი კრეტენზიებით
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით
- 80 მოგება და ზარალი

სახალხო მეურნეობის იმ დარგების საწარმოები (ორგანიზაციები), რომელთა პროდუქციის, საქონლის, სამუშაოების და მომსახურების რეალიზაცია იგეგმება და აღირიცხება ბანკში საანგარიშსწორებო დოკუმენტების ინკასოზე ჩაბარების და განაღდების მიხედვით, ამ ანგარიშზე ასახვენ გაგზავნილ ან გაემუღ მზა პროდუქციის, საქონლისა და მატერიალური ფასეულობის მოძრაობას რეალიზაციის წესით. აგრეთვე შესრულებული (ჩაბარებული) სამუშაოსა და გაწეულ მომსახურებას, კერძოდ:

საკუთარი წარმოების მზა პროდუქცია, ნაყიდი საქონლისა ჯა მატერიალური ფასეულობის, ზენორმატიული და ზედმეტი ფასეულობის ჩათვლით, გაგზავნილი ან გარეთ გაემუღი მყიდველებისათვის, შემკვეთებისათვის და სხვ.;

აბონენტებზე გაემუღი ელექტროენერგია, ორთქლი, წყალი და სხვ.;

შემკვეთებისათვის შესრულებული სამუშაოები (ჩაბარებული ან ჩასაბარებლად გაფორმებული დადგენილი წესით) და გაწეული მომსახურება;

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (საბრუნავი სახსრების ანგარიშში შექენილი), აგრეთვე შესრულებული სამუშაოები და გაწეული მომსახურება თავისი კაპიტალური მშენებლობისათვის;

მზა პროდუქციის, მატერიალური ფასეულობის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების ღირებულება, რომელიც მოხმარდა ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტის შესრულებას, იმ შემთხვევაში, თუ მათი ღირებულება გათვალისწინებულია პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციის გეგმაში;

მზა პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც გაიცა (მოხმარდა) საკუთარ მომსახურე წარმოებებსა და მეურნეობებზე;

საკომისიო საწყისებზე რეალიზებული მზა პროდუქცია (ჩანაწერი კეთდება გაყიდვის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ — იხ. 40 „მზა პროდუქციის ანგარიშის განმარტება“).

გაგზავნილი და გაემუღი ფასეულობის (პროდუქცია, საქონელი) ტარის ღირებულება, სატრანსპორტო ხარჯები, რომელიც მყიდველებმა უნდა აანაზღაურონ, დართული მყიდველებისათვის გასანაღდებლად წარდგენილ გადაგზავნილი ან გაემუღი ფასეულობის ანგარიშებში, აგრეთვე აღირიცხება 45 ანგარიშზე.

აღნიშნულ ანგარიშზე აღირიცხება, აგრეთვე მყიდველისათვის გაგზავნილი პროდუქციის მიტანის ფაქტობრივი ხარჯები იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პროდუქციის საბითუმო ფასში ჩართულია დანიშნულების



სადგურამდე (ნავმისადგომამდე) გადატანის გადასახდელი ხარჯების თანხა, თუ ანგარიშსწორება მასზე წარმოებს უშუალო მიმწოდებელსა და მყიდველს შორის (გამსაღებელი ორგანიზაციის მონაწილეობას გარეშე).

ტრანსპორტის ხარჯებისაგან განსხვავებით, რომელიც ნაზღაურდება მიმწოდებლების მიერ საბითუმო ფასების ზევით, პროდუქციის გადატანის ზემოაღნიშნული ხარჯები, ჩართული საბითუმო ფასებში, ჩამოიწერება მყიდველების მიერ ანგარიშების განაღდებას მიზნით 76 „რეალიზაციის“ ანგარიშზე და ამ ანგარიშზე აღირიცხება ცალკე პოზიციით. გარდა ამისა, 45 ანგარიშზე აღირიცხება მიღებული პრეტენზიების თანხა (სანქციები, პირგასამტებლო და ა. შ.), თუკი მათ გადასახდევინებლად ანგარიშები წარდგენილია ბანკში.

45 ანგარიშს შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ ფაქტობრივად გაგზავნილი და გაცემული ფასეულობის (პროდუქცია, საქონელი), ჩაბარებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების ღირებულება.

45 ანგარიში დებეტდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის წარმოების და სხვ. ანგარიშების კრედიტთან კორექსპონდენციით, მზა ნაწარმის, საქონლის, მატერიალური ფასეულობის მყიდველებისათვის გაგზავნის ან მათთვის შესრულებული სამუშაოების ჩაბარების და მომსახურების სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების (ზედნადების, მიღებ-ჩაბარების აქტების და სხვ.) საფუძველზე. საანგარიშსწორებო დოკუმენტები უნდა გაფორმდეს და ჩაბარდეს ბანკს დაწესებულებას ინკასოზე იმ წესით და იმ ვადებში, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახბანკოსა და სსრ კავშირის მშენბანკის ინსტრუქციებით.

აღირცხვაზე აღებული მზა პროდუქციის, საქონლისა და მატერიალური ფასეულობის, სამუშაოებისა და მომსახურების ასანაზღაურებელი თანხა, 45 ანგარიშიდან ჩამოიწერება 46 ანგარიშის დებეტში ბანკში შესაბამის ანგარიშზე ან მიმწოდებლის სალაროში ფულის მიღების მიხედვით, ხოლო გეგმიური გადახდის წესით ანგარიშსწორებისას — მომხმარებლისათვის პროდუქციის გაგზავნის მიხედვით.

პროდუქციისათვის (სამუშაოებისა და მომსახურებისათვის) ფულადი სახსრების გადაგზავნის თაობაზე მყიდველის შეტყობინება არ ჩაითვლება საფუძვლად პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებაში მათი შეტანისა და 45 ანგარიშიდან ჩამოწერისათვის.

45 ანგარიშზე აღირიცხული სატრანსპორტო ხარჯების თანხა და ტარის ღირებულება, რომელიც უნდა აანაზღაუროს მყიდველმა და შეტანილია გაგზავნილ ან გაცემული პროდუქციისა და საქონლისათვის წარდგენილ ანგარიშში, ჩამოიწერება ამ პროდუქციისა და საქონლის ღირებულებასთან ერთად. მაგრამ, ამასთან ერთად, სატრანსპორტო ხარჯებისა და ტარის განაღდებული თანხა აისახება 45 ანგარიშის კრედიტში და 51 „ანგარიშსწორების ანგარიშის“, 50 „სალაროს“, 56 „დანარჩენი

ფულადი საშუალებების“, 62 „ანგარიშსწორება მყიდველებთან და შემკვეთებთან“ ანგარიშების დებეტში, ე. ი. 46 „რეალიზაციის“ ანგარიშის გვერდის ავლით.

45 ანგარიშზე აღრიცხული პრეტენზიების, სანქციებისა და სხვ. თანხები ამ ანგარიშიდან ჩამოიწერება მათი შემოსვლის მიხედვით, უშუალოდ ზემოაღნიშნული ამა თუ იმ ანგარიშის დებეტში.

მიმდინარე აღრიცხვაში გაგზავნილი ან გაცემული მზა პროდუქცია საქონელი, მატერიალური ფასეულობა 45 ანგარიშზე აისახება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ანალიზური აღრიცხვისათვის მიღებული ფასებით: — თვითღირებულებით, გეგმური თვითღირებულებით, საბითუმო ფასებით (ბრუნვის გადასახადის გამოკლებით), ან (მომმარაგებელ, გამსაღებელ და სავაჭრო ორგანიზაციებში) ნაყიდობის ღირებულებით, საბითუმო ან საცალო ფასებით. ანალიზურ აღრიცხვაში გადაგზავნილი ან გაცემული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობა აღრიცხება განცალკევებით — მზა პროდუქციისა, სამრეწველო ხასიათის სამუშაოსა და მომსახურების, დამზარე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, არასამრეწველო ხასიათის სამუშაოსა და მომსახურების; ნაყიდი საქონლის, ნაყიდი ნაკეთობებისა და მატერიალურ ფასეულობათა (ცალკე ის ნაწილი, რომელიც მიღებულია პასუხსაგები შენახვისათვის) მიხედვით.

როდესაც გაგზავნილი ან გაცემული სასაქონლო მატერიალური ფასეულობის მიმდინარე აღრიცხვა წარმოებს გეგმური, საბითუმო, საცალო ან სხვა ფასებით, მაშინ ამ ფასეულობის ფაქტობრივი თვითღირებულების გადახრა აღნიშნული ფასებით აღრიცხული ღირებულებებისაგან (მომმარაგებელ, გამსაღებელ და სავაჭრო ორგანიზაციებში — დათმობა. წანამატი, შემოზიდვის ხარჯები და სხვ.) 45 ანგარიშს მიეკუთვნება იმ ნაწილით, რაც მოუწევს ნაშთს თვის ბოლოს. რეალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ამსახველ შემოსავალში გადახრის წილი (რომელთა ღირებულება თვის განმავლობაში ჩამოწერილი იყო 45 ანგარიშიდან) აისახება უშუალოდ რეალიზაციის 46 ანგარიშზე.

45 და 46 ანგარიშებისათვის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ანგარიშებიდან მისაკუთვნებელი გადახრის თანხის განსაზღვრის, დათმობის, წანამატისა და მიმოქცევის ხარჯების აღრიცხვის მეთოდისკა მოცემულია ამ ანგარიშების განმარტებებში.

ჩაბარებული სამუშაოები და გაწეული მომსახურება შეიძლება აისახოს ფაქტობრივი თვითღირებულებითაც, გეგმური ან სახელშეკრულებო ღირებულებით. უქანასკნელ შემთხვევაში ფაქტობრივი თვითღირებულების გადახრა გეგმური ან სახელშეკრულებო ღირებულებისაგან, წარმოების ანგარიშებში გამოვლენილი და ჩაბარებული სამუშაო-

ოებისა და გაწეული მომსახურებისათვის მიკუთვნებული, 45 და 46 ანგარიშებში აისახება იმავე წესით, როგორც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ფაქტობრივი თვითღირებულების გადახრისას მათი ღირებულებისაგან (სააღრიცხვო ფასებით).

სახალხო მეურნეობის იმ დარგების საწარმოები (ორგანიზაციები), რომელთა საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაცია იგეგმება მყიდველებისათვის (შემკვეთებისათვის) გაგზავნის მიხედვით და ამასთან დაკავშირებით საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციას აღრიცხვაში ასახავენ საანგარიშსწორებო დოკუმენტის ბანკში ინკასოზე ჩაბარებისთანავე, 45 ანგარიშით არ სარგებლობენ და გაგზავნილი მზა პროდუქციის, საქონლის, მატერიალური ფასეულობის ფაქტობრივ თვითღირებულებას უშუალოდ 46 „რეალიზაციის“ ანგარიშის დებეტში ასახავენ. ერთდროულად საანგარიშსწორებო დოკუმენტების თანხით კრედიტდება 46 ანგარიში და დებეტდება 62 ანგარიში „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან“.

მომმარაგებელ, გამსაღებელ და სავაჭრო ორგანიზაციებში 45 ანგარიშზე აისახება, აგრეთვე, მიმწოდებლის მიერ უშუალოდ მყიდველი მომმარაგებელი (გამსაღებელი, სავაჭრო) ორგანიზაციის მისამართით გაგზავნილი საქონლის ღირებულება ანგარიშსწორებაში მათი მონაწილეობით. ამასთან, საქონლის ღირებულება ნაყიდობის ფასებით, აგრეთვე, ტარის ღირებულება და სატრანსპორტო ხარჯები (თანახმად საანგარიშსწორებო დოკუმენტებისა) აისახება 45 ანგარიშის დებეტში, 60 „ანგარიშსწორება მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან“ ანგარიშთან კორესპონდენციით.

საწარმოო გაერთიანებებში 45 ანგარიში (გასაღების სამსახურის ცენტრალიზაციის დონისა და საანგარიშსწორებო და სპეციალური სუბ-ანგარიშების სახეზე არსებობის მიხედვით) შეიძლება წარმოებულ იქნეს ცენტრალიზებულად სათაო საწარმოს ბუღალტერიაში ან საწარმოო ერთეულების ბუღალტერიაში, რომელიც გამოყოფილია ცალკე ბალანსზე და აწარმოებენ პროდუქციის გაგზავნას გარეთ. ამასთან ზიანშემწონილია მითითებულ ბუღალტერიებში მოვერიდოთ ერთიდაიგივე ოპერაციების ჩაწერის დუბლირებას.

**ანგარიში 45 „გაგზავნილი საომარი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება“**

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დებეტი	კრედიტი
05 მასალები	29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
06 სათბობი	31 მომავალი პერიოდის ხარჯები
07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა	40 მზა პროდუქცია
08 სათადარიგო ნაწილები	41 საქონელი
	43 წარმოებისგარეშე ხარჯები

- 09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 მკირეფასიანი და სწრაფცვეთადი სავნები
- 20 ძირითადი წარმოება
- 21,4 საკუთარი წარმოებას ნახევარფაბრიკატები
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 40 მზა პროდუქცია
- 41 საქონელი
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 46 რეალიზაცია
- 47 საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შიდასისტემური გაცემა
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- 50 საღარო
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და ნოიჯარეებთან
- 61 ანგარიშსწორებანი აივანით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 96 მახლობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

- 46 რეალიზაცია
- 47 საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შიდასისტემური გაცემა
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- 50 საღარო
- 51 ანგარიშსწორების ინგარიში
- 56 დანარჩენი ფულადი სამუშაოებანი
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შეიკვეთებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 87 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუძვებიდან
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელო რეზერვი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში

ანგარიში 46 „რეალიზაცია“

ეს ანგარიში განკუთვნილია პროდუქციის, საქონლის, მატერიალური ფასეულობის, შესრულებული სამუშაოების და გაწეული მომსახურების რეალიზაციის აღსარიცხავად და აგრეთვე, რეალიზაციის ფინანსური შედეგების გამოსავლინებლად.

ამის შესაბამისად 46 ანგარიშზე აისახება, კერძოდ, თვითღირებულება და ამონაგები:

განაღლებული მზა ნაწარმისა და საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატებისა, რომლებიც რეალიზებულია შემკვეთებისა და მყიდველებისათვის მიწოდების წესით;

განაღლებული სახალხო მოხმარების საქონლისა; საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ნაწარმის, ნახევარფაბრიკატების და დამზადებისა წარმოების ნარჩენებისაგან, აგრეთვე სახალხო მოხმარების არასა-

სურსათო საქონლისა, რომელიც დამზადებულია ადგილობრივი ნედლეულისაგან;

სამრეწველო ხასიათის გარეთ რეალიზებული და განადღებულ სა-  
მუშაოებისა და მომსახურებისა;

საკუთარი კაპიტალური მშენებლობისათვის რეალიზებული პროდუქ-  
ციის, სამუშაოებისა და მომსახურებისა;

თავისი მომსახურე წარმოებებისა და მეურნეობების საჭიროებისათ-  
ვის გაცემული პროდუქციის, სამრეწველო ხასიათის შესრულებული  
სამუშაოების და მომსახურებისა.

თავისი მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებების კაპიტა-  
ლური რემონტისა სამრეწველო საწარმოებში (საიჯარო ორგანიზაციების  
მიერ თავისი შენობებისა და ნაგებობათა კაპიტალური რემონტი);

არასამრეწველო ხასიათის რეალიზებული სამუშაოებისა და მომ-  
სახურებისა;

განადღებული ნაყიდი ნაწარმისა (დასაკომპლექტებლად შექმნილის);  
ჩაბარებული სამშენებლო, სამონტაჟო, საპროექტო-საძიებო, გე-  
ოლოგიურ-დაზვერვითი, სამეცნიერო-კვლევითი და ა. შ სამუშაოებისა;

დამხმარე სოფლის მეურნეობის რეალიზებული პროდუქციისა;

დანარჩენი რეალიზებული მატერიალური ფასეულობისა, ზენორ-  
მატიულისა და ჭარბის ჩათვლით.

სამრეწველო საწარმოებს მიერ შემკვეთის ნედლეულ-სა და მასა-  
ლისაგან (რომელიც განადღებულია დამამზადებელი საწარმოს მიერ)  
გამომუშაებული ნაწარმი შეიტანება რეალიზებული პროდუქციის შერ-  
მადგენლობაში. შემკვეთის ნედლეულისა და მასალების ღირებულების  
გათვალისწინებით.

46 ანგარიშზე ცალკე პოზიციით მოცემულია პროდუქციის სადგურ-  
რამდე (ნავსადგურამდე) მიტანის ფაქტობრივი ხარჯები, თუ პროდუქ-  
ციის გასაცემ ფასებში ჩართულია ამ ხარჯებს ანაზღაურება და მასზე  
ანგარიშსწორება ხორციელდება უშუალოდ მიმწოდებელსა და მყიდ-  
ველს შორის (გამსაღებელი ორგანიზაციის მონაწილეობის გარეშე).

მიმწოდებელი საწარმოების მიერ მყიდველებისათვის განკუთვნილი  
დათმობა 46 ანგარიშზე არ აისახება. ამ დათმობის თანხით მცირდება  
რეალიზაციის ამონაგები.

მრეწველობის იმ დარგებში, სადაც სასაქონლო პროდუქციის მო-  
ცულობასა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობაში შეიტანება  
საკუთარი წარმოების პროდუქცია, რომელიც გადაეცემა მოცემული  
საწარმოს შემდგომი გადამუშავებისათვის დადგენილი საბითუმო ფა-  
სებით, მისი ღირებულება 46 „რეალიზაციის“ ანგარიშზე აისახება.

რეალიზაციის მოცულობის დაჯგუფება მისი სახეების მიხედვით (მა-  
გალითად, რეალიზაცია სასაქონლო პროდუქციის, დანარჩენი რეალი-  
ზაცია სამრეწველო საწარმოებში) განისაზღვრება რეალიზებული პრო-

დუქციის, ჩაბარებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების მოცულობის დაგეგმვის მეთოდის შესაბამისად.

ამონაგები იმ ნაწარმის გაყიდვიდან, რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნებით არ სარგებლობს და რეალიზებულ იქნა საკომისიო საწყისებზე, სავაჭრო და მომარაგება-გამსაღებელი ორგანიზაციიდან სახსრების მიღების შემდეგ, აისახება 46 „რეალიზაციის“ ანგარიშზე. სავაჭრო და მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებიდან სახსრების მიღებამდე აღნიშნული ნაწარმი აისახება 40 „მზა პროდუქციის“ ანგარიშზე, იმ ორგანიზაციების მიხედვით, რომელთაც იგი გადაეცათ.

სამრეწველო საწარმოებს ნებადართული აქვთ აუცილებლობის შემთხვევაში მათი პროდუქცია, რომელიც არ სარგებლობს მომხმარებელთა მოთხოვნებით, გაყიდონ პრეისკურანტით გათვალისწინებულზე უფრო დაბალ საბითუმო ფასებში, დანაკარგების სამეურნეო საქონლის შედეგებისათვის მიკუთვნებით, მაგრამ ბიუჯეტში გადასახდელთა გეგმური განაკვეთის შეუმცირებლად. ამ პროდუქციის რეალიზაცია აისახება 46 „რეალიზაციის“ ანგარიშზე, საერთო საფუძველზე.

პროდუქციის რეალიზაციის შედეგები აისახება 80 „მოგება და ზარალი“ ანგარიშზე საერთო წესით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ბუღალტერთა პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებაზე აწესებს ოპერატიულ კონტროლს. ამისათვის პროდუქციის გაგზავნისა და რეალიზაციის უწყისებში (მანქანაგრაშებში) დღის, დეკადის და ა. შ. გამოიყენება განადღებული პროდუქციის ჯამი (სახეების მიხედვით) გეგმასთან შეპირისპირებულ ფასებში.

46 „რეალიზაციის“ ანგარიშის დებეტში ჩამოიწერება პროდუქციის გეგმური თვითღირებულება (ან მისი ღირებულება საწარმოს საბითუმო ფასებით), აგრეთვე ფაქტობრივი თვითღირებულების გადახრის თანხა გეგმურთან შედარებით (ან სხვაობა საწარმოს ფაქტობრივ თვითღირებულებასა და საწარმოს საბითუმო ფასებით გამოანგარიშებულ ღირებულებას შორის). 46 „რეალიზაციის“ ანგარიშის კრედიტში მისაკუთვნიებული რეალიზებული პროდუქციისა და სხვა მატერიალური ფასეულობის შესაბამისი გადახრა ან სხვაობა აისახება 46 „რეალიზაციის“ ანგარიშის დებეტში სტორნოს წესით (იმისათვის, რომ არ დამახინჯდეს რეალიზაციის პრინციპის დაცვა).

ანალოგიურად აისახება რეალიზებული მატერიალური ფასეულობათა ფაქტობრივი თვითღირებულების გადახრა მათი გეგმური თვითღირებულებისაგან ან სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები და მომმარაგებელი და გამსაღებელი ორგანიზაციების დარიცხვა.

რეალიზაციის ამონაგებიდან მიღებული მიზნობრივი დანიშნულების (ბრუნვის გადასახადი, საცალო ფასებზე დანამატი რადიომიმღებზე,

ტელევიზორებზე და ა. შ.) სახსრების გამოყენება აისახება 46 ანგარიშის დებეტში სათანადო ანგარიშებთან კორესპონდენციით (68 „ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან“, 87 „ეკონომიკური სტიმულირების ფონდები“ და სხვ.).

საწარმოო გაერთიანებებში ანგარიში № 46 (გამსაღებელი სამსახურის ცენტრალიზაციის დონესთან შესაბამისად) შეიძლება წარმოებულ იქნეს მხოლოდ სათანადო საწარმოს ბუღალტერიებში ან ცალკე ბალანსზე გამოყოფილი და პროდუქციის გამგზავნი საწარმოო ერთეულების ბუღალტერიებში. ამასთან თავი უნდა ავირიდოთ ერთ და იგივე ჩანაწერების დუბლირებას აღნიშნულ ბუღალტერიებში. საანგარიშსწორებო ან სპეცსახსრო სუბანგარიშების არსებობისას გაგზავნის და რეალიზაციის აღრიცხვა წარმოებს საწარმოო ერთეულების ბუღალტერიებში.

საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები 46 ანგარიშზე ასახავენ მეცენარეობის, მეცხოველეობის, დამხმარე და სხვა წარმოებებიდან და მეურნეობებიდან მიღებული პროდუქციის, გარეთ შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების, აგრეთვე მოსახლეობაში დამზადებული სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის და პროდუქციის თვითღირებულებას და რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს.

რეალიზებულ პროდუქციას, შესრულებულ სამუშაოებსა და გაწეულ მომსახურებას საბჭოთა მეურნეობები 46 ანგარიშის დებეტში ჩამოწერენ წლის ბოლოს ფაქტობრივი თვითღირებულებით, ხოლო წლის განმავლობაში, როდესაც ფაქტობრივი თვითღირებულება ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი, მას აღრიცხავენ გეგმური თვითღირებულებით. პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები (შეფუთვა, სატრანსპორტო ხარჯები და ა. შ.), გარდა იმ ხარჯებისა, რომელსაც ანაზღაურებს დამამზადებელი ორგანიზაციები, წინასწარ მიეკუთვნება 43 „წარმოებისგარეშე ხარჯების“ ანგარიშის დებეტს პროდუქციის შესაბამისი სახეების მიხედვით. წლის ბოლოს 46 ანგარიშის დებეტში დამატებით ჩამოწერენ (ან სტორნირებას მოახდენენ) სხვაობას რეალიზებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების გეგმურ თვითღირებულებისა, რომლითაც ჩამოიწერებოდა ამ ანგარიშზე წლის განმავლობაში და ფაქტობრივ თვითღირებულებას შორის, თანახმად საანგარიშგებო კალკულაციისა. რეალიზებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების სხვაობის თანხა აისახება იმ ანგარიშების კრედიტში, რომლებშიაც აღრიცხული იყო დასახელებული პროდუქცია და შესრულებული სამუშაოები.

46 ანგარიშის კრედიტში აღრიცხება პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული

ამონაგები 62 „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით.

46 ანგარიშის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს რეალიზებული პროდუქციის და გარეთ შესრულებული სამუშაოების სახეების მიხედვით. გარდა ამისა, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის აღრიცხვა წარმოებს რეალიზაციის მიმართულებების მიხედვითაც: სახელმწიფოსათვის მიყიდვა; მიყიდვა სავაჭრო ქსელზე, რომელიც არ ეკუთვნის საბჭოთა მეურნეობას, მუშა-მოსამსახურეებზე მიყიდვა და პროდუქციის გაცემა საზოგადოებრივი კვებისათვის; დანარჩენი რეალიზაცია პროდუქციის ღირებულებასა და ამონაგებ თანხებთან ერთად, აგრეთვე, აისახება პროდუქციის რაოდენობა ნატურალურ გამოსახულებაში. სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციის ნაწილში 46 ანგარიშის კრედიტში აჩვენებენ ჩასათვლელ მასასაც. ანალიზურ აღრიცხვაში ცალკე გამოყოფენ სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვას ხარჯებს, რომელსაც დადგენილი წესით ანაზღაურებს დამამზადებელი ორგანიზაცია; ამ ხარჯების აღრიცხვა უნდა მოეწყოს სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციის სახეების მიხედვით (მარცვალი, რძე, რძის პროდუქტები, პირუტყვი სახეების მიხედვით და ა. შ.).

46 „რეალიზაციის“ ანგარიშზე მოიჯარე ორგანიზაციები ასახავენ მშენებლობის დამთავრებული ობიექტებისა და სამუშაოების რეალიზაციიდან მიღებულ შედეგებს, რომლებიც შესრულებულია საიჯარო და სუბსაიჯარო ხელშეკრულებათა მიხედვით. მოცემული ანგარიშის დებეტში აისახება ჩაბარებულ სამუშაოთა ფაქტობრივი თვითღირებულება (20 ანგარიშთან კორესპონდენციით), ხოლო კრედიტში — მითითებულ სამუშაოთა ღირებულება იმ განსაზღვრული დოკუმენტებით, რომლებიც ითვლება შემკვეთსა და მოიჯარეს (სუბმოიჯარეს) შორის ანგარიშსწორების საფუძველად, თანახმად მშენებლობის დაფინანსების წესისა (62 ანგარიშთან კორესპონდენციით).

დასახელებულ ანგარიშზე ცალკე აისახება მოიჯარე ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებების ზევით მიღებული კომპენსაციები და შედეგები. ასეთი კომპენსაციები ხარჯთაღრიცხვებში, სახარჯთაღრიცხვო-ფინანსურ გაანგარიშებებსა და შესრულებულ სამუშაოთა მოცულობაში არ შედის. ანალიზური აღრიცხვა ხორციელდება ცალ-ცალკე მისაღები კომპენსაციის სახეების მიხედვით. ამასთან 46 „რეალიზაციის“ ანგარიშის კრედიტის ჩანაწერი შემკვეთის მიერ ასანაზღაურებელი კომპენსაციის თანხით მშენებლობადამთავრებული და საექსპლუატაციოდ ჩაბარებული ობიექტების მიხედვით ეკორესპონდენტება 61 ანგარიშის დებეტს (სუბანგარიში 2 „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან მიღებული ავანსით და შეკვეთის ნაწილობრივი განაღ-



დებით“). სახელმწიფო ბიუჯეტადან მიღებული კომპენსაციის თანხა ასევე აღირიცხება 61—2 სუბანგარიშზე, ხოლო საექსპლუატაციოდ ჩაბარებულ ობიექტებზე ჩამოიწერება 61—2 სუბანგარიშის დებეტიდან 46 ანგარიშის კრედიტში.

ბიუჯეტიდან მიღებული ზემოაღნიშნული კომპენსაციის თანხაზე, მთლიანად დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში გადაცემისას, გენერალური მოიჯარე ადგენს ცნობას (კომპენსაციის დამატებითი დანახარჯების მხედველობაში მიღებით, რომელიც გადაეცა სუბმოიჯარე ორგანიზაციებს) და უგზავნის შემკვეთს კომპენსაციის თანხის მოქმედებაში შეყვანილი ძირითადი ფონდების ინვენტარულ ღირებულებაში ჩასართავად.

მოიჯარე ორგანიზაციების ცნობების საფუძველზე შემკვეთნი (ტრეტლმფლობელნი) სპეციალურ ქურნალში (დავთარში) სისტემისგარეშე აღრიცხავენ მშენებლობის თითოეულ ობიექტზე კომპენსაციებს დამატებით დანახარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია შრომის ანაზღაურების ახალ პირობებთან, მასალების ფასებისა და ტარიფების ცვლილებებთან.

შემკვეთნი გენერალურ მოიჯარისაგან აღნიშნული ცნობის მიღებისას ვალდებულნი არიან ხუთი დღის ვანმავლობაში აცნობონ გენერალურ მოიჯარეს კომპენსაციის თანხების აღრიცხვაზე აყვანის შესახებ ექსპლუატაციაში გადასაცემი ძირითადი ფონდების ინვენტარულ ღირებულებაში მათ შესატანად.

მენაშენეების მიერ ბიუჯეტიდან მიღებული კომპენსაციის თანხა სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული და სამეურნეო წესით განხორციელებული სამშენებლო ობიექტების მიხედვით, აღირიცხება კაპიტალური დაბანდების დაფინანსების შემადგენლობაში. მენაშენეების მიერ მიღებული კომპენსაციის თანხები სახელმწიფო გეგმის ზევით, სამეურნეო წესით განხორციელებული სამშენებლო ობიექტებისათვის არაცენტრალიზებული დაფინანსების წყაროების ანგარიშში, აღირიცხება კაპიტალური დაბანდების დაფინანსების მოცემული წყაროს მიხედვით, დადგენილი წესით.

მშენებლობადამთავრებული ობიექტების ძირითად ფონდებში ჩაირიცხვისას დამატებითი დანახარჯების თანხები, რომლებიც აღრიცხულია სისტემისგარეშე, უერთდება დამთავრებული ობიექტების ინვენტარულ ღირებულებას, ერთდოულად იმავე თანხით იზრდება საწესდებო ფონდი.

გენერალური მოიჯარეები 46 ანგარიშის დებეტში და კრედიტში ასახავენ აგრეთვე სუბმოიჯარეების მიერ შესრულებულ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას.

46 ანგარიშზე, აგრეთვე აღირიცხება უშუალოდ ტრესტებზე ან

მშენებლობის სამართველოებზე დაქვემდებარებული სამეურნეო ანგარიშზე მყოფი მომარაგების კანტორების, დამხმარე წარმოებების, სატრანსპორტო და სხვა მომსახურე მეურნეობების მიერ ტრესტების და მშენებლობათა სამშენებლო სამმართველოებ-სათვის მატერიალური ფასეულობის და სამეურნეო წესით განხორციელებული მომსახურების რეალიზაცია ტრესტების შიდასამეურნეო ანგარიშზე მყოფ ქვედანაყოფებს შორის ანგარიშსწორებაში გეგმური საანგარიშგებო ფასების გამოყენებისას. ამ ანგარიშის დებეტში აღირიცხება რეალიზებული მატერიალური ფასეულობისა და მომსახურების ფაქტობრივი თვითღირებულება, ხოლო კრედიტში — მატერიალური ფასეულობისა და მომსახურების ღირებულება გეგმურ-საანგარიშსწორებო ფასებით. 46 ანგარიშის საღლო გვიჩვენებს ფინანსურ შედეგს (მოგებას ან ზარალს) მატერიალურ ფასეულობათა და მომსახურების რეალიზაციიდან ქვედანაყოფების მიხედვით, რომელღც შეღის სამშენებლო ტრესტის (სამართველოს, მშენებლობის) შემადგენლობაში. შესაბამისი ქვედანაყოფის მიერ მიღებული მოგების ან ზარალის თანხით ტრესტში კორექტირება უკეთდება სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა კრებისთ ანგარიშგებას დანახარჯების სათანადო მუხლებისა და ელემენტების მიხედვით.

გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოთა აქტებით გაფორმებული ფაქტობრივი დანახარჯები, მიეკუთვნება 46 ანგარიშს, 20 „ძირითადი წარმოების“ ანგარიშის კრედიტიდან. თვის განმავლობაში შესრულებული სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ გეოლოგიურ-დაზვერვით სამუშაოებზე წარდგენილი და ბანკის მიერ გასანაღდებლად მიღებული ანგარიშების თანახმად სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით კრედიტდება 46 ანგარიში და დებეტდება 96 ანგარიში „მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი“. შემკვეთებისათვის შესრულებული სამუშაოების მიხედვით სახელშეკრულებო ღირებულებით კრედიტდება ანგარიში 46 და დებეტდება ანგარიში 62 „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან“.

საპროექტო და საძიებო ორგანიზაციები 46 ანგარიშის დებეტით ასახვენ შეკვეთებისათვის ჩაბარებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მთლიანად დამთავრებული პროექტების ან სამუშაოთა სახეების ფაქტობრივ თვითღირებულებას, ხოლო კრედიტში — სახარჯთაღრიცხვო (სახელშეკრულებო) ღირებულებას. ანალიზური აღრიცხვა წარმოებს თითოეული ხელშეკრულების (განრიგ-შეკვეთის) მიხედვით.

სამშენებლო-სამონტაჟო. გეოლოგიურ-სადაზვერვო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ჩაბარების შედეგი — სხვაობა შესრულებულ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო (სახელშეკრულებო) ღირებულებასა და

ფაქტობრივ თვითღირებულებას შორის — გადაირიცხება 80 „მოგება და ზარალის“ ანგარიშზე.

სავაჭრო, მომმარაგებელ და გამსაღებელ ორგანიზაციებში 46 ანგარიშზე აისახება საქონლის რეალიზაცია საბითუმო ბაზებსა და საწყობებში, განმანაწილებელ საწყობებში, ბოსტნეულსაცავებში, დამამზადებელ პუნქტებში და სხვ., აგრეთვე ფინანსური შედეგები (საერთო შემოსავალი) ჩამოთვლილი ოპერაციებდან. 46 ანგარიშის კრედიტში აისახება რეალიზებული საქონლის გასაყიდი ღირებულება, ხოლო დებეტში — მათი სააღრიცხვო ღირებულება, რეალიზებული საქონლის ხვედრი დათმობის (წანამატის) ერთდროული სტორნირებით და ბრუნვის გადასახადის თანხა იმ საქონლის მიმართ, რომელიც იბეგრება ბრუნვის გადასახადით 42 ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით „სავაჭრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი“ სათანადო სუბანგარიშების მიხედვით. ბიუჯეტის კუთვნილი ბრუნვის გადასახადის თანხა და, აგრეთვე, საბიუჯეტო დარიცხვა და საბიუჯეტო სხვაობა მიეკუთვნება 46 ანგარიშის დებეტსა და 68 ანგარიშის „ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან“ კრედიტს.

გამსაღებელი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ნამატისმფლობელ საწარმოებიდან მიღებული ჯარბი და გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობის, საკუთარი საწყობიდან რეალიზაციის ოპერაციების განცალკევებულ აღრიცხვას.

მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციები 46 ანგარიშზე აღრიცხავენ ტრანზიტით საქონლის რეალიზაციის ოპერაციებს ანგარიშსწორებაში მათი მონაწილეობისას. მომმარაგებელი ორგანიზაციები, აგრეთვე გამსაღებელი და საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციები, რომელთაც რეალიზაცია ეგეგმებათ საქონლის გაგზავნის მიხედვით (და ამის შესაბამისად რეალიზაციის ანგარიშში ასახავენ საანგარიშსწორებო საბუთების საინკასოდ ბანკის დაწესებულებაში ჩაბარების მიხედვით) 46 ანგარიშის დებეტში ასახავენ საქონლის ღირებულებას მიმწოდებელთა ანგარიშგადახდის მოთხოვნის თანახმად. 60 ანგარიშის „ანგარიშსწორება მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან“, კრედიტთან კორესპონდენციით, ხოლო კრედიტში — საქონლის გასაყიდ ღირებულებას 62 ანგარიშის „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან“ დებეტთან კორესპონდენციით.

46 ანგარიშის კრედიტში ცალკე აისახება, აგრეთვე, საერთო შემოსავალი ტრანზიტით საქონლის რეალიზაციიდან ანგარიშსწორებაში მონაწილეობის გარეშე. ტრანზიტით საქონლის რეალიზაციის ბრუნვა ანგარიშსწორებაში მონაწილეობის გარეშე, განისაზღვრება შესაბამისი დოკუმენტების მონაცემების საფუძველზე, აღირიცხება სისტემისგა-

რეშე და ანგარიშებებში რეალიზაციის შესახებ იჩვენება ცალკე სტრიქონით.

სავაჭრო ორგანიზაციები 46 ანგარიშზე ცალკე აღრიცხვენ საქონლის საცალო და წვრილსაბითუმო რეალიზაციას: საცალო ვაჭრობის საწარმოები, სახელების საწარმოები საკუთარი წარმოების პროდუქციას და ნაყიდი საქონლისა, სახელოსნოები მზა პროდუქციას, ატელიე და სხვ. მზა პროდუქცია სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოებისა, წვრილსაბითუმო საქონლის. ამასთან 46 ანგარიშის კრედიტში აისახება საცალო საქონელბრუნვის თანხა, ე. ი. სავაჭრო ამონაგების თანხა საქონლის საცალო გაყიდვიდან, აგრეთვე, ამონაგები შემკვეთის მასალით ინდივიდუალური კერვის სახელოსნოებიდან (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თეთრეული, თავსამკაული) მათ მიერ დახარჯული სარჩულ-სადები მასალის ღირებულების ჩართვით, ხოლო დებეტში — გაყიდული საქონლის ნაყიდობის ღირებულება და მზა პროდუქციის, შეკერვისა და სარჩულ-სადები მასალებზე ფაქტობრივი თვითღირებულება.

სავაჭრო დარიცხვის განაკვეთი, რაც ეკუთვნის რეალიზებულ საქონელს, განისაზღვრება იმ წესით, რომელიც მოცემულია 42 „სავაჭრო დარიცხვისა და ბრუნვის გადასახადის“ ანგარიშის განმარტებაში. 46 ანგარიშის საღდო წარმოადგენს საერთო შემოსავალს რეალიზაციიდან.

ანგარიში 46 „რეალიზაცია“

ეკორესპონდენტება ანგარიშებში:

დებეტი

კრედიტი

- 05 მასალები
- 06 საბოები
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობლობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გავსახარდელი და გასასუქებელი პირტუევი
- 10 თესლი და საკვება
- 12 მკურნალობისა და სწრაფიკეთადი საგნები
- 20 ძირითადი წარმოება
- 21 საკუთარი წარმოების ნახეარფაბრიკატები
- 23 დამზარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 30 აკაპიტალური სანქსოები
- 40 მზა პროდუქცია
- 41 საქონელი

- 03 კაპიტალური რემონტი
- 20 ძირითადი წარმოება
- 33 დამზარე წარმოებანი
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 30 აკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 41 ემოქციების ხარჯები
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 50 საღარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 60 ანგარიშსწორებანი მიწოდებლებთან და მოიჭარებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსით

- |    |  |    |   |
|----|--|----|---|
| 42 | საეპრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი                      | 62 | ანგარიშსწორებანი მყოფდევლებთან და შემცველებთან            |
| 43 | წარმოებისგარეშე ხარჯები                                    | 64 | ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით         |
| 44 | მიმოქცევის ხარჯები   | 73 | ანგარიშსწორებანი მუშა-მოსამზა-ბურეებთან სხვა ოპერაციებით  |
| 45 | გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება | 75 | ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან |
| 60 | ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჭარებთან             | 72 | შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი მიმდირიკ ოპერაციებით       |
| 64 | ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით          | 79 | შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი                            |
| 68 | ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან                                 | 82 | მოგება და ზარალი  |
| 71 | ანგარიშსწორებანი ანგარიშ-დღეგეკ-პირებთან                   | 81 | მოგების განოყენება  |
| 76 | ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან  | 83 | მომავალი პერიოდის შემოსავალი                              |
| 79 | შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი                             | 87 | ეკონომიკური სტიმულირებას ფონდები                          |
| 80 | მოგება და ზარალი   | 88 | სპეციალური დანიშნულების ფონდები                           |
| 87 | ეკონომიკური სტიმულირების ფონდები                           | 89 | მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი             |
| 88 | სპეციალური დანიშნულების ფონდები                            | 91 | სპეციალური სასესხო ანგარიში                               |
| 96 | მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი            | 93 | კაპიტალური დაბანდების დაფინანსება                         |
|    |  | 96 | მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი           |

**ანგარიში 47 „საქონლის, ნაშუაობებისა და მომსახურების  
შიდასისტემური გაცემა“**

47 ანგარიშით გათვალისწინებულია საქონლის და სხვა მატერიალური ფასეულობის შიდასისტემური გაცემის და აგრეთვე, სამუშაოებისა და მომსახურების ოპერაციების აღსარიცხავად. მოცემულ ანგარიშზე ასახვას პოულობს საქონლის გაცემა სხვა მომმარაგებელ (გამსაღებელ), საეპრო, საწარმოებზე (ორგანიზაციებზე), რომლებიც შედის ერთი სამმართველოს, ტრესტის, საეპრო ორგანიზაციის, მუშათა მომარაგების სამმართველოს და ა. შ. სისტემაში.

საქონლის შიდასისტემური გაცემის ოპერაციები 47 ანგარიშზე ასახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გაცემა გათვალისწინებულია საწარმოს გეგმით. 47 ანგარიშზე ოპერაციების აღრიცხვის წესი ანალოგიურია 46 „რეალიზაციის“ ანგარიშის განმარტებისა, იმ თავისებურებათა მხედველობაში მიღებით, რომლებიც გათვალისწინებულია იმ სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციებით, რომლის სისტემაშიც შედის მოცემული საწარმო (ორგანიზაცია).

**ანგარიში 47 „საქონლის, საშუაოებისა და მომსახურების  
შიდასისტემური გაცემა“**

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

ღებებით

კრედიტით

- 41 საქონელი
- 42 საეპრო დარიცხვა და ბრუნვის  
გადასახადი
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულე-  
ბული სამუშაოები და მომსახურება
- 60 ანგარიშსწორებანი მიწოდებლებთან  
და მოიჭარებთან
- 80 მოკვება და ზარალი

- 41 საქონელი
- 42 მიმოქცევის ხარჯები
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულე-  
ბული სამუშაოები და მომსახურება
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან  
და შემყიდველებთან
- 78 შიდააუქციებო ანგარიშსწორებანი  
მიწოდებლებთან და მოიჭარებთან
- 80 მოკვება და ზარალი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში

**ანგარიში 48 „შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან“**

ამ ანგარიშზე ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოები (ორგანიზაციები) აღრიცხავენ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ძირითადი საქესპლუატაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს და ყველა სახის მიღებულ სატარიფო შემოსავალს. მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციებით დადგენილი წესით.

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებში 49 ანგარიშზე აღრიცხება ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის შემოსავალი გადაზიდვათა სახეობის მიხედვით. სატვირთო გადაზიდვებიდან შემოსავალში შედის: ტვირთის გადაზიდვისათვის ერთიანი ტარიფით დარიცხული თანხა, თანხები, ავტომანქანების ცარიელი გარბენისათვის პირველი დატვირთვის პუნქტამდე ან უკანასკნელი განტვირთვის პუნქტიდან; თანხები, ავტომანქანების დამატებითი მოცდენებიდან, რაც დაკავშირებულია ტვირთის აწონასთან, გავლასთან და გადაწონასთან; კლიენტებიდან გადახდევინებული თანხა ტვირთის მიუღებლობის ან ჩაუხარებლობის შედეგად ავტომანქანების გარბენისათვის;

მსუბუქი ავტომანქანების (უმძლოლოდ) გაქირავებიდან მიღებულ შემოსავალში, რომელიც 49 ანგარიშის კრედიტში აღრიცხება, შედის მოქმედი ტარიფით დარიცხული თანხა ავტომანქანის გაქირავებით სარგებლობის პერიოდისათვის (გარბენის ყოველი კილომეტრისათვის), შემკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე ავტომანქანის მიწოდებისათვის, მანქანის გარეჯ გარეთ მიღებისათვის. შემკვეთისაგან კუთვნილი თანხა ავტომეურნეობის საწვავით გამართვისა და ავტომანქანის, ავტოსაბურავების დაზიანებისათვის, ინსტრუმენტების დაკარგვისათვის და ა. შ., მსუბუქი მანქანების გაქირავების პირობებით მიღებული თანხა შემოსავალში არ შეიტანება.

49 ანგარიშზე არ აღირიცხება და „მოგება და ზარალის“ 80 ანგარიშს მიეკუთვნება:

ჯარიმები, საურავი და პირგასამტეხლო კლიენტების მიზეზით ავტომანქანების მოცდენისათვის დადგენილი დროის ნორმებს ზევით, დატვირთვისა და გადმოტვირთვის პუნქტებსა და გარაჟში; ავტომანქანების ისეთი გარბენისათვის, როცა ტვირთის გადაზიდვა არ მოხდა (გასაგზავნად შეკვეთით გაუთვალისწინებელ ტვირთის წარდგენის ან სხვა პუნქტში გასაგზავნად განწესებისას); საგზური ფურცლების და სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების გაფორმებაზე უარის თქმის, ან არასწორად გაფორებისათვის; ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაზიდვის მოცულობის შეუსრულებლობისათვის; ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტვირთის წარმოუდგენლობისათვის;

თანხები ავტომანქანების სამუშაო ადგილამდე და უკან გარბენისათვის;

გამოსაღები, გამოცხადებულ ფასდადებულ ტვირთისათვის ავტომეურნეობის პასუხსაგები გადაზიდვისა და დამხმარე ოპერაციების შესრულებისათვის;

ავტობუსებით ბაგაჟის გადაზიდვისათვის მიღებულ თანხები, აგრეთვე ჯარიმების თანხა სამგზავრო ტრანსპორტით სარგებლობის წესის დარღვევისათვის (უბილეთო მგზავრობა, ბაგაჟის გადაუხდელოდ წაღება და ა. შ.).

მგზავრების ავტობუსებით და მსუბუქი სამარშრუტო ტაქსომოტორებით გადაყვანისათვის მიღებული შემოსავალი 49 ანგარიშზე აისახება სადაზღვეო გამოსაღებს გამოკლებით, რომელიც მგზავრებს გადახდებით სარესპუბლიკათაშორისა და საოლქთაშორისა ხაზებზე. ერთდროულად ამონაგებს შემოსავალში აღებისთანავე სადაზვერო გამოსაღებს თანხა 68 „ბიუჯეტთან ანგარიშსწორების“ ანგარიშის კრედიტში აისახება, სახელმწიფო დაზღვევის პირადი ანგარიშის მიხედვით. სამუშაო ადგილამდე ავტომანქანების გარბენიდან შემოსავალში ჩაირიცხება შემდეგი თანხები — ერთიანი ტარიფების მიხედვით ავტომანქანების გარბენისათვის დარიცხული თანხა ავტოსატრანსპორტო საწარმოს ადგილსამყოფელიდან ავტომანქანების დროებით სადგომ პუნქტამდე. რკინიგზის სადგურამდე ან ნავსადგურის (ნავმისადგომამდე) და უკუ მიმართულებით. ფაქტობრივად დახარჯული თანხები, რაც მთლიანად დამკვეთთა მიერ არის ასანაზღაურებელი (რკინიგზის ტარიფი, მძლოლების დღიურები, ბინის ქირა და სხვ.) 49 ანგარიშზე არ აღირიცხება, არამედ უშუალოდ დამკვეთთა ანგარიშსწორების ანგარიშზე აისახება.

შემოსავალში შეიტანება ახალი და გარემონტებული ავტომობილები, ავტოქარხნიდან და ავტოსარემონტო ქარხნიდან გამოყვანისათვის. (გადარბენისათვის) ერთიანი ტარიფების მიხედვით დარიცხული თანხები

(გადარბენისა), და, აგრეთვე ტვირთის გზადაგზა გადაზიდვისათვის.

საავტომობილო გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის, საავტომობილო გადაზიდვების საერთო შემოსავლის თანხიდან განსაზღვრული ანარიცხები მიეკუთვნება 49 ანგარიშის დებეტს, „ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“ 76 ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით.

თვის ბოლოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ექსპლუატაციის ხარჯები 20 ანგარიშის კრედიტიდან 49 ანგარიშის დებეტში გადაირიცხება. 49 ანგარიშის შედეგი (საღდო) თვის ბოლოს 80 „მოგება და ზარალის“ ანგარიშზე გადაირიცხება.

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, რომელნიც ახორციელებენ სატრანსპორტო-საექსპლუატაციო და დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებს 49 ანგარიშზე ასახავენ შესრულებულ სამუშაოთა და გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის თანხას ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ღირებულებით, ან ცალკეულ სამუშაოთა დადგენილი შეფასებების მიხედვით. თვის ბოლოს საექსპლუატაციო და დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის სამუშაოთა ხარჯები ჩამოიწერება 20 ანგარიშის კრედიტიდან 49 ანგარიშის დებეტში. 49 ანგარიშის შედეგი (საღდო) თვის ბოლოს „მოგება და ზარალის“ 80 ანგარიშზე ჩამოიწერება.

**ანგარიში 49 „შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან“**

**ეკორესპონდენტება ანგარიშებს:**

**დ ე ბ ე ტ ი თ**

**კ რ ე დ ი ტ ი თ**

- 20 ძირითადი წარმოება
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასააუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 80 მოგება და ზარალი

- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 50 საღდო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 70 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებებთან
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემყიდველებთან
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასააუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასააუწყებო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 83 მომავალი პერიოდის შემოსავალი
- 96 ნიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი



## V ჯ ა ნ ა ტ ო ვ ი

### ფულადი სახსრები

ამ განაყოფის ანგარიშები გათვალისწინებულია საწარმოს (ორგანიზაციის) კუთვნილი ფულადი სახსრების ოპერაციების აღსარიცხავად, რომელიც მას სალაროში, ანგარიშსწორების მომდინარე და განსაკუთრებულ ანგარიშებზე გააჩნია და აქვე აღირიცხება ფულადი დოკუმენტების ოპერაციებით.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი და სამეურნეობათაშორისო საწარმოები (ორგანიზაციები) ვალდებული არიან თავიანთი ფულადი სახსრები შეინახონ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში ანგარიშსწორების ან მიმდინარე ანგარიშებზე. ხოლო დადგენილ შემთხვევებში — შემნახველ სალაროებსა და სსრ კავშირის მშენებანკში.

საწარმოებს (ორგანიზაციებს) ნება ეძლევათ თავიანთ სალაროში იქონიონ და დახარჯონ ნაღდი ფული ამონაგებიდან მხოლოდ გადაუდებელ ჰაჭიროებათა გადასახდელად სსრ კავშირის სახბანკის ან სსრ კავშირის მშენებანკის მიერ დადგენილი რაოდენობითა და წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საწარმოები (ორგანიზაციები) ვალდებული არიან მთელი ნაღდი ფული, ბანკის მიერ დადგენილი სალაროს ნაშთის ზღვრული ოდენობის ზევით, ჩააბარონ სსრ კავშირის სახბანკს ან სსრ კავშირის მშენებანკს, თავიანთ ანგარიშებზე ჩასარიცხავად, ბანკის მიერ შესაბამის საწარმოთა (ორგანიზაციათა) ხელმძღვანელების მონაწილეობით დადგენილი წესითა და ვადებში.

საწარმოებს (ორგანიზაციებს) უფლება აქვთ შეინახონ თავიანთ სალაროებში ნაღდი ფული დადგენილ ლიმიტს ზევით, მხოლოდ ხელფასისა და სხვა გადასახდელების გასაცემად სამი დღის განმავლობაში მათი ბანკში მიღების დღიდან. აღნიშნულ ვადაში გამოუყენებელი ფულადი სახსრები უბრუნდება ბანკს.

ფულადი სახსრების აღრიცხვის ძირითადი ამოცანებია:

ფულადი სახსრების სრული და დროულ აღრიცხვა:

კონტროლი საკასო და საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვისათვის;

კონტროლი ნაღდი ფულადი სახსრების არსებობის, დაცულობისა და სწორად გამოყენებისათვის.

### ანგარიში № 50 „სალარო“

50 ანგარიშზე აისახება საწარმოს (ორგანიზაციის) სალაროში ფულადი სახსრების სახეზე არსებობა და მასი მოძრაობა.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების (ორგანიზაციების) სალაროებში ფულადი სახსრების მოძრაობა აღირიცხება ორ სუბანგარიშზე: „საწარმოს (ორგანიზაციის) სალარო“ და „საოპერაციო სალარო“. საოპერაციო სალაროებს მიეკუთვნება: სასაქონლო კანტორების (ნავსადგომების) და საექსპლუატაციო უბნების, გასაჩერებელი პუნქტების, სამდინარო გადასასვლელების, გემების, ნავსადგურების (ნავმისადგომების) სალაროები; ვაგზლის, ნავსადგურების (ნავმისადგომების) საბილეთო და საბაგაჟო სალაროები, ბილეთების შესანახი სალაროები, კავშირგაბმულობის განყოფილებების სალაროები და ა. შ.

სალაროს ოპერაციები, მათი გაფორმება და აღრიცხვა ხორციელდება სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დებულების, აგრეთვე საოპერაციო სალაროებში სალაროს ოპერაციების წარმოების შესახებ დარგობრივი დებულების შესაბამისად.

### ანგარიში № 50 „სალარო“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

#### დ ე ბ ე ტ ი თ

- 16 სატრანსპორტო-დამზადების ბარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური დაბანდების სახსრებისათვის
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჭარებთან

#### კ რ ე დ ი ტ ი თ

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 სათაღარიგო ნაწილები
- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადო საგნები
- 15 მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა
- 16 სატრანსპორტო დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები

- 61 ანგარიშსწორებანი აუანსებით  
 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან  
 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით  
 64 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან  
 65 ანგარიშსწორებანი დაზღვევით  
 66 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით  
 67 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან  
 68 ანგარიშსწორებანი მატერიალური ხარაოს ანაზღაურებით  
 69 ანგარიშსწორებანი მეშებსა და მოსამსახურეებთან სხვა ოპერაციებით  
 70 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან  
 71 შიდასაბუღალტრო ანგარიშსწორებანი მოკვება და ხარაო  
 72 მომაკალი პერიოდის შემოსავალი  
 73 საწესდებო ფონდი  
 74 ბანკის მოკლევადიანი სესხი  
 75 სპეციალური სასესხო ანგარიში  
 76 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები  
 77 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება  
 78 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი  
 79 ბანკის სესხი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის  
 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები  
 27 მომსახურე წარმომადგენელი და მეურნეობანი  
 31 მომაკალი პერიოდის ხარჯები  
 35 ძირითადი ქოლის ფორმირება  
 41 საქონელი  
 43 წარმოებისგარეშე ხარჯები  
 44 მიმოქცევის ხარჯები  
 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება  
 51 ანგარიშსწორების ანგარიში  
 52 დანარჩენი ფულადი სახსრები  
 60 ანგარიშსწორებანი მოკლევადიანთან და მოგვარებებთან  
 61 ანგარიშსწორებანი სესხით  
 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან  
 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით  
 64 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან  
 65 ანგარიშსწორებანი დაზღვევით  
 66 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით  
 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან  
 72 ანგარიშსწორებანი მეშებსა და მოსამსახურეებთან სხვა ოპერაციებით  
 73 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან  
 74 შიდასაბუღალტრო ანგარიშსწორებანი მიზნობრივ ოპერაციებით  
 75 შიდასაბუღალტრო ანგარიშსწორებანი მოკვება და ხარაო  
 76 მომაკალი პერიოდის შემოსავალი  
 77 დანაჯღიბობა და დანაჯარგებები ფასეულობის გაფუქვბიდან  
 78 საწესდებო ფონდი  
 79 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები  
 80 ბანკის მოკლევადიანი სესხი  
 81 სპეციალური სასესხო ანგარიში  
 82 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი  
 83 ბანკის სესხი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის

**ანგარიში 51 „ანგარიშსწორების ანგარიში“**

ამ ანგარიშზე სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები (ორგანიზაციები), რომლებსაც გამოყოფილი აქვთ საკუთარი საბრუნავი საშუალებები და ადგენენ დამოუკიდებელ ბალანსს, ასახევენ ფულადი სახსრების არსებობასა და მოძრაობას, აგრეთვე, ფულად სახსრებს ანგარიშსწორების სუბანგარიშებზე, რომლებიც ეხსნებათ ბანკის დაწესებულებებში ადგილმდებარეობის მიხედვით არასამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოო ერთეულებს, მალაზიებს, საწყობებს, ფილიალებს

და ა. შ. რომლებიც შედიან საწარმოო გაერთიანებების, სამეურნეო მმართველობის ორგანოების და სხვ. შემადგენლობაში.

ანგარიშსწორების ანგარიშზე ოპერაციების შესრულებისა და გაფორმების წესი რეგლამენტებულია სსრ კავშირის სახბანკოს წესებით, ინსტრუქციებითა და დებულებებით.

ბუღალტრულ აღრიცხვაში ანგარიშსწორების ანგარიშის ოპერაციები აისახება ბანკიდან მიღებული ანგარიშსწორების ანგარიშის ამონაწერებისა და მასზე დართული ფულად-საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე.

ოუ ბანკის ამონაწერთა შემოწმებისას კრედიტში, ან შეცდომით ჩაწერილი თანხა აღმოჩნდება, მაშინ ეს თანხები უნდა მიეკუთვნოს ანგარიშს 63 „ანგარიშსწორება პრეტენზიებით“, ანგარიშსწორების ანგარიშის მფლობელი ვალდებულია აღმოჩენილი შეცდომის შესახებ წერილობით აცნობოს ბანკის დაწესებულებას.

ბუღალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების დებულების შესაბამისად, ბანკთან ანგარიშსწორების ინვენტარიზაცია წარმოებს ბანკის ამონაწერთა მიღებისამებრ, ხოლო ბანკში ინკასოზე გადაცემული საანგარიშსწორებო დოკუმენტებისა — ყოველი თვის პირველ რიცხვისათვის.

### ანგარიში 51 „ანგარიშსწორების ანგარიში“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი თ

- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება რეალიზაცია
- 46 საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შიდასისტემური ვაცემა
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- 50 სალარო
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური დაზღვების სახსრებისათვის
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსით
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემყველებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით.
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა შორისო კოოპერაციით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით

- 85 მატერიალურ ფასეულობის დამზადება და შექმნა
- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 25 სერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 სერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წუნი წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებაში და მეურნეობაში
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 33 კაპიტალური დაზღვებები
- 43 ხარშობისგარეშე ხაოჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 50 სალარო
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური დაზღვების სახსრებისათვის
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან
- 61 ანგარიშგებანი ავანსებით
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემყველებთან

- 74 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით
- 73 ანგარიშსწორებანი მუშებსა და მოსახლურებთან სხვა ოპერაციებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 77 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი საბრუნავო საშუალებებისა და მოვლების გადანაწილებით
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი
- 80 მოკვება და ზარალი
- 83 მომავალი პერიოდის შემოსავალი
- 85 საწესდებო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი
- 97 ბანკის სესხი მუშებსა და მოსახლურებებისათვის
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეოობათშორისა კომპერაციით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით
- 73 ანგარიშსწორებანი მუშებსა და მოსახლურებთან სხვა ოპერაციებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 77 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი საბრუნავო საშუალებებისა და მოვლების გადანაწილებით
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი
- 80 მოკვება და ზარალი
- 81 მოვლების გამოყენება
- 85 საწესდებო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადამხადვით რეზერვი
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი
- 97 ბანკის სესხი მუშებსა და მოსახლურებებისათვის

ანგარიში 54 „ანგარიშები ბანკში კაპიტალური“  
 ანგარიშების სახსრებისათვის“

54 ანგარიშებზე აისახება ბანკში შენახული კაპიტალური დაბანდებთა არაკენტრალიზებული წყაროების სახსრების სახეზე არსებობა და მოძრაობა.

წარმოების განვითარების ფონდისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა, აგრეთვე საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები კაპიტალურ დაბანდებისათვის განკუთვნილ ნაწილში უნდა ინახებოდეს ბანკში სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებთა დაფინანსებისათვის ბანკში საკუთარი სახსრების შეტანის წე-

სის შესახებ სსრ კავშირის მშენებანკისა და სსრ კავშირის სახბანკის ინსტრუქციის შესაბამისად.

სააღრიცხვო რეგისტრებში 54 ანგარიში იყოფა ქვეანგარიშებად:

54 — 1 „არაცენტრალიზებული სახსრების სპეციალური ანგარიში, განკუთვნილი კაპიტალური დაბანდებათა დაფინანსებისათვის დამტკიცებული გეგმის ზევით.

54 — 2 „სპეციალური ანგარიში თავისუფალი არაცენტრალიზებული სახსრების შესანახად, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური დაბანდებათა დაფინანსებისათვის“.

ნაჩვენებ სუბანგარიშთა ანალიზური აღრიცხვა უნდა განხორციელდეს სახსრების წყაროთა (წარმოების განვითარების ფონდის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებების და საბინაო მშენებლობის ფონდისა და ა. შ.) კრილში.

54 ანგარიში დებეტდება (1 და 2 სუბანგარიშში) 51 ანგარიშის „ანგარიშსწორების ანგარიშის“ კრედიტთან კორესპონდენციით (ან სხვა ანალოგიურ ანგარიშებთან) საიდანაც ბანკში ნაჩვენებ სპეციალურ ანგარიშზე გადარიცხული იყო შესაბამისი თანხები.

54 — 1 ლიბრის ზევით სუბანგარიშზე აღრიცხული და დამტკიცებული კაპიტალური დაბანდების დასაფინანსებლად გამოსაყენებელი სახსრები სპეციალური ანგარიშიდან ათვისებული იქნება ბანკის მიერ დადგენილი წესით. სახსრების ათვისება აისახება 54 — 1 სუბანგარიშის კრედიტში, იმ შემთხვევაში, როდესაც განსახორციელებელი კაპიტალური დაბანდებანი აღრიცხება საწარმოს (ორგანიზაციის) ძირითადი საქმიანობის ბალანსზე, ე. ი. ბალანსის აქტივისა და პასივის IV. განყოფილებაზე. 54 ანგარიში გამოყენებული თანხით კრედიტდება ანგარიშების: 51 „ანგარიშსწორების ანგარიშის“, 50 „სალაროს“, 60 „ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებებთან“ და ა. შ. დებეტთან კორესპონდენციით, ბანკის მიერ მიღებული დოკუმენტებისა და გამოყენებული სახსრების მიმართულების მიხედვით. ერთდროულად 93 ანგარიშის „კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების“ კრედიტისა და 87 „ეკონომიკური სტიმულირების ფონდების“, 88 „სპეციალური დანიშნულების ფონდების“, 96 „მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლის“ და სხვ. ანგარიშების დებეტის ჩანაწერით იქმნება კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წყარო ამ მიზნისათვის განკუთვნილი სახსრების ანგარიშზე.

მაშინ, როდესაც განსახორციელებელი კაპიტალური დაბანდება აღრიცხება საწარმოს (ორგანიზაციის) დამოუკიდებელ ბალანსზე, ძირითად საქმიანობის აღრიცხვაში 54 ანგარიშს აკრედიტებენ ათვისებული თანხით „შიდასამუშურნეო ანგარიშსწორების 79 ანგარიშთან კორესპონდენციით. ერთდროულად 79 ანგარიში კრედიტდება 87, 88, 96 ანგა-

რიშებთან კორესპონდენციით, რომლებზედაც აღრიცხულია კაპიტალური დაბანდებისათვის განკუთვნილი დაფინანსების სახსრები.

დასაშვებია სახსრების გადაცემის ასახვა (54 ანგარიშიდან განაღდე-ბა) უშუალოდ 87, 88, 96 და სხვა ანგარიშებით, 79 „მილასამეურნეო ანგარიშსწორებანი“ ანგარიშიდან გვერდის ავლით. ამასთან, აუცილებელ პირობად უნდა ჩაითვალოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების დადასტურება ფასეულობის, ანგარიშსწორების და ა. შ. კაპიტალური დაბანდების ბალანსზე აღრიცხვაზე აღების შესახებ.

54 — 2 სუბანგარიშზე აღიერიცხება არაცენტრალიზებული დაფინანსების წყაროთა (წარმოების განვითარების ფონდის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის და ა. შ.) თავისუფალი სახსრები, ბანკში სპეციალურ ანგარიშზე შესანახად გადაიციხული. ეს სახსრები მიმდინარე წლის დასაფინანსებლად განკუთვნილი სპეციალური ანგარიშიდან გადაიერიცხება ბანკში კაპიტალური დაბანდების დაფინანსების ანგარიშზე. აღრიცხვაში ეს ოპერაციები აისახება 54 — 2 ანგარიშის კრედიტში და არაცენტრალიზებულ წყაროთა შესაბამის — 87, 88, 96 და ა. შ. ანგარიშების დებეტში.

**ანგარიში №1 „ანგარიშები ბანკში კაპიტალური დაბანდების სახსრებისათვის“**

**ეკორესპონდენტება ანგარიშებს:**

**დ ე ბ ე ტ ი თ**

**კ რ ე დ ი ტ ი თ**

- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 53 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 54 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

- 50 სალოარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჭარებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსებით
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეომათაშორისო კოოპერაციით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 79 მილასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

55 ანგარიშზე აღსახება ბანკში განსაკუთრებულ ანგარიშებზე, აკრედიტივებსა და ლიმიტირებულ საჩეკო წიგნაკებზე მყოფი საწარმოს (ორგანიზაციის) ფულადი სახსრების სახეზე არსებობა და მოძრაობა. აღნიშნულ ანგარიშზე აღირიცხება. აგრეთვე, მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლების სახსრების მოძრაობა იმ თანხით, რომელიც განკუთვნილია განცალკევებულად შენახვისათვის, მაგალითად. ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები — საბავშვო ბაღების, კაღრების მომზადების და ა. შ. დაფინანსებისათვის.

საღრიცხვო რეგისტრებში 55 ანგარიში იყოფა შემდეგ სუბანგარიშებად:

55 — 1 „განსაკუთრებული ანგარიში კაპიტალური რემონტისათვის“;

55 — 2 „აკრედიტივები და განსაკუთრებული ანგარიშები ტვირთბრუნვისათვის“;

55 — 3 „შემოსავლის ანგარიში ბანკში“;

55 — 4 „ფასების სხვაობის ანგარიში ბანკში“;

55 — 5 „სხვა ანგარიშები ბანკში“.

55 — 1 სუბანგარიშზე აღირიცხება ამორტიზაციის ფონდის სახსრები; განკუთვნილი ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტისათვის და სხვა სახსრები ფინანსური გეგმით იმავე მიზნისათვის გათვალისწინებული, რაც საწარმოს (ორგანიზაციის) ანგარიშსწორების ან მის ანალოგიური ანგარიშიდან ბანკში განსაკუთრებულ ანგარიშზე კაპიტალური რემონტისათვისაა გადარიცხული.

კაპიტალური რემონტისათვის განსაკუთრებული ანგარიშის გახსნის წესი, მასზე სახსრების გადარიცხვა და სახსრების ხარჯვა წარმოებს სსრ კავშირის სახბანკის ინსტრუქციის შესაბამისად.

მოქმედ დებულებათა შესაბამისად საწარმოების (ორგანიზაციების) განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსების მანეჯირების უკეთესი შესაძლებლობის შექმნის მიზნით, სსრ კავშირის სახბანკს ნება დართული აქვს სამინისტროებისა და უწყებების შუამდგომლობით დახურონ საწარმოების (ორგანიზაციების); განსაკუთრებული ანგარიშები კაპიტალური რემონტისათვის იმ ვარაუდით, რომ ამ სახსრების ანგარიშიდან ხარჯვან წარმოებდეს ზემდგომ ორგანიზაციების კონტროლის ქვეშ.

55 — 2 სუბანგარიშზე აღირიცხება აკრედიტივებზე, ტვირთბრუნვის განსაკუთრებულ ანგარიშებსა და საჩეკო წიგნაკებზე დარიცხული სახსრების მოძრაობა.

ბანკი, მიმწოდებლებთან ანგარიშსწორებისათვის აკრედიტივებს წარადგენს საწარმოს (ორგანიზაციის) დავალებით ანგარიშსწორების ან-



გარიშზე ან სხვა ანალოგიურ ანგარიშზე), მისი სახსრების ანგარიშზე, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში — ბანკის სესხის ანგარიშზე; ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი, აგრეთვე, ბანკის მიერ ტვირთბრუნვისათვის განსაკუთრებული ანგარიშების გახსნისას. ბანკი, ასევე საჩეკო წიგნაკებს სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებთან ანგარიშსწორებისათვის გასცემს ზემონაჩვენები სახსრების ანგარიშზე.

ამ ანგარიშებზე თანხების ჩარიცხვა აისახება 55—2 ანგარიშის დებეტში და 51, 90 და სხვა მსგავსი ანგარიშების კრედიტში.

აკრედიტით ანგარიშსწორების წესები ტვირთბრუნვისათვის განსაკუთრებული ანგარიშებით და ჩეკებით დადგენილია სსრ კავშირის საბანკოს ინსტრუქციით — სახალხო მეურნეობაში უნაღდო ანგარიშსწორების შესახებ.

აღრიცხვაზე აღებული აკრედიტებებისა და განსაკუთრებული ანგარიშების თანხა ჩამოიწერება მათი გამოყენების მიხედვით (ბანკის ამონაწერების თანახმად). როგორც წესი, 60 „მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან ანგარიშსწორების“ ანგარიშის დებეტში. გამოუყენებელ თანხებს ბანკი აღადგენს იმ ანგარიშზე, რომლიდანაც მოხდა მათი გადარიცხვა აკრედიტვისა და განსაკუთრებულ ანგარიშზე.

ბანკში მიღებული ლიმიტირებული საჩეკო წიგნაკების თანხა ჩამოიწერება საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ გაცემული ჩეკების განაღდების მიხედვით, ე. ი. სატრანსპორტო ან სხვა ორგანიზაციის მიერ ბანკში წარდგენილი ჩეკების თანხის განაღდების მიხედვით (თანახმად ბანკის ამონაწერის). გაცემული, მაგრამ ბანკის მიერ გაუნაღდებელი ჩეკების თანხა (გადასახდელად წარუდგენელი) რჩება 55—2 სუბანგარიშზე: 55—2 სუბანგარიშის საღდო უნდა შეესაბამებოდეს ბანკის ამონაწერს.

შესაბამისი საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ ბანკში წარდგენილი ლიმიტირებული ჩეკების მიხედვით განაღდებული თანხებით კრედიტდება 55—2 სუბანგარიში 76 „ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით. ბანკში დაბრუნებული (გამოუყენებლად დარჩენილი) ჩეკების თანხით 55—2 სუბანგარიშის კრედიტის ჩანაწერი ეკორესპონდენტება 51 „ანგარიშსწორების ანგარიშის“ დებეტს ან სხვა ანალოგიური ანგარიშის დებეტს.

მეურნეობის მუშაკებზე ანგარიშქვეშ გაცემული საჩეკო წიგნაკების თანხის მოძრაობა საწარმოებთან (ორგანიზაციებთან)-კრედიტორებთან ანგარიშსწორებისათვის აღირიცხება განცალკევებულად 76 „ანგარიშსწორება სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“ (ანგარიშვალდებული პირები გაცემული საჩეკო წიგნაკებით) და 71 „ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან“ ანგარიშებზე (ანგარიშვალდე-

ხული პირები მათზე გაცემული საჩეკო წიგნაკებით). აღნიშნული წიგნაკების ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემა აისახება 76 ანგარიშის კრედიტში და 71 ანგარიშის დებეტში. ამ პირთა მიერ ანგარიშის წარმოდგენისას გამოყენებული ჩეკების თანხით კრედიტდება 71 ანგარიში 76 ანგარიშთან კორესპონდენციით. ამრიგად, 71 და 76 ანგარიშების საღლო უნდა იყოს ტოლი სიდიდის და ედრებოდეს ანგარიშვალდებულ პირების ჩეკების ნაშთს, ხოლო სხვაობა დასახელებულ საღლოსა და 55 — 2 ანგარიშის საღლოს შორის, გვიჩვენებს გამოყენებულ, მაგრამ ბანკის მიერ გაუნაღდებელი ჩეკების თანხას.

55 — 3 სუბანგარიშით სარგებლობებს ის სატრანსპორტო საწარმონი (ორგანიზაციები), რომლებსაც ბანკის დაწესებულებებში გახსნილი აქვთ ანგარიშები ყველა ინკასირებულ გადასახდელთა ჩარიცხვისათვის, ტვირთის გადაზიდვის და სხვა სამუშაოებისა და მომსახურებისათვის. ასეთი ოპერაციათა ბუღალტრული აღრიცხვის წესი დგინდება შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციებში.

55 — 4 სუბანგარიშით სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამამზადებელი საწარმონი (ორგანიზაციები), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვისა და ერთიანი საანგარიშსწორებო ფასებს შორის წარმოქმნილ იმ სხვაობის რეგულირებისათვის. რაც პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვისას და კალკულირებისას არის მიღებული.

სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებებთან ანგარიშსწორებათა რეგულირებისას ფასებს შორის ასანაზღაურებელი სხვაობის თანხა გადაირიცხება საწარმოს (ორგანიზაციის) სპეცსასესხო ანგარიშზე, ხოლო ფასების ამოსაღები სხვაობის თანხა მისგან ჩამოაწერება.

თუ შესყიდვის ფასები ერთიან ანგარიშსწორების ფასებზე მეტია, მაშინ დამამზადებელი ორგანიზაციებს ფასებში ექნებათ უარყოფითი სხვაობა. რომლის კომპენსაცია უნდა მოხდეს ბიუჯეტიდან, ხოლო როდესაც შესყიდვის ფასები ერთიან საანგარიშსწორებო ფასებზე ნაკლებია, მაშინ ფასებში წარმოიქმნება დადებითი სხვაობა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანას ექვემდებარება.

ფასებში სხვაობის თანხა განისაზღვრება, როგორც შესყიდვის და ერთიან საანგარიშსწორებო ფასებს შორის ნაწარმოები სხვაობა დამამზადებელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჩასათვლელ წონაზე.

55 — 5 სუბანგარიშზე „სხვა ანგარიშები ბანკებში“ აღირიცხება ბანკში განცალკევებულად შენახული მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლის სახსრების მოძრაობა. აქ, კერძოდ, ასახვას პოულობს ბანკის მიერ დაჯავშნული იმ ობიექტების ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა სახარკოაღრიცხვო ღირებულების 5 %, რომელიც მიღებულია ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოთა გარეშე; ბანკის მიერ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაუმთავრებელი წარ-

მოების დასაკრედიტებლად დროებით გამოყენებული სახსრები; ბანკის დაწესებულებებში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ცალკეულ პირად ანგარიშებზე დაჯავშნული სახსრები, რაც განკუთვნილია იმპორტული მანქანებისა და მოწყობილობის გასანაღდებლად გაცემული ბანკის სესხის დასაფარავად, იმპორტული მანქანების და მოწყობილობის დასამონტაჟებლად გადაცემის დამტკიცებული ვადების დარღვევასთან დაკავშირებით; კაპიტალური რემონტის დაფინანსებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრები, მოიჯარე ორგანიზაციებთან შესრულებული სამუშაოების შუალედური გადახდის გარეშე ანგარიშსწორებაზე გადასვლისას.

მოიჯარეთა 5 პროცენტისანი დავალიანების აღრიცხვა იმ ობიექტებზე შესრულებული სამუშაოებისათვის, რომლებიც მიღებულია განაშენიანებული ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოთა გარეშე, განმარტებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის მითითებებში — საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის მიხედვით განაშენიანებული ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოთა შესრულების ვადების გადატანის შემთხვევაში აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ასახვის წესის შესახებ.

ფულადი სახსრების აღრიცხვის წესი, გამონთავისუფლებული მოიჯარე და საპროექტო ორგანიზაციებთან შესრულებულ სამუშაოსათვის ანგარიშსწორების შუალედური გადახდის გარეშე, განხორციელებასთან დაკავშირებით, განმარტებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის მშენბანკის და სსრ კავშირის სახბანკის მითითებებში, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის მიერ შემკვეთისაგან გამოთავისუფლებული სახსრების გამოყენების წესის შესახებ შუალედური გადახდების გარეშე ანგარიშსწორებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, როგორც რესურსები მოიჯარე და საპროექტო-საძიებო ორგანიზაციებზე კრედიტის გასაცემად, სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაუმთავრებელ წარმოების დანახარჯების დასაფარავად.

კაპიტალური დაბანდების დაფინანსების სახსრების შესახებ, განკუთვნილი ბანკის იმ სესხის დასაფარავად, რაც იმპორტული მანქანებისა და მოწყობილობის გასანაღდებლად და დასამონტაჟებლადაა გაცემული, ჩაბარების დამტკიცებული ვადების დარღვევასთან დაკავშირებით ბანკის დაწესებულებებში ცალკეული პირად ანგარიშებზეა დაჯავშნული მენაშენე საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ. 55—5 სუბანგარიშზე ჩანაწერთა განხორციელების საფუძველს სახსრების დაჯავშნაზე წარმოადგენს ბანკის დაწესებულებათა ამონაწერები.

მენაშენე საწარმოები და ორგანიზაციები აღნიშნულ სახსრების აღრიცხვის ორგანიზაციისას ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის ცსს მითითებებით — მენაშენე საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალური დაბანდების დაფინანსების იმ სახსრების აღრიცხვაზე და ანგარიშგებაში ასახვის წესის შესახებ, რაც ბანკის დაწესებულებათა მიერ დაჯავშნულია იმპორტული მანქანებისა და მოწყობილობის განაღდებისათვის მიღებულ სესხის დასაფარავად, მათი დასამონტაჟებლად ჩაბარების ვადების დარღვევის გამო.

55 — 5 სუბანგარიშზე აღსახება, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება და მიზნობრივი დანიშნულების შემოსავლის სახსრები. მაგალითად, სკოლამდელი დაწესებულებების (საბავშვო ბაღის, ბაგის) შენახვისათვის ბიუჯეტიდან, მშობლებიდან, დანარჩენ წყაროებიდან მიღებული სახსრები (სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრებიდან, საწარმოს (ორგანიზაციის) ფონდიდან, ფართო მოსმარების ფონდიდან და სხვა სპეციალური ფონდებიდან, მიზნობრივი ფინანსირებიდან მიღებული სახსრები, რაც მათი დებულების შესაბამისად შეიძლება დახარჯულ იქნეს ნაჩვენებ დაწესებულებათა შესანახად).

საწარმოო ერთეულები, რომლებიც გაერთიანების შემადგენლობაში შედიან, მაგრამ გამოყოფილი არიან ცალკე ბალანსზე და მიმდინარე ხარჯების (ხელფასი, წვრილი სამეურნეო ხარჯები, მივლინების თანხები და ა. შ.) განხორციელებისათვის გახსნილი აქვთ ადგილობრივი ბანკის დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშები, მოცემულ სუბანგარიშზე ასახვენ ნაჩვენებ სახსრების მოძრაობას.

ანგარიშში № 5 „დანარჩენი ანგარიშები ბანკში“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

ღ ბ ე ტ ი თ

კ რ დ ი ტ ი თ

- 15 მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსახარჯელი და გასასუქებელი პირტუტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცივადი საგნები
- 15 მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა
- 16 საკრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 28 წესი წარმოებაში
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები

- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჭარებთან
- 61 ანგარიშსწორებანი აკანსით
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემყიდველებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა შორისო კოლქარაიით
- 63 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასამუშაო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამუშაო ანგარიშსწორებანი
- 85 ამორტიზაციის ფონდი
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები
- 93 კაპიტალური დაბანდებას დაფინანსება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

**ანგარიში № „ღანარჩანი ფულადი სახსრები“**

- 56 ანგარიში იყოფა სუბანგარიშებად:
- 56 — 1 „ფულადი სახსრები გზაში“,
- 56 — 2 „ფულადი დოკუმენტები“.

56 — 1 სუბანგარიშზე აისახება ფულადი სახსრები (უპირატესად საკაპრო ამონაგები), შეტანილი სსრ კავშირის სახბანკის, შემნახველი სალაროების ან საფოსტო განყოფილებების სალაროებში საწარმოს (ორგანიზაციის) ანგარიშსწორების ან სპეცსასესხო ანგარიშზე ჩასარიცხად, მაგრამ დანიშნულების მიხედვით ჯერ კიდევ ჩაურციცხველი. ამავე სუბანგარიშზე ზემდგომი ორგანიზაციები აღრიცხავენ თავისი სისტემის საწარმოებისაგან (ორგანიზაციებისაგან) მისაღებად კუთვნილ იმ თანხას, რომელიც გამოგზავნილია, მაგრამ საანგარიშგებო თვეში ჩარიცხული არ არის სათანადო ანგარიშზე; ანალოგიური სახით საწარმონი და ორგანიზაციები ასახავენ ზემდგომი ორგანიზაციებისაგან მისაღებ თანხას, თანახმად შეტყობინებისა ბანკის მიერ გასანაღებლად მიღებულ დოკუმენტების მიხედვით, რომელთა შესაბამისი თანხა ჯერ არ არის ჩარიცხული ანგარიშსწორების ან სპეცსასესხო ანგარიშზე.

აღრიცხვაზე მისაღები თანხის საფუძველს წარმოადგენს: ამონაგების ჩაბარებისას, სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულების, შემნახველი სალაროს, საფოსტო განყოფილების ქვითრები, თანხმლები უწყისების ასლები ბანკის ინკასატორებზე ჩაბარებულ ამონაგების შესახებ და ა. შ.;

ზემდგომ ორგანიზაციებიდან გადმოგზავნილ თანხაზე, — მათგან მიღებული შეტყობინება (ავიზო) თარიღის, დავალების ნომრის, თანხისა და სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულების ან საფოსტო განყოფილების დასახელებით, რომელმაც მიიღო გადარიცხვა;

56 — 2 სუბანგარიშზე აისახება სალაროში არსებული ფულადი დოკუმენტები ნომინალური ღირებულებით (დასასჯენებელი სახლების, სანატორიუმების განაღდებული საგზურები, საფოსტო მარკები და სხვ.).

ანგარიში № „დანარჩენი ფულადი სახსრები“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

ღ ბ ე რ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 61 ანგარიშსწორებანი აჯანსით
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემყიდებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასაქუჩებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასაქუჩურ ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მანონობრივი შემოსავალი

- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 73 ასგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურეებთან სხვა ოპერაციებით
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და შემოსავალი

## VI ბ ა ნ ა ყ ო ფ ი

### ანგარიშსწორებანი

ამ განაყოფ ს ანგარიშები განკუთვნილია სხვადასხვა საწარმოებთან (ორგანიზაციებთან), საფინანსო და პროფკავშირის ორგანოებთან, მუშებსა და მოსამსახურეებთან, დანარჩენ დებიტორებთან და კრედიტორებთან და სსვ. ყველა სახის ანგარიშსწორების აღსარიცხავად.

ანგარიშსწორებათა აღრიცხვის რაციონლური ორგანიზაცია ხელს უწყობს სახელშეკრულებო და საანგარიშსწორებო დისციპლინის განმტკიცებას, პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულებას და ვალდებულ ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით, საწარმოების (ორგანიზაციების) პასუხისმგებლობის ამაღლებას საგადასახდელო დისციპლინის დაცვისათვის, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შემცირებისა და საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარებისათვის.

მოქმედი დებულების შესაბამისად ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან, მყიდველებთან და შემკვეთებთან, როგორც წესი, ხორციელდება ბანკის დაწესებულებათა მეშვეობით. აკრძალულია კონტრაგენტებზე ავანსებისა და ბეს გაცემა, გარდა მოქმედ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებისა.

საანგარიშსწორებო დოკუმენტების გაფორმება უნაღდო ანგარიშსწორების მიხედვით წარმოებს სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის მიერ გამოცემული მოქმედი წესების (ინსტრუქციების) შესაბამისად.

ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაცია წარმოებს ბუღალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ დებულებისა და ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, ფულადი სახსრებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ძირითადი დებულების შესაბამისად.

უიმედო დებიტორული დავალიანების თანხის ჩამოწერა წარმოებს ბუღალტრულ ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ დებულებით გათვალისწინებული წესით. კრედიტორული (გარდა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის ანგარიშსწორებათა კრედიტორული დავალიანებისა) და დეპონირებული დავალიანების

თანა, რომელთა ძიების ხანდაზმულობის ვადა გავიდა, ექვემდებარება საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში შეტანას, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა, მას შემდეგ, რაც ძიების ხანდაზმულობის ვადა გავიდა. ნაწიენები თანხა ძიების ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიხედვით გადაირიცხება 68 „ანგარიშსწორება ბიუჯეტთან“ ანგარიშის კრედიტში. ფაქტობრივად საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში შეტანილი თანხა გატარდება 68 „ანგარიშსწორება ბიუჯეტთან“ ანგარიშის დებიტში. ბიუჯეტში შენატანების ვადაგადაცილების შემთხვევაში გადახდება საურავი — 0,05 % ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

### ანგარიში 60 „ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებებთან“

60 ანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებებთან:

მიღებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისათვის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურებისათვის, ელექტროენერჯის, გაზის, ორთქლის, წყლის და ა. შ. მიწოდების ჩათვლით, აგრეთვე მატერიალური ფასეულობის გადაზიდვის ან გადამუშავებისათვის, რომელთა მიხედვით საანგარიშსწორებო დოკუმენტები აქცეპტქმნილია და განაღდებას ექვემდებარება ბანკის მეშვეობით;

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისათვის, სამუშაოების და მომსახურებისათვის, რომლებზედაც საანგარიშსწორებო დოკუმენტების წესით წარმოებს;

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისათვის, სამუშაოებისა და მომსახურებისათვის, რომლებზედაც საანგარიშსწორებო დოკუმენტები მიმწოდებლის ან მოიჯარებებისაგან არაა მიღებული (ეგრეთ წოდებულ დაუფაქტურებელი მიწოდება);

მიღებისას გამოვლენილი ზედმეტი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისათვის;

მოიჯარე სამშენებლო, სამონტაჟო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ანალოგიური ორგანიზაციები, როდესაც ისინი ითვლებიან გენერალურ მოიჯარებად (სათაო ორგანიზაციებად) ანგარიშსწორებას თავიანთ სუბმოიჯარებებთან, აგრეთვე 60 ანგარიშზე აღრიცხავენ.

საწარმოები (ორგანიზაციები) 60 ანგარიშზე აღრიცხავენ ანგარიშსწორებას სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საწარმოებთან მომსახურებისა და გადაზიდვებისათვის. მათ შორის ნაკლებად დარიცხული და მეტად დარიცხული ტარიფის (ფრანტის), აგრეთვე კავშირგაბმულობის ყველა სახის მომსახურებისათვის.



საწარმოები (ორგანიზაციები) 60 ანგარიშით სარგებლობენ. აგრეთვე, საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებთან დაუსაქონლებელ საწვავი ტალონების და ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების აბონემენტების მიხედვით ანარიშწორების აღრიცხვისათვის.

ნაჩვენები ანგარიშწორებანი აღრიცხება შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციებით დადგენილი წესით.

ყველა ეს ოპერაციები, დაკავშირებული მატერიალურ ფასეულობის შექენის, მიღებული სამუშაოების ან მომსახურების ანგარიშწორებასთან, თავიანთ გამოსახულებას პოვებენ 60 ანგარიშზე, მიუხედავად იმისა, წარდგენილი ანგარიშის განაღდება ერთდროულად თუ წინასწარ ხდება.

60 ანგარიში კრედიტდება, ფაქტობრივად მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, მიღებული სამუშაოების, მოხმარებული მომსახურების ღირებულებით, ამ ფასეულობის ან შესაბამისი დანახარჯების აღრიცხვის ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით. მატერიალური ფასეულობის (საქონლის) გადაზიდვით მომსახურების, აგრეთვე მასალის გარეთ გადამუშავების 60 ანგარიშის კრედიტში ჩანაწერები წარმოებს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, მიმოქცევის ხარჯების და ა. შ. აღრიცხვის ანგარიშებთან კორესპონდენციით. ამასთან, გარეთ მასალის გადამუშავების თანხა შეიტანება იმ სახის მასალის ღირებულებაში, რაც გადამუშავებიდან იყო მიღებული.

მიუხედავად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასებისა, ანალიზურ აღრიცხვაში 60 ანგარიში სინთეზურ აღრიცხვაში კრედიტდება თანახმად მიმწოდებლის საანგარიშწორებო დოკუმენტისა აქცეპტის თანხის ფარგლებში, როდესაც მიმწოდებლის ანგარიში აქცეპტებული და განაღდებული იყო ტვირთის მიღებად, ხოლო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის საწყობში მიღებისას აღმოჩნდა დანაკლისი ბუნებრივი დანაკლისის ნორმის ზევით, ვიდრე დაფაქტურებული რაოდენობა, აგრეთვე თუ მიმწოდებლის ან მოიჯარის ანგარიშის შემოწმებისას (მას შემდეგ, რაც ანგარიში აქცეპტებული იყო) აღმოჩნდა ფასების შეუსაბამობა პრეისკურანტით გათვალისწინებულთან ან ხელშეკრულებით შეპირობებულთან შედარებით, აგრეთვე არითმეტიკული შეცდომები. ანგარიში 60 კრედიტდება შესაბამისი თანხით ანგარიში 63 „ანგარიშწორებანი პრეტენზიებით“ დებეტთან კორესპონდენციით.

ისეთ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობის მიღებისას, რომელზედაც მიმწოდებლის საანგარიშწორებო დოკუმენტი არაა მიღებული, საწარმოს (ორგანიზაციის) ბუღალტერია ვალდებულია შეამოწმოს, ხომ არ ირიცხება მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა როგორც განაღდებული, მაგრამ გზაში მყოფი. ან მიმწოდებლის საწყო-

ბებიდან გამოუზიდავი და, ხომ არ ირიცხება მიღებული ფასეულობის ღირებულება, როგორც დებიტორული დავალიანება.

დაუფაქტურებელი მიწოდებისათვის 60 ანგარიში კრედიტდება მიღებული ფასეულობის ღირებულებით საბითუმო, საცალო ან სახელშეკრულებო ფასების ჭიხედვით. მოიჯარე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები აღრიცხვაში დაუფაქტურებელ მიწოდებას ასახავენ გეგმურ-საანგარიშსწორებო (სააღრიცხვო) ფასებით.

60 ანგარიში დებეტდება განაღდებული ანგარიშების თანხით (ფულადი სახსრების ანგარიშებთან კორესპონდენციით), დადგენილი წესით, წინასწარ ავანსად გაცემულ თანხის ჩათვლისას (61 „ანგარიშსწორებანი ავანსით“ ანგარიშთან კორესპონდენციით). თვის ბოლოს, როდესაც დაფაქტურებული და განაღდებული მატერიალური ფასეულობის ტვირთი არ იყო მიღებული, მაშინ განაღდებული თანხით კრედიტდება 60 ანგარიში, როგორც მასალები გზაში ან მიმწოდებლის საწყობებიდან გამოუზიდავი — მატერიალური ფასეულობის აღრიცხვის ანგარიშებთან კორესპონდენციით. ახალი თვის დასაწყისში, აღრიცხვაზე აღებული თანხა როგორც მასალები გზაში ან მიმწოდებლების საწყობებიდან გამოუზიდავი, სტორნირდება ხოლო გადახდილი თანხა კვლავ დარჩება, როგორც დებიტორული დავალიანება.

მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან აგარიშსწორების ანალიზური აღრიცხვა. გარდა გეგმური გადახდის წესით ანგარიშსწორებისა, წარმოებს თითოეული ცალკე წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, ხოლო ანგარიშსწორებანი გეგმური გადახდის წესით — ყოველ მიმწოდებლისა და მოიჯარის მიხედვით.

ამასთან, 60 ანგარიშით ანალიზური აღრიცხვის აგებამ უნდა უზრუნველყოს საჭირო მონაცემთა მიღების შესაძლებლობა — მიმწოდებელთა აქცეპტებული და სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტების მონაცემთა მიხედვით, რომელთა განაღდების ვადა არ დამდგარა; მიმწოდებელთა ვადაზე გაუნაღდებელი საანგარიშსწორებო დოკუმენტებით, მიმწოდებელთან დაუფაქტურებელი მიწოდების მიხედვით.

შემკვეთთა მიერ 60 ანგარიშზე აღიერიცხება მოიჯარე ორგანიზაციების კუთვნილი თანხა, შესრულებული სამუშაოსათვის, მათ მიერ წარმოდგენილი და ბანკის მიერ გასანაღდებლად მიღებული ანგარიშების მიხედვით, აგრეთვე ანგარიშსწორებისას ყველა ჩასათვლელი თანხა შუალედური გადასახდელებით. ასეთი ოპერაციების სალდო კაპიტალური დაბანდების ბალანსით გვიჩვენებს შემკვეთის დავალიანებას მოიჯარე ორგანიზაციებისადმი შესრულებულ სამუშაოებისათვის, ყველა აღრეგადახდილი და ჩათვლილი თანხის გათვალისწინებით.

საწარმოო გაერთიანებებში მიმწოდებლებთან ანგარისწორებათა აღრიცხვის ორგანიზაცია ეწყობა მომარაგების სამსახურისა და ამ ან-



- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსით
- 62 ანგარიშსწორებანი მიყიდვებთან და შემკვეთებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 78 შიდასაუწყებლო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 83 მომავალი პერიოდის შემოსავალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობათა გაფუჭებიდან
- 85 საწესდებო ფონდი
- 85 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახადების რეზერვი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

**61 ანგარიში „ანგარიშსწორებანი ავანსით“**

61 ანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი დადგენილი წესით გაცემული ან მიღებული ავანსით მატერიალური ფასეულობის მიწოდების ან შესრულებულ სამუშაოსათვის, აგრეთვე, ანგარიშსწორებანი შემკვეთთათვის წარმოებული ან შემკვეთებისაგან მიღებული პროდუქციისა და სამუშაოთა ნაწილობრივ მზადყოფნის მიხედვით განაღდებისათვის. ავანსის გაცემა დაიშვება მოქმედი დებულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

როდესაც, მენაშენე საწარმოები (ორგანიზაციები) სამუშაოებს საიჯარო წესით ახორციელებენ და მოიჯარებთან ანგარიშსწორებას ახდენენ არა მთლიანად ჩატარებული ობიექტის ან სამონტაჟო კომპლექსისა და სხვა სპეციალური სამუშაოებისათვის, არამედ სამუშაოთა ცალკეული ეტაპებისათვის, მაშინ 61 ანგარიშზე აისახება ანგარიშსწორებანი იმ ავანსის და სახსრების თანხით, რაც ავანსის სახით გაცემულია დროებითი სარგებლობისათვის.

მოიჯარე ორგანიზაციები 61 ანგარიშზე ასახავენ, აგრეთვე მიღებული ავანსის თანხას, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მშენებლობისათვის შემკვეთთა მიერ განაღდებული კონსტრუქციებისა და დეტალების ღირებულებას.

საპროექტო-საძიებო ორგანიზაციები 61 ანგარიშზე აღრიცხავენ ავანსით მიღებულ იმ თანხას, რაც კოლმეურნეობებისათვის, კოოპე-

რაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის საპროექტო სამუშაოთა შესრულებისთვისაა მიღებული.

სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები 61 ანგარიშზე აღრიცხავენ ყველა თავიანთ ანგარიშსწორებას შემკვეთებთან, როგორც სამუშაოთა ნაწილობრივი მზადყოფნის მიხედვით, ისე საბოლოოდ შესრულებული (ჩაბარებული) სამუშაოთა მიხედვით.

სააღრიცხვო რეგისტრებში 61 ანგარიში იყოფა სუბანგარიშებად: 61—1 „ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებებთან გაცემული ავანსით და შეკვეთების ნაწილობრივი განაღდებათ“,

61—2 „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან მიღებული ავანსით და შეკვეთების ნაწილობრივი განაღდებათ“.

61—1 სუბანგარიშზე აღრიცხება გაცემული ავანსის თანხა, ნაწილობრივ მზადყოფნის მიხედვით წარმოდგენილ სამუშაოთა ანგარიშებით განაღდებული თანხა (შუალედური ანგარიშები). კრედიტში აისახება ანგარიშსწორებაში ჩათვლისას დაფარული თანხა, მიწოდებული მასალების, შესრულებული (მიღებული) სამუშაოების ღირებულება: მიმწოდებლების და მოიჯარეების მიერ უკან დაბრუნებული როგორც გამოუყენებელი თანხები და ა. შ.

61—2 სუბანგარიშზე აღრიცხება მიღებული ავანსის თანხა, მყიდველთა და შემკვეთთა მიერ, დამკვეთის ანგარიშთა მიხედვით წინასწარ გადახდილი თანხა, პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოებისათვის მათი ნაწილობრივ მზადყოფნის მიხედვით, 61—2 სუბანგარიშის დებეტში აისახება სრული მზადყოფნის მიხედვით დაფაქტურებული ნაწარმის, მასალების და შესრულებული სამუშაოებისათვის ანგარიშსწორებაში ჩათვლილი თანხა, გამოუყენებელი და მყიდველებისათვის (შემკვეთებისათვის) დაბრუნებული თანხა და ა. შ.

გაცემული და მიღებული ავანსის თანხა, აგრეთვე პროდუქციისა და სამუშაოთა ნაწილობრივ მზადყოფნის მიხედვით ანაზღაურებული თანხა 61 ანგარიშზე აისახება ფულადი სახსრების ანგარიშებთან კორესპონდენციით. მხოლოდ იქ, სადაც ავანსის გაცემა ან სამუშაოთა ნაწილობრივ მზადყოფნის მიხედვით განაღდება წარმოებს კაპიტალურ დაბანდებასთან დაკავშირებული ოპერაციებით, ჩანაწერები გაკეთდება 93 „კაპიტალური დაბანდების დაფინანსების“ ანგარიშთან კორესპონდენციით (შესაბამის სუბანგარიშების ასახვით).

მიღებული ავანსის სახსრები და პროდუქციისა და სამუშაოების ნაწილობრივ მზადყოფნის მიხედვით მიღებული ანაზღაურება, ჩათვლილი მყიდველებისათვის (შემკვეთებისათვის) სრული მზადყოფნის ნაწარმის, მასალების და შესრულებული სამუშაოებისათვის ანგარიშების წარმოდგენისას, აისახება 61—2 სუბანგარიშის დებეტში და 46 „რეალიზაციის“ ან 62 „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან“

ანგარიშის კრედიტში, რეალიზაციის აღრიცხვის წესის მიხედვით. მოიჯარე და სუბმოიჯარე ორგანიზაციები 61—2 სუბანგარეში აღრიცხავენ დროულთა სარგებლობისათვის მიღებულ სახსრებს. მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციები, ჩათვლიან რა შემკვეთებზე გადასახდელად წარდგენილ თავიანთი ანგარიშების განაღდებაში სამშენებლო მოედანზე წეტანილი კონსტრუქციების, დეტალებისა და ა. შ. განაღდებულ, აგრეთვე დროებითი სარგებლობისათვის საბრუნავი საშუალებების სახით მიღებულ თანხებს გაატარებენ 61—2 სუბანგარიშის დებეტში და 62 „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან“ ანგარიშის კრედიტში.

მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციების შემკვეთისაგან მიღებული კომპენსაციებისა და შეღავათების თანხა, რაც დაუმთავრებელ წარმოებაზე რიცხულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს მიეკუთვნება, მათი უკანასკნელზე ჩაბარებამდე აღრიცხავენ 61—2 სუბანგარიშზე.

სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების 61—2 სუბანგარიშის დებეტში ასახავენ ჩაბარებული (დადგენილი წესით ჩასაბარებლად გაფორმებული) სამუშაოსათვის სახარჯთაღრიცხვო (სახელშეკრულებო) ღირებულებით კუთვნილ მთელ თანხას, ბანკის მიერ განაღდებულ ან გასანაღდებლად მიღებული ანგარიშის თანახმად. ამ შემთხვევაში 61—2 სუბანგარიშის საღლო გვიჩვენებს შემკვეთებთან ანგარიშსწორების საერთო მდგომარეობას, და არა მხოლოდ ავანსებსა და შეკვეთების ნაწილობრივი განაღდების თანხებს.

გაცემული ავანსისა და სამუშაოთა ნაწილობრივად მზადყოფნის ანაზღაურების თანხა, რაც მიმწოდებლის მიერ ჩათვლილია დამთავრებულ სამუშაოთა განაღდებისას, 61 ანგარიშის კრედიტში აისახება 60 „ანგარიშსწორება მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით.

ავანსით ანგარიშსწორების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ცალკეული დებიტორების (კრედიტორების) მიხედვით.

ანგარიში 01 „ანგარიშსწორებანი ავანსით“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დებეტით

კრედიტით

- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 46 რეალიზაცია
- 50 საღარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური დაბანდების სახსრებისათვის
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან

- 05 მასალები
- 07 სამშენებლო მასალა და დასადგმელი მოწყობილობა
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 45 გაზაფხილი საქონელი, შესრულებული სამუშაო და მომსახურება
- 50 საღარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში

62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან  
 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან  
 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი  
 91 სპეციალური სასესხი ანგარიში,  
 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება  
 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

56 დანარჩენი ფულადი სახსრები  
 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან  
 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან  
 63 ანგარიშსწორებანი მრეცენსიებთან  
 80 მოკება და ზარალა  
 91 სპეციალური სასესხო ანგარიში  
 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

**ანგარიში № „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან“**

62 ანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან. მხოლოდ იმ საწარმოთა (ორგანიზაციათა) მიერ, რომელთათვისაც საქონლის, სამუშაოს და მომსახურების რეალიზაცია იგეგმება მყიდველთათვის (დამკვეთთათვის) გაგზავნის მიხედვით და რომლებიც ამასთან დაკავშირებით აღრიცხვაში საქონლის, სამუშაოს და მომსახურების რეალიზაციას ასახვენ ბანკში ინკასოზე დოკუმენტების ჩაბარების მიხედვით.

62 ანგარიშზე აღირიცხება, აგრეთვე, ანგარიშსწორებანი მყიდველებთან ან შემკვეთებთან, თუ ასეთი ანგარიშსწორებანი მუდმივი სასიათისაა, და არ მთავრდება მხოლოდ ცალკეული საანგარიშსწორებო დოკუმენტების განაღდებათ. მაგალითად, ანგარიშსწორებანი გეგმური გადახდის წესით. აქ აღირიცხება, აგრეთვე დავალიანება მყიდველებისადმი, გაგზავნილი საქონელზე რიცხული პროდუქციის (ანგარიშის) ნაწილობრივად განაღდებათ, ან ჯერ კიდევ გაუგზავნილი (გაუცემელი) პროდუქციის გასანაღდებად მიღებული გადასახდლებით.

62 ანგარიში იყოფა შემდეგ სუბანგარიშებად:

62 — 1 „ანგარიშსწორებანი ინკასოს წესით“;

62 — 2 „ანგარიშსწორებანი გეგმური გადასახდლებით“;

62—3 „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან პროდუქციაზე, რომელიც არ არის შეტანილი რეალიზაციის მოცულობაში“

62—4 „დანარჩენი ანგარიშსწორებანი“.

62—1 სუბანგარიშზე მოიჯარე სამშენებლო, საპროექტო-საძიებო, გეოლოგიური და სხვა ორგანიზაციები აღრიცხავენ ყველა ანგარიშსწორებას თავიანთ შემკვეთებთან 46 „რეალიზაციის“ ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით. დასახელებული ორგანიზაციები ნაჩვენებ სუბანგარიშზე აღრიცხავენ ანგარიშსწორებას შემკვეთებისათვის წარდგენილი და ბანკის მიერ გასანაღდებად მიღებულ ანგარიშთა მიხედვით მთლიანად დამთავრებულ სამშენებლო ობიექტების ან სამუშაოებისათვის. სუბმოიჯარენი 62—1 სუბანგარიშზე აღრიცხავენ ანგარიშსწორებას გენერალურ მოიჯარებთან.

62—2 სუბანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი მყიდველებთან გვერდითი გადასახდელთა წესით. მოქმედი დებულების შესაბამისად, ანგარიშსწორების ასეთი ფორმა გამოიყენება, მიმწოდებელსა და მყიდველს შორის მუდმივი სამეურნეო კავშირის არსებობისას.

ანგარიშსწორების ამ ფორმის გამოყენებისას მყიდველის მიერ გვერდითი გადასახდები წარმოებს მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში. თითოეული გადასახდელის თანხა დგინდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების მოცულობიდან გამომდინარე. პერიოდულად მხარეები (შეთანხმების მიხედვით) აზუსტებენ თავიანთი ანგარიშსწორების მდგომარეობას. ფაქტობრივად წარმოებული მიწოდების საფუძველზე, ანხორციელებენ გადაანგარიშებას და შეთანხმებით შეპირობებული წესით დაადგენენ შესაბამის გადასახდელს.

62—3 სუბანგარიშზე აღირიცხება: ანგარიშსწორებანი მყიდველებთან გაზავნილი (გაცემული) პროდუქციისათვის, მათ: ანგარიშსწორების ანგარიშზე სახსრების უქონლობის ან სხვა მიზეზების გამო ანგარიშების ნაწილობრივი განაღდების შემთხვევაში; ანგარიშსწორებანი მყიდველებიდან მიღებული გადასახდელების მიხედვით, გამოუგზავნილი (გაუცემელი, გაუტანელი) პროდუქციისათვის, აგრეთვე მიმწოდებელ საწარმოში შესანახად დარჩენილი პროდუქციისათვის (გარდა იმ პროდუქციისა, რომლის მიხედვით რეალიზაციის მოცულობის აღრიცხვის მოქმედ წესიდან დასაშვებია გამონაკლისი). პროდუქციის (ანგარიშის) მთლიანად განაღდების შემდეგ, რომელთა გადასახდელები მიღებულია ნაწილ-ნაწილ, აგრეთვე, წინასწარ განაღდებული პროდუქციის გაგზავნის (გაცემის, გატანის) შემდეგ, 62—3 სუბანგარიშზე, რიცხული დავალიანება შესაბამის მყიდველებისგან ჩამოიწერება „რეალიზაციის“ 46 ანგარიშზე.

62—4 სუბანგარიშზე ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციები აღრიცხავენ შემკვეთებთან ანგარიშსწორებას გაქირავების პირობებით გაცემული მსუბუქი ავტომანქანებით სარგებლობისათვის.

საეჭრო ორგანიზაციები 62 ანგარიშზე აღრიცხავენ ანგარიშსწორებას მყიდველთა მიერ წინასწარ განაღდებული წვრილსაბითუმო გაყიდვის წესით რეალიზებული საქონლისათვის; ბანკის საშუალებით ინკასირებული მინიმალური ღირებულებაზე ნაკლები თანხის საქონლისა და მომსახურებისათვის, აბონემენტებით კვებისათვის მიღებული ავანსით და ა. შ.

62 ანგარიში დებეტდება მყიდველების ან შემკვეთების კუთვნილი თანხით, აგრეთვე მყიდველებისა და შემკვეთებისაგან ზედმეტად მიღებული და მათთვის უკან დაბრუნებული თანხით, ხოლო კრედიტდება შემოსულ გადასახდელთა თანხით, მიღებულ ავანსების ჩათვლით და ა. შ..



მყიდველებთან და შემკვეთებთან ანგარიშსწორების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს თითოეული საწარმოს (ორგანიზაციის) მიხედვით, გარდა 62—1 სუბანგარიშისა, რომლის მიხედვით ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ბანკში წარდგენილი საანგარიშსწორებო დოკუმენტების კრილში.

ანგარიში 62 „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ

- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 41 საქონელი
- 43 წარმოებინაგარეშე ხარჯები
- 45 გაზხავნილი საქონელი. შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რელიზაცია
- 47 საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შეიდასისტემური გაყენება
- 49 შემოსავალი მომსახურების რელიზაციიდან
- 59 სალარო
- 51 ანგარიშსწორებას ანგარიში
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 80 მოვება და ზარალი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფიიან სება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და ვიზნობრივი შემოსავალი

კ რ ე დ ი ტ ი თ

- 07 სამშენებლო მასალები და დასადაგმელი მოწყობილობა
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცეკთადი საგნები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წუნი წარმოებაში
- 41 საქონელი
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 55 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსით
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 80 მოვება და ზარალი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება

ანგარიში 08 „ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით“

63 ანგარიშზე აღრიცხება ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებთან წარდგენილი პრეტენზიებით, აგრეთვე მათზე წარდგენილი და მათ მიერ ცნობილი (ან მისჯილი) ჯარიმებით, საურავეებით და პირგასამტენლო თანხებით.

63 ანგარიშის დებეტში აისახება ანგარიშსწორებანი:

პრეტენზიებით მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან და სატრანსპორტო ორგანიზაციებთან, მათი ანგარიშების (უკანასკნელთა აქცეპტის შემდეგ) შემოწმებისას გამოვლინებული ფასებისა და ტარიფების პრეისკურანტში ან ხელშეკრულების პირობებში გათვალისწინებულთან შეუსაბამისობით, აგრეთვე, არითმეტიკული შეცდომების გამოვლინებისას 60 ანგარიშთან, ან იმ ანგარიშებთან კორესპონდენტით, რომლებზედაც აღი-

რიცხება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა და შესაბამისი დანახარჯები, როცა ფასების გადიდება ან არითმეტიკული შეცდომები მიმწოდებლისა და მოიჯარეების მიერ წარდგენილ ანგარიშებში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ჩანაწერები სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან დანახარჯებისა უკვე იყო დამთავრებული (მიმწოდებლებსა და მოიჯარეების მიერ ფაქტურით გათვალისწინებული ფასებისა და გამოანგარიშებებიდან გამომდინარე). ანალიზურ აღრიცხვაში სასაქონლო მატერიალურ ფასეულობის აღრიცხვის ანგარიშებში შესწორებანი აისახება. როგორც ფაქტობრივი თვითღირებულების გადახრა სააღრიცხვო ფასებით ღირებულებიდან;

პრეტენზიებით მასალების, საქონლის მიმწოდებლებთან, ასევე, მასალის გადამმუშავებელ საწარმოებთან (ორგანიზაციებთან), პროდუქციის ხარისხის სტანდარტებთან, შეკვეთის ტექნიკურ პირობებთან შეუსაბამობის აღმოჩენისათვის 60 ანგარიშთან კორესპონდენციით.

პრეტენზიებით მიმწოდებლებთან სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებთან გზაში ტვირთის ბუნებრივი დანაკარგის ნორმის ზევით დანაკლისისათვის — 60 ანგარიშთან კორესპონდენციით;

პრეტენზიებით წუნისა და მოცდენებისათვის, მიმწოდებლებისა და მოიჯარეთა მიხეზით წარმოშობილი, გადამხდლების მიერ აღიარებული, ან არბიტრაჟის მიერ მისჯილი თანხით — 26, 28 და .ა. შ. ანგარიშებთან კორესპონდენციით;

პრეტენზიებით ბანკის დაწესებულებებთან ანგარიშსწორების, მიმდინარე ან სესხის ანგარიშების მიხედვით შეცდომით ჩამოწერილი (გადარიცხული) თანხით — 51, 90, 91 და სხვა ანგარიშებთან კორესპონდენციით,

ჯარიმების, საურავის, პიოგასამტეხლო მიმწოდებლისაგან, მოიჯარეებისაგან, მყიდველებისაგან, შემკვეთებისაგან, ტრანსპორტისა და სხვა მომსახურების სახელშეკრულებლო ვალდებულებათა დარღვევისათვის, ამოსაღები თანხა იმ ოდენობით, რაც გადამხდლებმა სცნეს, ან არბიტრაჟმა მიუთსაჯა (წარდგენილი პრეტენზიების ის თანხა, რაც გადამხდელთა მიერ არ არის ცნობილი, აღრიცხვაზე არ აიღება) „მოგება და ზარალის“ 80 ანგარიშთან კორესპონდენციით.

63 ანგარიში კრედიტდება გადასახდელთა მიღებული თანხით, ფულადი სახსრების აღრიცხვის ანგარიშებთან კორესპონდენციით. თანხა, რომელიც, როგორც შემდგომში გამოირკვა, გადახდას არ ექვემდებარება, როგორც წესი, მიეკუთვნება იმავე ანგარიშებს, რომლიდანაც აღრიცხვაზე 63 ანგარიშის დებეტში იყო აღებული.

პრეტენზიებით ანგარიშსწორების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს თითოეული დებიტორის მიხედვით..

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

ღებები

- 03 კაპიტალური რემონტი
- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგ-  
მელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი  
პირუტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 მკირეფასიანი და სწრაფცვეთადი  
საგნები
- 25 სერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წენი წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურ-  
ნეობანი
- 33 კაპიტალური დაბანდება
- 35 ძირითადი ჯოგის ფორმირება
- 41 საქონელი
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 45 ვაგზავნილი საქონელი, შესრულე-  
ბული სამუშაოები და მომსახურება
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური და-  
ბანდების სახსრებისათვის
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლბ-  
თან და მოიჯარებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსით
- 62 ანგარიშსწორებანი მუიდევლებთან  
და შემკვეთებთან
- 78 შიდასუწყებო ანგარიშსწორებანი  
მიმდინარე ოპერაციებით
- 80 მოგება და ზარალი
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადა-  
სახდელთა რეზერვი
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში

არეღები

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგ-  
მელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი  
პირუტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 მკირეფასიანი და სწრაფცვეთადი  
საგნები
- 16 სტრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შე-  
ნახვისა და ექსპლუატაციის ხარჯე-  
ბი
- 25 სერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 სერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურ-  
ნეობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 33 კაპიტალური დაბანდება
- 35 ძირითადი ჯოგის ფორმირება
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური  
დაბანდების სახსრებისათვის
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლსებუ და დანაკარგები ფასე-  
ულობის გაფუჭებიდან
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზ-  
ნობრივი შემოსავალი

ანგარიში 64 „ანგარიშსწორებანი სამეურნეობათაშორის კოოპერატიით“

64 ანგარიშით სარგებლობენ საბჭოთა მეურნეობანი და სხვა საწარ-  
მონი და ორგანიზაციები, რომელნიც დადგენილი წესით ქმნიან სამეურ-  
ნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებს სასოფლო-სამეურნეო  
პროდუქციის ერთობლივი-წარმოებისათვის, საჯიშე მეურნეობის წარმო-  
ებისათვის, ტექნიკის გამოყენებისათვის, სამშენებლო და მელიორაცი-  
ული სამუშაოთა ჩატარებისათვის, სატყეო მეურნეობის წარმოებისათ-

ვის ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების თანხებით ნაწილის ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე.

64 ანგარიში განკუთვნილია სამეურნეობათაშორისო საწარმოთა და მის მონაწილე მეურნეობათა შორის ანგარიშსწორების აღრიცხვისათვის. მეურნეობა-მეპაიეთა წილობრივი შენატანების ოპერაციები აღნიშნულ ანგარიშზე არ აისახება.

64 ანგარიშის დებეტში მეურნეობა-მეპაიენი ატარებენ ყველა გადახდილ თანხას სამეურნეობათაშორისო საწარმოთა წინაშე მათი დაუსვლიანების დასაფარავად, ნაყიდი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, შესრულებული სამუშაოსა და გაწეული მომსახურებისათვის. სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) 64 ანგარიშის დებეტში ასახავს მეურნეობა-მეპაიეებზე რეალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, შესრულებულ სამუშაოსა და გაწეული მომსახურების ღირებულებას.

64 ანგარიშის კრედიტში აღირიცხება:

მეურნეობა-მეპაიეთა მიერ სამეურნეობათაშორისო საწარმოებიდან ნაყიდი და მეურნეობის შემოსავალში აღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, პირუტყვის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, შესრულებულ სამუშაოთა და გაწეული მომსახურების ღირებულება; სამეურნეობათაშორისო საწარმოთა იურიდიული და საკონტროლოსარევიზიო ჯგუფის, სატყეო მეურნეობათა და სატყეო უბნების (სატყეო მეურნეობებისა და სატყეო საექსპლუატაციო ხარჯები) შესანახი ანარიცხები და სხვ.;

სამეურნეობათაშორისო საწარმოს მიერ მეურნეობა მეპაიეებისაგან შექენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება.

64 ანგარიშზე ტრანზიტით აისახება წლის განმავლობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების მოგების საავანსო ანარიცხები — მეურნეობა-მეპაიეთათვის, აგრეთვე დამატებით გადარიცხული (გადახდვინებული) მოგების თანხები საბოლოო, წლიური ანგარიშის მიხედვით.

ანალიზური აღრიცხვა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის პირობებში ტარდება:

სამეურნეობათაშორისო საწარმოს შემადგენლობაში შემავალ ყოველ მეურნეობა-მეპაიეს მიხედვით;

მეურნეობა-მეპაიეთა — ყოველ სამეურნეობათაშორისო საწარმოს მიხედვით (თუ მეურნეობა რამდენიმე სამეურნეობათაშორისო საწარმოს მონაწილე ითვლება).

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 20 ძირითადი წარმოება
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები
- 23 დამამარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვის და ექსპლუატაციის ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 33 კაპიტალური დაბანდებანი
- 35 ძირითადი ჯოგის ფორმირება
- 46 რეალიზაცია
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური დაბანდების სახსრებისათვის
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 80 მოგება და ზარალი
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 20 ძირითადი წარმოება
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები
- 23 დამამარე წარმოებანი
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 33 კაპიტალური დაბანდებანი
- 35 ძირითადი ჯოგის ფორმირება
- 46 რეალიზაცია
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 80 მოგება და ზარალი
- 81 მოგების გამოყენება

ანგარიში 08 „ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან“

68 ანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან ბრუნვის გადასახადით; ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სამუალეპების გადასახდლებით; ფიქსირებული (სარენტო) გადასახდელით; მოგების თავისუფალი ნაშით; მოგების ანარიცხებით; მოგებიდან გადასახადით და მუშებისა და მომსახურეთა ხელფასიდან დაკავებული გადასახადებით და სხვა გადასახდლებით (ძიების ვადაგასული კრედიტორული და დეპონირებული დავალიანებით, დამნაშავე პირებისაგან გატაცებული ან დანაკლისი საქონლის საცალო ფასებით ღირებულებასა და ამ საქონლის სააღრიცხვო ფასებით ღირებულებას შორის სხვაობით; ფასთა დარღვევის შედეგად მიღებული თანხებით; წყალთა მეურნეობის სისტემიდან სამრეწველო საწარმოების მიერ გამოყენებული წყლის გადასახდელით და ა. შ.).

ბიუჯეტთან ანგარიშსწორებათა ანალიზური აღრიცხვა წარმოებს თითოეული სახის გადასახდელისათვის ცალ-ცალკე გახსნილ სუბანგარიშებში.

ბიუჯეტში გადასახდელებისა და ანარიცხების გადარიცხვა წარმოებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციების თანახმად.

68 ანგარიში კრედიტდება ბიუჯეტის კუთვნილი თანხით, ხოლო დებეტდება ბიუჯეტში გადარიცხული თანხით. მოგებიდან ანარიცხებისა და გადასახდელთა თანხის 68 ანგარიშის დებეტსა და კრედიტში ჩანაწერები წარმოებს მხოლოდ ბალანსის რეფორმაციისას. წლის განმავლობაში გადასახდელი თანხა ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებებისათვის, ფიქსირებული (სარენტო) გადასახდელების, მოგების თავისუფალი ნაშთის შენატანების, მოგებიდან ანარიცხებისა და მოგებიდან გადასახადის შენატანების თანხა აისახება 81 „მოგების გამოყენების“ ანგარიშის დებეტში და ფულადი სახსრების ანგარიშთა კრედიტში.

წლიური ანგარიშებისა და მოგების განაწილების გაანგარიშების დამტკიცების შემდეგ ნაჩვენები თანხა ბალანსის რეფორმაციის წესით გადარიცხება 81 ანგარიშის კრედიტიდან 68 ანგარიშის დებეტში. ერთდროულად კრედიტდება 68 ანგარიში (შესაბამის სუბანგარიშებით) 80 „მოგება და ზარალის“ ანგარიშთან კორესპონდენციით წლიური გაანგარიშებით კუთვნილი საწარმოო ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების, ფიქსირებული (სარენტო) გადასახდელების, მოგების თავისუფალი ნაშთის შენატანების, მოგებიდან ანარიცხებისა და მოგების გადასახდელებისათვის. ბიუჯეტის კუთვნილი თანხის ოდენობა დადგენილი წესით შეთანხმებული უნდა იქნას საფინანსო ორგანოებთან. ამრიგად, 68 ანგარიშზე მოგებიდან ანარიცხებით და შენატანებით გამოვლინდება ბიუჯეტთან გასული წლის ანგარიშსწორების შედეგები.

გასული წლის მოგებიდან გადასახდელთა მიხედვით ბიუჯეტთან საბოლოო გადაანგარიშებანი აისახება 68 ანგარიშზე. ბიუჯეტში დამატებითი გადასახდელთა გადარიცხვისას დებეტდება 68 ანგარიში 51 ანგარიშის (ან სხვა შესაბამის ანგარიშების) კრედიტთან კორესპონდენციით. ბიუჯეტიდან სახსრების დაბრუნებისას კრედიტდება 68 ანგარიში 51 ანგარიშის (ან სხვა შესაბამის ანგარიშების) დებეტთან კორესპონდენციით, ხოლო განვლილი წლის ზედმეტად გადახდილი თანხით მიმდინარე წლის გადასახდელებში ჩათვლისას კრედიტდება 68 ანგარიში 81 „მოგების გამოყენების“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით.

ანგარიში 08 „ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან“

კორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ	კ რ ე დ ი ტ ი თ	
42 საეკპრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი	14 სასაქონლო-ძატერიალურ ლობათა გადაფასება	ფასეუ-
50 სალარო	16 სატრანსპორტო-დამზადების ბი	ხარჯე-
51 ანგარიშსწორების ანგარიში	20 ძირითადი წარმოება	
54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური დაბანდების სახსრებისათვის		

- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში  
 81 მოვების გამოყენება  
 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი  
 91 სპეციალური სასესხო ანგარიში  
 92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები  
 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება  
 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები  
 25 საერთო-საწარმოო ხარჯები  
 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები  
 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი  
 31 მომავალი პერიოდის ხარჯები  
 33 კაპიტალური დაბანდებიანი  
 41 საქონელი  
 42 სავაჭრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი  
 44 მიმოქცევის ხარჯები  
 46 რეალიზაცია  
 50 სალარო  
 51 ანგარიშსწორების ანგარიში  
 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან  
 61 ანგარიშსწორებანი ავანსით  
 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან  
 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით  
 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან  
 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი  
 80 მოგება და ზარალი  
 81 მოვების გამოყენება  
 83 მომავალი პერიოდის შემოსავალი  
 91 სპეციალური სასესხო ანგარიში  
 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება  
 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

**ანგარიში 08 „ანგარიშსწორებანი დაზღვევით“**

69 ანგარიშზე საწარმოები (ორგანიზაციები) პროფკავშირის ორგანოებთან ანგარიშსწორებას ასახავენ სოციალური დაზღვევის ანარიცხებით და სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებთან საჯალდებულო და ნებაცოფლობითი დაზღვევით.

69 ანგარიში იყოფა სუბანგარიშებად:

69—1 „ანგარიშსწორებანი სოციალური დაზღვევით“,

69—2 „ანგარიშსწორებანი ქონების დაზღვევით“,

69—3 „ანგარიშსწორებანი ინდივიდუალური დაზღვევით“.

69—1 სუბანგარიშზე აისახება ანგარიშსწორებანი სოციალური დაზღვევის ორგანოებთან სოციალური დაზღვევის ანარიცხებით. სოციალური დაზღვევის ანარიცხები წარმოებს დადგენილი პროცენტობით მუშებისა და მოსამსახურეების დარიცხული ხელფასიდან და მასთან გათანაბრებული სხვა გადასახდლებიდან (თანახმად მოქმედი კანონმდებ-

ლობისა) სადაზღვევო შენატანების გადახდევინებისა და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრების ხარჯვის შესახებ საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დაპტიკებული ინსტრუქციის შესაბამისად.

სოციალური დაზღვევის ანარიცხების კუთვნილი თანხით კრედიტდება 69—1 სუბანგარიში იმავე ანგარიშთა ფადებეტებით, რომლებზედაც აისახება ხელფასის დარიცხვა. გარდა ამისა, 69—1 სუბანგარიშის კრედიტში აისახება შემდეგი თანხები:

საურავი ანარიცხების დაგვიანებით გადარიცხვისათვის — ფინანსური შედეგების ან დამნაშავე პირთა ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით;

პროფკავშირის წევრებიდან მიღებული შეღავათიანი საგზურების ღირებულების ნაწილობრივად გადახდილი თანხა 50 „სალაროს“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით;

პროფკავშირული ორგანოებიდან მიღებულ, შ.ანხა. დანახარჯების ანარიცხების თანხაზე გადამეტების შემთხვევაში 51 ანგარიშის „ანგარიშსწორების“ დებეტთან კორესპონდენციით.

69—1 სუბანგარიშის დებეტში აღირიცხება, ანგარიშსწორებიდან ახ მისი ანალოგიური ანგარიშებიდან გადარიცხული თანხა წარმოებული ანარიცხების გადასახდელად, აგრეთვე, ის თანხა, რომელიც, მოქმედი დებულების თანახმად, სოციალური დაზღვევის ანარიცხების ხარჯზე გაიცემა — მუშებსა და მოსამსახურეებზე დროებითი შრომისუუნარობის, ორსულობისა და მშობიარობისათვის კუთვნილი დახმარება, მოქმედავე პენსიონერების პენსია (70 „ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით“ ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით“).

69—2 სუბანგარიშზე საბჭოთა მეურნეობანი და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ასახავენ ანგარიშსწორებას სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებთან სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევით. დადგენილი წესით გამოანგარიშებული სადაზღვევო გადასახდელთა თანხა აისახება 69—2 სუბანგარიშის კრედიტში, საწარმოო დანახარჯთა აღირიცხვის ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით.

69—2 სუბანგარიშის დებეტში აისახება სადაზღვევო გადასახდელთა გადარიცხული თანხა სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის ანგარიშებზე, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევასთან შეთანხმებული საბჭოთა მეურნეობის და სხვა სახელმწიფო სოფლის მეურნეობის საწარმოთა კუთვნილი სადაზღვევო ანაზღაურების თანხა. სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის ანგარიშსწორებას აღირიცხვისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავში-



რის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მითითებებით, საბჭოთა მეურნეობის და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დანაკარგების ანაზღაურების ოპერაციათა დაგეგმვის, დაფინანსებისა და აღრიცხვის წესის შესახებ სტიქიური უბედურებისა და სხვა არახელსაყრელ პირობების შემთხვევაში.

69—3 სუბანგარიშზე აისახება ანგარიშსწორებანი სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებთან ნებაყოფლობითი დაზღვევით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმონი (ორგანიზაციები) ასრულებენ მუშებისა და მოსამსახურეთა წერილობით დავალებებს, მათი კუთვნილი ხელფასიდან სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებებში სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის ანგარიშზე სადაზღვევო შენატანების (გადასახდელთა) გადარიცხვის შესახებ ნებაყოფლობითი (პირადი და ქონებრივი) დაზღვევის ხელშეკრულებათა მიხედვით. საწარმოთა (ორგანიზაციების) მიერ ამ დავალებების შესრულების წესი დადგენილია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციით, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტთან, პროფკავშირების საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან და სსრ კავშირის სახბანკთან შეთანხმებით.

69—3 სუბანგარიშის კრედიტში აღირიცხება მუშებისა და მოსამსახურეთა განცხადებებით ხელფასიდან დაკავებული თანხა, მათგან კუთვნილი სადაზღვევო შენატანების სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებისათვის გადასარიცხავად (70 ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით), აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ საწარმოს (ორგანიზაციის) ანგარიშზე გადარიცხული სადაზღვევო თანხა მუშა-მოსამსახურეებზე გასაცემად (51 ანგარიშთან კორესპონდენციით).

69—3 სუბანგარიშის დებეტში აისახება ანგარიშსწორების ანგარიშიდან (ან მის ანალოგიურ ანგარიშებიდან) გადარიცხული მუშებისა და მოსამსახურეთა ხელფასიდან დაკავებული სადაზღვევო შენატანთა (გადასახდელის) თანხა ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებების მიხედვით; აგრეთვე, დაზღვევის ხელშეკრულებათა მიხედვით მუშებსა და მოსამსახურეებზე დაზღვევის თანხის გაცემა სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოთა დავალებით (50 ანგარიშთან კორესპონდენციით).

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

ღებუტით

კრედიტით

- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური დაბანდების სახსრებისათვის
- 55 დანაორენი ანგარიშები ბანკში
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 80 მოგება და ზარალი
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

- 03 კაპიტალური რემონტი
- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამუშაო მასალები და დასაჯგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსახრდელი და გასასუქებელი პირუტყვი
- 10 თესლი და საყვები
- 12 მცირეხუასიანი და სწრაფვეთადი საგნები
- 15 მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა
- 16 სტრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანების და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წუნი წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებანი და შეურენებანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 33 კაპიტალური დაბანდება
- 35 ძირითადი ჯოგის ფორმირება
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 70 შიღსაპეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 83 მომავალი პერიოდის შემოსავლები
- 85 საწინადადო ფონდი
- 89 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასადღელთა რეზერვი
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

ანგარიში 70 „ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით“

70 ანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი მუშებსა და მოსამსახურეებთან საწარმოს (ორგანიზაციის) როგორც სიაში, ისე სიისგარეშე მყოფთა შრომის ანაზღაურების (ყველა სახის ძირითადი და დამატებითი ხელფასის, პრემიების, შრომის დროებითი უუნარობის დახმარების,

მომუშავე პენსიონერების პენსიების და სხვათა გაცემის) სახით. 70 ან-გარიშზე აისახება აგრეთვე, ანგარიშსწორებანი გეგმისგარეშე ავანსით, რომელიც დადგენილი წესით გაიცემა მუშებსა და მოსამსახურეებზე. საწარმოებს (ორგანიზაციებს), რომლებზედაც ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფოს საწარმოს შესახებ, უფლება ეძლევათ გამონაკლის შემთხვევაში გასცენ ცალკეულ მუშაკებზე გეგმისგარეშე ავანსი ხელფასის ანგარიშში, არა უმეტეს თვიური ხელფასის ოდენობისა. დანარჩენ საწარმოებს (ორგანიზაციებს) ნება აქვთ გასცენ ასეთი ავანსი არაუმეტეს ათი დღის ხელფასის ოდენობით.

70 ანგარიშს აქვს ორი სუბანგარიში:

70—1 „დარიცხული ხელფასი“,

70—2 „დებონირებული ხელფასი“.

70—1 სუბანგარიშის კრედიტში აისახება ძირითადი და დამატებითი ხელფასის თანხა და მათი ანალოგიური გადახდები, რაც ეკუთვნის მუშაკებს წარმოების იმ ანგარიშებთან ან ხარჯებთან კორესპონდენციით, რომლებზედაც აღირიცხება ნაჩვენები ხარჯი.

დადგენილი წესით, მუშათა შვებულების ასანაზღაურებლად და წელთა დამსახურებისათვის გასამრჯელოს რეზერვის შექმნისას (წელიწადში ერთხელ გაიცემა) ამ რეზერვის ანგარიშზე დარიცხული თანხა 70—1 სუბანგარიშის კრედიტთან 89 ანგარიშის „მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვის“ დებეტს მიეკუთვნება.

შვებულების პერიოდისათვის ხელფასის დარიცხვისას მხედველბაში მისაღებია, რომ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ინსტრუქციის შესაბამისად მუშებისა და მოსამსახურეთა ხელფასის ფონდის შემადგენლობაში გამოიმუშავებული გასამრჯელო, მორიგი და დამატებითი შვებულებაზე დარიცხული ხელფასი შედის საანგარიშგებო თვის ხელფასის ფონდში იმ თანხით, რაც საანგარიშგებო თვეში შვებულების დღეებზე მოდის; ხოლო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციით მოსახლეობისაგან საშემოსავლო გადასახადის შესახებ დადგენილია, რომ შვებულებაში გასვლისას შვებულების თანხას, რაც შემდგომმ არასრულ თვეზე მოდის, გადასახადი არ ეკავებათ. ამ თანხის გადასახადი ეკავებათ შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ მთლიანად თვის ერთობლივი ხელფასიდან, საერთო წესით.

მორიგი და დამატებითი შვებულების ხელფასი აისახება მიმდინარე თვეში 70—1 სუბანგარიშის კრედიტში და წარმოების ან მიმოქცევის ხარჯების ანგარიშთა აღირიცხვის დებეტში, მხოლოდ იმ თანხით, რაც საანგარიშგებო თვეში შვებულების დღეებზე მოდის. მორიგი და დამატებითი შვებულებისათვის დარიცხული ხელფასი, რაც შემდგომი თვის შვებულების დღეებზე მოდის უნდა აისახოს შემდეგ თვეში 70—1 სუბანგარიშის კრედიტში, ხოლო საანგარიშგებო თვეში წარმოებს ჩანა-

წერი მხოლოდ 70—1 სუბანგარიშის დებეტში და 50 ანგარიშის „სალაროს“ კრედიტში.

დროებითი შრომისუუნარობის, პენსიებისა და სხვა დახმარების დარიცხული თანხა, რაც სოციალური დაზღვევის ანარიცხების ხარჯზე გაიცემა, 70—1 სუბანგარიშის კრედიტიდან მიეკუთვნება 69 „ანგარიშსწორება დაზღვევით“ ანგარიშის დებეტს.

70—1 სუბანგარიშის დებეტში აისახება ხელფასის, პრემიების, შრომის დროებითი უუნარობის დახმარების, პენსიების, დეპონირებული და ა. შ. გადახდილი თანხა, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი გადასახდელების, აღმასრულებელი დოკუმენტებით და სხვა გადასახდელების მიხედვით დაკავებული თანხა.

70—2 სუბანგარიშზე აისახება დეპონირებული ხელფასის თანხის მოძრაობა. დარიცხული და დადგენილ ვადეში გაუცემელი ხელფასის თანხა (მიმღებთა გამოუცხადებლობის გამო) 70—1 სუბანგარიშს დებეტიდან 70—2 სუბანგარიშის კრედიტში გადაირიცხება.

ხელფასის გასაცემად განკუთვნილი ფულადი სახსრები, რომელოც ვადაში არ არის გაცემული უბრუნდება ბანკს, რასაც იგი საწარმოს (ორგანიზაციას) პირველ მოთხოვნისთანავე გასცემს.

მუშებსა და მოსამსახურეებთან ანგარიშსწორების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს საანგარიშსწორებო, საანგარიშსწორებო-საგადასახადო უწყისებებში; გარდა ამისა, დარიცხული თანხა აისახება დადგენილი ფორმის პირად ბარათებში. დეპონირებული ხელფასის ანალიზური აღრიცხვა მიზანშეწონილია განხორციელდეს დეპონირებული თანხის აღრიცხვის წიგნში (ბარათებში), ან უშუალოდ მოლარის მიერ შედგენილ გაუცემელი ხელფასის რეესტრებში.

**ანგარიში 70 „ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით“**

**ეკორესპონდენტება ანგარიშებს:**

**დებეტი**

**კრედიტი**

- 23 დამხმარე წარმოებანი
- 25 საერთო-საწარმოო სარჩები
- 26 საერთო-საპეტროლი სარჩები
- 28 წუნი წარმოებში
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეტრ-ნებანი
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით

- 03 კაპიტალური რემონტი
- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დაზღვევითი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირტუცვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვადაცვადი საგნები
- 15 მატერიალური ფასეულობის დამზადება და შექმნა
- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი

- 71 ანგარიშსწორებანი ანგარაშვალდებულ პირებთან
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით
- 73 ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურეებთან სხვა ოპერაციებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 79 შილასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაზანდების დაფინანსება
- 24 მანქანებისა და მოწყობილობების შენახვის და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წლის წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 30 არაკაპიტალური სამეშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 33 კაპიტალურა დაზანდებები
- 35 ძირითადი ჯაგის ფორმირება
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 45 გაგზავნილი საქონელი, უსრულდებული სამეშაოები და მომსახურება
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალ-ზაციიდან
- 50 სალარო
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 85 საწესდებო ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულები ფონდები
- 89 მონაღონდელი ხარჯებისა და გადასახდელა რეზერვი
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

**ანგარიში 71 „ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან“**

71 ანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი თავის სიაში რიცხულ მუშაკებზე ანგარიშქვეშ გაცემული თანხით, აღმინისტრაციულ-სამეურნეო, ოპერაციული ხარჯებისა და სამსახურებრივი მივლინებისათვის. ფულის გაცემა ანგარიშქვეშ წარმოებს სალაროს ოპერაციების წარმოების დებულების შესაბამისად.

ნაღდი ფული ანგარიშქვეშ გაცემა სამსახურებრივი მივლინების, მიმოსვლის, დღიურებისა და ბინის დაქირავების ხარჯებისათვის მივლინების ვადის მიხედვით — კუთვნილი თანხის ფარგლებში. ანგარიშქვეშ გაცემული ფულის ხარჯვა წარმოებს ზუსტად მიზნობრივი დანიშნულებით: საქვეანგარიშო თანხის ერთი პირიდან მეორეზე გადაცემა აკრძალულია. ანგარიშვალდებულ პირზე ახალი ავანსის გაცემა ანგარიშქვეშ შეიძლება მხოლოდ ადრე გაცემული ავანსის მთლიანად დაფარვის პირობებში. ანგარიშვალდებულ პირზე დარჩენილი დაუხარჯავი ფული უნ-

და დაუბრუნდეს საწარმოს (ორგანიზაციის) სალაროს დადგენილ ვადებში.

ანგარიშვალდებული პირი დადგენილ ვადებში საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელს წარუდგენს ანგარიშს, მიღებული თანხის დანიშნულებისამებრ ხარჯვის შესახებ. სათანადო გასამართლებელი დოკუმენტების დართვით, ანგარიშგებაში ნაჩვენები ფულადი სახსრების ხარჯვის სისწორის დასადასტურებლად.

ანგარიში ავანსად მიღებული თანხის ხარჯვის შესახებ წარმოებული ხარჯების გამამართლებელი დოკუმენტების დართვით მოწმდება ბუღალტერიაში ფორმის (ანგარიშის გაფორმების, რეკვიზიტების შევსების სისრულე და სისწორე) და შინაარსის მიხედვით (წარმოებული ხარჯების კანონიერება და მიზანშეწონილობა, ცალკეულ მაჩვენებელთა ლოგიკური ურთიერთკავშირი) და მტკიცდება სახელმწიფო დაწესებულებებში და კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მყოფ საწარმოებში საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელის მიერ. აგრეთვე, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ანგარიშქვეშ თანხის (ავანსის) გაცემისა და ხარჯვის მოქმედ წესების შესაბამისად. პირებს, რომლებიც დადგენილ ვადებში არ წარადგენენ ანგარიშს და ანგარიშქვეშ მიღებული თანხის ხარჯვაზე გამამართლებელ დოკუმენტებს, არ დააბრუნებენ ამ თანხის დაუხარჯავ ნაშთს — ეკისრებათ დისციპლინარული პასუხისმგებლობა და საჭირო შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც კი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ანგარიშვალდებული პირები დადგენილ ვადაში არ წარადგენენ ანგარიშებს საქვეანგარიშო თანხის ხარჯვის შესახებ ან არ დააბრუნებენ საწარმოს სალაროში გამოუყენებელი ავანსის ნაშთს, საწარმოო (ორგანიზაცია) უფლებამოსილია ანგარიშვალდებულ მუშაკებს ხელფასიდან დაუკავოს დავალიანება, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ანგარიშქვეშ გაცემული თანხით 71 ანგარიში დებეტდება ფულადი სახსრების ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით (ძირითადად 50 „სალაროს“ ანგარიშის კრედიტთან). ანგარიშვალდებულ პირების მიერ დახარჯული თანხით (საავანსო ანგარიშების დამტკიცების შემდეგ) 71 ანგარიში კრედიტდება იმ ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით, რომლებზედაც აღირიცხება დანახარჯები და ფასეულობა, ან სხვა ანგარიშებთან, გაწეული ხარჯების ხასიათის მიხედვით.

თუ ანგარიშვალდებულმა პირმა დადგენილი წესით საწარმოს (ორგანიზაციის) სალაროში არ დააბრუნა საქვეანგარიშო თანხა, მაშინ ეს თანხა გადაირიცხება 71 ანგარიშიდან 84 „დანაკარგები და დანაკლისები ფასეულობის გაფუჭებით“ ანგარიშის გავლით 72 „ანგარიშსწორებანი

მატერიალური ზარალის ანაზღაურებით“ ანგარიშზე გადაირიცხება (იმ შემთხვევაში თუ ხელფასიდან მათი დაკავება არ შეიძლება).

ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს თითოეული ცალკე ავანსის გაცემის (თითოეული საავანსო ანგარიშის) მიხედვით.

**ანგარიში 71 „ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან“**

გორკესპონდენტება ანგარიშებს:

**დ ე ბ ე ტ ი თ**

**კ რ ე დ ი ტ ი თ**

- |    |   |    |  |
|----|---|----|--|
| 49 | შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან                     | 05 | მასალები   |
| 50 | საღარი  | 06 | სათბობი  |
| 51 | ანგარიშსწორების ანგარიში                                  | 07 | სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა                  |
| 55 | დანარჩენი ანგარიშები ბ.ნ.ე.ში                             | 08 | სათადარიგო ნაწილები  |
| 56 | დანარჩენი ფულადი სახსრები                                 | 09 | გამოსაზრდელი და გასასუქებელი პარტუყვი                          |
| 76 | ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან | 10 | თესლი და საკვები   |
| 78 | შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით       | 12 | მცირეფასიანი და სწრაფცეუთადი საგნები                           |
| 93 | კაპიტალური დაბანვების დაფინანსება                         | 15 | მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა                     |
|    |   | 16 | სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები                                |
|    |   | 20 | ბირთვული წარმოება  |
|    |   | 24 | მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები |
|    |   | 25 | საერთო-სწარმოო ხარჯები   |
|    |   | 26 | საერთო-სამეურნეო ხარჯები                                       |
|    |   | 28 | წლენი წარმოებაში   |
|    |   | 29 | მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი                            |
|    |   | 31 | მომავალი პერიოდის ხარჯები                                      |
|    |   | 33 | კაპიტალური დაბანდგანი  |
|    |   | 35 | ბირთვული ქოგის ფორმირება                                       |
|    |   | 41 | საქონელი   |
|    |   | 43 | წარმოებისგარეშე ხარჯები  |
|    |   | 44 | მიმოქცევის ხარჯები   |
|    |   | 45 | გაგზავნილი საქონელი, შიკრულე-ბული სამუშაოები და მომსახურება    |
|    |   | 46 | რეალიზაცია   |
|    |   | 50 | საღარი   |
|    |   | 51 | ანგარიშსწორების ანგარიში                                       |
|    |   | 55 | დანარჩენი ანგარიშები ბ.ნ.ე.ში                                  |
|    |   | 56 | დანარჩენი ფულადი სახსრები                                      |
|    |   | 70 | ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით                           |
|    |   | 72 | ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით              |
|    |   | 76 | ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან      |
|    |   | 78 | შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით            |
|    |   | 79 | შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი                                 |

- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

**ანგარიში № „ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით“**

72 ანგარიშს აქვს შემდეგი სუბანგარიშები:

72—1 „დანაკლისებითა და დამატებით“,

72—2 „სხვა სახის ზარალით“.

72—1 სუბანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი გამოვლინებული ფულადი და მატერიალური ფასეულობის დანაკლისებისა და დატაცების ზარალის ანაზღაურებით.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დანაკლისებისა და დატაცებების შედეგად მიყენებული ზარალის თანხის ოდენობა გამოინგარიშება დანაკლისი (დატაცებული) ფასეულობის სახელმწიფო საცალო ფასებით, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როდესაც კანონით გათვალისწინებულია დამნაშავე პირისაგან მიყენებული ზარალის თანხის განსაზღვრის სხვა წესი.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობის დამნაშავე პირისაგან გადახდევინებას დაქვემდებარებული დანაკლისი თანხა მიეკუთვნება 72 ანგარიშის დებეტს 84 „დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან (ფაქტობრივი თვითღირებულებით), 83 „მომავალი პერიოდის შემოსავლის“ ანგარიშების კრედიტიდან (სუბანგარიში — 3 — ამოსაღებ თანხასა და 84 ანგარიშით ასახულ თანხას შორის სხვაობით). აღნიშნული სხვაობა დანაკლისის გადახდევინებისამებრ შეიტანება ბიუჯეტის შემოსავალში (83 ანგარიშის დებეტი, 68 ანგარიშის კრედიტი).

მომარაგების, გასაღებისა და სავაჭრო საწარმოებში (ორგანიზაციებში) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დანაკლისები და დატაცებები, თუ საქონლის აღრიცხვა საცალო ფასებით წარმოებს, 72 ანგარიშის დებეტს მიეკუთვნება სახელმწიფო საცალო ფასები (საზოგადოებრივ კვებაში — გასაყიდი ფასებით) 84 ანგარიშის კრედიტიდან. ერთდროულად სავაჭრო დათმობის (დარიცხვის) თანხა, რაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დანაკლისის ეკუთვნის, აისახება 42 ანგარიშის დებეტში (სუბანგარიში — 1) და 83 ანგარიშის კრედიტში (სუბანგარიში — 3). სხვაობის თანხა დანაკლისი და დატაცებული სასაქონლო —



მატერიალური ფასეულობის (როდესაც სავაჭრო საწარმოთა ბალანსზე დანაკლისით გამოწვეული ფასეულობა საცალო ფასებით ირიცხება) გასაყიდსა და ნასყიდობის ღირებულებას შორის დანაკლისის გადახდევინების მიხედვით 83 ანგარიშიდან 80 „მოგება და ზარალის“ ანგარიშს მიეკუთვნება.

თუ მომარაგების, გასაღებისა და სავაჭრო საწარმოთა (ორგანიზაციების) ბალანსზე საქონლის დანაკლისი აღირიცხება საბითუმო ფასებით, მაშინ სხვაობა დანაკლისი საქონლის საცალო ფასებით ღირებულებასა და საბითუმო ფასებით ღირებულებას შორის ბიუჯეტის შემოსავალში უნდა იქნეს შეტანილი.

72—1 სუბანგარიშის კრედიტში ანგარიშთა დებეტთან კორესპონდენციით აისახება: ფულადი სახსრები — გადასახდელთა შეტანილი თანხა; 70 — ხელფასიდან დაკავებული თანხა; 84 — დანაკლისების ჩამოწერილი თანხა: საგამომძიებლო ორგანოთა მიერ გადახდევინებაზე უარის თქმისას, ძიების დაუსაბუთებლობის გამო.

თანხა, რომლის გადახდევინება დამნაშავე პირის გადახდისუუნარობის გამო შეუძლებელია (მოპასუხის ხელშოკლეობის გამო მის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის შეუძლებლობაზე, სასამართლოს მიერ დამტკიცებულ აქტთან ერთად აღმასრულებელი დოკუმენტების უკან დაბრუნებისას), ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მიზეზებით, დადგენილი წესით ჩამოიწერება 72 ანგარიშის კრედიტიდან 80 „მოგება და ზარალის“ ანგარიშის დებეტში.

72—2 სუბანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი დამნაშავე პირებთან საწარმოსათვის (ორგანიზაციისათვის) მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის (გარდა დანაკლისებისა და დატაცებისა) იმ შემთხვევებში და იმ ოდენობით, რაც მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ არსებული კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, კერძოდ აღირიცხება დადგენილი წესით ზარალი და დანაკარგები, გამოწვეული წუხით, მსხვრევით, საქონლის, პროდუქტების, მასალების ინვენტარისა და სხვა ფასეულობის გაფუჭებით, გაცდენებით, ანგარიშქვეშ გამცემული თანხის არასწორად გამოყენებით, ჭარიმების გადახდით და ზარალის სხვა თანხით, რაც კანონით დამნაშავე პირებისაგან უნდა ანაზღაურდეს.

თანამდებობრივ პირებზე მუშაობაში ადმინისტრაციული დაუდევრობისათვის დარიცხული თანხა მოცემულ ანგარიშზე არ აისახება.

მატერიალური ზარალის ანაზღაურების ანგარიშსწორებათა ანალიზური აღრიცხვა წარმოებს თითოეულ, ცალკე დამნაშავე პირის მიხედვით.

ანგარიში № „ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

- 23 დამხმარე წარმოებანი
- 25 საერთო-წარმო ხარჯები
- 26 საერთო-ანგარიშ ხარჯები
- 28 წესი წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მიუღწეობანი
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშსწორებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 83 მომავალი პერიოდის შემოსავალი
- 84 დანაკლებები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან

- 42 სავაჭრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- 50 სალო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 70 ანგარიშსწორებანი ფორმის ანაზღაურებით
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლებები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 91 აკრედიტო სისესნი ანგარიში

ანგარიში № „ანგარიშსწორებანი მუშა-მოსამსახურებთან სხვა მოპარაკებით“

73 ანგარიშზე აისახება ანგარიშსწორებანი მუშებსა და მოსამსახურეებთან ნისიად გაყიდული საქონლისათვის, ანგარიშსწორებანი ინდივიდუალური საბინაო და კოოპერაციული მშენებლობის სესხისათვის, ახალგაზრდა ოჯახთა სესხისათვის და სხვა მსგავსი ანგარიშსწორებისათვის. 73 ანგარიშის კრედიტში აისახება მუშებისა და მოსამსახურეთა დავალიანება მათზე გაცემული სესხისათვის, ხოლო დებეტში — ამ დავალიანების დაფარვა:

- 73 ანგარიში იყოფა სუბანგარიშებად:
- 71—1 „ნისიად გაყიდული საქონლით“;
- 73—2 „ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის სესხით“;
- 73—3 „მებაღეობის პატარა სახლების მშენებლობის სესხით“;
- 73—4 „ახალგაზრდა ოჯახების სესხით“;
- 73—5 „ფორმის ტანსაცმლით“;

73—1 სუბანგარიშზე აისახება ანგარიშსწორებანი მუშებსა და მოსამსახურეებთან ნისიად გაყიდულ საქონელზე.

მუშებსა და მოსამსახურეებზე საქონლის ნისიად მიყიდვის წესი დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ან მათი დავალებით შეაბამისი რესპუბლიკური ორგანოების მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებით. ამ ინსტრუქციების თანახმად ნისიად გაყიდულ საქონელზე ანგარიშსწორების მთელი რიგი ფორმები გამოიყენება, კერძოდ:

საწარმოები (ორგანიზაციები) საქონლის ნისიად მყიდველ თავის მუშაკებს: დავალება-ვალდებულების საფუძველზე, ხელფასიდან უკავებენ მორიგ გადასახდელ თანხას და გადაურიცხავენ მას სავაჭრო ორგანიზაციებს;

საწარმოები (ორგანიზაციები) სავაჭრო ორგანიზაციებს მთლიანად უნაზღაურებენ მუშებსა და მოსამსახურეებზე ნისიად მიყიდულ საქონლის ღირებულებას, ამ მიზნისათვის სსრ კავშირის სახბანკიდან ღებულობენ შესაბამის სესხს. საწარმოთა მიერ ამ სესხის დაფარვა წარმოებს მუშებისა და მოსამსახურეთა ხელფასიდან დავალიანების შემდგომი დაკაებისა და ბანკში შესაბამისი თანხის გადარიცხვის გზით.

სავაჭრო საწარმოებში (ორგანიზაციებში) 73—1 სუბანგარიში დებეტდება 46 „რეალიზაციის“ ანგარიშის კრედიტით მყიდველთა დავალიანების თანხით, მათზე საქონლის ნისიად გაყიდვისათვის (გადასახდელის მიცემული განვადების თანხით). ხსენებული საწარმონი (ორგანიზაციები) 73—1 სუბანგარიშის კრედიტში ასახავენ მყიდველებისაგან მიღებულ გადახდელ თანხას ფულადი სახსრების აღრიცხვის ანგარიშთა (50, 51 ანგარიშის), ან სპეციალური სასესხო (91 ანგარიშის) ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით.

საწარმონი (ორგანიზაციები), სადაც მუშაობენ ნისიად საქონლის მყიდველი პირნი, რომელნიც მთლიანად ანაზღაურებენ სავაჭრო ორგანიზაციის მიერ მყიდველებზე მიცემულ კრედიტებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამისი სესხის ანგარიშით, ბანკის მიერ შესაბამისი სავაჭროსწორებო დოკუმენტების განაღებისას ადებეტებენ 73—1 სუბანგარიშს „ბანკის სესხი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის“ 97 ანგარიშის კრედიტით. მუშებსა და მოსამსახურეებისაგან მორიგი გადასახდელთა დაკაების მიხედვით. ხსენებული საწარმონი ადებეტებენ 70 „ანგარიშსწორება შრომის ანაზღაურებით“ ანგარიშს 73—1 სუბანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით, რომლის შემდეგ დაკავებულ თანხა გადარიცხება ბანკის სესხის დასაფარავად 51 „ანგარიშსწორების ანგარიშის“ კრედიტიდან 97 ანგარიშის დებეტში.

საწარმოები (ორგანიზაციები), რომლებიც თავიანთი მუშაკების მიერ ნისიად შეძენილი საქონლის ღირებულების დასაფარავად არ სარგებლობენ ბანკის სესხით, ამ მუშაკების მიერ გაცემულ დავალება-ვალდებულების საფუძველზე მათ ხელფასიდან უკავებენ მორიგი გადასახდელის თანხას, ადებეტებენ 70 ანგარიშს 76 ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით (სავაჭრო ორგანიზაციათა პირადი ანგარიშების მიხედვით).

სავაჭრო ორგანიზაციებისათვის დაკავებული თანხის გადარიცხვის კვალობაზე დებეტდება 76 ანგარიში ფულადი სახსრების აღრიცხვის ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით. დაკავებული თანხის გა-

დარიცხვის დოკუმენტებს თან ერთვის იმ მუშებისა და მოსამსახურეთა სია, რომელია ხელფასიდანაც მოხდა დაკავება, დავალება-ვალდებულების ნომრისა და დაკავებულ თანხის ჩვენებით.

საქონლის ნისიად შემქმნი მუშის ან მოსამსახურის დათხოვნისას, დავალიანების ნაშთი ეკავებათ მასზედ საბოლოო ანგარიშსწორებით კუთვნილი თანხიდან, მოქმედ კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით. თუ დავალიანება მთლიანად არაა დაფარული, მაშინ მოვალის განთავისუფლების შესახებ უნდა ეცნობოს საქონლის ნისიად გამყიდველ ორგანიზაციას. როდესაც ანგარიშსწორება სავაჭრო ორგანიზაციასთან წარმოებულ იქნა მთლიანად ბანკის სესხით, მაშინ უკანასკნელი ვალდებულია იმ საწარმოს (ორგანიზაციას), სადაც დათხოვნილი მუშაობდა, დაუბრუნოს შესაბამისი თანხა, ბანკში გადასარიცხავად.

73—2, 73—3 სტუბანგარიშებზე აღირიცხება მუშებსა და მოსამსახურეებთან ანგარიშსწორება ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობისათვის, პირუტყვის შეძენისათვის, ბალის პატარა სახლის ყიდვისა და შეძენისათვის, ბალის ნაკვეთის კეთილმოწყობისათვის მათზე გაცემული სესხის მიხედვით.

სესხი მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ ბანკის დაკრედიტების წესების შესაბამისად გაფორმებული ვალდებულების მიხედვით. სესხი სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოების (ორგანიზაციების) მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ ამ საწარმოთა (ორგანიზაციათა) მეშვეობით. საწარმო (ორგანიზაცია), მოქმედი დებულების თანახმად, ვალდებულია ბანკის სესხის მიმღებ პირებთან აწარმოონ ანგარიშსწორება, გადარიცხონ მორიგი გადასახდელები და დაფარონ ბანკის მიერ გაცემული სესხი მათთან შეპირობებულ ვადებში. მუშებსა და მოსამსახურეებზე ინდივიდუალური საპროცენტო დაკავშირებული ბანკის მიერ გაცემული სესხის ოპერაციები აისახება სისტემურ ბუღალტრულ აღრიცხვაში. ბანკთან ზემონაჩვენებ ოპერაციათა ანგარიშსწორება ტარდება 97 „ბანკის სესხი მუშებსა და მოსამსახურეებისათვის“ ანგარიშით.

ნაჩვენები სახსრების გაცემას საწარმოები (ორგანიზაციები) ახორციელებენ ბანკიდან სათანადო სესხის მიღებით. მიღებული თანხა სალაროს შემოსავალში აიღება 51 ან 97 ანგარიშის კრედიტით. მუშებსა და მოსამსახურეებზე გაცემული თანხით დებეტდება 73 ანგარიში 50 „სალაროს“ ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით.

მუშებისაგან ან მოსამსახურეებისაგან მიღებული მორიგი გადასახდელი თანხით კრედიტდება 73 ანგარიში და დებეტდება 50, 51, 70 ანგარიშები აღნიშნულ გადასახდელთა განხორციელების წესის შესაბამისად.

ბანკის კრედიტების დაფარვა ყველა შემთხვევაში აისახება 97 ანგა-

რიშის დებეტში, ფულადი საშუალების აღრიცხვის ანგარიშების კრედიტ-თან კორესპონდენციით, რომელთაგანაც ბანკის კუთვნილი თანხებია მიღებული.

იმ შემთხვევაში, როდესაც სესხის მიმღებთან წყდება შრომითი ურთიერთობა, საწარმოო (ორგანიზაცია) ამის შესახებ აცნობებს ბანკს და ლებულობს კანონით გათვალისწინებულ ზომებს დავალიანების ნაშთის გადასახდევინებლად.

73—4 სუბანგარიშზე აღრიცხება მუშებსა და მოსამსახურებთან ანგარიშსწორება იმ უპროცენტო სესხისათვის, რაც გაცემულია სოციალურ-კულტურული ღონისძიებების და საბინაო მშენებლობის და სხვა ფონდების (სახსრების) ანგარიშში მშენებლობისათვის, კაპიტალური რემონტისათვის, საბინაო ფონდის ვაფართოებისათვის და ოჯახური მეურნეობის მოწყობისათვის.

ახალგაზრდა ოჯახებისათვის უპროცენტო სესხის გაცემის წესი რეგლამენტირებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, სსრ კავშირის მშენებლობის ბანკის და პროფესიონალური კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით — ახალგაზრდა ოჯახებისათვის უპროცენტო სესხის გაცემაზე საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის ან საოჯახო მეურნეობის მოწყობის შესახებ.

73—4 სუბანგარიშის დებეტში აღსანიშნავია მუშებსა და მოსამსახურეებზე გაცემული სესხის თანხა 50 ან 51 ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით. ერთდროულად სესხის გასაცემად გამოყენებული ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრები ჩამოიწერება 87 ანგარიშის დებეტიდან (შესაბამის ფონდების მიხედვით) და ჩაირიცხება 87 ანგარიშის კრედიტში სპეციალური სუბანგარიშის მიხედვით — „ახალგაზრდა ოჯახებისათვის უპროცენტო სესხის გასაცემად გამოყენებული ფონდების სახსრები“.

სესხის მიმღები პირებიდან მიღებული მორიგი გადასახდელი თანხით კრედიტდება 73—4 სუბანგარიშში 50, 51, 70 ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით, გადასახდელთა მიღებული წესის შესაბამისად. ერთდროულად დებეტდება 87 ანგარიშში, სუბანგარიშში „ახალგაზრდა ოჯახებისათვის უპროცენტო სესხის გასაცემად გამოყენებული ფონდების სახსრები“ და კრედიტდება ანგარიშში 87 (სათანადო ფონდების მიხედვით).

73—5 სუბანგარიშით „ანგარიშსწორება მუშებსა და მოსამსახურეებთან ფორმის ტანსაცმლისათვის“ სარგებლობენ ის საწარმოები (ორგანიზაციები), სადაც გარკვეული კატეგორიის მუშაკები ვალდებული არიან ატარონ ფორმის ტანსაცმელი, რასაც შესაბამისი სამინისტროები, სა და უწყებების მიერ დადგენილი წესით (გადასახდელის განვადებით)

საფასურის გადახდით იძენენ. გაცემული ტანსაცმლის ღირებულებით დებეტდება 73—5 სუბანგარიში: მუშაკებისაგან მიღებული გადასახდელი თანხა აისახება დასახელებული სუბანგარიშის კრედიტში.

მუშებსა და მოსამსახურეებთან ანგარიშსწორების ანალიზური აღრიცხვა ჩამოთვლილი ოპერაციებით ტარდება მათი პირადი ანგარიშების მიხედვით.

**ანგარიში 78 „ანგარიშსწორება მუშებსა და მოსამსახურეებთან სხვა ოპერაციებით“**

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

44 რეალზაცია

50 სალარო

51 ანგარიშსწორების ანგარიში

56 დანარჩენი ფულადი სახარები

79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი

90 ბანკის მოკლევადიანი სესხები

91 სპეციალური სასესხო ანგარიში

97 ბანკის სესხები მუშებისა და მოსამსახურეთათვის

41 საქონელი

50 სალარო

51 ანგარიშსწორება ანგარიში

70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით

76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან

80 მოგება და ზარალი

91 სპეციალური სასესხო ანგარიში

97 ბანკის სესხები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის

**ანგარიში 78 „ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“**

76 ანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი დებიტორებთან და კრედიტორებთან ყველა სახის ოპერაციებზე, გარდა 60—73 ანგარიშების განმარტებაში მოხსენიებულისა.

მოცემული ანგარიში იყოფა სუბანგარიშებად:

76—1 „ანგარიშსწორებანი ორგანიზაციებთან და პირებთან აღმასრულებელი დოკუმენტებით“.

76—2 „ანგარიშსწორებანი კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შექენილი ან გაყიდული ძირითადი საშუალებებით“.

76—3 „ანგარიშსწორებანი დანარჩენ დებიტორებთან და კრედიტორებთან“.

76—1 სუბანგარიშზე აისახება ანგარიშსწორებანი მუშებსა და მოსამსახურეთა სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ცალკეულ პირთა სასარგებლოდ, ხელფასიდან დაკავებული თანხით, აღმასრულებელი დოკუმენტების ან სასამართლო ორნაგოების დადგენილებათა საფუძველზე.

76—2 სუბანგარიშზე აისახება ანგარიშსწორებანი სახელმწიფო საწარმოებსა (ორგანიზაციებსა) და კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის ძირითად საშუალებათა გაყიდვისას. ანგა-

რიშსწორებათა წესი განსაზღვრულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინსტრუქციაში — „საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის გადაცემული შენობებისა და ნაგებობის ანგარიშსწორების წესის შესახებ“. კერძოდ, იმ ქონების ღირებულების გადახდა, რომელიც ძირითად საშუალებებს ეკუთვნის, ხორციელდება წლის ვადაში დღიდან მისი გადაცემისა, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაიშვება გადახდა 5 წლამდე განვადებით. სახელმწიფო საწარმოები (ორგანიზაციები) ამ გადახდას ანხორციელებენ ამ მიზნისათვის კაპიტალური დაბანდების დაფინანსების გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ანგარიშში. ამ ოპერაციების აღრიცხვის წესი გადმოცემულია 01 ანგარიშის „ძირითადი საშუალებების“ განმარტებაში.

76—3 სუბანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი დანარჩენ დებიტორებთან და კრედიტორებთან (იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან) იმ ოპერაციებით, რომელთა აღრიცხვა სხვა ანგარიშებში გათვალისწინებული არ არის. ნაჩვენებ სუბანგარიშზე. კერძოდ. აისახება:

ანგარიშსწორებანი სხვადასხვა ორგანიზაციებთან არა კომერციული ხასიათის ოპერაციებით (სასწავლო დაწესებულებებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და ა. შ.);

ანგარიშსწორებანი ბინის დამქირებლებთან და იმ პირებთან, რომლებიც საწარმოს ორგანიზაციის კომუნალური მეურნეობის საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობენ (მოკავშირე რესპუბლიკების კომუნალური მეურნეობის სამინისტროს კომუნალური და საბინაო მეურნეობის საწარმოებში და ორგანიზაციებში ანგარიშსწორებანი ბინის დამქირებლებთან და მოიჯარებებთან საბინაო და კომუნალური მომსახურებისათვის აღირიცხება ცალკე სუბანგარიშზე „ანგარიშსწორებანი კლიენტურასთან საბინაო და კომუნალური მომსახურებისათვის“);

ანგარიშსწორებანი საბინაო-კომუნალური მეურნეობის არასაცხოვრებელ სადგომთა იჯარით გამცემ ორგანიზაციებთან — 76 ანგარიში დუბეტდება 86 „ამორტიზაციის ფონდის“ ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით კაპიტალური რემონტის დაფინანსებისათვის მიმართულ საიჯარო ქირის თანხის დადგენილი ოდენობით, ხოლო დანარჩენ თანხაზე — 29 „მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი“ ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით;

ანგარიშსწორებანი საბავშვო დაწესებულებებში (საბავშვო ბაღებში, ზავშვთა ბაგებში) მიღებული ბავშვის მშობლებთან. აღნიშნული დაწესებულებების შენახვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად, მაშინ კუთვნილი თანხით;

ანგარიშსწორებანი სატრანსპორტო (რკინიგზის და წყლის) ორგა-

ნიზაციებთან მომსახურებისათვის ანაზღაურებული ლიმიტირებული ჩეკებით, როდესაც ანგარიშსწორება სატრანსპორტო ორგანიზაციებთან გაწეული მომსახურებისათვის ლიმიტირებული ჩეკების წიგნაკიდან ჩეკებით ხორციელდება (ტარიფისათვის, ფრახტისათვის და ა. შ.),

ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება შემდეგნაირად: 76—3 სუბანგარიშის კრედიტში, შესაბამისი ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით (43 „წარმოებისგარეშე ხარჯები“, 45 „გაგზავნილი საქონელი შესრულებული სამუშაო და მომსახურება“ და ა. შ.) აისახება აღნიშნული ორგანიზაციების კუთვნილი თანხა, თანასმად მათზე გაცემული ჩეკებისა, ხოლო 76—3 სუბანგარიშის დებეტში — ბანკის მიერ გადახდილი ჩეკების თანხა. ამრიგად, 76—3 სუბანგარიშის საღლო გვიჩვენებს სატრანსპორტო ორგანიზაციებზე გაცემული ჩეკების თანხას, რომელიც ბანკის მიერ ჯერ კიდევ გაუნაღლებელია;

ანგარიშსწორებანი დაკავშირებული ტვირთის გადასაზიდად თანამგზავრ ტრანსპორტის გამოყენებასთან.

სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების ანალოზური აღრიცხვა წარმოებს ცალკეულ დებიტორისა და კრედიტორის პირადი ანგარიშის მიხედვით.

**ანგარიში 78 „ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“**

**კორესპონდენტება ანგარიშებს:**

**დებიტით**

**კრედიტით**

- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 41 საქონელი
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაო და მომსახურება
- 46 რელიზაცია
- 49 შემოსავალი მომსახურების რელიზაციიდან
- 50 საღარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური დაზანდების სახსრებით
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 70 ანგარიშსწორებანი სოფლის ანაზღაურებთ
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 73 ანგარიშსწორებანი მეშებსა და მომსახურებებთან სხვა ოპერაციებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 მანქანებლო მასალები და დაზადგმელი მოწყობლობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელი და გასასაქებელი პირუტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 მკირფთასიანი და სწრაფცევალა საგნების ცვეთა
- 15 შატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შემენა
- 16 სატრანსპორტო დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამსმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წენი წარმოებაში
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები



- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი მოგება და ზარალი
- 83 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 85 საწესდებო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი
- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 35 ძირითადი ქოვის ფორმირება
- 41 სსენელი
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 45 გავზენილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 49 შემოსავალი მომასწავრების რეალიზაციიდან
- 50 საღარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 60 ანგარიშსწორებანი მიმოწოდებლებთან და მოიჭარებებთან
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით.
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალურ-ზარალის ანაზღაურებით
- 75 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებატორებთან და კრედიტორებთან
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 81 მოგების გამოყენება
- 85 საწესდებო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 მოსალოდნელი ხარჯიზისა და გადასახდელთა რეზერვი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

ანგარიში 77 „შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი საბრუნავი საუფალაგაგისა და მოგების გადანაწილებით“

77 ანგარიშზე აისახება ანგარიშსწორებანი ზემდგომ ორგანიზაციასთან, თავის სისტემის შიგნით საბრუნავი სახსრებისა და მოგების (ამოღება ან მიღება) გადანაწილებისათვის. წლის ბოლოს ამ ანგარიშის სალოლო 85 „საწესდებო ფონდის“ ანგარიშზე გადაირიცხება.

**ანგარიში 77 „შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი საბრუნავო  
საშუალებებისა და მოგების გადანაწილებით“**

ეკონომიკური ანგარიშები:

დეკრეტი

კრედიტი

- 14 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა გადაფასება
- 51 ანგარიშსწორებანი ანგარიში
- 85 საწესდებო ფონდი
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში

- 14 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა გადაფასება
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 85 საწესდებო ფონდი
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში

**ანგარიში 78 „შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი ვიდეონარე მუხრანში“**

78 ანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი მართვის ზემდგომ ორგანიზაციებთან — ტრესტთან, სამრეწველო გაერთიანებასთან, მთავარ სამმართველოსთან, სამინისტროსთან, უწყებებსა და მიმდინარე ოპერაციებით, რაც დაკავშირებული არ არის 77 ანგარიშზე ასახული საბრუნავი საშუალებებისა და მოგების გადანაწილებასთან;

78 ანგარიშზე აისახება, კერძოდ, ანგარიშსწორებანი ზემდგომ ორგანიზაციასთან ფინანსური დახმარების აღმოჩენის წესით სახსრების მიღებასთან დაკავშირებული ოპერაციებით; ცენტრალიზებულ ფონდებსა და რეზერვებში სახსრების ჩარიცხვასა და მათ მიღებასთან; ზემდგომი ორგანიზაციის მიერ შექმნილი მოწყობილობის განაღდებასთან, საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ კაპიტალური დაბანდების განსახორციელებლად: ანგარიშსწორებანი შემოსავლის გადანაწილებასთან დაკავშირებული ოპერაციებით, საბითუმო ფასების მიმდინარე რეგულირების შედეგად მიღებული სხვაობის ანაზღაურებით ან მიღებით.

შიდასაუწყებო ანგარიშსწორების აღირიცხვა მიმდინარე ოპერაციებით წარმოებს შემდეგი სუბანგარიშებით:

- 78—1 „ფინანსური დახმარების წესით მიღებული სახსრებით“.
- 78—2 „ცენტრალიზებული ფონდებით და რეზერვებით“.
- 78—3 „მოწყობილობის განაღდებათ“.
- 78—4 „დანარჩენი ოპერაციებით“.

78—1 სუბანგარიშზე აისახება ანგარიშსწორებანი ზემდგომ ორგანიზაციასთან ფინანსური დახმარების წესით მიღებული სახსრებით, უკანდაბრუნების საწყისებზე. მიღებული თანხის უკან დაბრუნება აისახება მოცემული სუბანგარიშის დებეტში და 51 ანგარიშის „ანგარიშსწორების ანგარიშის“ კრედიტში.

78—2 სუბანგარიშზე აისახება ანგარიშსწორებანი ზემდგომ ორგანიზაციებთან ცენტრალიზებული ფონდებისა და რეზერვების სახსრების ანარიცხების ოპერაციებით: ეკონომიკური სტიმულირებას ფონდებსა და

რეზერვებში; მინისტრის ფონდში; მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიან ფონდში; ცენტრალიზებულ ფონდებში ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირებაზე, შრომის დაცვისათვის (საერთო ასიგნებიდან 5% ანარიცხზე) საერთო სამმართველო ანარიცხები კაპიტალური რემონტისათვის და ა. შ.

78—3 სუბანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი ზემდგომ ორგანიზაციასთან, მის მიერ მიმწოდებლების ანგარიშების ცენტრალიზებული წესით განაღდებისათვის იმ მოწყობილობაზე, რომელიც საწარმოების ან ორგანიზაციების კაპიტალური დაბანდების სატიტულო სიებითაა გათვალისწინებული.

თუ მოწყობილობის შესაძენად, რომელიც არ მოითხოვს მონტაჟს, კაპიტალური დაბანდებანი ცენტრალიზებულია ზემდგომ ორგანიზაციაში, მაშინ უქანასკნელი ანხორციელებს როგორც კაპიტალური დაბანდების აღრიცხვას, ისე ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში შეყვანას. საქვეუწყებო საწარმოებიდან მოწყობილობის მიღებს შესახებ შეტყობინების (ავიზოს) მიღების შემდეგ, ზემდგომი ორგანიზაცია ამ მოწყობილობას უსასყიდლოდ (ბალანსიდან ბალანსზე) გადასცემს. მოწყობილობა, რომელიც არ მოითხოვს მონტაჟს (ცალკეულ შემთხვევებში დასაშინტაჟებელიც) ზემდგომი ორგანიზაციის მიერ ნაღდდება ცენტრალიზებულად თავისი სახსრების ან ბანკის სესხის ანგარიშზე, ხოლო კაპიტალური დაბანდებანი გამოყოფილი აქვთ საქვეუწყებო საწარმოებს (ორგანიზაციებს). მასზე ანგარიშსწორების აღრიცხვა ბორციელდება 78—3 სუბანგარიშზე.

იმპორტული მოწყობილობის ბანკის სესხის ანგარიშში ცენტრალიზებული განაღდებისას, ზემდგომი ორგანიზაცია 78—3 სუბანგარიშის დებეტში და 60 ანგარიშის კრედიტში ასახავს საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციის აქცეპტებული ანგარიშებს, ხოლო გადახდისას 60 ანგარიშს აღდებტებს და 90 „ბანკის მოკლევადიანი სესხის“ ანგარიშს აკრედიტებს.

ბანკის მიერ მიღებული დავალებსა და მიღებული კრედიტის საქვეუწყებო საწარმოებს (ორგანიზაციებს) შორის განაწილების შესახებ შეტყობინების მიღების საფუძველზე წარმოებს ჩანაწერები 90 ანგარიშის დებეტში და 78—3 სუბანგარიშის კრედიტში.

საწარმოებში და ორგანიზაციებში შემონაჩვენები მოწყობილობის მიღება აისახება 07 ან 33 ანგარიშების დებეტში და 78 ანგარიშის კრედიტში, ხოლო ბანკის დაწესებულებების მიერ ტვირთის მიმღებოა სასესხო ანგარიშზე ზემდგომი ორგანიზაციებისაგან სესხის გადაცემის მიხედვით დავალიანებათა ჩარიცხვისას დებეტდება 78 ანგარიშში და კრედიტდება 90 ანგარიშში.

მოწყობილობის მიმღებ საწარმოს (ორგანიზაციის) ბალანსის 78—3

სუბანგარიშის კრედიტის სალდო იგივე უნდა იყოს, რაც მოწყობილობის ვანპანალდებელი ორგანიზაციის ბალანსის ამავე სუბანგარიშის სადებეტო სალდოა.

78—4 სუბანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი, ზემდგომ ორგანიზაციასთან საბითუმო ფასების მიმდინარე რეგულირებით. გამოწვეული სხვაობით. აგრეთვე, ანგარიშსწორება ზემდგომ ორგანიზაციასთან და მის სისტემაში შემავალ სხვა საწარმოებთან (ორგანიზაციებთან) წვრილო, შემთხვევითი ოპერაციებით, რომელთა განაღდება ბანკის მეშვეობით არ შეიძლება. პერიოდულად ამ თანხის დაგროვებისას იმ ოდენობამდე რაც საკმარისია ბანკის საშუალებით ანგარიშსწორებისათვის, წარმოებს დავალიანების დაფარვა.

საეჭრო ორგანიზაციებში 78—4 სუბანგარიშზე ძირითადად აისახება ანგარიშსწორებანი საწესდებო ორგანიზაციასა (ვაჭრობასთან, ტრესტთან, კანტორასთან) და საქვეუწყებო სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა შორის, რომელთაც ბანკში არა აქვთ თავისი ანგარიშსწორების ანგარიში — საწარმოთა შიგერ ამონაგების ზემდგომი ორგანიზაციის ჰპეტსასესხო (ანგარიშსწორების) ანგარიშზე ბანკში ჩაბარებისათვის;

მიმწოდებლებიდან მიღებული საქონლის ღირებულების საწარმოს ანგარიშში განაღდებასათვის, აგრეთვე, ზემდგომი ორგანიზაციის ბაზიდან გაცემული საქონლისათვის; კადრების მომზადების ანარიცხები და ა. შ. საწარმოს (ორგანიზაციის) ბალანსით 78 ანგარიშის სალდო ტოლი უნდა იყოს ზემდგომი ორგანიზაციის ბალანსის შესაბამისი ანგარიშის სალდოზე.

ანგარიში 78 „შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დებეტი

კრედიტი

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 12 მკირეფასიანი და სწრაფუკეთადი საგნები
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 41 საქონელი
- 46 რეალიზაცია
- 47 საქონლის სამუშაოებისა და მომსახურების შიდასისტემური გაცემა
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკებში
- 50 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 12 მკირეფასიანი და სწრაფუკეთადი საგნები
- 16 სატრანსპორტო დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 35 ძირითადი ჯოგის ფორმირება
- 41 საქონელი
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 49 შემოსავალი მომსახურების ქვალისაიდან

- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 85 საწესდებო ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულებების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 81 მოგების გამოყენება
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 85 საწესდებო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

**ანგარიში № „შიდასაბალანსო ანგარიშსწორებანი“**

79 ანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი დამოუკიდებელ ბალანსზე გამოყოფილი კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასთან (საბალანსთაშორისო ანგარიშსწორებანი), აგრეთვე ცალკე ბალანსზე გამოყოფილ საწარმოო ერთეულებთან და მეურნეობებთან, რომელნიც ჩაირთვიან გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის საერთო ბალანსში (შიდასაბალანსო ანგარიშსწორებანი).

79 ანგარიში იყოფა სუბანგარიშებად:

79—1 „ანგარიშსწორებანი კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასთან.“

79—2 „ანგარიშსწორებანი სხვა მეურნეობებთან“.

79—1 სუბანგარიშზე აღირიცხება დამოუკიდებელ ბალანსზე გამოყოფილი კაპიტალური მშენებლობის განყოფილებისათვის (საწარმოსა და ორგანიზაციებში, რომლებიც კაპიტალურ დაბანდებს ანხორციელებენ სამეურნეო წესით) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, სამუშაოების ან მომსახურების წარდგენილი ანგარიშების თანხა, რომელთა განაღდებაზე ბანკმა უარი თქვა საფინანსო დისციპლინის დარღვევის გამო.

ჩანაწერები, მოცემულ სუბანგარიშზე წარმოებს: საწარმოებსა და ორგანიზაციებში მათი ძირითადი საქმიანობის მიხედვით — დებეტში 46 „რეალზაციის“ ან 45 „გავზავნილი საქონლის, შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების“ ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით; დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაში — კრედიტში; 07 „სამშენებლო მასალებისა და დასადგმელი მოწყობილობის“ ან 33 „კაპიტალურ დაბანდებათა“ ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით.

79—1 სუბანგარიშით აღრიცხვაზე მიღებული დავალიანება რჩება როგორც საწარმოების (ორგანიზაციების), ისე კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ბალანსზე, მათი დაფარვის წყაროების საკითხის გადაწყვეტამდე. მოცემულ დავალიანებათა დაფარვა ძირითადად აისახება — ფულადი სახსრების ანგარიშებთან, ან 93 „კაპიტალური დაბანდებათა დაფინანსების“ ანგარიშთან კორესპონდენციით.

79—1 სუბანგარიშზე აღრიცხვაზე, აგრეთვე, ანგარიშსწორებანი კაპიტალური მშენებლობის განყოფილებისთვის კაპიტალური დაბანდების წყაროების გადაცემისას. როდესაც დამოუკიდებელ ბალანსზე გამოყოფილი კაპიტალური მშენებლობის განყოფილება კაპიტალურ დაბანდების სამუშაოებს ანხორციელებს ძირითადი საქმიანობის სახსრების ანგარიშზე — სახელდობრ, ფონდების ან მიზნობრივი დაფინანსების სახსრებით. კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მიერ კაპიტალური დაბანდების განხორციელების და მისთვის დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების გადაცემის მიხედვით შესაბამისი ოპერაციები, აღრიცხვაში შეიძლება აისახოს შემდეგნაირად:

კაპიტალური მშენებლობის განყოფილებისათვის გადარიცხული თანხა ხელფასის გასაცემად, მიმწოდებელთა მიერ უშუალოდ სამშენებლო მოედანზე მიტანილი მასალის ღირებულების გადასახდელად და სხვა ხარჯებისათვის, ძირითად საქმიანობის აღრიცხვაში კრედიტდება შესაბამისი ფულადი სახსრების ან ბანკის სესხის ანგარიშები 79—1 სუბანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით. ერთდროულად ნაჩვენები სუბანგარიში კრედიტდება კაპიტალური დაბანდებისათვის განკუთვნილი საქონალური დანიშნულების, ფონდების მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლის სახსრების აღრიცხვის ანგარიშთა დებეტთან კორესპონდენციით. დასაშვებია, აგრეთვე კაპიტალური დაბანდების დაფინანსების წყაროთა გადაცემის ოპერაციათა ასახვა 79 ანგარიშის გარეშე.

კაპიტალური დაბანდების აღრიცხვაში (კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასთან) 79—1 სუბანგარიში კრედიტდება ფულადი სახსრების ან მატერიალური ფასეულობის აღრიცხვის ანგარიშთა დებეტთან კორესპონდენციით. ერთდროულად 79 ანგარიშის დებეტში 93 ანგარიშ-

თან კორესპონდენციით აისახება დაფინანსების შესაბამისი წყაროს წარმოქმნა.

კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაზე მასალის გაცემა (შეძენილი საბრუნავი საშუალებების ანგარიშიდან) განკუთვნილი კაპიტალური დაბანდებასთან დაკავშირებულ სამუშაოებისათვის, რაც ბანკის მიერ ფინანსდება საერთო საფუძველზე, ძირითად საქმიანობაში განიხილება, როგორც გარეთ რეალიზაცია და 79—1 სუბანგარიშზე არ აისახება.

79—2 სუბანგარიშზე აღირიცხება ცალკე ბალანსზე გამოყოფილი საწარმოო ერთეულებთან და მეურნეობებთან შიდასაბალანსო ანგარიშ-სწორებანი, კერძოდ, მატერიალური ფასეულობის ურთიერთ გაცემის; პროდუქციის რეალიზაციის; საერთო სამმართველო ხარჯების გადაცემის; ამ მეურნეობათა მუშაკებზე ხელფასის გაცემის ოპერაციები და ა. შ. დასახელებულ სუბანგარიშზე აისახება, აგრეთვე, ანგარიშსწორებანი კაპიტალური რემონტის, ძირითადი ჯოგის ფორმირების, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების და სხვა მიზნობრივი დაფინანსების წყაროთა მიხედვით, თუ ისინი კი არ გადაეცემიან ცალკე ბალანსზე გამოყოფილ საწარმოო ერთეულებსა და მეურნეობებს შიდა ბალანსზე, არამედ აღირიცხებიან გავრთიანების, საწარმოს საერთო ბალანსზე. დანახარჯი აღნიშნულ საწარმოო ერთეულებისა და მეურნეობის დაფინანსების დათქმულ წყაროთა ხარჯზე, ასევე აისახება შიდასამეურნეო ანგარიშსწორებით.

გავრთიანების, საწარმოების (ორგანიზაციების) ბალანსებში ცალკე ბალანსზე გამოყოფილ საწარმოო ერთეულებთან და მეურნეობებთან ანგარიშსწორებანი არ აისახება.

ანგარიში 79 „შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

ღებები

კრედიტი

05 მასალები	03 კაპიტალური რემონტი
06 სათბობი	05 მასალები
07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა	06 სათბობი
08 სათადარიგო ნაწილები	07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი	08 სათადარიგო ნაწილები
10 თვალ და საკვები	09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი
12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები	10 თვალ და საკვები
15 მატერიალური ფასეულობის დამზადება და შექმნა	12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
16 სტრანსპორტო-დამზადების ხარჯები	15 მატერიალური ფასეულობის დამზადება და შექმნა
20 ძირითადი წარმოება	16 სტრანსპორტო-დამზადების ხარჯები
21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები	20 ძირითადი წარმოება
23 დამხმარე წარმოებანი	21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები

- 24 მანქანებისა და მიწყობილობის შე-  
ნახვისა და ექსპლუატაციის ხარ-  
ჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურ-  
ნეობანი
- 41 საქონელი
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულე-  
ბული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალი-  
ზაციიდან
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური და-  
ბანდების სახსრებისათვის
- 55 დანაშენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებ-  
თან და მოიჯარებთან
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 სწავლისწორებანი ფაქტობრივით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდე-  
ბულ პარტთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დები-  
ტორებთან და კრედიტორებთან
- 80 მოგება და ზარალი
- 86 ანგარიშსწორების ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირება ფონ-  
დები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონ-  
დები
- 91 სპეციალური სასესო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინ-  
ანსება
- 96 მიზნობრივ დაფინანსება და მიზ-  
ნობრივი შემოსავალი
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შე-  
ნახვისა და ექსპლუატაციის ხარჯე-  
ბი
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურ-  
ნეობანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 35 ძირითადი ჯოგის ფორმირება
- 41 საქონელი
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულე-  
ბული სამუშაოები და მომსახურე-  
ბა
- 46 რეალიზაცია
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღა-  
ურებით
- 73 ანგარიშსწორებანი მუშენსა და მო-  
სამსახურებთან სხვა ოპერაციებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დე-  
ბიტორებთან და კრედიტორებთან
- 80 მოგება და ზარალი
- 82 ბანკის კრედიტის გამოყენება მოგე-  
ბის და ფონდების ანგარიშზე
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონ-  
დები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონ-  
დები
- 91 სპეციალური სასესო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინან-  
სება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზ-  
ნობრივი შემოსავალი



## VII ბ ა ნ ა უ ო ფ ი

### ფინანსური შედეგები და მოგების გამოყენება

ამ განყოფილის ანგარიშებზე აღირიცხება მოგება და ზარალი, მომავალი საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალი, სახსრების გამოყენება მოგების ანგარიშში მათი კუთვნილებისამებრ ჩამოწერამდე (მოგების განაწილების წესით და ა. შ.), აგრეთვე ბანკის კრედიტის გამოყენებული სახსრები, რომელიც დაფარვას ექვემდებარება მოგების ან ფონდების ანგარიშზე.

მოქმედი ინსტრუქციებისა და დებულებების თანახმად, მოგების ანგარიშში გამოყენებული სახსრები, ჩამოიწერება მისი განაწილების წესით. აღირიცხავს ალბულის ბანკის კრედიტის გამოყენებული თანხა, რომელიც უნდა დაიფაროს მოგებისა და ფონდების ანგარიშში, ჩამოიწერება ამ კრედიტების დაფარვის მიხედვით.

#### ანგარიში სი „მოგება და ზარალი“

80 ანგარიშზე აღირიცხება საწარმოების (ორგანიზაციების) სამეურნეო საქმიანობის ფინანსური შედეგები, ე. ი. მოგება ან ზარალი მიღებული პროდუქციის, საქონლის, სამუშაოების და მომსახურების რეალიზაციიდან, აგრეთვე შემოსავალი და დანაკარგები, რაც მოქმედი დებულების შესაბამისად წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებში არ შეიტანება.

80 ანგარიშის დებუტში აისახება საწარმოს (ორგანიზაციის) ზარალი, ხოლო კრედიტში — მოგება. საანგარიშგებო პერიოდში დებუტისა და კრედიტის ბრუნვათა შეპირისპირება გვიჩვენებს საბოლოო ფინანსურ (მოგების ან ზარალის) შედეგს, რომელიც ექვემდებარება ბალანსში განსაკუთრებული მუხლით ასახვას. 80 ანგარიშზე ასახვას პოულობს:

მზა პროდუქციის, ჩაბარებული სამუშაოების და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული მოგება ან ზარალი (გადაზიდვების, მომსახურების საექსპედიციო ოპერაციების, ავტომანქანების, საოჯახო მოხმ-

რების საგნების გაქირავების და სხვა მომსახურების ჩათვლით და ა. შ.), აგრეთვე, მატერიალური ფასეულობის რეალიზაციიდან — 46 „რეალიზაციის“. 49 „შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან“ და სხვა ანგარიშებთან კორესპონდენციით;

მომარაგების, გასაღებისა და სავაჭრო ორგანიზაციებში 80 ანგარიშზე აღირიცხება საქონლისა და ტარის რეალიზაციიდან და შიდასისტემური გაცემიდან მიღებული საერთო შემოსავალი, რომელიც ამ ანგარიშზე წლის ბოლოს ჩამოიწერება. ერთდროულად, 80 ანგარიშის დებეტში 44 ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით ჩამოიწერება რეალიზებული საქონლის ხვედრი მიმოქცევის ხარჯები; ჩამოწერა წარმოებს წლის ბოლოს. წლის ბოლომდე მომარაგების, გასაღებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ფინანსური შედეგები აღირიცხება შესაბამისად — 44, 46, 47 ანგარიშებზე. ხოლო ბუღალტრულ ბალანსებში უჩვენებენ მუხლებით „საანგარიშგებო წლის მოგება“ და „საანგარიშგებო წლის ზარალი“ 80 ანგარიშის თანხებთან ერთად შეკვეცილი სახით, ბუღალტრულ გატარების გარეშე.

მოაჯარე სამშენებლო, სამონტაჟო და სხვა ორგანიზაციებში საანგარიშსწორებო წელს გამოვლინებული ზარალი, საანგარიშგებო წლამდე ჩაბარებული სამუშაოების მოცულობაში მიწერებისა და შეფასებების გადიდებასთან დაკავშირებით, აისახება ფულადი სახსრების ან შესაბამის ანგარიშსწორებათა სლრიცხვის ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით (საანგარიშგებო წელს ჩაბარებულ სამუშაოებით კორექტირდება სამუშაოთა ჩაბარებიდან ამონაგები 46 „რეალიზაციის“ ანგარიშის კრედიტის მიხედვით);

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ექსპლუატაციიდან მიღებული მოგება 29 „მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით (საბინაო-კომუნალური მეურნეობის ექსპლუატაციიდან მიღებული ზარალი ნაზღაურდება მოგებიდან მისი გამოყენების წესით);

მომარაგების, გასაღებისა და სავაჭრო ორგანიზაციების მომსახურე წარმოებებისა და მეურნეობების (საბინაო კომუნალურის გარდა) შემოსავლის გადამეტება გასავალზე ან გასავლისა შემოსავალზე 29 „მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი“ ანგარიშთან კორესპონდენციით;

შემოსავალი ღროებით გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების იჯარით გაცემიდან (ფულადი სახსრების ან შესაბამისი ანგარიშსწორებათა აღრიცხვის ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით), აგრეთვე, ამ ძირითად საშუალებათა ამორტიზაციის ანარიცხები 86 „ამორტიზაციის ფონდის“ ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით. საბინაო-კომუნალური მეურნეობის შემადგენლობაში შემავალი შენობების, სადგომების

იჯარით` გაცემის შედეგები მოცემულია მოგების ან ზარალის საერთო თანხაში;

დებიტორული დავალიანების დასაფარავად მიღებული თანხა, რომელიც გასულ წლებში ზარალში იყო ჩამოწერილი, როგორც ამოსაღებად უიმედო-ფულადი სახსრების აღრიცხვის ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით;

მისჯილი ან მოვალის მიერ ცნობილი ჯარიმები, საურავი და პირგასამტეხლო თანხა, სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, მათ შორის ვაგონების, გემების დატვირთვის, გადმოტვირთვის მიხედვით და ა. შ. საანგარიშსწორებო საბუთების დაგვიანებით განაღდებისათვის, გადახდის მოთხოვნის აქცეპტზე უსაფუძვლოდ უარის თქმისათვის, აგრეთვე ხელშეკრულებების შეუსრულებლობისათვის ზარალის ასანაზღაურებლად მიღებული ან გადახდილი თანხები — ანგარიშსწორების, ან ფულადი სახსრების აღრიცხვის ანგარიშთან დებეტთან ან კრედიტთან კორესპონდენციით. როდესაც ჯარიმები, საურავი და პირგასამტეხლო თანხა ზედნადებ ან მსგავსი ხარჯების შემადგენლობაში აისახება, მაშინ 80 ანგარიშს მიეკუთვნება მიღებული ჯარიმების, საურავის და პირგასამტეხლო თანხის გადამეტება გადახდილთან შედარებით;

მოიჯარე სამშენებლო, სამონტაჟო. გეოლოგიურ ორგანიზაციებში და მშენებლობებზე, სადაც სამუშაოები სამეურნეო წესით ხორციელდება, აგრეთვე, მრეწველობის საქარხნო საწყობებში ინვენტარიზაციისას გამოვლინებული მატერიალური ფასეულობის ზედმეტობა მათ დანაკლისებთან შედარებით, რაც წარმოების ხარჯზეა მიკუთვნებული, — მატერიალური ფასეულობის აღრიცხვის ანგარიშებთან კორესპონდენციით;

სამუშაოების საიჯარო წესით შემსრულებელი მენაშენების საწყობებში მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციისას გამოვლინებული ზედმეტობა ან დანაკლისი — მატერიალური ფასეულობის აღრიცხვის ანგარიშებთან კორესპონდენციით;

საანგარიშგებო წელს გამოვლინებული გასული წლების მოგება, კერძოდ, მიმწოდებლებისაგან მომსახურებისა და მატერიალური ფასეულობის გადაანგარიშებით შემოსული თანხები, რაც გასულ წელსაა მიღებული და დახარჯული; მყიდველებისაგან, შემკვეთებისაგან მიღებული თანხები, გასულ წელს რეალიზებული პროდუქციის გადაანგარიშებით და სხვ. — ფულადი სახსრების ან ანგარიშსწორების აღრიცხვის შესაბამის ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით (მოიჯარე, გეოლოგიურ და სხვა ორგანიზაციებში შემკვეთებისათვის საანგარიშგებო წლამდე ჩაბარებული სამუშაოდან მიღებული მოგება განიხილება, როგორც მოგება სამუშაოთა ჩაბარებისათვის, და აისახება 46 „რეალიზაციის“ ანგარიშთან კორესპონდენციით).

მოგება ტარის ოპერაციებიდან. ამ მუხლს მიეკუთვნება განსხვავება ახალი ტარის საპრეინსურანტო ფასსა და ჩაბარების ფასს შორის მყიდველებისაგან ტარის დაბრუნებისას: განსხვავება საგირავნო ღირებულებასა და ფაქტობრივ თვითღირებულებას შორის (ან ანაზღაურებულ ღირებულებით მყიდველებისაგან უკან დაბრუნებისას) პროდუქციის მიმწოდებლის მიერ ტარის შემოსავალში აღებულს, რომელზედაც დადგენილია საგირავნო ფასები; განსხვავება ტარის ღირებულებაში, ტარი-სა და ტარამასალის ჩაბარებისას ტარის დამაგროველ ორგანიზაციაზე (ნაყიდობის ფასებს ზევით); პროდუქციის მიმწოდებელზე მრავალბრუნ-ვადი ტარის რემონტთან და ცვეთასთან დაკავშირებული ასანაზღაურე-ბელი თანხა.

სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალი (ხანძრისაგან, წყალ-დიდობისაგან, გრიგოლისაგან და ა. შ.). ასეთ ზარალს მიეკუთვნება: გა-ნადგურებული ან გაფუჭებული საწარმოო მარაგის, საქონლისა და სხვა ფასეულობის ღირებულება (გარდა ძირითადი საშუალებებისა); დაღუპული ნათესის ხარჯები; სტიქიური უბედურების შედეგების ლიკ-ვიდაცეასთან დაკავშირებული ხარჯები; მიღებული ლითონის ჭართის, სათბობისა და სხვა მასალის ღირებულების გამოკლებით; სტიქიური უბედურებით გამოწვეული მოცდენების დანაკარგები: სტიქიურ უბე-დურებათა თავიდან აცილების ღონისძიებასთან დაკავშირებული ხარ-ჯები. ძირითადი საშუალებების განადგურებიდან, დაღუპვისაგან ან გა-ფუჭებისაგან მიღებული დანაკარგები მიეკუთვნება საწესდებო ფონ-დის შემცირებას. სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის თან-ხა — მატერიალური ფასეულობის, შრომის ანაზღაურების ანგარიშს-წორების, ფულადი სახსრების და სხვ. ანგარიშთა აღრიცხვის კრედიტი-დან 80 ანგარიშის დებეტს მიეკუთვნება;

საწარმოთა (მშენებლობის ობიექტების) შენახვის ხარჯები მათი კონსერვაციის დროის განმავლობაში, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა-თა შესაბამისად.

როდესაც ამ ხარჯებისათვის არაა გათვალისწინებული სპეციალური დაფინანსება, — 05 „მასალების“, 06 „სათბობი“, 70 „ანგარიშსწორება შრომის ანაზღაურებით“ და ა. შ. ანგარიშების კრედიტთან კორესპონ-დენციით. სპეციალური დაფინანსება ხსენებულ ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე ფაქტობრივი ხარჯები ამ დაფინანსების ანგარიშში აღრიცხება 90 „მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავლის“ ანგარიშზე;

ზარალი, უიმედობისა და საძიებელი ხანდაზმულობის ვადის გასვ-ლის გამო დებიტორული დავალიანების ჩამოწერით — სათანადო ანგა-რიშსწორებათა აღრიცხვის ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენცი-ით;

ზარალი ადრე მისჯილი დანაკლისებისა და დატაცების დავალიანების

დადგენილი წესით ჩამოწერით, რომელთა აღმასრულებელი საწესებო  
დაბრუნებულია მოქალაქის ქონებაზე სასამართლოს მიერ დამტკიცებუ-  
ლი აქტით გადახდევინების მიქცევის შეუძლებლობის გამო, აგრეთვე  
სხვადასხვა მიზეზით ჩამოწერილი დანაკლისების და დატაცების დავალიან-  
ება 72 „ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ახაზღაურებით“  
ან 84 „დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობათა გაფუჭებით“ ანგა-  
რიშების კრედიტთან კორესპონდენციით (იხილეთ განმარტება აღნიშ-  
ნულ ანგარიშებზე);

ზარალი დანარჩენი დებიტორული დავალიანების დადგენილი წესით  
ჩამოწერიდან მოვალეთა გადახდისუუნარობის გამო (გარდა დახაკლისე-  
ბისა და გაფლანგვების დავალიანებისა) — შესაბამისი ანგარიშსწორების  
აღრიცხვის ანგარიშთა კრედიტთან კორესპონდენციით;

ზარალი დანარჩენი ვალების ჩამოწერიდან, რომელთა ძილება სა-  
წარმოს (ორგანიზაციის) მიერ უიმედოდაა ცნობილი და ამიტომაც ჩა-  
მოწერილია ბუღალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ დე-  
ბტულებით დადგენილი წესით ანგარიშსწორებათა ანგარიშებთან კორეს-  
პონდენციით;

ზარალი გასული წლების ოპერაციებით, რაც საანგარიშგებო წელს  
გამოვლინდა, და რომლის გასულ წლებზე მიკუთვნება დადასტურებუ-  
ლია სათანადო საბუთებით (შეკვეთებით გამოწვეული დამატებითი ხარ-  
ჯები, რომელთა ანგარიშსწორება დამთავრებულია გასულ წლებში,  
მყიდველებთან ანგარიშსწორებით თანხის დაბრუნება გასულ წლებში  
განადღებული პროდუქციისათვის და სხვა მსგავსი თანხები) — ფულადი  
სახსრებისა და ანგარიშსწორებათა ანგარიშებთან კორესპონდენციით.  
გასული წლების ზარალს არ მიეკუთვნება უიმედო დებიტორული და-  
ვალიანების ჩამოწერით გამოწვეული ზარალი, მიუხედავად მისი წარ-  
მოქმნის დროისა. ინვენტარიზაციისას გამოვლინებული მატერიალური  
ფასეულობის დანაკლისის, ჯარიმების, საურავისა და პირგასამტეხლო  
თანხის ჩამოწერა ყველა შემთხვევაში განიხილება, როგორც საანგარიშ-  
გებო წლის ზარალი. გასულ წლებში წარმოებული პროდუქციის წუნით  
გამოწვეული დანაკლისი არ განიხილება, როგორც გასული წლების ზა-  
რალი, რამდენადაც ხაერთო წესის საფუძველზე ეს ხარჯები შეტანილ  
უნდა იქნეს საანგარიშგებო წლის წარმოების ხარჯებში;

მოიჯარე ორგანიზაციების ზარალი, წარმოქმნილი ზედმეტი მოწყო-  
ბილობის უსასყიდლოდ გადაცემიდან და რეალიზაციიდან — შესაბამი-  
სად ანგარიშსწორებათა ანგარიშების და 46 ანგარიშის „რეალიზაციის“  
კრედიტთან კორესპონდენციით;

ზარალი არასრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებების ლიკ-  
ვიდაციიდან (გარდა ისეთისა, რომლის ზარალი ჩამოიწერება საწესდებო  
ფონდის შესამცირებლად — იხილეთ 85 ანგარიშის განმარტება) — 85  
ანგარიშის „საწესდებო ფონდის“ კრედიტთან კორესპონდენციით;

დანაკარგები გაუქმებული საწარმოო შეკვეთებით, რომელიც დადგენილი წესით ზარალში ჩამოიწერება, შემკვეთების მიერ ანაზღაურებული დანაკარგებისა და გამოყენებული მატერიალური ფასეულობის ღირებულების გამოკლებით — 20 „ძირითადი წარმოების“ და 13 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთის“ და სხვა ანგარიშთა კრედიტთან კორესპონდენციით;

წლის დასაწყისიდან ელექტროენერგიისათვის ტარიფებიდან მიღებული დათმობის თანხის გადამეტება ელექტროდანადგარებში რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციისათვის, ელექტროენერგიაზე ტარიფებთან დამატებით გადახდილთან შედარებით, იმ თანხის გამოკლებით, რაც დადგენილი წესით მიმართულია ელექტროდანადგარებში რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციის დონის გადიდებისათვის, აგრეთვე, მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის პრემიების თანხისა ელექტროდანადგარებში რეაქტიული სიმძლავრის დონის ამაღლებისათვის — წარმოების ხარჯების აღრიცხვის ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით; ზარალი ტარის ოპერაციებიდან. ამ მუხლს მიეკუთვნება უკანდასაბრუნებელი მრავალბრუნვადი ტარის რემონტის ხარჯები, აგრეთვე ბუნებრივი ცვეთის შედეგად მწყობრიდან გამოსული ტარის ღირებულება და ა. შ.

სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით საბითუმო და საცალო ფასების შემცირებასთან დაკავშირებით, შენობრმატიული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთების ჩამოფასება 14 „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა გადაფასების“ ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით.

მენაშენები 80 ანგარიშზე აღრიცხავენ მოწყობილობის, მატერიალური ფასეულობისა და სხვა სახის მომსახურების გარეთ რეალიზაციიდან, დებეტორული დავალიანების ჩამოწერიდან მიღებულ და სხვა ზარალს, დამნაშავე პირებზე მიკუთვნებული ზარალის გამოკლებით; ზარალი მატერიალური ფასეულობის ვაფუჭებითა და სტიქიური უბედურების შედეგად მშენებლობის დაუმთავრებელი შენობებისა და ნაგებობების დანგრევით გამოწვეული, დამნაშავე პირებსა და ორგანიზაციებზე გადასახდელად წარდგენილი თანხების გამოკლებით; მენაშენის ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციით მიღებული ზარალი, გარდა იმ ძირითადი საშუალებებისა, რაც გასულია სტიქიური უბედურების შედეგად. ჩამოვლილი ზარალი შეიტანება მოქმედებაში შესაყვანი ობიექტების ინვენტარულ ღირებულებაში კაპიტალური დაბანდების აღრიცხვის ძირითადი დებულებებით დადგენილი წესით.

მენაშენის ძირითადი საშუალებების ზარალი, რაც წარმოქმნილია სტიქიური უბედურების შედეგად, მიეკუთვნება დანარჩენ ჩამოწერებს და აღსახება 33 „კაპიტალური დაბანდება“ ანგარიშზე, როგორც დანარ-

ჩენი ჩამოწერები. წლიური ანგარიშების შედგენისას მენაშენის მიერ კაპიტალური მშენებლობის ხარჯებში (ობიექტების საინვენტარო ღირებულებაში შესატანად) ჩამოწერილი ზარალის თანხა აისახება 80 ანგარიშის კრედიტში 33 ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით. მენაშენებს კაპიტალური დაბანდების წლიურ ანგარიშგებასა და ბალანსებში ზარალის თანხა არ უნდა ქონდეთ.

მენაშენები მატერიალურ ფასეულობის და მომსახურების გარეთ რეალიზაციიდან მიღებული შოგების, აგოეთვე მისჯილ და შოვალის მიერ აღიარებული ჭარიშების, საურავეების და პირსაგაძტეხლო თანხას, რაც მიმართულია კაპიტალური დაბანდების დაფინანსების წყაროების შემადგენლობაში, მენაშენები (წლიური ანგარიშგების დამტკიცების შემდგომ წელში) ასახავენ 80 ანგარიშის დებეტში და 93 „კაპიტალური დაბანდების“ დაფინანსების ანგარიშის კრედიტში.

მოგებისა და ზარალის ანალიზური აღრიცხვა წარშოებს შესაბამისი საქმიანობის წლიური ანგარიშგებით გათვალისწინებული მოგებისა და ზარალის მუხლების მიხედვით.

ანგარიში №1 „მოგება და ზარალი“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დეპეტიო

კრედიტიო

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 მკირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გადაფასება
- 20 ძირითადი წარშოება
- 21 საკუთარი წარშოების ნახევარფაბრიკატები
- 23 დამსმარე წარშოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის მანახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 28 წუნი წარშოებაში
- 29 მომსახურე წარშოებანი და მეურნეობანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 35 ძირითადი ჭოგის ფორმირება
- 40 მზა პროდუქცია
- 41 საქონელი
- 42 სავაქრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი
- 44 მიმოქცევის ხარჯები

- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 10 თესლი და საკვები
- 12 მკირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა გადაფასება
- 20 ძირითადი წარშოება
- 23 დამსმარე წარშოებანი
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარშოებანი და მეურნეობანი
- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 41 საქონელი
- 42 სავაქრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 45 გავზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 47 საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შიდასისტემური გაცემა
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- 50 საღარი
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები

- 46 რეალზაცია
- 47 საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების წილსიტყვიერი გაცემა
- 49 შექმნილი მომსახურების რეალიზაციიდან
- 50 სალოლო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ავანით
- 62 ანგარიშსწორებანი აყიდვებთან და შემყვეთებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-ლორსო კოოპერაციით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებში
- 73 ანგარიშსწორებანი მუშებსა და მოსამსახურებთან სხვა ოპერაციებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 79 შილსამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 81 მოგების გამოყენება
- 84 დანაკლისები და დანაკარგები თასეულობის გაფუჭებიდან
- 85 საწესდებო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 93 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემყვეთებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა შორისო კოოპერაციით
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 79 შილსამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 83 მომავალი პერიოდის შემოსავალი
- 84 დანაკისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 85 საწესდებო ფონდი
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში

ანგარიში 81 „მოგების გამოყენება“

81 ანგარიშზე აღირიცხება საწარმოს (ორგანიზაციის) ბრუნვიდან ამოღებული მოგება, ე. ი. მისი გამოყენება (განაწილება). მოცემულ ანგარიშზე აღირიცხვა ორგანიზებული უნდა იქნეს ხაფინანსო გეგმიდან გამომდინარე მოგების გამოყენების მიმართულების მიხედვით.

81 ანგარიშს აქვს ორი სუბანგარიში:

81—1 „გადასახდლები ბიუჯეტში მოგებიდან“

81—2 „მოგების გამოყენება სხვა მიზნებისათვის“



81—1 სუბანგარიშზე აისახება: ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების გადასახდელი, ფიქსირებული (სარენტო) გადასახდელი, მოგებიდან ბიუჯეტში ანარიცხების შენატანები. მოგების ანგარიშზე ბიუჯეტში გადასახდელთა ოდენობისა და შეტანის წესი განსაზღვრულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციებით.

81—1 სუბანგარიშის დებეტში აღრიცხება წლის განმავლობაში ბიუჯეტში წარმოებული გადასახდელები და შენატანები — ფულადი სახსრების აღრიცხვის ანგარიშებთან კორესპონდენციით. მოგების განაწილების გაანგარიშების დამტკიცების შემდეგ (ბალანსის რეფორმაციის წესით) ნაჩვენებ სუბანგარიშზე აღრიცხული თანხა—81—1 სუბანგარიშის კრედიტიდან 68 „ანგარიშსწორება ბიუჯეტთან“ ანგარიშის დებეტში ჩამოიწერება. ერთდროულად 68 ანგარიში კრედიტდება 80 „მოგება და ზარალის“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით, წლიური გაანგარიშებით ბიუჯეტის კუთვნილი თანხით.

81—2 სუბანგარიშზე აისახება ბანკის კრედიტისათვის გადახდილი პროცენტები; ანარიცხები ეკონომიკური სტიმულირების და სპეციალური დანიშნულების ფონდებში, ანარიცხები მატერიალური წახალისების ფონდში, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში, წარმოების განვითარების, საწარმოს (ორგანიზაციის) ფართო მოხმარების ფონდებში; მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიან ფონდში და სხვა სპეციალურ ფონდებში; სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მინიჭებული პრემიები; ზეგეგმური მოგებიდან 30%-მდე ან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებიდან მიღებული ეკონომიის ანარიცხები განკუთვნილი საბინაო მშენებლობისათვის, ბანკში მოგებიდან შენატანები კაპიტალური მშენებლობისათვის; დადგენილი წესით საწარმოებისათვის (ორგანიზაციებისათვის) ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად სამინისტროს ან უწყების რეზერვში გადარიცხული თანხები; საფინანსო გეგმით გათვალისწინებული საბინაო-კომუნალური მეურნეობის ექსპლუატაციის ზარალი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პიონერთა ბანაკების სამეურნეო შენახვის ის ხარჯები, რაც მოგების განაწილების წესით იფარება და ა. შ.

ჩანაწერები 81—2 სუბანგარიშის დებეტში წარმოებს შემდეგი ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით; 87, 88 და 96 — ეკონომიკური სტიმულირების ფონდების, სპეციალური ფონდებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახსრების შექმნისას მოგების ანგარიშში; 51 და სხვა ანგარიშების ფულადი სახსრების აღრიცხვის მოგებიდან კაპიტალური დაბანდების დაფინანსებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად სამინისტროს რეზერვში კუთვნილი თანხის გადასარიცხავად; 90 — ბანკის მიერ საბანკო კრედიტისათვის დარიცხული პროცენტების

მიხედვით: 29 — საბინაო-კომუნალური მეურნეობის ექსპლუატაციიდან მიღებული ზარალის ანაზღაურების თანხით; 96—კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და პიონერული ბანაკების შენახვის ხარჯების ანაზღაურებისას; 82 — დაგროვების ხარჯზე განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის მიღებული ბანკის კრედიტის დაფარვის თანხით.

81—2 სუბანგარიშზე რიცხული თანხის ჩამოწერა წარმოებს მოგების განაწილების გაანგარიშების დამტკიცების შემდეგ (ბალანსის რეფორმაციის წესით) 81 ანგარიშის კრედიტიდან 80 ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით.

მოგების გამოყენების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს თითოეული სახის ანარიცხების, შენატანების, გადასახდელების, ამოღებათა ან განყენებათა მიხედვით.

**ანგარიში 81 „მოგების გამოყენება“**

**ეკორესპონდენტება ანგარიშებს:**

**დ ე ბ ე ტ ი თ**

**კ რ ე დ ი ტ ი თ**

- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 46 რელიზაცია
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 82 ბანკის კრედიტის გამოყენება მოგებისა და ფონდების ანგარიშზე
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 80 მოგება და ზარალი

**ანგარიში 82 „ბანკის კრედიტის გამოყენება მოგებისა და ფონდების ანგარიშზე“**

82 ანგარიშზე აღრიცხება სპეციალური ღონისძიებებისათვის მიღებული ბანკის გამოყენებული კრედიტის თანხა, რომელიც დადგენილი წესის მიხედვით იფარება მოგების, საწარმოს (ორგანიზაციის) შესაბამისი ფონდების ან მიზნობრივი დაფინანსების ანგარიშზე.

ბანკის გამოყენებულ სესხად ითვლება ნასესხი სახსრები, რომლებიც მიღებულია კაპიტალური დაბანდებისათვის ნაცვლად საბიუჯეტო და-

ფიზანსების, ახალი ტექნიკის, მექანიზაციის დანერგვის და წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების ღონისძიებისათვის; საწარმოო პროცესების რაციონალიზაციისა და ინტენსიფიკაციისათვის, აგრეთვე სახალხო მოხმარების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქონლის წარმოების ორგანიზაციისა და გაფართოებისათვის; ძირითადი ჯოგის ფორმირების ხარჯებისათვის,

82 ანგარიშის დებეტის ჩანაწერები გამოყენებული კრედიტის თანხით, რაც მიღებულია ბიუჯეტური დაფინანსების ნაცვლად (ანგარიშსწორება ხორციელდება ძირითადი საქმიანობის მიხედვით), ეკორესპონდენტება „ბანკის გრძელვადიანი კრედიტების“ 92 ანგარიშის კრედიტს.

ანალოგიური წესით წარმოებს ჩანაწერები გამოყენებული კრედიტის თანხით, რაც მიღებულია ახალი ტექნიკის, მექანიზაციის და წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, საწარმოო პროცესების რაციონალიზაციისა და ინტენსიფიკაციის, სახალხო მოხმარების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქონლის წარმოების ორგანიზაციისა და გაფართოების ღონისძიებათა განხორციელებისათვის, როდესაც ჩამოვლილი ღონისძიებანი კაპიტალური დაბანდების ხასიათისაა. გამოყენებული კრედიტის თანხა, მიღებული მსგავსი ღონისძიებებისათვის, რომლებიც არ ატარებს კაპიტალური დაბანდების ხასიათს, ტარდება 82 ანგარიშის დებეტში, 96 „მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლის“ ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენტით.

გამოყენებული, მაგრამ წლის ბოლოსათვის დაუფარავი მოკლევადიანი კრედიტის თანხა, რაც მიღებულია ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯების დაფინანსებისათვის და გადაფორმებულია ვადიანი ვალდებულებით შემდგომ წელს დასაფარავად, აისახება 82 ანგარიშის დებეტში, 94 „ძირითადი ჯოგის ფორმირების დაფინანსების“ ანგარიშის კრედიტთან. ჩანაწერი წარმოებს წლის ბოლოს სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებების მიერ გაფორმებული ვადიანი ვალდებულების საფუძველზე, მომავალ პერიოდში ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯების კრედიტის დაფარვის ვადის გათვალისწინებით.

82 ანგარიშის დებეტში რიცხული თანხა ზემოხსენებული მიზნებისათვის მიღებული, კრედიტის დაფარვის კვალობაზე ჩამოიწერება შემდეგი ანგარიშების დებეტში: 81 „მოგების გამოყენება“, თუ კრედიტი მოგების ხარჯზე იფარება; 87 „ეკონომიკური სტიმულირების ფონდები“ და 88 „სპეციალური დანიშნულების ფონდები“, თუ კრედიტი იფარება შესატყვისი ფონდების ხარჯზე; 96 „მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი“, თუ კრედიტი იფარება მიზნობრივი დაფინანსების სახსრების ხარჯზე და სხვ.

ანგარიში 82 „ბანკის კრედიტის გამოყენება მოგებისა და ფონდების ანგარიშზე.

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

79 შილასამეურნეო ანგარისშსწორებანი  
90 ბანკის მოკლევადიანი სესხი  
92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები  
94 ძირითადი ჯოგის ფორმირების დაფინანსება  
96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

81 მოგების გამოყენება  
86 ამორტიზაციის ფონდი  
87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები  
88 სპეციალური დანიშნულების ფონდები  
92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები  
96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

ანგარიში 83 „მომავალი პერიოდის შემოსავალი“

83 ანგარიშზე აღირიცხება საანგარიშგებო პერიოდში მიღებული სახსრების მოძრაობა, რომელიც მომავალ საანგარიშგებო პერიოდს მიეკუთვნება: საიჯარო ან ბინის ქირა, კომუნალური მომსახურების გადასახდელი, სატვირთო გადაზიდვების ამონაგები, მგზავრების გადაყვანა თვიური ან კვარტალური ბილეთებით, სააბონენტო გადასახდელი კავშირგაბმულობის საშუალებათა სარგებლობისათვის, აგრეთვე, საანგარიშგებო პერიოდში წინა წლების დანაკლისით გამოვლინებული მოსალოდნელი შემოსავალი და სააღრიცხვო და საცალო ფასებს შორის განსხვავება დანაკლისის მიხედვით.

მომავალი პერიოდის შემოსავლის სახსრების მოძრაობა აღირიცხება შემდეგ სუბანგარიშებზე:

83—1 „მომავალი საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალი“,

83—2 „მოსალოდნელი შემოსავალი გასული წლების ოპერაციებით გამოვლენილი დანაკლისებით“,

83—3 „დანაკლისი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სააღრიცხვო და საცალო ფასებს შორის სხვაობით“.

83—1 სუბანგარიშის კრედიტში აისახება ფულადი სახსრების, დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის ანგარიშითა დებეტთან კორესპონდენციით მომავალი საანგარიშგებო პერიოდისათვის მისაკუთვნებელი შემოსავლის თანხები, ხოლო დებეტში გადარიცხული თანხა, შესაბამის ანგარიშებზე იმ საანგარიშო პერიოდის დადგომისას, რომელსაც ეს შემოსავალი მიეკუთვნება.

83—2 სუბანგარიშის კრედიტში 84 „დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობათა გაფუჭებით“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით აისახება ფასეულობათა დანაკლისის თანხები გამოვლინებული გასული პერიოდისათვის (საანგარიშგებო წლამდე), რომელიც მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ ცნობილია ან სასამართლო ორგანოების

მიერ მისჯილია გადასახდელად. ერთდროულად ნაჩვენები თანხით კრედიტდება 84 ანგარიში, 72 „ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით.

დანაკლისით გამოწვეული დავალიანების დაფარვის მიხედვით კრედიტდება 72 ანგარიში ფულადი სახსრების აღრიცხვის ანგარიშებთან კორესპონდენციით, ერთდროულად შემოსული თანხის 80 „მოგება და ზარალის“ ანგარიშის კრედიტში („საანგარიშგებო წელს გამოვლინებული გასული წლების მოგება“) და 83—2 სუბანგარიშის დებეტში ასახვით.

83—3 სუბანგარიშის კრედიტში 72 ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით აისახება განსხვავება დამნაშავე პირებისაგან სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დანაკლისისათვის ასანაზღაურებელ თანხასა და მათ ღირებულებას შორის სააღრიცხვო ფასებით. ეს განსხვავება შეტანილ უნდა იქნეს ბიუჯეტში. 72 ანგარიშის დავალიანების დაფარვის მიხედვით განსხვავების შესაბამისი თანხით დებეტდება 83—3 სუბანგარიში და კრედიტდება 68 ანგარიში.

მომავალი პერიოდის შემოსავლის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს მათი სახეების მიხედვით.

**ანგარიში 83 „მომავალი პერიოდის შემოსავალი“**

**ეკორესპონდენტება ანგარიშებს:**

**დებეტი**

**კრედიტი**

- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 46 რეალიზაცია
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- 50 სალარო
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჭარებთან
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 80 მოგება და ზარალი

- 42 სავაჭრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჭარებთან
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებეტორებთან და კრედიტორებთან
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან

**ანგარიში 84 „დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობათა გაფუჭებიდან“**

84 ანგარიშზე აისახება თანხების მოძრაობა დანაკლისების, დატაცებისა და ფასეულობათა გაფუჭების შედეგად დანაკარგებისა, რაც გამოვლინებულია მათი დამზადების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესში, მიუხედავად იმისა, მიეკუთვნებიან დანახარჯების თუ დამნაშავე პირების ანგარიშებს. ამავე ანგარიშზე აისახება ფულადი სახსრების დანაკლისები და დატაცება.

ფასეულობის დანაკარგები სტიქიური უბედურების შედეგად 84

ანგარიშზე არ აისახება. ასეთი დანაკარგები, ძირითადი საშუალებათა მიხედვით ზარალის გამოკლებით, მიეკუთვნება საანგარიშგებო წლის ზარალს.

84 ანგარიშზე აღრიცხული თანხა ჩამოიწერება ბუღალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ დებულებაში გათვალისწინებული წესით. ინვენტარიზაციისა და სხვა შემოწმებისას ფაქტობრივად არსებულ ფასეულობათა და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს შორის გამოვლინებული სხვაობები.

ფასეულობის დანაკლისი დადგენილი ნორმების ფარგლებში მიეკუთვნება წარმოების ან მიმოქცევის ხარჯებს; ფასეულობის დანაკლისი ნორმის ზევით, აგრეთვე ფასეულობის გაფუჭების შედეგად მიღებული დანაკარგები დაეწერება დამნაშავე პირებს; ფასეულობის დანაკლისი ნორმის ზევით და საქონლის, მასალის და პროდუქციის გაფუჭებით გამოწვეული დანაკარგები, როდესაც დადგენილი არაა დანაკლისისა და გაფუჭების კონკრეტული დამნაშავენი, ჩამოიწერება საწარმოს ან მიმოქცევის ხარჯებზე ბუღალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ დებულებით გათვალისწინებული წესით.

84 ანგარიშის დებეტში მოყვანილია:

დანაკლისის (დატაცებულის) ან მთლიანად გაფუჭებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მიხედვით — მათი ფაქტობრივი თვითღირებულება (მომარაგების, გასაღების, სავაჭრო ორგანიზაციებში — ღირებულება საცალო ფასებით, აღრიცხვის ამ ფასებით წარმოებისას);

დანაკლისის (დატაცებულის) ან მთლიანად გაფუჭებული ძირითადი საშუალებების მიხედვით — მათი ნარჩენი ღირებულება (პირვანდელი ღირებულება გამოკლებული დარიცხული ცვეთის თანხა);

ნაწილობრივად გაფუჭებული მატერიალური ფასეულობის — დანაკარგების განსაზღვრული თანხა;

გამოზრდასა და სუქებაზე მყოფი საქონლის დაცემის 09 ანგარიშზე აღრიცხული მათი ღირებულება.

დანაკლისის (დატაცების) და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა გაფუჭების ჩანაწერი წარმოებს დასახელებული ფასეულობის აღრიცხვის ანგარიშთა კრედიტიდან, ხოლო ძირითად საშუალებათა დანაკლისისა და გაფუჭების — 85 „საწესდებო ფონდის“ ანგარიშის კრედიტთან.

როდესაც მყიდველი მიმწოდებლისაგან საქონლის მიღებისას გამოავლენს დანაკლისს ან გაფუჭებას, მაშინ მყიდველი დანაკლისის თანხას ბუნებრივი დაკლების ნორმის ფარგლებში 60 ანგარიშის კრედიტიდან 84 ანგარიშის დებეტს მიაკუთვნებს, ხოლო ბუნებრივი კლების ნორმებს ზევით თანხას, რაც წარდგენილია მიმწოდებლების ან სატრანსპორტო ორგანიზაციების მიმართ 60 ანგარიშის კრედიტიდან 63 ანგარიშის დე-

ბეტს. არბიტრაჟის ორგანოების მიერ მიმწოდებლებისაგან ან სატრანსპორტო ორგანიზაციებისაგან დანაკარგი თანხის გადახდევინებაზე უარის თქმისას, ადრე 63 ანგარიშის დებეტში გატარებულის თანხა 84 ანგარიშზე ჩამოიწერება.

არბიტრაჟის ორგანოების მიერ მიმწოდებლებისაგან სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ბუნებრივი დაკლების ნორმებს ზევით დანაკლისის და დანაკარგის თანხის ამოღების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას მიმწოდებლის ბუღალტრულ აღრიცხვაში 51 ანგარიშის დებეტში და 46 ანგარიშის კრედიტში ადრე ასახული რეალიზაციის თანხა, სტორნირდება მყიდველის მიერ ამოღებული დანაკლისისა და დანაკარგების თანხით. ერთდროულად ნაჩვენები თანხა ჩვეულებრივი ჩანაწერით აისახება 51 ანგარიშის დებეტში და 76 ანგარიშის კრედიტში. მყიდველზე თანხის გადარიცხვისას 76 ანგარიში დებეტდება 51 ანგარიშის კრედიტიდან.

ასევე მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს ბრუნვათა სტორნირება 45 ანგარიშის დებეტისა და 40 ანგარიშის კრედიტის მიხედვით, 46 ანგარიშის დებეტისა და 45 ანგარიშის კრედიტის მიხედვით. ამრიგად, 46 ანგარიშზე აღდგენილი თანხა შემდგომ 84 ანგარიშის დებეტში ჩამოიწერება.

84 ანგარიშის კრედიტში აისახება შემდეგი ჩამოწერები:

ფასეულობის დანაკლისი და გაფუჭება ბუნებრივი დაკლების ნორმის ფარგლებში — მატერიალური ფასეულობის აღრიცხვის ანგარიშზე (როდესაც გამოვლენებულია დამზადებისას) ან წარმოების მიმოქცევის ხარჯებზე (როდესაც გამოვლენებულია შენახვისას ან რეალიზაციისას):

ფასეულობის დანაკლისი ნორმის ზევით, დანაკარგები გამოწვეული საქონლის გაფუჭებით, აგრეთვე, დატაცებული ფასეულობის — დამნაშავე პირების ანგარიშზე (დებეტი ანგარიში 72 „ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით“).

ფასეულობის დანაკლისი ნორმის ზევით და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებისაგან, როცა არ არის გამოვლენებული კონკრეტული დამნაშავენი და ნებადართულია დადგენილი წესით ჩამოსაწერად, — წარმოების ან მიმოქცევის ხარჯების ანგარიშზე;

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დანაკლისი და დატაცება, რომელთა გადახდევინებაზე სასამართლომ უარი თქვა ძიების დაუსაბუთებლობის გამო და დადგენილი წესით ნებადართულია ჩამოსაწერად — წარმოების ან მიმოქცევის ხარჯების ანგარიშზე.

84 ანგარიშის კრედიტში აისახება ამ ანგარიშის დებეტში აღრიცხვაზე მიღებული ოდენობისა და სიდიდის თანხები; ამასთან, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების ანგარიშზე ჩამოიწერება დანაკლისით, დატაცებით ან გაფუჭებით გამოწვეული საქონლო-მატერიალური ფასეუ-

ლობა ფაქტობრივი თვითღირებულებით. მომმარაგებელი, გამსაღებელი და სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებიც 84 ანგარიშის დებეტში ასახავენ აღნიშნული ფასეულობის ღირებულებას საცალო ფასებით, აკორექტირებენ მიმოქცევის ხარჯებზე ჩამოწრილ თანხას „42 ანგარიშიდან“ „სავაჭრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი“ დამატებითი ჩანაწერით დათმობის (დარიცხვის) იმ თანხით, რაც ასეთ საქონელზე მოდის.

დამნაშავე პირებს დანაკლისი ან დატაცებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება გადახდებამდე საცალო (ან სხვა) ფასებით. სხვაობა 72 ანგარიშზე რიცხული დანაკლისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულებასა (საცალო ფასებით) და 84 ანგარიშზე ასახული მათ ღირებულებას შორის, მიეკუთვნება 83 — „მომავალი პერიოდის შემოსავლის“ ანგარიშის კრედიტს. დამნაშავე პირისაგან, მათზე რიცხული თანხის გადახდის მიხედვით ნაჩვენები სხვაობა, განკუთვნილი ბიუჯეტში შესატანად, აისახება 68 „ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან“ ანგარიშის კრედიტში და 83 ანგარიშის დებეტში.

მიმდინარე წელს რევიზიით გამოვლინებული ფასეულობათა დანაკლისი, რომელიც გასულ პერიოდებს მიეკუთვნება და ცნობილია მატერიალური პასუხისმგებელი პირებისათვის ან დამნაშავე პირებისაგან გადახდევინების შესახებ არის სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილება, აისახება 84 ანგარიშის დებეტში და 83 „მომავალი პერიოდის შემოსავლის“ ანგარიშის კრედიტში. ერთდროულად ამ თანხებით დებეტდება 72 ანგარიში „ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით“ და კრედიტდება 84 ანგარიში. დავალიანების დაფარვის მიხედვით კრედიტდება 80 „მოგება და ზარალის“ ანგარიში და დებეტდება 83 ანგარიში.

ანგარიში 84 „დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობათა გაფუჭებით“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დებეტით

- 05 მასალები
- 06 საბოზო
- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი
- 10 თესლი და საკვები
- 12 ჰეორეფასიანი და სწრაფტყეობადი საგნები
- 20 ძირითადი წარმოება
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი

კრედიტით

- 15 მატერიალური ფასეულობათა დამზადება და შექმნა
- 16 სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით



- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 40 შპს პროდუქცია
- 41 საქონელი
- 42 ხავეჭრო დარიცხვა და ბრუნვის გა-  
ლასახადი
- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულე-  
ბული სამუშაოები და მომსახურება
- 50 სალარო
- 60 ანგარიშსწორებანი მომწოდებლებ-  
თან და მოიჯარეებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზ-  
ლაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდე-  
ბულ პირებთან
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური  
ზარალის ანაზლაურებით
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი  
მიმდინარე ოპერაციებით
- 80 მოგება და ზარალი
- 83 მომავალი პერიოდის შემოსავალი
- 85 საწესდებო ფონდი

- 80 მოგება და ზარალი
- 85 საწესდებო ფონდი
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადა-  
სახდელთა რეზერვი

## VIII ბ ა ნ ა ყ ო ზ ი

### ფონდები და რეზერვები

მოცემულ განაცხადში თავმოყრილია ისეთი ანგარიშები განკუთვნილი საწესდებო ან მსგავსი ფონდების; ამორტიზაციის ფონდის; ეკონომიკური სტიმულირებისა და სპეციალური დანიშნულების ფონდების; რეზერვების ოპერაციების ასახვისათვის.

საწესდებო ფონდი, ამორტიზაციის ფონდი, ეკონომიკური სტიმულირებისა და სპეციალური დანიშნულების ფონდები, აგრეთვე რეზერვები იქმნება და გამოიყენება მოქმედი დებულებების შესაბამისად.

ეკონომიკური სტიმულირებისა და სპეციალური დანიშნულების ფონდების ანგარიშზე ხარჯების გაწევა შეიძლება წარმოებულ იქნეს მხოლოდ ამა თუ იმ ფონდის თავისუფალი ნაშთის ფარგლებში, ხოლო იმ ფონდების მიმართ, რომელთა ცალკეულ ნაწილებს აქვთ სხვადასხვა დანიშნულება — მათი ამა თუ იმ ნაწილის ნაშთის ფარგლებში. ნაჩვენები ფონდების სახსრები ჩამოიწერება მათ ანგარიშში გაწეული ხარჯების განხორციელების მიხედვით.

### ანგარიში 85 „საწესდებო ფონდი“

საწარმოები (ორგანიზაციები) 85 ანგარიშზე აღრიცხავენ სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად მათთვის გამოყოფილი და საწესდებო ფონდის სახით მათზე მიმაგრებული საშუალებების მოძრაობას. საწარმოები (ორგანიზაციები), რომლებიც იმ ზემდგომი ორგანიზაციის წესდების საფუძველზე მოქმედებენ, რომლებზედაც მიმაგრებულია საწესდებო ფონდი, 85 ანგარიშზე ასახავენ ზემდგომი ორგანიზაციის მიერ მათთვის გამოყოფილ ძირითად და საბრუნავ საშუალებებს (ანგარიშსწორებათა წესით). ასეთ არასაწესდებო საწარმოებში (ორგანიზაციებში) 85 ანგარიშს ეწოდება „ანგარიშსწორებანი გამოყოფილი ძირითადი და საბრუნავი საშუალებებით“.

85 ანგარიშის კრედიტში აისახება:

საექსპლუატაციოდ მიღებული ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება — 01 „ძირითადი საშუალებების“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით;

ძირითადი ჯოგის ფორმირების წესით ძირითადი ფონდების შემადგენლობაში ჩარიცხული პირუტყვის ღირებულება — 01 „ძირითადი საშუალებების“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით;

უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი ან საბრუნავი საშუალებების ღირებულება — 01, 05, 12, 51 და ა. შ. ანგარიშებთან კორესპონდენციით.

გასული ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა — 02 „ძირითადი საშუალებების ცვეთის“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით;

ძირითადი ფონდების გასვლის შედეგად მიღებული მატერიალური ფასეულობის ღირებულება — 05, 06 და ა. შ. ანგარიშებთან კორესპონდენციით;

არასრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ზარალის აღდგენა (ძირითადი საშუალებების ბუღალტრული აღრიცხვის დებულების შესაბამისად განსაზღვრული) — 80 „მოგება და ზარალის“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით;

საბრუნავი საშუალებების დაფინანსებისა და გეგმიური ზარალის დასაფარავად — ფულადი სახსრებისა და ანგარიშსწორებათა ანგარიშებთან კორესპონდენციით.

85 ანგარიშის დებეტში აღირიცხება:

გასული ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება (გაყიდულის, უსასყიდლოდ გადაცემულის, ჩამოწერილის და ა. შ.) 01 ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით;

ძირითადი საშუალებების დარიცხული ცვეთა 02 ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით;

ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ხარჯები შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების, მატერიალური ფასეულობის და ა. შ. ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით;

ძირითადი საშუალებებზე რიცხული, ეტსპლუატაციიდან გასული და ზედმეტი ქონების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები (მათ ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით), დადგენილი წესით წარმოების განვითარების ფონდის შესაქმნელად კაპიტალური დაზანდების დაფინანსების, ძირითადი ჯოგის ფორმირებისათვის მიმართული იმ ანგარიშების კრედიტთან კორესპონდირებით, რომლებზედაც აღირიცხება შესაბამისი წყაროები (87, 94 და სხვ. ანგარიშები);

უსასყიდლოდ გადაცემული და ამოღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისა და სხვა საბრუნავი საშუალების ღირებულება.

მენაშენეები მოქმედებიდან გასული ძირითადი საშუალებების ზარალს, 85 ანგარიშის კრედიტიდან 33 ანგარიშის დებეტში ჩამოწერენ (სუბანგარიშები 1, 2, 3 „ობიექტების ინვენტარულ ღირებულებაში შესატანი ზარალის“ მუხლის მიხედვით), ხოლო სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციით გამოწვეული ზარალი დადგენილი წესით ჩამოიწერება 33 ანგარიშზე (სუბანგარიში 5). ორივე შემთხვევაში ძირითადი საშუალებების ლიკვიდირებული ობიექტების არასრულადამორტიზებული ნაწილის თანხა მიეკუთვნება 85 ანგარიშის დებეტს 93 „კაპიტალური დაბანდების დაფინანსების“ ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით.

საწესდებო საწარმოებში (ორგანიზაციებში) ძირითადი საშუალებების მოძრაობის ოპერაციებთან ერთად, 85 ანგარიშზე აისახება საბრუნავი საშუალებების მიღების (ნორმატივის გასადიდებლად, გეგმიური ზარალის დასაფარავად და ა. შ.), კარბი საბრუნავი საშუალებების ამოღების და სხვა მსგავსი ოპერაციები;

საწარმოს (ორგანიზაციის) საწესდებო ფონდის საშუალებების მოძრაობის ანალიზური აღრიცხვა ხორციელდება წლიური ანგარიშგების „საწესდებო ფონდის მოძრაობის“ ფორმის მუხლების ნომენკლატურის შესაბამისად.

საწესდებო ფონდის არ მქონე საწარმოების (ორგანიზაციების) ანგარიშსწორებათა ანალიზური აღრიცხვა გამოყოფილი საშუალებით, ხორციელდება ზემოდგომ ორგანიზაციაში ცალკე ბალანსზე მყოფი თითოეული საწარმოს (ორგანიზაციის) მიხედვით.

ცალკე ბალანსზე გამოყოფილი არასაწესდებო საწარმოები (ორგანიზაციები) 85 ანგარიშზე (რომელსაც ამ შემთხვევაში ეწოდება — „ანგარიშსწორებანი გამოყოფილი ძირითადი და საბრუნავი საშუალებებით“) ასახავენ ანალოგიურად საწესდებო საწარმოებისა და ორგანიზაციების ყველა ოპერაციებს 85 ანგარიშის მიხედვით. ამ ოპერაციათა შესახებ აცნობებენ ზემდგომ ორგანიზაციებს (ავიზოთი ან დოკუმენტების გადაცემით). უკანასკნელნი ამ ოპერაციებს ასახავენ თავიანთ საწესდებო ფონდზე.

თავიანთ წარმოებათა და მეურნეობათა ძირითადი საშუალებების მოძრაობას, საწარმოები (ორგანიზაციები) რომელნიც ცალკე ბალანსზე არ არიან გამოყოფილნი, აღრიცხვაში ასახავენ ბუღალტრული გატარების გარეშე, ძირითადი საშუალებების ობიექტთა მიხედვით წარმოებული ბარათების კართოტეკაში გადაჯგუფების გზით. მეურნეობიდან ძირითადი საშუალებების ამა თუ იმ ობიექტის საბოლოოდ გასვლა აისახება საერთო წესით, როგორც უშუალოდ საწარმოს (ორგანიზაციის) განკარგულებაში მყოფი ძირითადი საშუალებების მოქმედებიდან გასვლა.

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ

- 01 ძირითადი საშუალებები
- 02 ძირითადი საშუალებების ცვეთა
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 13 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთი
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები
- 23 დამმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 40 მზა პროდუქცია
- 41 საქონელი
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მიოჩარებებთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 77 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი საბრუნავი საშუალებებსა და მოგების გადანაწილებით
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულების გაფუჭებიდან
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება
- 94 ძირითადი ჯოგის ფორმირების დაფინანსება
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

კ რ ე დ ი ტ ი თ

- 01 ძირითადი საშუალებები
- 02 ძირითადი საშუალებების ცვეთა
- 05 მასალები
- 06 სათბობი
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 09 გამოასოღელი და გასასუქებელი პირუტყვი
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 20 ძირითადი წარმოება
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები
- 23 დამმარე წარმოებანი
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 40 მზა პროდუქცია
- 41 საქონელი
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 77 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი საბრუნავი საშუალებებისა და მოგების გადანაწილებით
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 80 მოგება და ზარალი
- 84 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 85 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება

86 ანგარიშზე აისახება ამორტიზაციის ანარიცხების მოძრაობა ძირითადი საშუალებების სრულ აღდგენასა და კაპიტალური რემონტისათვის, აგრეთვე, მოქმედი დებულებებით გათვალისწინებული სხვა წყაროებიდან ამორტიზაციის ფონდში მიმართული საშუალებათა მოძრაობა.

სააღრიცხვო რეგისტრებში 86 ანგარიში იყოფა შემდეგ სუბანგარიშებად:

86—1 „სრული აღდგენისათვის“

86—2 „კაპიტალური რემონტისათვის“

ამორტიზაციის ანარიცხები წარმოებს ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულებიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული წესითა და ნორმებით (სრული აღდგენისა და კაპიტალური რემონტისათვის ცალ-ცალკე). გაანგარიშებაში მიიღება საწარმოს (ორგანიზაციის) კუთვნილი ყველა ძირითადი საშუალება, როგორც მოქმედი (ექსპლუატაციაში მყოფი), ისე მარაგში (საწყობში რეზერვის სახით) რიცხული და იჯარით გაცემული. მარაგში მყოფი (საწყობში რეზერვის სახით) ძირითად საშუალებებზე ამორტიზაციის ანარიცხები წარმოებს მხოლოდ მთლიანი აღდგენის ნორმით. მოცდენების ან რემონტისას ამორტიზაციის ფონდში ანარიცხები არ წყდება. ამორტიზაციის დარიცხვა წყდება, მხოლოდ ძირითადი საშუალებების კონსერვაციაზე გადაცემის შემთხვევაში — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ან კუთვნილისამებრ შესაბამისი საოლქო (სამხარეო) აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვით.

საცხოვრებელ შენობებს ამორტიზაცია დაერიცხება მხოლოდ კაპიტალური რემონტისათვის. ამორტიზაციის ნორმა სრული აღდგენისათვის გამოიყენება მხოლოდ საცხოვრებელი შენობების ცვეთის განსაზღვრისათვის.

დამთავრებულ კაპიტალურ სამუშაოებზე იჯარით გაცემული ძირითადი საშუალებები, რომელიც თანახმად ხელშეკრულებისა, იჯარის ვადის გასვლის შემდეგ უნდა გადაეცეს იჯარის გამცემს, ამორტიზაციის დარიცხვას იჯარის ვადის განმავლობაში აწარმოებს მოიჯარე საამორტიზაციო ანარიცხების საერთო-დადგენილი ნორმებიდან გამომდინარე.

ექსპლუატაციაში ახლად გადაცემულ ობიექტებზე ამორტიზაციის ფონდში გადარიცხვა წარმოებს მოქმედებაში გადაცემის შემდგომი თვის პირველ რიცხვიდან. ექსპლუატაციიდან გასულ ძირითად საშუალებათა ობიექტებზე საამორტიზაციო დარიცხვა წყდება ექსპლუატაციიდან გასვლის შემდგომი თვის პირველ რიცხვიდან.

კაპიტალური მშენებლობის ექსპლუატაციაში მყოფ ობიექტებზე ან მათ ნაწილებზე, რომელთა მოქმედებაში გადაცემა არ არის გაფორმე-

ბული დადგენილი წესით, ამორტიზაცია ერიცხება საერთო წესით, ექსპლუატაციაში გადაცემის თარიღის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ამორტიზაციის თანხის დადგენის საფუძველს წარმოადგენს კაპიტალური დაბანდების მონაცემთა ცნობა მოცემული ობიექტების ან მათი ნაწილების ღირებულების შესახებ. ობიექტების მოქმედებაში შეყვანის, გაფორმებისა და მათი ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში ჩარიცხვის შემდეგ, აღრე დარიცხული ამორტიზაციის თანხა ზუსტდება.

ამორტიზაციის ანარიცხების თანხა განისაზღვრება ყოველთვიურად და აისახება 86 ანგარიშის კრედიტში. სეზონურ წარმოებებში ამორტიზაციის ანარიცხების წლიური თანხა წარმოების ხარჯებში შეიტანება წლის განმავლობაში საწარმოს (ორგანიზაციის) მუშაობის პერიოდში.

ჩანაწერები 86—1 და 82—2 სუბანგარიშების კრედიტში წარმოებს ძირითადი საშუალებების სრული აღდგენისა და მათი კაპიტალური რემონტისათვის ამორტიზაციის ანარიცხების ნორმით გაანგარიშებული თანხა, ხარჯების ამსახველ ანგარიშთა დებეტთან კორესპონდენციით საქმიანობის სახეების მიხედვით, სადაც იმყოფება ძირითადი საშუალებების შესაბამისი ობიექტები.

იჯარით გაცემული ობიექტების ამორტიზაციის ანარიცხები აღრიცხვაში აისახება შემდეგი წესით: საწარმოებისა და ორგანიზაციების საბინაო მეურნეობის არასაცხოვრებელი შენობების იჯარით გაცემისას, რომლებიც ძირითად საშუალებებს წარმოადგენენ (გარდა ადგილობრივი საბჭოების საბინაო მეურნეობისა), საიჯარო გადასახადის თანხის ნაწილი მიმართული საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად, გატარდება 86—2 სუბანგარიშის კრედიტში 29 „მომსახურე წარმოებათა და მეურნეობათა“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით. თუ იჯარით გაცემულია დროებით გამოუყენებელი შენობა და ნაგებობანი, საწარმოო, სასაწყობო და სხვა სადგომები, აგრეთვე მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებები (სატრანსპორტო საწარმოთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების იჯარით გაცემა შეიძლება ზემდგომი ორგანიზაციის ნებართვით), მაშინ მათი ამორტიზაციის ანარიცხები მიეკუთვნება 80 „მოგება და ზარალის“ ანგარიშის დებეტს („დანახარჯები საიჯარო გადასახდელის ანგარიშში“) 86—1 სუბანგარიშის და 86—2 სუბანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით. კუთვნილი საიჯარო ქირა, იჯარის გაცემის მიერ მიეკუთვნება 76 „ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“ ანგარიშის დებეტს (მოიჯარის პირადი ანგარიშის მიხედვით) 80 („შემოსავალი საიჯარო ქირიდან“) ანგარიშის კრედიტიდან.

მენაშენებები 86 ანგარიშზე აღრიცხავენ თავიანთი ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ანარიცხებს. მოქმედი დებულების შესაბამისად, სრული აღდგენისათვის დარიცხული ამორტიზაციის ანარიცხების

თანხა, რომელიც ემსახურება კაპიტალური დაბანდების დაფინანსების წყაროს. როგორც მშენებლობაზე კრეპსითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დასაბრუნებელი თანხა, 86—1 სუბანგარიშის დებეტიდან მიეკუთვნება 93—3 სუბანგარიშის კრედიტს. კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი ამორტიზაციის ანარიცხების ხარჯზე, საერთო დადგენილი წესით, წარმოებს მშენებლობის ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტის დანახარჯები.

კაპიტალური რემონტისათვის გამოუყენებელი ამორტიზაციის ანარიცხების ნაშთი 86—1 სუბანგარიშის დებეტიდან 93—3 სუბანგარიშის კრედიტში ჩამოიწერება.

მოიჯარე ორგანიზაციებისაგან მიღებული საიჯარო ქირა ჩაირიცხება კაპიტალური დაბანდების დაფინანსების აღდგენისათვის.

86—1 და 86—2 სუბანგარიშის კრედიტში აისახება, აგრეთვე შემდეგი თანხები:

ამორტიზაციის ფონდის სახსრების გასადიდებლად ზემდგომი ორგანიზაციებიდან მიღებული თანხა, განკუთვნილი სრული აღდგენისათვის ან კაპიტალური რემონტისათვის;

ეკონომიკური სტიმულირების ან სპეციალური დანიშნულების ფონდი, მიმართული ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტისათვის;

ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტის ეკონომია (ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით) მიმართული, დადგენილი წესით, ძირითადი საშუალებების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი ამორტიზაციის ფონდის საშუალებების გასადიდებლად;

86 ანგარიშის დებეტში აისახება ამორტიზაციის ფონდის სახსრების გამოყენებული თანხა. თანახმად მოქმედი დებულებისა, ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი ამორტიზაციის ფონდის ნაწილი შეიძლება მიმართული იქნეს ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების დაფინანსებისა და ძირითადი ჯოგის ფორმირების დაფინანსებისათვის, წარმოების განვითარების ფონდთან შეერთებისათვის და ა. შ. ამიტომ 86—1 სუბანგარიშის დებეტის ჩანაწერები შეიძლება ეკორესპონდენტბოდეს ფულადი სახსრების, წარმოების განვითარების ფონდის, შესაბამისი კაპიტალური დაბანდების დაფინანსების და ა. შ. ანგარიშებს.

ამორტიზაციის ფონდის სახსრები ძირითადი საშუალებების რემონტისათვის გამოიყენება შესაბამისი დანახარჯების დაფინანსებისათვის. ეს საშუალებანი, აგრეთვე შეიძლება მიმართული იქნეს ზემდგომი ორგანიზაციის მიერ რეზერვის შესაქმნელად, საქვეუწყებო ორგანიზაციებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, რომელთაც კაპიტალური რემონტის განსახორციელებლად საკუთარი სახსრები არ ყოფნით. აღნიშნული სახ-



სრების ნაწილი, ნაცვლად კაპიტალური რემონტისა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი მოწყობილობის შესაძენად, როდესაც რემონტის წარმოება ეკონომიკურად მიზანშეწონილი არ არის.

86—2 სუბანგარიშის დებეტის ჩანაწერები ეკორესპონდენტება 03 „კაპიტალური რემონტის“, 78 „შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით“ ანგარიშების კრედიტს (ზემდგომი ორგანიზაციის რეზერვში კუთვნილი გადასარიცხი თანხით) და ა. შ.

ანგარიში 86 „ამორტიზაციის ფონდი

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე ტ ი თ	კ რ ე დ ი ტ ი თ
03 კაპიტალური რემონტი	14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეუ-
14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეუ-	ლობათა გადაფასება
51 ანგარიშსწორების ანგარიში	16 სატრანსპორტო-დამზადების ხარ-
55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში	ჯები
76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებე-	20 ძირითადი წარმოება
ტორებთან და კრედიტორებთან	23 დამხმარე წარმოებანი
78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი	24 მანქანებისა და მოწყობილობის შე-
მიმდინარე ოპერაციებით	ნახვისა და ექსპლუატაციის ხარ-
82 ბანკის კრედიტების გამოყენება	ჯები
მოგებისა და ფონდების ანგარიშში	25 საერთო-საწარმოო ხარჯები
85 საწესდებო ფონდი	26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
87 ეკონომიკური სტიმულირების ფონ-	29 მომსახურე წარმოებანი და მეურ-
დები	ნეობანი
88 სპეციალური დანიშნულების ფონდები	33 კაპიტალური დაბანდებები
91 სპეციალური სასესხო ანგარიში	34 წარმოებისგარეშე ხარჯები
93 კაპიტალური დაბანდების დაფი-	43 მიმოქცევის ხარჯები
ნანსება	51 ანგარიშსწორების ანგარიში
94 ძირითადი ქოვის ფორმირების და-	55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
ფინანსება	76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებე-
96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზ-	ტორებთან და კრედიტორებთან
ნობრივი შემოსავალი	79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
	80 მოგება და ზარალი
	87 ეკონომიკური სტიმულირების ფონ-
	დები
	88 სპეციალური დანიშნულების ფონ-
	დები
	91 სპეციალური სასესხო ანგარიში
	96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზ-
	ნობრივი შემოსავალი

ანგარიში 87 „ეკონომიკური სტიმულირების ფონდები“

87 ანგარიშზე აისახება სახსრების მოძრაობა ეკონომიკური სტიმულირების ყველა სახეობის ფონდებისა და მიზნობრივი დანიშნულების პრემიების მიხედვით, რომელთა შექმნა განსაზღვრულია სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებით და მოქმედი დებულებებითა და ინსტრუქციებით. კერძოდ: მატერიალური წახალისების ფონდის; სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის; წარ-

მოგების განვითარების ფონდის; საწარმოს (ორგანიზაციის) ფონდის მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის; ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდის; ფართო მოხმარების ფონდის; სოფლის მეურნეობის საწარმოთა განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის; შავი და ფერადი ლითონის ჯართის შეგროვებისა და ჩაბარებისათვის პრემირების ფონდის; მატერიალური წახალისების ფონდი მიმართული მეორადი ხელეულის შეგროვების; დახარისხების, შენახვისა და ჩაბარებისათვის; სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებისათვის მინიჭებული პრემიები; პრემირების ფონდები საექსპორტო პროდუქციის მიწოდებისათვის; პრემიები და ერთდროული დახმარება მინისტრის ფონდიდან; მუშაკთა პრემირების ფონდი გამოგონებებისა და რაციონალური წინადადებების დახურგვაზე ხელშეწყობისათვის; პრემიების ფონდი ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის, რომელიც შექმნილია წარმოების ან მომოქცევის ხარჯების ანგარიშში და დატოვებული საწარმოების და ორგანიზაციების განკარგულებაში. პრემირება მუშაობის ახალ პირობებზე გადაუყვანელი საწარმოებისა და ორგანიზაციების სამშენებლო ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეების მოქმედებაში შეყვანისათვის.

სახსრების მოძრაობა ყოველ ცალკეულ წყაროთა მიხედვით აღირიცხება სპეციალურად გახსნილ 87 ანგარიშის სუბანგარიშებში.

სახსრების გამოყენების ანალიზური აღრიცხვა, თითოეული წყაროს მიხედვით ორგანიზებულია ხარჯთნუსხებით გათვალისწინებულ მუხლთა კრილში.

87 ანგარიშის კრედიტი ეკორესპონდენტება შემდეგ ანგარიშთა დებეტს:

81 — ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნისას მოგების ან პროდუქციის და სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების ეკონომიის ხარჯზე (გვეგით გათვალისწინებულ ზარალიან საწარმოებში და ორგანიზაციებში), 46 — ჯართისა და მეორადი ხელეულის შეგროვებისა და ჩაბარებისათვის ფონდების შექმნისას; 51 — ცენტრალიზებული ფონდებიდან და მიზნობრივი შემოსავლიდან მიღებული სახსრების თანხა (მაგალითად, ექსპორტზე პროდუქციის მიწოდებისათვის), 86 — წარმოების განვითარების ფონდის შექმნისას, ამორტიზაციის ანარეცხების ხარჯზე განკუთვნილი ძირითადი საშუალებების სრული აღდგენისათვის; 85 — წარმოების განვითარების ფონდის თანხის ხარჯზე, იმ ნაწილში, რაც შეიქმნება მიღებული ამონაგების ხარჯზე, ძირითადი საშუალებების შედგენილობაში რიცხული ქონების გასვლისას მათ ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით; წარმოების მომსახურების, მართვის და სხვა ხარჯების აღრიცხვის ანგარიშებთან — ფონდებისა და

მიზნობრივი სახსრებს შექმნისა წარმოების და მიმოქცევის ხარჯების ანგარიშში.

მოქმედი დებულებების შესაბამისად, ფონდების სახსრები, განკუთვნილი კაპიტალური დაბანდების (მშენებლობა, მოწყობილობის შექმნა და სხვა). ღონისძიებისათვის უნდა ინახებოდეს ბანკში, როგორც წესი, სპეციალურ ანგარიშზე. ამ ანგარიშზე გადარიცხული თანხა აისახება 51 ანგარიშის „ანგარიშსწორების ანგარიშის“ ან მისი ანალოგიური ანგარიშების კრედიტის ჩანაწერით და 54 „ანგარიშები ბანკში კაპიტალური დაბანდების სახსრებისათვის“ ანგარიშის დებეტში.

87 ანგარიშის დებეტში აისახება ფონდებისა და მიზნობრივი სახსრების გამოყენებული თანხები შემდეგ ანგარიშთა კრედიტთან კორესპონდენციით; 70 — კუთვნილი პრემიებისა და გასამრჯელოს თანხით, (როცა შედის მომუშავეთა საშუალო ხელფასში); ფულადი სახსრების აღრიცხვის — მუშაკებისათვის ერთდროული დახმარების გაცემის წესით, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმის საგზურების შესაძენად გაცემული თანხებით, აგრეთვე მედიკამენტების და ა. შ. იმ პრემიების თანხებით, რაც არ შედის მომუშავეთა საშუალო ხელფასში (მაგალითად, მომუშავეთა გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის ხელშეწყობისათვის საპრემიო ფონდთან გაცემული პრემიები); 13 — კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბავშვო დაწესებულებათა მოწყობილობის სახით შექმნილი საგნების ღირებულება და ა. შ., სოციალურ-კულტურული ღონისძიებების და საბინაო მშენებლობის ფონდებისა და სხვა ფონდების ხარჯზე. რაც გამოყენებულია ამ მიზნებისათვის; 78 — ზემდგომი ორგანიზაციისათვის გადარიცხული თანხით ამა თუ იმ ფონდის დებულების შესაბამისად; 85, 94 — საბრუნავი საშუალებების შედგენილობაში და ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯებისათვის მიმართული თანხებით; 96 — იმ ფონდების სახსრების თანხით, რაც გათვალისწინებულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბავშვო დაწესებულებათა შენახვის ხარჯების დაფინანსებისათვის; 51, 54, 86, 93 — ფონდების იმ სახსრების თანხით, რაც მიმართულია კაპიტალური დაბანდების ან ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტის ხასიათის მატარებელი ღონისძიებისათვის.

ანგარიში 87 „ეკონომიკური სტიმულირების ფონდები“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დებეტით

კრედიტით

13 მცირეფასიანი და სწრაფკეთადი საგნების ცვეთა  
46 რეალიზაცია  
50 სალარო

20 ძირითადი წარმოება  
23 დამხმარე წარმოებანი  
24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები

- |  |   |
|--|---|
| 51 ანგარიშსწორების ანგარიში                                      | 25 საერთო-საწარმოო ხარჯები  |
| 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური და-<br>ბახდებია სახსრებისათვის   | 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები                                       |
| 56 სხვა ღირებულებები   | 33 კაპიტალური დაბანდებები   |
| 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებ-<br>თან და მოიჯარებთან           | 44 მიმოქცევის ხარჯები   |
| 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღა-<br>ურებით                     | 46 რეალიზაცია   |
| 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდე-<br>ბულ პირებთან                | 51 ანგარიშსწორების ანგარიში                                       |
| 78 შიდასაქვეყნო ანგარიშსწორებანი<br>მიმდინარე ოპერაციებით        | 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებუ-<br>ტორებთან და კრედიტორებთან |
| 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორება                                  | 78 შიდასაქვეყნო ანგარიშსწორებანი<br>მიმდინარე ოპერაციებით         |
| 82 ბანკის კრედიტის გამოყენება ძალ-<br>ბითა და ფონდების ანგარიშზე | 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი                                 |
| 85 საწესდებო ფონდი   | 80 მოგება და ზარალი   |
| 86 ამორტიზაციის ფონდი  | 81 მოგების გამოყენება   |
| 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონ-<br>დები                         | 85 საწესდებო ფონდი  |
| 91 სპეციალური სახესხო ანგარიში                                   | 86 ამორტიზაციის ფონდი   |
| 93 კაპიტალური დაბანდების დაფინანს-<br>ება                        | 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონ-<br>დები                          |
| 94 ძირითადი ჯოგის ფორმირების და-<br>ფინანსება                    | 88 სპეციალური დანიშნულების ფონ-<br>დები                           |
| 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზ-<br>ნობრივი შემოსავალი          | 91 სპეციალური სახესხო ანგარიში                                    |
|  | 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზ-<br>ნობრივი შემოსავალი           |

#### ანგარიში 88 „სპეციალური დანიშნულების ფონდები“

88 ანგარიშზე აისახება სპეციალური დანიშნულების ფონდების სახსრების მოძრაობა, რომლებიც იქმნება მოქმედი დებულებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად, როგორცაა — მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდი; ახალი ტექნიკის ათვისების ფონდი; საბჭოთა მეურნეობების სარეზერვო ფონდი; სახალხო მოხმარებინ ახალი და გაუმჯობესებული საქონლის ათვისებისა და გამოშვების ფონდი; დროებითი ფინანსური დახმარების აღმოჩენის რეზერვი. საქონლის ჩამოფასების ფონდი.

88 ანგარიშზე აღირიცხება, აგრეთვე სხვა ანალოგიური ფონდების შექმნა (დარიცხვა) და გამოყენება.

ყოველი ცალკეული ფონდის სახსრების მოძრაობა აისახება შესაბამისი სუბანგარიშების მიხედვით. თითოეული ფონდის სახსრების გამოყენების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მუხლების მიხედვით, მოქმედი დებულებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

88 ანგარიში კრედიტდება შემდეგი ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით: 51 და 78 — მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდის შექმნასთან დაკავშირებული ოპერაციებით მოგებიდან ანარიცხების ხარჯზე, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდისა, პროდუქციის თვითღირებულებაში შესატანი ანარიცხების ხარჯზე, დროებითი

ფინანსური დახმარების გასაწევი რეზერვის, ფონდების გადანაწილების; 81, 78 — საქონლის ჩამოფასების ფონდის, აგრეთვე სამინისტროს ცენტრალიზებული სარეზერვო ფონდისა და საბჭოთა მეურნეობების სარეზერვო ფონდის შექმნასთან დაკავშირებული ოპერაციების მიხედვით.

88 ანგარიში დებეტდება ისეთ ანგარიშთა კრედიტთან კორესპონდენციით, როგორცაა: 14 — საქონლის ჩამოფასებასთან დაკავშირებული ოპერაციებით; 20, 25, 26, 29, 60 — მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდის და ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებული ოპერაციებით; 80 — საბჭოთა მეურნეობების მიერ სტიქიური უბედურების შეთიგად მიღებულ ზარალის დაფარვის თანხით, რაც სსრ კავშირის სახელმწიფო დასაღწევს მიერ არ არის ანაზღაურებული (საბრუნავ საშუალების ნაწილში); 87 — საბჭოთა მეურნეობების მიერ ანალოგიური ზარალის დაფარვის თანხით, ძირითად საშუალებების ნაწილში; 94 — ანალოგიური ზარალის დაფარვის თანხით მოზრდილი პროდუქტიული და მუშა საქონლის დაღუპვის გამო; 85 — სსრ კავშირის სახბანკის არაუზრუნველყოფილი დავალიანების დაფარვისა და საკუთარი საბრუნავი საშუალებების უქმარისობის შევსებისათვის მიმართული თანხები.

ანგარიში 83 „სპეციალური დანიშნულების ფონდები“

ეკორესპონდენტება ანგარიშებს.

დებეტი

კრედიტი

- 13 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა
- 14 სასაქონლო-მატერიალური ფაქტობრებათა გადაფასება
- 20 ძირითადი წარმოება
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 46 რეალიზაცია
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 54 ანგარიშები ბანკი კაპიტალური დაბანდების სახსრებისათვის
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიგარებთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 82 ბანკის კრედიტის გამოყენება მოგებისა და ფონდების ანგარიშზე
- 85 საწესდებო ფონდი

- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 46 რეალიზაცია
- 51 ანგარიშსწორებანი ანგარიში
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებიანი მომდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 81 მოგების გამოყენება
- 85 საწესდებო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 91 სპეციალური სასესო ანგარიში
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

- 86 ამორტიზაციის ფონდი  
 87 ეკონომიკური სტრუქტურების ფუნ-  
 დება  
 91 სოციალური სასესხო ანგარიში  
 93 კაპიტალური დაბანდების ადაფი-  
 ნანსება  
 94 ძირითადი ჯოგის ფორმირების და-  
 თინანება  
 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზ-  
 ნობრივი შენობაჯალი

ანგარიში ნი „მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახადებთა რაზმის“

89 ანგარიშზე აისახება ბუღალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ დებულების ან სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებული ნებართვით დადგენილი წესით დარეზერვებული თანხები, მოსალოდნელი ხარჯების, წარმოების ან მიმოქცევის ხარჯებში თანაბრად შეტანის მაზნით.

ამ ანგარიშზე დასაშვებია აისახოს თანხები:

მუშების მორიგი შვებულების (სოციალური დაზღვევის ანარიცხების ჩათვლით) მოსალოდნელი გადასახადები, (საპროექტო-საძიებო ორგანიზაციებში — საწარმოო პერსონალის შვებულება, ხოლო უკიდურეს ჩრდილოეთის რაიონებში და მასთან გათანაბრებულ ადგილებში — ყველაკატეგორიის მუშაკების);

იქარით აღებული ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტის მოსალოდნელი დანახარჯები, რომელიც გაწეული უნდა იქნეს თანაბმად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა მოიჯარის სახსრების ანგარიშში.

წელთა ნამსახურობისათვის წელიწადში ერთხელ გასაცემი გასამრჯელო;

ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის მოსალოდნელი ხარჯები, როდესაც ეს რემონტი წლის განმავლობაში არათანაბრად წარმოებს;

მოსალოდნელი ხარჯები ავტომობილების საბურავების ცვეთის აღდგენასა და რემონტზე (საბურავი, კამერა, ფერისის, ლენტა, რკალური ღვეჯი), რომლებიც ავტომანქანებთან ერთად ძირითად საშუალებათა შედგენილობაში ირიცხებიან, საწარმოებს, და ორგანიზაციებს, რომელთაც თავიანთ განკარგულებაში გააჩნიათ სამეურნეო ანგარიშზე გამოუყოფელი საავტომობილო ტრანსპორტი, სამინისტროების და უწყებების ნებართვით შეუძლიათ არ შექმნან ავტომობილების საბურავების აღდგენის რეზერვი, ხოლო ამ უკანასკნელთა ცვეთის გამო შეცვლის შემთხვევაში, მათი მთლიანი ღირებულება მიაკუთვნონ ავტოტრანსპორტის შენახვის ხარჯებს ან წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებს;

მრეწველობის სეზონურ დარგებში მოსამზადებელი საქუშაოების საწარმოო ხარჯები.

მოსალოდნელი ხარჯები გასაქირავებელი საგნების რემონტისათვის. შვებულების ასანაზღაურებელი რეზერვი იქმნება ყოველთვიურად მუშებისათვის ფაქტობრივად დარიცხული ხელფასის იმ პროცენტზე გამრავლების, გზით, რაც გამოიანგარიშება გასაცემა შვებულების წლიური გეგმიური თანხის მუშების ხელფასის საერთო გეგმიური ფონდთან შეფარდებით.

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების, კაპიტალური რემონტის მოსალოდნელი ხარჯები ექვემდებარება ყოველთვიურად თანაბარი წილით დარეზერვებას მისი სახარჯთაღრიცხვო დარებულებიდან, და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოჯახის ვადიდან გამომდინარე.

მიმდინარე რემონტის რეზერვი (როდესაც იგი არათანაბარზომიერად ხორციელდება), დგინდება იმ ოდენობით, რაც უწყევს საანგარიშგებო პერიოდს ამ მიზნისათვის, გეგმით გათვალისწინებული ასიგნების თანხიდან გამომდინარე.

ავტომობილებსა და ტროლეიბუსების საბურავების ცვეთის აღდგენისა და რემონტის მოსალოდნელი ხარჯების რეზერვი იქმნება ყოველთვიურად ექსპლუატაციაში მყოფი საბურავების ფაქტობრივი გარბენის მონაცემების მიხედვით (საბურავების ჩათვლით, რომელიც აღდგენილია საფარველის პროტექტორის დადების მეთოდით) სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციული მითითებებით დადგენილი ნორმებისა და წესის შესაბამისად.

მრეწველობის სეზონურ დარგებში მოსამზადებელ სამუშაოთა დანახარჯების რეზერვი იქმნება სამინისტროებისა და უწყებების დარგობრივი ინსტრუქციებით დადგენილი წესით. დარეზერვებას, კუთვნილი თანხა აღირიცხება 89 „მოსალოდნელი ხარჯებისა და ვადასახდელთა რეზერვის“ ანგარიშის კრედიტში და შესაბამისი ხარჯების აღრიცხვის ანგარიშების დებეტში.

საწარმოებს (ორგანიზაციებს), რომელთაც გააჩნიათ ხელსაწყოების, დანადგარებისა და სხვა ტექნიკური საშუალებათა გაქირავების განყოფილებები (პუნქტები), შეუძლიათ საჭირო შემთხვევაში შექმნან მოსალოდნელი ხარჯების რეზერვი გასაქირავებელი პარკის რემონტისათვის.

გასაქირავებელი საგნების რემონტისათვის რეზერვის ანარიცხების თანხის დადგენა წარმოებს, სამინისტროებისა და უწყებების დარგობრივი ინსტრუქციებით.

გასაქირავებელი პარკის რემონტისათვის რეზერვის ანარიცხი თანხა აისახება 89 ანგარიშის კრედიტში, წარმოების, ან მიმოქცევის ხარჯების ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით.

89 ანგარიშის დებეტში აისახება გასაქირავებელი საგნების, დამთავ-

რებულ რემონტის ღირებულების ჩამოწერა 23, 05, 08, 70 და სხვა ანგარიშების კრედიტიდან.

ფაქტობრივი ხარჯები და გადასახდელები, რომლისთვისაც აღდრე შექმნილი იყო რეზერვი, მიეკუთვნება 89 ანგარიშის დებეტს. ამრიგად მოცემული ანგარიშის დებეტის ჩანაწერები შეიძლება, კერძოდ, ეკორესპონდენტბოდეს შემდეგ ანგარიშთა კრედიტებს: 70 „ანგარიშ-სწორებანი შრომის ანაზღაურებით“ — მუშებზე შევბულების დროისათვის დარიცხული ხელფასის, თანხით; 31 „მომავალი პერიოდის ხარჯები“ — იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტის ღირებულებით (ხელშეკრულების თანახმად, იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების მოიჯარის ხარჯზე წარმოებული კაპიტალური რემონტის ხარჯები, გროვდება 31 ანგარიშზე, ამასთან 89 ანგარიშის დებეტს მიეკუთვნება თანხა რეზერვის ფარგლებში); 23 „დამხმარე წარმოებანი“ საამქროების (სახელოსნოთა) მიერ წარმოებული, მიმდინარე რემონტის ღირებულებით.

პერიოდულად, (ხოლო წლის ბოლოს აუცილებლად) მოწმდება ამა თუ იმ რეზერვის შექმნისა და თანხის გამოყენების ისინი წორე ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშებისა და ა. შ. მონაცემებით და საჭირო შემთხვევაში კორექტირდება. ასე რომ, ძირითადი საშუალებების არათანაბრად წარმოებულ მიმდინარე რემონტთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად განკუთვნილ რეზერვს წლის ბოლოსათვის ნაშთი არ უნდა ქონდეს. წლის განმავლობაში შექმნილ რეზერვსა და ფაქტობრივი ხარჯების სხვაობის თანხა სტორნირდება რეზერვიდან ან დამატებით დაერიცხება.

მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა, ანალიზური აღრიცხვა წარმოებს რეზერვის სახეობათა მიხედვით.

**ანგარიში 59 „მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასხდელთა რეზერვი“**

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დებეტი

კრედიტი

- 05 მასალები
- 05 სათაობი
- 07 სარეზერვო მასალები და დასაღ-გმელი მოწყობილობა
- 09 სათადარიგო ნაწილები
- 21 საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები
- 28 წენი წარმოებაში
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 28 წენი წარმოებაში
- 29 მომსახურების წარმოებანი და მეურნეობანი
- 30 არაკაპიტალური საშუალებები
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 41 საქონელი

- 05 მასალები
- 08 სათადარიგო ნაწილები
- 16 სატრანსპორტო დამზადების ხარჯები
- 20 ძირითადი წარმოება
- 23 დამხმარე წარმოებანი
- 24 მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 31 მომავალი პერიოდის ხარჯები
- 33 კაპიტალური დამანდებები
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები



- 45 გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 80 მოგება და ზარალი
- 94 დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობის გაფუჭებიდან
- 95 სპეციალური წასესხო ანგარიშ

- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 80 მოგება და ზარალი
- 85 საწესდებო ფონდი

## IX ბ ა ნ ა ყ ო ზ ი

### ბანკის კრედიტები და დაფინანსება

ამ განყოფის ანგარიშები განკუთვნილია აღრიცხვაში შემდეგ ოპერაციების ასახვისათვის:

ბანკთან ანგარიშსწორებანი მიღებული სესხის ან კრედიტებისათვის; გეოლოგიურ-დაზვერვითი საწუშაოებისა და ძირითადი ჯოგის ფორმირებაზე კაპიტალური დაბანდების, დაფინანსების სახსრების მოძრაობისათვის;

ბანკში სპეციალურ საქესხო ანგარიშზე სახსრების მოძრაობისათვის; მიზნობრივი ღონისძიებისა და დანახარჯების ბიუჯეტური ან დაფინანსების სხვა სახსრების მოძრაობა, რომელიც წარმოებულა ამ დაფინანსების ანგარიშში.

საწარმოების (ორგანიზაციების) — მენაშენეთა მიერ მიღებული ვალდებულებები ბანკის კრედიტებით ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც ატარებენ კაპიტალური დაბანდების ხასიათს — აღირიცხება მათი ძირითადი საქმიანობის მიხედვით, (იმ პირობებშიაც კი, როდესაც კაპიტალური მშენებლობის განყოფილება გამოყოფილია დამოუკიდებელ ბალანსზე). დაფინანსების წყაროები გადაეცემა კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ბალანსზე იმ წესით, რაც ნაჩვენებია 90 „ბანკის მოკლევადიანი სესხი“ და 92 „ბანკის გრძელვადიანი კრედიტების“ ანგარიშების განმარტებაში.

#### ანგარიში 90 „ბანკის მოკლევადიანი სესხი“

90 ანგარიშზე აღირიცხება ბანკთან ანგარიშსწორება სხვადასხვა სესხით საბრუნავი საშუალებებისათვის (გარდა ანგარიშსწორებისა სპეციალური სასესხო ანგარიშებისა), რომლებზედაც მოთხოვნა წარმოიშობა „საწარმოთა (ორგანიზაციათა) სამეურნეო (საწარმოო, სამშენებლო, სავაჭრო და ა. შ.). საქმიანობის განხორციელების პროცესში. აჭკვევენ გამოსახულებას ანგარიშსწორებანი მიღებული სესხით: ,

ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ა. შ. სეზონური მარაგისათვის;

წარმოების, სეზონურა დანახარჯებისათვის მრეწველობის სათანადო დარგებში;

დაუშთავრებელი წარმოების დანახარჯებისათვის, როდესაც ანგარიშ-სწორება დამკვეთთან წარმოებს სამუშაოთა მთლიანად დამთავრების შემდეგ;

ხელფასის გასაცემად;

მატერიალური ფასეულობის, ზენორმატიული მარაგ-სათვის;

გზაში მყოფი საანგარიშსწორებო დოკუმენტებისათვის;

ლიბიტრებული საჩეკო წიგნაკების შექმნაზე, აკრედიტებლის წარდგენისათვის, ტვირთბრუნვის განსაკუთრებული ანგარიშების გახს-ნისა და შევსებისათვის;

უროთიერ დავალიანების ქათვლის ანგარიშსწორებათა დამთავრე-ბისათვის;

წლის განმავლობაში საკუთარი საშუალებების დანაკლისის შევსე-ბისათვის კაპიტალური რემონტის, ძირითადი ჯოგის ფორმირების, ახა-ლი ტექნიკის და ა. შ. დანახარჯებთან შედარებით;

დროებითი საჭიროებისათვის;

საბრუნავი საშუალებების დანაკლისის დროებითი შევსებისათვის და სხვ.

დაკრედიტების, კრედიტებსა და სესხის გაფორმების და მათი დაფარვის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის სახბანკის და სსრ კავში-რის მშენებანკის წესებით (ინსტრუქციებით).

ბანკის მოკლევადიან კრედიტებისა და სესხის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს მათი სახეებისა და დანიშნულების მიხედვით.

მიღებული მოკლევადიანი სესხის თანხა აისახება 90 „ბანკის მოკლე-ვადიანი სესხის“, ანგარიშის კრედიტში და 50 „სალაროს“, 51 „ანგარიშ-სწორების ანგარიშის“, 55 „დანარჩენი ანგარიშები ბანკში“, 60 „ან-გარიშსწორება მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან“ და ა. შ. ანგარიშ-თა დებეტში. როგორც წესი, დასახელებული სესხი იფარება ანგარ-შ-სწორების ან სპეციალურ სასესხო ანგარიშზე შემოსული სახსრების ან-გარიშზე.

ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯებისათვის საკუთარი სახს-რების შიდაწლიური დანაკლისის ასანაზღაურებლად მიღებული სესხის დავალიანების დაფარვასთან ერთდროულად, დაფინანსების წყარო, რომლის ხარჯზედაც დაფარულია სესხი აისახება 94 „ძირითადი ჯოგის ფორმირების დაფინანსების“ ანგარიშის კრედიტში 81, 86, 87 და სხვა ანგარიშების დებეტიდან. წლის ბოლოსათვის ვადიანი ვალდებულებით გადაფორმებული სესხის დავალიანება, რაც მიღებულია ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯებისათვის საკუთარი სახსრების შიდაწლ-ური დანაკლისის გამო, რომელიც ექვემდებარება მომავალი პერიოდის

მოგვბას ან სხვა საკუთარი სახსრების ხარჯზე დაფარვას, წლის ბოლოს ვატარდება 82 ანგარიშის დებეტში „ბანკის კრედიტის გამოყენება მოგებისა და ფონდების ანგარიშში“ და 94 „ძირითადი ჯოგის ფორმირების დაფინანსების“ ანგარიშის კრედიტში.

90 ანგარიშზე აღირიცხება აგრეთვე ანგარიშსწორებანი ბანკის მიერ ვაცემულა მოკლევადიანი კრედიტის მიხედვით შემდეგი ხარჯებისათვის: ახალი სახის წარმოებათა მომზადებისათვის; ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის; სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ორგანიზაციისათვის; მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის; ახალი პროდუქციის გამოშვებისათვის; ნაწარმის ხარისხის, საიმედოობისა და გამძლეობის ამაღლებისათვის, რომელიც დადგენილი წესით ექვემდებარება პროდუქციის თვითღირებულებაზე მიკუთვნებას (მომავალი პერიოდის ხარჯების მეშვეობით). ხსენებული მოკლევადიანი კრედიტით მიღებული თანხა აისახება ბანკთან ანგარიშსწორებით 90 „ბანკის მოკლევადიანი სესხის“ ანგარიშის კრედიტსა და 50, 51, 60 და ა. შ. ანგარიშთა დებეტში.

დაფარული სესხის თანხით დებეტდება 90 ანგარიში, ფულადი სახსრების ანგარიშების კრედიტიდან. ვადაზე გაუნაღდებელი სესხი აღირიცხება ცალკე.

90 ანგარიშზე აისახება, აგრეთვე, დასამონტაჟებელი მოწყობილობის შესაძენად მიღებული სესხი დასამონტაჟებლად ჩაბარების ვადით. ეს სესხი აისახება კაპიტალური დაბანდების ბალანსზე.

მოკლევადიანი სესხით ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაცია წარმოებს სასესხო ანგარიშებიდან ბანკის ამონაწერების მიღების მიხედვით.

**90 ანგარიში „ბანკის მოკლევადიანი სესხი“**

**ეკორესპონდენტება ანგარიშებს:**

დ ბ ე ტ ი თ	კ რ ე დ ი ტ ი თ
14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაჯავება	05 მასალები
50 სალარო	14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაჯავება
51 ანგარიშსწორების ანგარიში	26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
53 უსაჩივნი ანგარიშები ბანკში	43 წარმოებულ ხარჯები
77 შიდასაერო ანგარიშსწორებანი საბრუნავი საშუალებებისა და მოგების გადანაწილებით	44 ნიშნული ხარჯები
78 შიდასაერო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით	45 გაჯავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება
90 ბანკის მოკლევადიანი სესხი	50 სალარო
91 სპეციალური სახესხი ანგარიში	51 ანგარიშსწორების ანგარიში
92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები	55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება	60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან
96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი	61 ანგარიშსწორებანი აკანსით
	63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით

- 64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 73 ანგარიშსწორებანი მუშებსა და მოსამსახურეებთან სხვა ოპერაციებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 77 შიდააუწყებო ანგარიშსწორებანი საბრუნაო საშუალებებისა და მოგების გადანაწილებით.
- 78 შიდააუწყებო ანგარიშსწორებაში მიმდინარე ოპერაციებით.
- 81 მოგების გამოყენება
- 82 ბანკის კრედიტების გამოყენება მოგებისა და ფონდების ანგარიშზე
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში

**01 „სპეციალური სასესხო ანგარიში“**

91 ანგარიშზე აღორცილება გაერთიანებებისა და სამრეწველო საწარმოთა სახსრების მოძრაობა. მატერიალური ფასეულობის და ხელფასზე დანახარჯის ბრუნვის მიხედვით, დაკრედიტებისას. დამამზადებელი საწარმოები (ორგანიზაციები) დასახელებულ ანგარიშზე ასახვენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მარაგის დაკრედიტებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ხოლო მომარაგება-გასაღებისა და სავაჭრო ორგანიზაციები — საქონელბრუნვის დაკრედიტებასთან.

გაერთიანებებში 91 ანგარიშზე აისახება სპეციალური სასესხო სუბანგარიშების ოპერაციები, გახსნილი დადგენილი წესით საწარმოო ერთეულთა ადგილმდებარეობის მიხედვით.

დაკრედიტებისა და სპეციალური სასესხო ანგარიშის ოპერაციათა გაფორმების წესი განსაზღვრულია სსრ კავშირის სახბანკის ინსტრუქციებით. 91 ანგარიშის დებეტსა და კრედიტში ჩანაწერები წარმოებს მხოლოდ სსრ კავშირის სახბანკის ამ ანგარიშიდან ამონაწერების საფუძველზე.

**ანგარიში 91 „სპეციალური სასესხო ანგარიში“**

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ე ბ ე რ ი თ

- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 45 გავხანძარილი საქონელი, შესრულებული სამუშაო და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 47 საქონლის, სამუშაოსა და მომსახურებას შიდასისტემური გაცემა
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში

კ რ ე დ ი ტ ი თ

- 14 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა გადაფასება
- 16 სატრანსპორტო დამზადების ხარჯები
- 25 საერთო-საწარმოო ხარჯები
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი
- 31 მონევალი პერიოდის ხარჯები
- 43 წარმოებისგარეშე ხარჯები
- 44 მიმოქცევის ხარჯები

- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური და-  
ბანდების სახსრებისათვის
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან  
და მოივარებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსით
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან  
და შეიკვეთებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 72 ანგარიშსწორებანი მატერიალური  
ზარალის ანაზღაურებით
- 73 ანგარიშსწორებანი შუშებსა და მო-  
სამსახურებთან სხვა ოპერაციებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დები-  
ტორებთან და კრედიტორებთან
- 77 შიდასაბუღალტრო ანგარიშსწორებანი  
საბრუნავი საშუალებებისა და მო-  
გების გადანაწილებით
- 78 შიდასაბუღალტრო ანგარიშსწორებანი  
მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასაბუღალტრო ანგარიშსწორებანი
- 80 მოკვება და ზარალი
- 85 საწვსადობო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონ-  
დები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონ-  
დები
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზ-  
ნობრივი შემოსავალი

- 50 სალარი
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური  
დაბანდების სახსრებისათვის
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან  
და მოივარებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსით
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღა-  
ურებით
- 73 ანგარიშსწორებანი შუშებსა და მო-  
სამსახურებთან სხვა ოპერაციებით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დები-  
ტორებთან და კრედიტორებთან
- 77 შიდასაბუღალტრო ანგარიშსწორებანი  
საბრუნავი საშუალებებისა და მო-  
გების გადანაწილებით
- 78 შიდასაბუღალტრო ანგარიშსწორებანი  
მიმდინარე ოპერაციებით
- 87 შიდასაბუღალტრო ანგარიშსწორებანი
- 80 მოკვება და ზარალი
- 81 მოკვების გამოყენება
- 85 საწვსადობო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონ-  
დები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონ-  
დები
- 89 მოსალოდნელი ხარჯებისა და გადა-  
სახდელთა რეზერვი
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 92 ბანკის გრძელვადიანი კრედიტები
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზ-  
ნობრივი შემოსავალი
- 97 ბანკის სესხი მუშებისა და მოსამსა-  
ხურებისათვის

**ანგარიში № „ბანკის ბრძანებადანი კრედიტები“**

92 ანგარიშზე აღირიცხება ანგარიშსწორებანი ბანკის კრედიტებით, რომელთაც მიღებულია ძირითადი საშუალებების გაფართოებული აღწარმოების ხარჯებისათვის. ასეთი კრედიტები შეიძლება გაცემულ იქნეს:

ახალ საწარმოთა მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდების 5 წლამდე გამოსყიდვის ვადით;

მოქმედ საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღების რეკონსტრუქციისა და გაფართოებ-სათვის;

კაპიტალისტური ქვეყნების ფორმებთან საკომპენსაციო „შეთანხმებ-  
ბისა და კონტრაქტების საფუძველზე ობიექტების მშენებლობისათვის;

საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშ-  
ნულების ობიექტების მშენებლობისათვის, მშენებლობის სახარჯთალ-  
რიცხვო ღირებულების 50 პროცენტის ფარგლებში;

საბჭოთა მეურნეობებში და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო  
საწარმოებში, სამეურნეობათაშორისო საწარმოებში, სამომხმარებლო  
კოოპერაციის ორგანიზაციებში ცალკეულ ობიექტების დაკრედიტები-  
სათვის.

გრძელვადიანი კრედიტები საწარმოებს (ორგანიზაციებს) ეძლევათ  
კაპიტალური დაბანდების ლიმიტის ფარგლებში, ხოლო ცალკეულ შემ-  
თხვევაში — კაპიტალური დაბანდების ლიმიტის ზეით.

მოკმედ დებულებათა მიხედვით გრძელვადიანი კრედიტები — ახა-  
ლი ტექნიკის დანერგვის, წარმოების მექანიზაციისა და ტექნოლოგიური  
პროცესების გაუმჯობესების; მოწყობილობის განახლების; საწარმოო  
პროცესების ავტომატიზაციის, მოწყობილობის მოდერნიზაციის, ტექ-  
ნიკური სრულყოფისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების  
სხვა ღონისძიებათა განხორციელების მიხედვით, სახალხო მოხმარების  
საქონლის წარმოებ ს, გაფართოებისა და ორგანიზაციის, მათი ხა-  
რისხის გაუმჯობესების დანახარჯებისათვის ბანკის მიერ გაიყემა იმ  
პირობით, თუ ეს ხარჯები შეტანილია კაპიტალური დაბანდების ლიმიტში  
და ანაზღაურდება საწარმოს განვითარების ფონდის სახსრების, ფი-  
ნანსური გეგმით გათვალისწინებული სახსრების, დაკრედიტებული ღო-  
ნისძიებების განხორციელების შედეგად მიღებული მოგების ხარჯზე და სხვ.

ზემოჩამოთვლილი ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები აღირიცხება  
33 „კაპიტალური დაბანდების“ ანგარიშზე. ამიტომ მიღებული გრძელ-  
ვადიანი კრედიტების თანხამ აღრიცხვაში ასახვა უნდა პოვოს არა მარ-  
ტო ბანკთან ანგარიშსწორების მიხედვით, არამედ, როგორც კაპიტალური  
დაბანდების დაფინანსების წყარომ. მიღებული კრედიტის თანხა ძი-  
რითადი საქმიანობის აღრიცხვაში აისახება 92 ანგარიშის კრედიტში დ-  
82 ანგარიშის დებეტში, ერთდროულად კაპიტალური დაბანდების აღ-  
რიცხვაში — 93 ანგარიშის კრედიტში და 07, 33, 60 ანგარიშების დე-  
ბეტში და ა. შ.

კაპიტალური დაბანდებისათვის გრძელვადიანი კრედიტები ბიუჯე-  
ტური დაფინანსების ნაცვლად შეიძლება მიღებულ იქნეს, როგორც მოკ-  
მედ საწარმოთა რეკონსტრუქციის გაფართოებისათვის, ისე ახალ სა-  
წარმოთა მშენებლობისათვის. მათი დაფარვა ხდება დადგენილ ვადებ-  
ში, შესაბამისი ობიექტების ექსპლუატაციაში შეყვანის შემდეგ მოგვ-  
ბის, ძირითადი საშუალებების სრული აღდგენისათვის ამორტიზაციის

ფონდის და ფინანსური გეგმით გათვალისწინებული სხვა სახსრების ხარჯზე.

ახალ საწარმოთა მშენებლობისათვის ბიუჯეტის დაფინანსების ნაცვლად მიღებული გრძელვადიანი კრედიტების თანხა აისახება ძირითად საქმიანობის ბალანსში, მხოლოდ ობიექტების მშენებლობის დამთავრების შემდეგ. მანამდე მიღებული კრედიტების თანხა აღრიცხვაზე აიღება კაპიტალური დაბანდების ბალანსზე ჩანაწერით — 93 „კაპიტალური დაბანდების დაფინანსების“ ანგარიშის კრედიტში („გრძელვადიანი კრედიტების ხარჯზე“) 07, 33, 60 და ა. შ. ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით, ბანკის მიერ გაცემული თანხის მიზნობრივი შიშართულების მიხედვით.

ახალი საწარმოების ცალკეული ობიექტების მოქმედებაში შეყვანისა და მათი ინვენტარული ღირებულების ჩამოწერის შემდეგ, დადგენილი წესით დაფინანსების შესამცირებლად („გრძელვადიანი კრედიტების ხარჯზე“) დასახელებული ობიექტები და კრედიტები მიიღება ძირითად საქმიანობის ბალანსზე. ობიექტები ძირითად საშუალებების შემადგენლობაში ჩაირთვება 85 „საწესდებო ფონდის“ ანგარიშის კრედიტიდან. ხოლო კრედიტები აისახება 92 ანგარიშში „ბანკის გრძელვადიანი კრედიტების“ კრედიტში, 82 ანგარიშის „ბანკის კრედიტების გამოყენება მოგებისა და ფონდების ანგარიშში“ დებეტთან კორესპონდენციით.

გრძელვადიანი კრედიტების დაფარვის თანხა, მათი დანიშნულების მიუხედავად ფულადი სახსრების აღრიცხვის ანგარიშის კრედიტიდან აისახება 92 ანგარიშის დებეტში; ერთდროულად 82 „ბანკის კრედიტების გამოყენება მოგებისა და ფონდების ხარჯზე“ ანგარიშის დებეტში, აღრიცხული თანხები ჩამოიწერება ამავე ანგარიშის კრედიტიდან, შემდეგი ანგარიშების დებეტში: 81 „მოგების გამოყენება“ — მოგების ხარჯზე; 87 „ეკონომიკური სტიმულირების ფონდები“ — წარმოების განვითარების ფონდის ხარჯზე; 86 „ამორტიზაციის ფონდი“ — ამორტიზაციის ფონდის ხარჯზე ძირითადი საშუალებების სრული აღდგენისათვის; 68 „ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან“ — ბრუნვის გადასახადის ხარჯზე.

გრძელვადიანი სესხის ანალიზური აღრიცხვა ხორციელდება მათი სახეებისა და დანიშნულების მიხედვით.

## 82 ანგარიში „ბანკის გრძელვადიანი კრედიტები“

### კორესპონდენტება ანგარიშებს:

#### დ ე ბ ე ტ ი თ

- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური და მანდების სახსრებისათვის
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 82 ბანკის კრედიტების გამოყენება მოგებისა და ფონდების ხარჯზე

#### კ რ დ ი ტ ი თ

- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 33 კაპიტალური დაბანდება
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში



91 სპეციალური სასახეო ანგარიში  
93 კაპიტალური დაბანდების დაფინანსება

60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან  
64 ანგარიშსწორებანი სამეურნეობათა-შორისო კოოპერაციით  
68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან  
69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით  
81 მოგების გამოყენება  
82 ბანკის კრედიტების გამოყენება მოგებისა და ფონდების ანგარიშში  
90 ბანკის მოკლევადიანი სესხი

### ანგარიში № „კაპიტალური დაბანდების დაფინანსება“

93 ანგარიშზე აისახება სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული, აგრეთვე სსრ კავშირის მთავრობის მიერ ნებადართული სპეციალური წყაროების ხარჯზე სახელმწიფო გეგმის ზევით განსახორციელებელი კაპიტალური დაბანდებისა და ძირითადი საშუალებების შექმნის დაფინანსების მოძრაობა.

კაპიტალური მშენებლობისა და ძირითადი საშუალებების შექმნის დაფინანსება ხორციელდება სსრ კავშირის მშენბანკის ან სსრ კავშირის საბბანკის მეშვეობით დაფინანსების ანგარიშებიდან, ანგარიშსწორების ანგარიშიდან ან სათანადო შემთხვევაში საბიუჯეტო ანგარიშიდან. დადგენილ შემთხვევაში ბიუჯეტური დაფინანსების ნაცვლად შეიძლება გაცემული იქნეს გრძელვადიანი სესხი.

კაპიტალური დაბანდების დაფინანსების სახსრების მოძრაობა აღირიცხება შემდეგ სუბანგარიშებზე:

93 — 1 „სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული“

93 — 2 „სახელმწიფო გეგმის ზევით განსახორციელებელი“

93 — 3 „დანარჩენი წყაროები“

93 — 1 სუბანგარიშზე აისახება სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდების დაფინანსების წყაროები. კერძოდ, საკუთარი სახსრები (ამორტიზაციის ანარიცხები ძირითადი საშუალებების სრული აღდგენისათვის, მოგება, ეკონომიკური სტიმულირების ფონდები და კაპიტალური დაბანდების დაფინანსების გეგმით გათვალისწინებული სხვა სახსრები); ბიუჯეტური ასიგნებანი; ბანკის გრძელვადიანი კრედიტები (ბიუჯეტური დაფინანსების ნაცვლად).

ბანკის გრძელვადიანი კრედიტების ხარჯზე (ნაცვლად ბიუჯეტური დაფინანსებისა) მენაშენებისათვის მიცემული სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებთან დაფინანსების სახსრების მოძრაობა, შემდგომში საკუთარი სახსრების ხარჯზე დაფარვით (ძირითადი საშუალებების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი ამორტიზაციის ფონდის, მოგების, ეკონომიკური სტიმულირების ფონდის და დაფინანსების გეგმით გათვალისწინებული სხვა თანხის ანგარიშზე) აი-

სახება, აგრეთვე 93—1 სუბანგარიშზე. საწარმოების (ორგანიზაციების) ძირითადი საქმიანობის აღრიცხვაში ბანკის კრედიტების გამოყენება, აისახება 82 ანგარიშის „ბანკის კრედიტების გამოყენება მოვებისა და ფონდების ანგარიშის“ დებეტში და 92 ანგარიშის კრედიტში.

93—2 სუბანგარიშზე აღრიცხება სახელმწიფო გეგმის ზევით განსახორციელებელი კაპიტალური დაბანდების დაფინანსების წყაროები, კერძოდ, ეკონომიკური სტიმულირებისა და სპეციალური დანიშნულების, მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი ღონისძიების ფონდების თავისუფალი სახსრები, აგრეთვე ბანკის სესხი მიღებული ასეთი კაპიტალური დაბანდებისათვის.

93—3 სუბანგარიშზე აისახება კაპიტალური დაბანდების სხვა წყაროები:

მშენებლობაზე ექსპლუატირებული საკუთარი ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ანარიცხები, აგრეთვე, მათი რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები (ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებათ);

მოიჯარე ორგანიზაციებთან იჯარით მყოფი დროებითი სატიტულო შენობებისა და ნაგებობების ამორტიზაციის ანარიცხები (მშენებლობისათვის გამოყენებული ულიანდაგო გზის, მშენებლობის ტერიტორიის, და ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარების შემოკავეების გამოკლებით, რომლებსაც ამორტიზაცია არ ერიცხებათ). დასახელებული ამორტიზაციის ანარიცხების ხარჯზე განაღდდება მშენებლობის ძირითად საშუალებების კაპიტალური რემონტი, ხოლო დარჩენილი თანხა გამოიყენება კაპიტალური დაბანდების დაფინანსების წყაროდ, როგორც ნაერთი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით (ნაერთი სახარჯთაღრიცხვო საფინანსო გაანგარიშებით) მშენებლობაზე დასაბრუნებელი თანხები;

მშენებლობის ლიკვიდირებულ ძირითად საშუალებათა არაამორტიზებული ნაწილი, რომელიც მენაშენის მიერ ნაერთი ხარჯთაღრიცხვის (ნაერთი სახარჯთაღრიცხვო საფინანსო გაანგარიშების) მიხედვით ასიგნების ხარჯზეა შექმნილი და შედის მოქმედებაში შეყვანილი კაპიტალური მშენებლობის ობიექტების საინვენტარო ღირებულებაში.

მენაშენის მიერ დამოუკიდებელ ბალანსზე მიღებული მოგება;

მატერიალური ფასეულობის ღირებულება, მიღებული საბოლოოდ შეწყვეტილი და დადგენილი წესით ჩამოსაწერად ნებადართული სამშენებლო ობიექტების დაშლით;

სხვა საწარმოებიდან (ორგანიზაციებიდან) უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური ფასეულობისა და მომსახურების ღირებულება;

მენაშენების მიერ სხვა ორგანიზაციებიდან კაპიტალურ დანახარჯებში წილობრივი მონაწილეობის წესით მიღებული თანხა;

სხვა ორგანიზაციებიდან მიღებული მშენებლობის ობიექტების დაფინანსება;

ამონაგები გზადაგზა მოპოვებული წიაღისეულის რეალიზაციიდან (იმ

შემთხვევაში, როდესაც ეს სახსრები გათვალისწინებული არ არის სახელმწიფო გეგმით, როგორც კაპიტალური დაბანდების დაფინანსების წყარო); მიმდინარე წელს მოიჯარე ორგანიზაციებიდან მიღებული თანხა, მიმდინარე წლამდე სამოქმედოდ გადაცემული ობიექტების სამუშაოების გადიღებული ღირებულებების ასანაზღაურებლად ბანკის დაწესებულებების მიერ მოიჯარე ორგანიზაციების ანგარიშსწორების ანგარიშებიდან სამუშაოთა გადიღების ასანაზღაურებლად ამოღებულ ფულად სახსრებს (როგორც საანგარიშგებო წელს, ისე საანგარიშგებო წლამდე შესრულებული სამუშაოს მიხედვით) მენაშენეები მიმართავენ კაპიტალური დაბანდების დასაფინანსებლად. ბანკიდან ათვისებული სახსრების შესამტკიცებლად და ერთდროულად ამტკიცებენ დაუმთავრებელი მშენებლობის დასახარჯებს (ან საანგარიშგებო წელში დამთავრებულ მშენებლობის ობიექტების დასახარჯებს);

მათვრობის დადგენილებით წარმოებული ფასებისა და ტარიფების შეცვლასთან დაკავშირებით, მოწყობილობისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ფასმატების თანხა.

93 — 1 სუბანგარიშის კრედიტში აისახება სახელმწიფო გეგმის მიხედვით ბანკიდან გამოტანილი კაპიტალური დაბანდების დაფინანსების თანხა, (გარდა გრძელვადიანი დაკრედიტების ანგარიშში გამოტანილისა) 50 „სალაროს“, 51 „ანგარიშსწორების ანგარიშის“, 60 „ანგარიშსწორება მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან“ და სხვა ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით (იმასთან დამოკიდებულების მიხედვით, თუ ბანკის მიერ რა საჭიროებისთვისაა გაცემული შესაბამისი თანხა).

ბანკიდან გამოტანილი გრძელვადიანი კრედიტების თანხა, რომელიც მიღებულია ბიუჯეტური დაფინანსების ნაცვლად ახალი მშენებლობისა, მოქმედ საწარმოთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის ამ ოპერაციების ძირითადი საქმიანობის აღრიცხვაში ასახვის (იხ. 92 ანგარიშის განმარტება) მიხედვით, აღება კაპიტალური მშენებლობის აღრიცხვაში 93 — 1 სუბანგარიშის კრედიტში 50, 51, 60 და სხვა ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით, როგორც ბანკის მიერ კაპიტალური დაბანდების დაფინანსება.

93 — 2 სუბანგარიშის კრედიტში აისახება კაპიტალური დაბანდების დაფინანსების თანხა სახელმწიფო გეგმის ზევით ძირითადი საქმიანობის სახსრების ხარჯვისას 79 „შიდასამეურნეო ანგარიშსწორებათა“ ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით. იმ შემთხვევაში, როდესაც კაპიტალური დაბანდება აღირიცხება დამოუკიდებელ ბალანსზე (იხ. 54 და 79 ანგარიშების განმარტება).

კაპიტალური დაბანდებათა ძირითადი საქმიანობის ბალანსზე აღრიცხვისას (ბალანსის აქტივის და პასივის IV განყოფილებაში) შესრულებული სამუშაოების, მასალების, მოწყობილობის, მანქანების, სატრანსპორტო საშუალებების და ა. შ. შეძენის თანხა, აგრეთვე ხელფასის, გა-

საცემად მიღებული სახსრები კრედიტდება 54 „ანგარიშები ბანკში კაპიტალური დაბანდების სახსრებისათვის“ 60 „ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებებთან“, 50 „სალარო“, 69 „ანგარიშსწორებანი დაზღვევით“ — და სხვ. ანგარიშთა დებეტთან კორესპონდენციით. ერთდროულად წარმოებული გადასახდელების თანხის მიხედვით დებეტდება ფონდების ან მიზნობრივი დაფინანსების და მიზნობრივი შემოსავლების (87, 96 და სხვა) ანგარიშები და კრედიტდება 93 — 2 სუბანგარიში.

93 — 3 სუბანგარიშის კრედიტში აისახება კაპიტალური დაბანდების დაფინანსების დანარჩენ წყაროთა თანხები შემდეგი ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით: 86 „ამორტიზაციის ფონდი“ — მშენებლობის ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის თანხით; 85 „საწესდებო ფონდი“ — მშენებლობის ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციიდან ამონაგები თანხით; 80 „მოგება და ზარალი“ — მენაშენის მოგებით საანგარიშგებო წლამდე; 07 „სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა“ — გზადაგზა მოპოვებული ან უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური ფასეულობის ღირებულებით, მოწყობილობის ან სამშენებლო მასალების ფასმატების თანხით; 96 „მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი“ — სხვა ორგანიზაციებიდან მიღებული თანხით მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის წესით და ა. შ...

93 ანგარიშის დებეტში აისახება მშენებლობის ობიექტთა ექსპლუატაციაში ჩაბარებასთან, მოწყობილობის შექმნასთან, რომელიც არ მოითხოვს მონტაჟს, მშენებლობის შეწყვეტასთან დაკავშირებული ხარჯები, აგრეთვე გაწეული ის დანახარჯები, რაც ექსპლუატაციაში შესაყვანი მშენებლობის ობიექტების ღირებულებაში არ შედის. ნაჩვენებ დანახარჯთა 33 ანგარიშის კრედიტიდან ჩამოიწერა წარმოების წლის განმავლობაში, ნაჩვენებ ოპერაციათა შესრულების მიხედვით.

გარდა ამისა, 93 ანგარიშის დებეტში აისახება კაპიტალური დაბანდების დაფინანსების ანგარიშზე მიღებული, შეტანილი ან გადარიცხული თანხა კაპიტალური დაბანდების დაფინანსების ათვისებული სახსრების შემცირების წესით.

93 — 1 სუბანგარიშის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ბანკის დაწესებულებათა და კაპიტალური დაბანდების დაფინანსების წყაროთა მიხედვით; 93 — 2 სუბანგარიშისა — ბანკის დაწესებულებათა მიხედვით, სადაც ინახება სახსრები და წყაროები არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების დაფინანსებისა, რაც სახელმწიფო გეგმის ზევით ხორციელდება; 93 — 3 სუბანგარიშის — კაპიტალური დაბანდების დაფინანსების დანარჩენი წყაროების სახეების მიხედვით.

ეკორესპონდენტება ანგარიშები:

ღ ე ბ ე ტ ი თ

- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 46 რეალიზაცია
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემყვეთებთან
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 79 შიდასამუდრნეო ანგარიშსწორებანი
- 85 საწესდებო ფონდი
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

კ რ ე დ ი ტ ი თ

- 07 სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა
- 08 საზაღარიგო ნაწილები
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადო საგნები
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება
- 24 მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები
- 26 საერთო-საწეურნო ხარჯები
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 31 მომაგალი პერიოდის ხარჯები
- 33 კაპიტალური დაბანდებები
- 50 სალარო
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ბენანით
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემყვეთებთან
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასამუდრნეო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამუდრნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 85 საწესდებო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 57 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 92 ბანკის გრძელვადიანი სესხი
- 96 მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი

ანგარიში 04 „ძირითადი ჯოგის ფორმირების დაფინანსება“

94 ანგარიშზე აისახება საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმოებში (ორგანიზაციებში) ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯების დაფინანსებისათვის განკუთვნილი სახსრების მოძრაობა. ასეთი დანახარჯების დაფინანსება ხდება საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთა-

რი სახსრების ხარჯზე, ხოლო უკმარისობის ნაწილში — სსრ კავშირის სახბანკის კრედიტების ანგარიშში.

ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯების დაფინანსებისა და დაკრედიტების წესი დადგენილია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქციით საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯების დაფინანსების და დაკრედიტების შესახებ.

ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯების დაფინანსებისათვის გათვალისწინებულ საკუთარ სახსრებს მიეკუთვნება:

მოზრდილი მუშა პირუტყვის ამორტიზაციის ანარიცხები, (გარდა ხარების და ირმებისა);

მოზრდილი პროდუქტიული პირუტყვის (გარდა დაცემულისა და უსასყიდლოდ გაცემულისა) ძირითადი საშუალებიდან გავლის შედეგად მიღებული შემოსავალი, (საბალანსო ღირებულებით);

ფაქტობრივად მიღებული თანხები მოზრდილი სანაშენო და არასანაშენო ცხენებისა და სხვა მუშა პირუტყვის გაყიდვითა და დაწუნებით;

ძირითადი ჯოგის წუნდებული მუშა ხარების საბალანსო ღირებულების თანხა;

ამ მიზნისათვის საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სხვა საკუთარი სახსრები.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მოკლევადიანი კრედიტები ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯებისათვის ეძლევათ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, საკუთარი სახსრების უკმარისობისას (წინა წლებში გამოუყენებელი ნაშთების სახსრების ჩათვლით), რაც გათვალისწინებულია ამ მიზნისათვის წლის დასაწყისიდან გახულ პერიოდში.

94 ანგარიშის კრედიტში დებეტთან კორესპონდენციით აისახება შემდეგი ანგარიშები: 85 — ძირითადი ჯოგის წუნდებული პროდუქტიული პირუტყვის საბალანსო ღირებულება, მუშა პირუტყვის ღირებულება ფაქტობრივად მიღებული თანხის ოდენობით მოზრდილი სანაშენო და არასანაშენო ცხენების და სხვა მუშა პირუტყვის გაყიდვით და დაწუნების შედეგად. აგრეთვე, დამნაშავე პირებისაგან ძირითადი ჯოგის მოზრდილი დავარდნილი პირუტყვის ზარალის ასანაზღაურებლად შემოსული თანხა; 86 (სუბანგარიში 1) — ცხენებზე, აქლემებზე, ვირებზე და სხვა მუშა პირუტყვზე დარიცხული ამორტიზაციის თანხა; 87 — მეურნეობის განმტკიცების, გაფართოების და სხვა სპეციალური ფონდების თანხა, გამოყენებული ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯების დაფინანსებისათვის.

შიდაწლიური საკუთარი სახსრების ნაკლებობის დასაფარავად მი-

ღებულის სსრ კავშირის სახბანკის მოკლევადიანი კრედიტები მიმართული ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯების ასანაზღაურებლად, აღრიცხება 90 „ბანკის მოკლევადიანი სესხის“ ანგარიშზე. წლის ბოლომდე დაფარვისას დასახელებული კრედიტები ჩამოიწერება 90 ანგარიშის დებეტიდან. ერთდროულად დაფინანსების წყარო, რომლის ხარჯზედაც დაფარულია ნასესხი სახსრები, აისახება 94 ანგარიშის კრედიტში.

წლის განმავლობაში სსრ კავშირის სახბანკის მოკლევადიანი სესხის დაუფარავი დავალიანება წლის ბოლოს, შემდგომი წლისათვის ვადიანი ვალდებულებით გადაფორმდება. ერთდროულად კრედიტის ამ თანხით დებეტდება 82 ანგარიში „ბანკის კრედიტების გამოყენება მოგებისა და ფონდების ანგარიშში“ და კრედიტდება 94 ანგარიში. აღნიშნული კრედიტების დაფარვა წარმოებს დადგენილ ვადებში საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოგებისა და სხვა საკუთარი წყაროს ხარჯზე, ხოლო უკმარისობის ნაწილში — ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნების ხარჯზე.

35 „ძირითადი ჯოგის ფორმირების“ ანგარიშზე აღრიცხული ძირითადი ჯოგის ფორმირების დამთავრებული დანახარჯები ამ ანგარიშზე აღრიცხული თანხის ფარგლებში წლის ბოლოს ჩამოიწერება 94 ანგარიშის დებეტიდან.

ძირითადი ჯოგის ფორმირების დაფინანსების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს დაფინანსების წყაროების მიხედვით.

**93 ანგარიში „ძირითადი ჯოგის ფორმირების დაფინანსება“**

ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

ღ ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

35 ძირითადი ჯოგის ფორმირება

- 82 ბანკის კრედიტის გამოყენება მოგებისა და ფონდების ანგარიშში
- 85 საწესდებო ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონდები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონდები

**ანგარიში 96 „მიწნობრივი დაფინანსება და მიწნობრივი შემოსავალი“**

96 ანგარიშის შესაბამის სუბანგარიშზე (დაფინანსებისა და შემოსავლის სახეობის მიხედვით) აღრიცხება ბიუჯეტური ასიგნებანი და მიწნობრივი ღონისძიების განსახორციელებლად განკუთვნილი სხვა სახსრები, აგრეთვე ამ სახსრების ანგარიშში გწეული ხარჯები. ცალკეულ

სუბანგარიშებზე აისახება გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების დაფინანსების სახსრები.

მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლის სახსრები შეიძლება შეიქმნას ბიუჯეტური ასიგნების, ეკონომიკური სტიმულირების და სპეციალური დანიშნულების ფონდების, მიზნობრივი შემოსავლის, მოგების, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯზე.

მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლის შექმნის წყაროები და მათი გამოყენება განისაზღვრება სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებებთან განკარგულებებით, აგრეთვე სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციებით. მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლის არადანიშნულებისამებრ ხარჯვა, აგრეთვე, სხვა სახსრების გამოყენება ისეთ საჭიროებაზე, რომელიც გასანადღებელია მიზნობრივი სახსრებიდან, დაუშვებელია.

მიზნობრივი სახსრებისა და დასახელებული სახსრების ანგარიშზე გაწეული დანახარჯების ანალიზური აღრიცხვა ორგანიზდება მათი დანიშნულებისა და შემოსავლის წყაროების მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი შემოსავლის ცალკეული სახეობების აღრიცხვის წესი, რომელიც აისახება 96 ანგარიშზე:

საბავშვო დაწესებულებათა (საბავშვო ბაღების და ბაგების) შენახვისათვის, რომელიც ხორციელდება ბიუჯეტური დაფინანსების, მოგების, მშობლების სახსრების, ეკონომიკური სტიმულირებისა და სპეციალური დანიშნულების ფონდიდან ხარჯთნუსხით გამოყოფილი სახსრების, პროფკავშირული ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე. 96 ანგარიშის კრედიტში აღიარდება ბიუჯეტური დაფინანსებით მიღებული თანხა, პროფკავშირული ორგანიზაციებიდან საწარმოთა წახალისების ფონდიდან და სხვა წყაროებიდან ფაქტობრივად მიღებული სახსრები, აგრეთვე, მშობლებისაგან მისაღები თანხა. 29 ანგარიშის კრედიტიდან 96 ანგარიშის დებეტში ყოველთვიურად ჩაიწერება საბავშვო დაწესებულებების შესანახად თვის განმავლობაში გაწეული ფაქტობრივი ხარჯები.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და პიონერული ბანაკების მეურნეობრივი შენახვისათვის, რომელიც ხორციელდება საფინანსო გეგმით გათვალისწინებული მოგების, ეკონომიკური სტიმულირების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების და სხვა ანგარიშში;

96 ანგარიშის კრედიტში აისახება მიზნობრივი შემოსავლების თანხა ეკონომიკური სტიმულირების ფონდიდან, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციებიდან ფაქტობრივად მიღებული სახსრები, მოგება ამ მიზნისათვის საფინანსო გეგმით გათვალისწინებულ ფარგლებში, აგრეთვე მშობლებისაგან კუთვნილი თანხა. 96 ანგარიშის დებეტში ყოველთვი-



ურად 29 ანგარიშის კრედიტიდან ჩაიწერება კულტურულ-საგანმანათ-  
ლებლო დაწესებულებებისა და პიონერული ბანაკების მეურნეობრივ  
შენახვაზე თვის განმავლობაში ფაქტობრივად გაწეული ხარჯები;

სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, გამომგონებლობაზე, რომე-  
ლიც ხორციელდება ბიუჯეტური დაფინანსების, ზემდგომ ორგანიზა-  
ციებისა და სხვა სახსრების ხარჯზე. ხარჯები სამეცნიერო-კვლევით სა-  
მუშაოებზე, რომლებიც ხორციელდება საწარმოს (ორგანიზაციის)  
პერსონალის ძალებით თავიანთი საპირობებისათვის და საგვეგმო წლის  
განმავლობაში იძლევა ეფექტს, გაითვალისწინება საერთო-სამეურნეო  
ხარჯების ნუსხით და 96 ანგარიშზე არ აისახება. 96 ანგარიშის დებეტს  
მიაკუთვნებენ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, გამომგონებლობა-  
სა და რაციონალიზაციის, აგრეთვე გამომგონებლობისა და რაციონალი-  
ზაციის ხელშეწყობის პრემირების ფონდში ანარიცხებს (გამომგონებლო-  
ბისა და რაციონალიზაციის ნუსხით გათვალისწინებული ხარჯების ოდენ-  
ობით). 96 ანგარიშის კრედიტში აისახება გამომგონებლობისა და რა-  
ციონალიზაციის ნაჩვენები ხარჯების დაფინანსების შექმნის წყარო: სა-  
წარმოებში (ორგანიზაციებში) ეკონომიკური სტიმულირების შესაბა-  
მისი ფონდების ანგარიშზე. ხოლო უკმარისობის ნაწილში — თვითღი-  
რებულების ხარჯზე, მაგრამ არა უმეტეს ხარჯთაღრიცხვით გათვალის-  
წინებული საერთო-სამეურნეო ხარჯების თანხისა; სამინისტროებში  
(უწყებებში) — ცენტრალიზებული ფონდების ანგარიშზე, ხოლო უკ-  
მარისობის ნაწილში ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე, ასიგნების ფარგ-  
ლებში.

კადრების მომზადებაზე, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების კვალიფი-  
კაციის ამაღლებაზე, რომელიც ხორციელდება ბიუჯეტური დაფინან-  
სების, ზემდგომი ორგანიზაციების დაფინანსებისა და სხვა წყაროების  
ხარჯზე. საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ საკუთარი სახსრები-  
დან წარმოებული საკუროსო ღონისძიების ხარჯები და კადრების მომზა-  
დების სხვა ხარჯები, იგეგმება და აღირიცხება წარმოების ან მიმოქცევის  
ხარჯზე. მიღებული მიზნობრივი დაფინანსების ანგარიშზე გაწეული  
ხარჯები 96 ანგარიშის დებეტში ჩამოიწერება;

ელექტროდანადგარებში რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციის დო-  
ნის გადიდების ღონისძიებათა ჩასატარებლად. სამრეწველო საწარმოებს,  
აგრეთვე, რკინიგზის სახაზო (სამეურნეო) საწარმოებს უფლება აქვთ  
კაპიტალური დაბანდების ასიგნების გეგმის ზევით დახარჯონ იმ თანხის  
სხვაობის 50 პროცენტამდე, რაც მათ მიერ მიღებულია ელექტროდა-  
ნადგარებში რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციისათვის ფასჩამოკლე-  
ბისა და წანამატის გამოყენების შედეგად. ელექტროდანადგარებში რე-  
აქტიული სიმძლავრის, კომპენსაციის დონის გადიდების ღონისძიებ-

სათვის. აღნიშნული ღონისძიებების ჩასატარებლად განკუთვნილი საშუალებების შექმნა აისახება 96 ანგარიშის კრედიტში „მოგების გამოყენების“ 81 ანგარიშთან კორესპონდენციით. ანალიზურ აღრიცხვაში ნაჩვენებები ღონისძიებისათვის საშუალებათა მიღება აღირიცხება ცალკე, ყოველი წლის მიხედვით. ორი წლის გასვლის შემდეგ გამოუყენებელი სახსრების ნაშთი შეტანილ უნდა იქნეს სსრ კავშირის ბიუჯეტის შემოსავალში. ელექტროსამმართველოებში ელექტროდანადგარებში სიძღვრის კომპენსაციისათვის ელექტროენერჯის ტარიფთან ფასამოკლების და წარმატების აღრიცხვა 46 „რეალიზაციის“ ანგარიშზე ხორციელდება. ელექტრო სამმართველოების მიერ შესაბამისი ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი ფასწანამატების თანხა 46 ანგარიშის დებეტიდან 96 ანგარიშის კრედიტში გადაირიცხება;

საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების და პოინერთა ბანაკების მშენებლობაზე ზეგეგმური მოგების 30 პროცენტამდე ანარიცხების ან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებიდან ზეგეგმური ეკონომიის ხარჯზე, ამ სახსრების ანარიცხების, გამოყენებისა და აღრიცხვის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ;

ზედმეტი და გამოუყენებელი ძირითადი ფონდების გაყიდვით მიღებული შემოსავალი. სოციალისტურ სახელმწიფო საწარმოთა დებულებებს შესაბამისად, ძირითად საშუალებებში შემავალი მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვიდან მიღებული თანხა რჩება საწარმოს განკარგულებაში და წარმართება მათ კაპიტალურ დაბანდებაზე, დადგენილი წლიური გეგმის ზევით. გაყიდვიდან მიღებული ამონაგების თანხით, გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით კრედიტდება 96 ანგარიში 85 ანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით, იმ საწარმოთა (ორგანიზაციების) მიხედვით, რომლებიც მუშაობის ახალ პირობებზე არ არიან გადაყვანილი; დანარჩენთა მიხედვით — 87 ანგარიში კრედიტდება, რადგანაც მოცემული თანხა წარმოების განვითარების ფონდში ჩაირიცხება. აღნიშნული სახსრების კაპიტალური დაბანდების დაფინანსებისათვის, გამოყენების მიხედვით კრედიტდება 93—3 ქვეანგარიში და დებეტდება 96 ანგარიში.

ამა თუ იმ ღონისძიების დაფინანსების წყაროს სახით მიღებული მიზნობრივი დანიშნულების სახსრები აისახება 96 ანგარიშის კრედიტში. იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახსრებით იქმნება ნაჩვენებები მიზნობრივი დაფინანსების ან მიზნობრივი შემოსავლის წყარო, ჩანაწერები იწარმოებს შემდეგ ანგარიშთა დებეტთან კორესპონდენციით: 87 და 88 — ეკონომიკური ხტიმულირებისა და სპეციალური დანიშნულების ფონდების ანგარიშზე; 81 — მოგების ანგარიშზე; 76 — საბავშვო დაწესებულებათა შესანახად მშობლებიდან მისაღები სახსრების ანგარიშზე; 78 — ზემდგომი ორგანიზაციებიდან მიღებული სახსრების ანგარიშზე

შესაბამისი დანახარჯების აღრიცხვის — წარმოების ან მიმოქცევის ხარჯების ანგარიშებზე; ფულადი სახსრების აღრიცხვის — ფაქტობრივად მიღებული ბიუჯეტური დაფინანსების და პროფკავშირული ან სხვა ორგანიზაციებიდან მიღებული სახსრების ანგარიშზე.

96 ანგარიშის დებეტში შესაბამისი ანგარიშების კრედიტიდან ჩამოიწერება ამა თუ იმ ღონისძიებაზე დახარჯული თანხა, გარდა კაპიტალური დაბანდების ხასიათის მატარებელი ღონისძიების ხარჯებისა, რომელიც მიზნობრივი ღონისძიებების დაფინანსების წყაროებიდან გადარიცხება კაპიტალური დაბანდების დაფინანსების წყაროებზე.

96 ანგარიშზე აისახება, აგრეთვე გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების დაფინანსების სახსრები, რაც მიღებულია ბანკიდან შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშების მიხედვით და ავანსის სახით ნაჩვენები სამუშაოების სეზონური ხარჯის დასაფარავად. ბანკიდან მიღებული თანხა გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოების ანგარიშებით შესრულებულ სამუშაოებისათვის და სეზონური დანახარჯების დასაფარავად გაცემული შიდაწლიური ავანსის თანხა აღირიცხება ცალ-ცალკე.

96 ანგარიშით სარგებლობენ დამოუკიდებელ ბალანსზე გამოყოფილი გეოლოგიური პარტიები და ექსპედიციები, რომლებსაც ზემდგომი ორგანიზაციების ნებართვით ბანკის დაწესებულებები, გარდა ანგარიშსწორების ანგარიშისა უხსნიან, აგრეთვე შესაბამის სამუშაოთა დაფინანსების ანგარიშს. 96 ანგარიში კრედიტდება სსრ კავშირის მშენებანიდან ანგარიშსწორების ანგარიშზე მიღებული თანხით, მათ მიერ გასანაღდებლად მიღებული — ანგარიშებით, შესრულებული სამუშაოებისათვის და მათზე გაცემული ავანსით, ფულადი სახსრების აღრიცხვის ანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით. 96 ანგარიში დებეტდება მთლიანად შესრულებული სამუშაოების ღირებულებით, რაც გადახდილია მზადყოფნის ღონის მიხედვით 46 „რეალიზაციის“ ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით, აგრეთვე დაფინანსების დაბრუნებული თანხებით და ა. შ.

დამოუკიდებელ ბალანსზე გამოყოფილი გეოლოგიური პარტიები (ექსპედიციები), რომლებსაც გეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოს დაფინანსებისათვის ბანკში არა აქვთ ანგარიშები, ანგარიშსწორებას შესრულებული სამუშაოებისათვის ახდენენ თავიანთ ზემდგომ ორგანიზაციებთან და ამ ანგარიშსწორებას აღრიცხავენ 78 ანგარიშზე „შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით“. პარტიები და ექსპედიციები შესრულებული გეოლოგიურ-დაზვერვით სამუშაოებზე ანგარიში-გადახდის მოთხოვნებისა და აქტების სამმართველოში გაგზავნის ან ბანკში ინკასოზე გადაცემისას დანახარჯებს დამთავრებულ სამუშაოებზე ასახავენ 46 ანგარიშის დებეტსა და 20 ანგარიშის კრედიტში. ერთდროულად ამ სამუშაოთა ღირებულება აისახება 46 ანგარიშს

კრედიტსა და 78 ანგარიშის დებეტში. წარდგენილი ანგარიშების განაღ-  
დებისას აკრედიტებენ 78 ანგარიშს ფულადი სახსრების აღრიცხვის ანგარი-  
შების დებეტთან კორესპონდენციით.

ანგარიში 98 „მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი“  
ეკორესპონდენტება ანგარიშებს:

დ ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ი ტ ი თ

- 05 მასალები
- 05 სათბობი
- 12 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი ზავნები
- 13 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი სავნების ცვეთა
- 14 სასაქონლო-მატერიალურ ფასეუ-  
ლობათა გადაფასება
- 20 იურიდიული წარმოება
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარწობები და მეურნე-  
ობანი
- 30 არაკაპიტალური სამუშაოები
- 46 რეალიზაცია
- 49 შემოსავალი მომსახურების რეალი-  
ზაციიდან
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური და-  
ბანდების სახსრებისათვის
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან  
და მოიჯარებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსით
- 63 ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 70 ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღა-  
ურებით
- 71 ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდე-  
ბულ პირებთან
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დე-  
ბიტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი  
მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 82 ბანკის კრედიტების გამოყენება მო-  
გებისა და ფონდების ანგარიშში
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონ-  
დები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონ-  
დები
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინან-  
სება

- 05 მასალები
- 20 ძირითადი წარმოება
- 26 საერთო-სამეურნეო ხარჯები
- 29 მომსახურე წარწობები და მეურ-  
ნეობანი
- 44 მიმოქცევის ხარჯები
- 45 გაგზავნილი კაპიტალი, შესრულე-  
ბული სამუშაოები და მომსახურება
- 46 რეალიზაცია
- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ანგარიში
- 54 ანგარიშები ბანკში კაპიტალური  
დაბანდების სახსრებისათვის
- 55 დანარჩენი ანგარიშები ბანკში
- 56 დანარჩენი ფულადი სახსრები
- 60 ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან  
და მოიჯარებთან
- 61 ანგარიშსწორებანი ავანსით
- 62 ანგარიშსწორებანი მყიდველებთან  
და შემყვეთებთან
- 68 ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან
- 69 ანგარიშსწორებანი დაზღვევით
- 76 ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დები-  
ტორებთან და კრედიტორებთან
- 78 შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი  
მიმდინარე ოპერაციებით
- 79 შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი
- 80 მოგება და ზარალი
- 81 მოგების გამოყენება
- 82 ბანკის კრედიტების გამოყენება მო-  
გებისა და ფონდების ანგარიშში
- 85 საუკისდო/ფონდი
- 86 ამორტიზაციის ფონდი
- 87 ეკონომიკური სტიმულირების ფონ-  
დები
- 88 სპეციალური დანიშნულების ფონ-  
დები
- 90 ბანკის მოკლევადიანი სესხი
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიში
- 93 კაპიტალური დაბანდების დაფინან-  
სება

საწარმოები (ორგანიზაციები) 97 ანგარიშზე ასახევენ ბანკთან ანგარიშსწორებას მისგან მიღებული სესხით, მუშებსა და მოსამსახურეებზე გასაცემი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისა და ბაღების პატარა სახლების მშენებლობისათვის, აგრეთვე სესხით ანგარიშსწორებაზე სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მათ მიერ ნისიად გაყიდული საქონლის თანხის ასანაწილურებად.

97 ანგარიშის კრედიტში მოცემულია ბანკის სესხას დავალიანების ზრდა, ხოლო დებეტში — სესხების დაფარვა.

97 ანგარიში იყოფა სუბანგარიშებად:

97 — 1 „ნისიად გაყიდული“ საქონლისათვის“; 97 — 2 „ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის“; 97 — 3 „მებაღეობის პატარა სახლების მშენებლობისათვის“.

მოქმედი დებულების შესაბამისად, მუშებსა და მოსამსახურეებზე ნისიად მიყიდული საქონლის ანგარიშსწორების წესის შესახებ, საწარმოები სავაჭრო ორგანიზაციებს მთლიანად უნაზღაურებენ მყიდველებზე მიცემული კრედიტის თანხას, დებულებენ რა ამ მიზნისათვის სსრ კავშირის სახბანკის შესაბამის სესხს. ნასესხები თანხის დაფარვა წარმოებს საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასიდან თანხის დაკავებისა და მათი ბანკისათვის გადარიცხვის გზით.

საწარმოები (ორგანიზაციები), სადაც მუშაობენ ნისიად საქონლის მყიდველი პირები, ბანკთან სესხით ანგარიშსწორებას სავაჭრო საწარმოებისათვის (ორგანიზაციებისათვის) ნისიად გაყიდული საქონლის თანხის ასანაწილურებად, აღრიცხავენ 97 — 1 სუბანგარიშზე.

ბანკის მიერ შესაბამის საანგარიშსწორებო დოკუმენტების განაღდებას 97 — 1 სუბანგარიში კრედიტდება 73 ანგარიშთან კორესპონდენციით. ბანკის სესხის დაფარვა აისახება 97 — 1 სუბანგარიშის დებეტში და 51 ანგარიშის ან სხვა ანალოგიური ანგარიშის კრედიტში.

97 — 2 და 97 — 3 სუბანგარიშებზე აღრიცხება საწარმოებს (ორგანიზაციების) მიერ მიღებული ბანკის სესხი მუშებსა და მოსამსახურეებზე გასაცემად — ინდივიდუალური საბინაო და კოოპერაციული მშენებლობისათვის, ბაღების პატარა სახლების შესაძენად ან მშენებლობისათვის და ბაღების ნაკვეთების კეთილმოწყობისათვის. მიღებული სესხით კრედიტდება 97 — 2 ან 97 — 3 სუბანგარიშები სესხის სახეობის მიხედვით და დებეტდება ფულადი სახსრების აღრიცხვის ანგარიშები. ასეთი კრედიტების დაფარვა აისახება 97 — 2 ან 97 — 3 სუბანგარიშის დებეტში იმ ანგარიშთან კორესპონდენციით, რომლიდანაც იყო გადანიღდილი ბანკის კუთვნილი თანხა.

მ ა ნ გ ა რ ი შ ი „ ბ ა ნ კ ი ს ს ე ს ხ ი მ უ შ ე ბ ი ს ა დ ა მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს “

ე კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ე ბ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ს :

ღ ე ბ ე ტ ი თ

კ რ ე დ ე ტ ი თ

- 50 სალარო
- 51 ანგარიშსწორების ინგარიშში
- 73 ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურეებთან სხვა ოპერაციებით
- 91 სპეციალური სასესხო ანგარიშში

- 50 სალარო
- 51 ინგარიშსწორების ანგარიში
- 73 ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურეებთან სხვა ოპერაციებით

**ბ ა ლ ა ნ ს გ ა რ ე შ ე ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი**

ბალანსგარეშე ანგარიშების დანიშნულებაა აღრიცხოს საწარმოში (ორგანიზაციაში) დროებით არსებული ფასეულობა, რომელიც მას არ ეკუთვნის: იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები, პასუხსაგები შენახვისათვის და გადასამუშავებლად მიღებული მატერიალური ფასეულობა და ა. შ... ბალანსგარეშე ანგარიშებზე აღიერიცხება, აგრეთვე ბიუჯეტით ვახსნილი კრედიტების თანხა, მკაცრი ანგარიშგების ბლანკები.

ნაჩვენები ფასეულობის აღრიცხვა წარმოებს მარტივი სისტემით. ბალანსგარეშე ანგარიშებზე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა აღიერიცხება სახელშეკრულებო ფასებით, მიღება-ჩაბარების აქტით ან ანგარიშგადახდის მოთხოვნილებებში გათვალისწინებული ფასებით, ხოლო იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები — საიჯარო ხელშეკრულებებში ნაჩვენები შეფასებით. მკაცრი ანგარიშგების ბლანკები აღიერიცხება პირობითი შეფასებით. ბალანსგარეშე ანგარიშებში ასახული ყველა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, აგრეთვე იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია წარმოებს საკუთარი ფასეულობისათვის დადგენილი წესითა და ვადებში.

**ა ნ გ ა რ ი შ ი 001 „ ი ჯ ა რ ი თ ა ლ ე ბ უ ლ ი ძ ი რ ი თ ა დ ი სა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი “**

001 ანგარიშზე აღიერიცხება საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები. იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს იჯარის გამცემთა ძირითადი საშუალებების ცალკეული ობიექტების მიხედვით (იჯარის გამცემთა საინვენტარო ნომრებით).

**ა ნ გ ა რ ი შ ი 002 „ პ ა ს უ ხ ს ა გ ე ბ ი შ ე ნ ა ხ ვ ი ს ა თ ვ ი ს მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა “**

002 ანგარიშზე აღიერიცხება შესანახად მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა შემდეგ შემთხვევებში:

მიმწოდებლებისაგან სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მიღებისას, რომელზედაც საწარმომ (ორგანიზაციამ) კანონიერ საფუძველზე უარი განაცხადა ანგარიშგადახდის მოთხოვნის აქცეპტსა და მათ გადახდაზე;

მიმწოდებლებისაგან გაუნაღებელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მიღებისას, რომლის ხარჯვა აკრძალულია მათი განაღდებად;

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის პასუხსაგები შენახვისათვის მიღებისას დანარჩენი მიზეზებით.

მიმწოდებელ საწარმოებში (ორგანიზაციებში) ამ ანგარიშზე აღირიცხება მყიდველის განაღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, რომელიც გამონაკლისის სახით ნებადართულია დატოვებულ იქნეს პასუხსაგები შენახვისათვის, შენახვის ხელწერილებით გაფორმებული, მაგრამ საწარმოებისაგან (ორგანიზაციებისაგან) დამოუკიდებელი მიზეზების გამო არაა გატანილი.

პასუხსაგები შენახვისათვის მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ანალიზური აღრიცხვა მფლობელ საწარმოთა მიერ წარმოებს სახეების, ხარისხისა და შენახვის ადგილების მიხედვით. პასუხსაგები შენახვისათვის დატოვებული ფასეულობა უნდა ინახებოდეს დანარჩენ ყველა სხვა ფასეულობისაგან განცალკევებით.

მოკემულ ანგარიშზე აღირიცხება, აგრეთვე შემკვეთისაგან გადასამუშავებლად მიღებული ნედლეული და მასალა (დამკვეთის ნედლეული), რაც დამამზადებელ საწარმოთა მიერ არ ნაღდება. ნედლეულის და მასალის გადაამუშავების ან დამატებითი დამუშავების ხარჯების აღრიცხვა ხორციელდება წარმოების ანგარიშზე (შემკვეთის ნედლეული-სა და მასალის ღირებულების გამოკლებით). შემკვეთის ნედლეული და მასალა აღირიცხება ბალანსგარეშე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფასებით. ანალიზური აღრიცხვა წარმოებს შემკვეთის, ნედლეულის და მასალების სახეობის, ხარისხისა და მათი ადგილმდებარეობის მიხედვით.

აქ აისახება, აგრეთვე საკომისიო მალაზიებში ვაჭრობის შესაბამისი წესით საკომისიოდ მიღებული სახალხო მოხმარების საქონელი და ოჯახის საჭიროების საგნები. ანალიზური აღრიცხვა წარმოებს საქონლის სახეობისა და საკომისიო საქონლის ჩამბარებელ პირთა მიხედვით.

#### ანგარიში 008 „დასამონტაჟებლად მიღებული მოწყობილობა“

003 ანგარიშზე აღირიცხება მოიჯარე ორგანიზაციის მიერ დამკვეთისაგან დასამონტაჟებლად მიღებული ყველა სახის მოწყობილობა. ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ცალკეული ობიექტების ან აგრეგატების მიხედვით, შემკვეთის მიერ თანმხლებ დოკუმენტებში ნაჩვენები ფასებით.

004 ანგარიშზე აღირიცხება შესანახი და ანგარიშქვეშ გასაცემი მკაცრი ანგარიშგების ზღანკები — ქვითრის წიგნაკები, მოწმობის ზღანკები, დიპლომები, სხვადასხვავგარი აბონემენტები, ტალონები, ბილწთები, სასაქონლო — თანმხლები ზღანკები და ა. შ. სამინისტროების (უწყებების) მიერ დამტკიცებული ჩამონათვალის შესაბამისად. ანალიზური აღრიცხვა წარმოებს მკაცრი აღრიცხვის თითოეული სახის ზღანკისა და მათი შენახვის ადგილის მიხედვით. -

005 ანგარიში „ზარალში ჩამოწერილი გადახდისუწნარო“

დებიტორების დავალიანება

005 ანგარიშზე აღირიცხება მოვალეთა გადახდისუწნარობის შედეგად ზარალში ჩამოწერილი დებიტორული დავალიანება. ბუღალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ დებულების თანახმად, ვალების ზარალში ჩამოწერა მოვალეთა გადახდისუწნარობის გამო არ წარმოადგენს დავალიანებიდან სრულად განთავისუფლებას (გაუქმებას). ასეთი დავალიანება მისი ჩამოწერის მომენტიდან ხუთი წლის განმავლობაში აღრიცხული უნდა იყოს ბალანსგარეშე, გადახდევინების შესაძლებლობაზე თვალყურის დევნების მიზნით მოვალეთა ქონებრივი მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში.

აღრე ზარალში ჩამოწერილი დავალიანების გადახდევინების წესით შემოსული თანხით დებეტდება ანგარიში 50 „სალარო“ ან ანგარიში 51 „ანგარიშსწორების ანგარიში“ 80 „მოგებისა და ზარალის“ ანგარიშთან კორესპონდენციით. ერთდროულად ნაჩვენები თანხით კრედიტდება ბალანსგარეშე ანგარიში 005.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს  
ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების  
სამმართველოს უფროსი

პ. ს. ბ ე წ რ უ კ ი ხ ი



## შ ო ნ ა ა რ ს ი

სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1985 წ. 28 მარტის ბრძანება № 40	3
<b>I დ ა ნ ა რ თ ი</b>	
გაერთიანებებს, საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა	4
<b>2 დ ა ნ ა რ თ ი</b>	
ინსტრუქცია გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის გამოყენების შესახებ	13
<b>I გ ა ხ ა ყ ო ფ ი. ძირითადი საშუალებები (ფონდები)</b>	16
ანგარიში 01 „ძირითადი საშუალებები“	17
ანგარიში 02 „ძირითად საშუალებათა ცვეთა“	21
ანგარიში 03 „კაპიტალური რემონტი“	22
<b>II გ ა ნ ა ყ ო ფ ი. საწარმოო მარაგი</b>	26
ანგარიში 05 „მასალები“	31
ანგარიში 06 „სათბობი“	35
ანგარიში 07 „სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა“	38
ანგარიში 08 „სათადარაგო ნაწილები“	41
ანგარიში 09 „გამოსაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი“	43
ანგარიში 10 „თესლი და საკვება“	47
ანგარიში 12 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები“	48
ანგარიში 13 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა“	52
ანგარიში 14 „სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება“	54
ანგარიში 15 „მატერიალურ ფასეულობათა დამზადება და შექმნა“	57
ანგარიში 16 „სატრანსპორტო-დამზადების ხარჯები“	58
<b>III. გ ა ნ ა ყ ო ფ ი. წარმოების დანახარჯები</b>	62
ანგარიში 20 „ძირითადი წარმოება“	64
ანგარიში 21 „საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები“	80
ანგარიში 23 „დამხმარე წარმოებანი“	81
ანგარიში 24 „მანქანებისა და მოწყობილობის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები“	85
ანგარიში 25 „საერთო-საწარმოო ხარჯები“	88
ანგარიში 26 „საერთო-სამეურნეო ხარჯები“	91
ანგარიში 28 „წუნი წარმოებაში“	95
ანგარიში 29 „მომსახურე წარმოებანი და მეურნეობანი“	99
ანგარიში 30 „არაკაპიტალური სამუშაოები“	103
ანგარიში 31 „მომავალი პერიოდის ხარჯები“	105
ანგარიში 33 „კაპიტალური დაზანდებანი“	108

	ანგარში 35	„ძირითადი ჯოგის ფორმირება“	121
<b>IV</b>	<b>გ ა ნ ა ყ ო ფ ი.</b>	<b>83ა პროდუქცია, საქონელი და რეალიზაცია</b>	<b>124</b>
	ანგარიში 40	„მზა პროდუქცია“	124
	ანგარიში 41	„საქონელი“	128
	ანგარიში 42	„საექპრო დარიცხვა და ბრუნვის გადასახადი	134
	ანგარიში 43	„წარმოებისგარეშე ხარჯები“	136
	ანგარიში 44	„მიმოქცევის ხარჯები“	139
	ანგარიში 45	„გაგზავნილი საქონელი, შესრულებული სამუშაოები და მომსახურება“	144
	ანგარიში 46	„რეალიზაცია“	148
	ანგარიში 47	„საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შედასისტემური გაყემა“	157
	ანგარიში 49	„შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან“	158
<b>V</b>	<b>გ ა ნ ა ყ ო ფ ი.</b>	<b>ფულადი სახსრები</b>	<b>161</b>
	ანგარიში 50	„სალარო“	162
	ანგარიში 51	„ანგარიშსწორების ანგარიში“	163
	ანგარიში 54	„ანგარიშები ბანკში კაპიტალური დაბანდების სახსრებისათვის“	165
	ანგარიში 55	„დანარჩენი ანგარიშები ბანკში“	168
	ანგარიში 56	„დანარჩენი ფულადი სახსრები“	173
<b>VI</b>	<b>გ ა ნ ა ყ ო ფ ი.</b>	<b>ანგარიშსწორებანი</b>	<b>175</b>
	ანგარიში 60	„ანგარიშსწორებანი მიმწოდებელთან და მოიჭარებთან“	176
	ანგარიში 61	„ანგარიშსწორებანი ავანსით“	180
	ანგარიში 62	„ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემყვევებთან“	183
	ანგარიში 63	„ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით“	185
	ანგარიში 64	„ანგარიშსწორებანი სამეურნეობათაშორისო კოოპერაციით“	187
	ანგარიში 68	„ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან“	189
	ანგარიში 69	„ანგარიშსწორებანი დაზღვევით“	191
	ანგარიში 70	„ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით“	194
	ანგარიში 71	„ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან“	197
	ანგარიში 72	„ანგარიშსწორებანი მატერიალური ზარალის ანაზღაურებით“	200
	ანგარიში 73	„ანგარიშსწორებანი მუშა-მოსამსახურებებთან სხვა ოპერაციებით“	202
	ანგარიში 76	„ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“	206
	ანგარიში 77	„შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი საბრუნავი საშუალებებისა და შოგების გადანაწილებით“	209
	ანგარიში 78	„შიდასაუწყებო ანგარიშსწორებანი მიმდინარე ოპერაციებით“	210
	ანგარიში 79	„შიდასამეურნეო ანგარიშსწორებანი“	213
<b>VII</b>	<b>გ ა ნ ა ყ ო ფ ი.</b>	<b>ფინანსური შედეგები და შოგების გამოყენება</b>	<b>217</b>
	ანგარიში 80	„შოგება და ზარალი“	217
	ანგარიში 81	„შოგების გამოყენება“	224
	ანგარიში 82	„ბანკის კრედიტების გამოყენება შოგებისა და ფონდების ანგარიშზე“	226
	ანგარიში 83	„მომავალი პერიოდის შემოსავალი“	228
	ანგარიში 84	„დანაკლისები და დანაკარგები ფასეულობათა გაფუჭებიდან“	229
<b>VIII</b>	<b>გ ა ნ ა ყ ო ფ ი.</b>	<b>ფონდები და რეზერვები</b>	<b>234</b>
	ანგარიში 85	„საწესდებო ფონდი“	234

	ანგარიში 86 „ამორტიზაციის ფონდი“	238
	ანგარიში 87 „ეკონომიკური სტიმულირების ფონდები“	241
	ანგარიში 88 „სპეციალური დანიშნულების ფონდები“	244
	ანგარიში 89 „მოსალოდნელი ხარჯებისა და გადასახდელთა რეზერვი“	246
<b>IX</b>	<b>გ ა ნ ა ყ ო ფ ი. ბანკების კრედიტები და დაფინანსება</b>	<b>260</b>
	ანგარიში 90 „ბანკის მოკლევადიანი სესხი“	250
	ანგარიში 91 „სპეციალური სასესხო ანგარიში“	253
	ანგარიში 92 „ბანკის გრძელვადიანი კრედიტები“	254
	ანგარიში 93 „კაპიტალური დაბანდების დაფინანსება“	257
	ანგარიში 94 „ძირითადი ჯოგის ფორმირების დაფინანსება“	261
	ანგარიში 96 „მიზნობრივი დაფინანსება და მიზნობრივი შემოსავალი“	263
	ანგარიში 97 „ბანკის სესხი მუშა-მოსამსახურეებისათვის“	269
	<b>ბალანსგარეშე ანგარიშები</b>	
	ანგარიში 001 „იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები“	270
	ანგარიში 002 „საპასუხისმგებლო შესანახად მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი“	270
	ანგარიში 003 „დასამონტაჟებლად მიღებული მოწყობილობა“	271
	ანგარიში 004 „მკაცრი ანგარიშგების ბლანკები“	272
	ანგარიში 005 „ზარალში ჩამოწერილი გადახდისუენარო დებატორების დავალიანება“	272

План счетов бухгалтерского учета  
(На грузинском языке)

Издательство «Сაბჭოთა საქართველო»  
Тбилиси, Марджანიшвили, 5  
1988

გამომცემლობის რედაქტორი ლ. არეშიძე  
მხატვარი ტ. შევილაძე  
მხატვრული რედაქტორი აკ. თევზაძე  
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე  
კორექტორი ი. უკლება  
გამომშვები ნ. თათარაშვილი

გადაეცა წარმოებას 10.07.87. ხელმოწერილია დასაბუქდად 21.12.87. საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×90<sup>1/16</sup>. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 17.25. პირ. საღ.-გატ. 17,25. სააღრ.-საგამომც. თაბახი 18,35.

ტირაჟი 15.000 შეკვ. № 6176.

ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

Кутапское полиграфическое производственное объединение  
Государственного комитета по делам издательства, полиграфии и  
книжной торговли Грузинской ССР  
г. Кутаиси, пр. Н. Чавчавадзе, 33.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და  
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის  
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება  
ქ. ქუთაისი, ი. ქავჭავაძის პროსპექტი, 33